www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 1 მარტი, 2003 წელი. №58 (270) | ფასი 50 თეთრი

"თემატურმა კოალიციამ" "თემატური უმრავლესობა" დაამარცხა

ლევან ხარბედილაძის ფოტო

"დემოკრატებმა" ნახევარი პარლამენტი პირდაღებული დატოვეს.

გიორგი ასანიშვილი

ყოველი ჭეშმარიტება სამ სტადიას გადის. პირველი: "ეს რა სისულელეა!" მეორე: "ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი!" და მესამე: "ეს ხომ ყველასთვის დღესავით ნათელია!". "გაერთიანებული დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივამ, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ, სამივე ეს საფეხური თანამიმდევრულად გაიარა და დღეისათვის უკვე საკმაოდ ხელშესახები პოლიტიკური ღირებულება შეიძინა.

გასული წლის შემოდგომაზე, როდესაც ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელები აღნიშნული ინიციატივით გამოვიდნენ, მათმა ოპონენტებმა 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის მოთხოვნა "დემაგოგიად", "პოპულიზმად" და "პოლიტიკურ სპეკულაციად" მონათლეს. ასეთი არასასიამოვნო იარლიყების მიწებებისა და უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, "დემოკრატებს" ფარხმალი არ დაუყრიათ და ბოლომდე განაგრძობდნენ ბრძოლას. მათთვის, წესით, მომაკვდინებელი დარტყმა უნდა ყოფილიყო 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, ვინაიდან ჟვანიას თანაპარტიელთა ინიციატივამ ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ კანონში ასახვა ვერ ჰპოვა. გამარჯვება კი მაშინ მოვიდა, როდესაც, გულის სიღრმეში, მას თავად "დემოკრატებიც" აღარ ელოდნენ: გუშინ საქართველოს პარლამენტმა, სამივე მოსმენით, 90 ხმით, ერთხმად მოიწონა კანონპროექტი "შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის

გაგრძელება A2 გვერდზე

ენერგოსექტორი სრული პარალიზების საფრთხის წინაშე

საგანგებო მდგომარეობა ენერგეტიკულ სექტორში გრძელდება. ენგურჰესის რეაბილიტაციის 22-მილიონიანი პროექტი შეჩერებულია, "ეი-ი-ეს თელასი" მთავრობასთან გაფორმებული დოკუმენტის დეტალებს არ ამხელს, დღეიდან ელექტროენერგიის ტარიფი იაფდება, ენერგეტიკოსები კი ტარიფში თავიანთი წილის შემცირებას აპროტესტებენ და სისტემის სრული პარალიზებით იმუქრებიან. ქაოსმა ენერგეტიკაში კულმინაციას მიაღწია.

სოფო კვინტრაძე

დღეიდან ძალაში შედის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის 11 თებერვლის დადგენილება, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის ტარიფი თბილისში 13,7 თეთრის ნაცვლად 12,15 თეთრი ხდება, ხოლო რაიონებში 8 თეთრის ნაცვლად - 6,4 თეთრი. როგორც ცნობილია, პირველი ხმამაღალი უკმაყოფილება, ტარიფის ხელოვნურად შემცირებასთან დაკავშირებით, სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა პაოლო ნეუჰაუსმა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას დააფიქსირა. ამას მოჰყვა "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის იგნასიო ირიბარენის ლონდონში ვიზიტი, რომლის შემდეგაც ირიბარენმა, კომპანიის უფლებებისა და ინვესტიციების

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, რა უნდა

თამარ ხორბალაძე

"ჯერ თავად თქვენი მთავრობა უნდა გაერკვეს, რა უნდა..." - ასეთი დასკვნით გამოვიდა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრიდან ევროკავშირის დელეგაცია, რომელიც საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა და ამ კვირის მანძილზე შეხვდა ყველა პოლიტიკურ ჯგუფს და პოლიტიკურ ფიგურას, პანკისი და აფხაზეთი მოიარა, ესაუბრა აფხაზეთიდან ლტოლვილებს...

"შოკირებულნი ვართ იმ ფაქტით, რომ ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთში ძალიან ცოტა რამ გაკეთდა ომის შედეგების ლიკვიდაციისთვის," - განაცხადა ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ ურსულა შლეიხერმა უკვე ვიზიტის დასასრულს, გუშინ საღამოს საქართველოს პარლამენტში გამართულ შემაჯამებელ ბრიფინგზე.

"ევროკავშირის მიმართ აფხაზეთის მთავრობას არ გამოუთქვამს პრეტენზიები, აფხაზეთის რესპუბლიკის არაღიარების გამო, რადგან, მათ კარგად იციან, რომ ევროკავშირი აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას არასოდეს აღიარებს," - ამბობს ურსულა შლეიხერი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ახალი ანტიკრიმინალური ტალღა პანკისში

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოზე მოისმინა და "მცირედი კორექტივებით" დაამტკიცა პანკისის ხეობაში განსახორციელებელი მორიგი ანტიკრიმინალური ოპერაციის გეგმა, რომელიც მოქმედებას უკვე დღეს დაიწყებს.

გეგმის მიხედვით, პანკისის ხეობაში, შინაგანი ჯარის ნაწილებთან ერთად, თავდაცვის სამინისტროს ძალებიც უნდა განლაგდნენ, რომელთაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან ერთად, საზღვრის გაკონტროლება დაევალებათ.

გეგმა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ წარადგინა, მაგრამ თავად ოპერაციას შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი უხელმძღვანელებს.

როგორც ჟურნალისტებს კობა ნარჩემაშვილმა განუცხადა, აღნიშნული ღონისძიებები გაზაფხულზე (ანუ თოვლის დნობასთან ერთად) დაიწყება და იგი გაგრძელდება მანამ, სანამ ამის აუცილებლობა იქნება.

"არსებობს გარკვეული ინფორმაციები და მსგავსი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაც სწორედ იმან განაპირობა, რომ თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი გაუგებრობა," -განაცხადა ნარჩემაშვილმა.

თავად მომხსენებელმა, უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ გუშინ უარი თქვა ჟურნალისტებთან გასაუბრებაზე იმ მოტივით, რომ **"რაც მეტს საუბრობს, მით მეტს სთხოვენ და მეტადაც აკრიტიკებენ".**

ცხადია, ეს განცხადება იმ პრობლემების გამო გაკეთდა, რომელიც უშიშროების მინისტრს, სავარაუდოდ, გელაევთან ოპერატიულ კავშირზე და მსგავს საკითხებზე გაკეთებულმა კომენტარებმა შეუქმნეს.

თედო ჯაფარიძის განმარტებით, **"სპეცღონისძიებების გააქტიურება და ანტიკრიმინალური ღონისძიებების მორიგი ფაზის დაწყება განაპირობა იმ ინფორმაციებმა, რომელთა თანახმადაც, პანკისის ხეობაში გადმოსვლას აპირებენ ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გელაევის რაზმი და სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები."**

სპეცღონისძიებებში, რომლებიც შედარებით მცირე მასშტაბების იქნება, მონაწილეობას მიიღებენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, შს, უშიშროების,

გაგრძელება A3 გვერდზე

სომხეთის არჩევნები - გარდაუვალი დაპირისპირება

ანიტა ხარაბერიანის ფოტო

სომხეთში დაძაბულობა მატულობს.

სუზანა პეტროსიანი

ერევანი, IWPR

5 მარტს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღე რჩება. პოლიტიკური დაძაბულობა დღითი დღე მატულობს. როგორც ჩანს, მთავრობაც და ოპოზიციაც, კენჭისყრის შემდეგ, თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს.

ახლანდელი პრეზიდენტი კოჩარიანი ოპოზიციის წინააღმდეგ ძლიერი ხელის ტაქტიკას იყენებს. მან ერევანში განალაგა მთიანი ყარაბაღიდან ჩამოყვანილი თავისი ერთგული ჯარის ნაწილები.

სტეპან დემირჭიანს, ამის საპასუხოდ, ქუჩებში ათეულობით ათასი მომხრე გამოჰყავს. დემონსტრაციებზე იგი ამტკიცებს, რომ პირველი ტურის შედეგები გაყალბებული იყო.

პირველი ტურის ოფიციალური საბოლოო შედეგები ასეთია: კოჩარიანი - 49,5 პროცენტი, დემირჭიანი - 28,2 პროცენტი.

ევროპის საბჭოსა და ეუთოს დამკვირვებელთა თქმით, ხმების დათვლისას სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა.

მესამე ადგილზე გასულმა არტაშეს გეგამიანმა, რომელმაც ხმათა 17,7 პროცენტი მიიღო, განაცხადა, რომ არჩევნები მთლიანად გაყალბებული იყო და არჩევნების მეორე ტურში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვერსონა

გია ბარამიძე: მაშინ ჩვენ ბეწვზე გადავრჩით

"რუსეთს საშუალება მიეცა, საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა ეს ოპერაცია; გარდა ამისა, ეს აფხაზეთის საკითხსაც ეხება".

B1

პოლიტიკა

მესაზღვრეთა სწავლება და ინფორმაცია აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გასვლაზე

პანკისის პრობლემის გამო ერთმანეთის მიმართ წაყენებული უამრავი პრეტენზიისა და ურთიერთბრალდების შემდეგ, რუსეთის და საქართველოს ხელისუფლება, ბოლოსდაბოლოს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესაზღვრეთა თანამშრომლობა საერთო საზღვრის სახიფათო მონაკვეთების დაცვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა.

A3

ეკონომიკა

სავალუტო ფონდი პარლამენტის თანადგომას ითხოვს

ანტიკორუფციული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, კახა უგულავა დღეს ლონდონში მიემგზავრება. მისი ვიზიტის მიზეზი კი, საერთაშორისო კონფერენციაში – "მთავრობებისა და პარლამენტების როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში" - მონაწილეობის მიღებაა.

A4

უცხოეთი

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება იზრდება

თეთრმა სახლმა "შემაშფოთებელი მოქმედება" უწოდა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული რეაქტორის ამუშავებასა და სამხედრო მანევრებს. აზიელი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტების აზრით, შესაძლოა, შექმნილი ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

A5

საზოგადოება

საკრებულომ, ამჯერად, სანიტარებსა და ვეტერინარებს შეუტია

უკანონოდ მშენებარე ობიექტების დანგრევის შემდეგ, საკრებულომ, ქალაქის სანიტარული და ვეტერინარული სამსახურებისთვისაც მოიცალა და მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

A6

სამართალი

ვის დარჩება „ლაგუნა-ვერე"?

სააქციო საზოგადოება "ლაგუნა ვერეს" გარშემო კარგა ხნის წინ ატეხილი აჟოტაჟი დღემდე არ ჩამცხრალა. მხარეებს შორის "ლაგუნა ვერეს" საკონტროლო პაკეტის გამო ატეხილმა დავამ, ამჯერად, საოლქო სასამართლოში გადაინაცვლა.

A7

ამინდი

თბილისი	7
ქუთაისი	8
ბათუმი	7
სოხუმი	7
ფოთი	8
თელავი	4
ზუგდიდი	8
გორი	2

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1751
ევრო	2.3443
გირვანქა სტერლინგი	3.4371
რუბლი	0.0688

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, რა უნდა

ლევან ხარბედლიძის ფოტო

ურსულა შლაიხერი

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, სოხუმის ხელისუფლებამ ევროპარლამენტის დელეგაციას შეხვედრაზე აფხაზეთში ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელების თხოვნით მიმართა, ანალოგიურად იმისა, რასაც ეს ორგანიზაცია საქართველოში ახორციელებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტარებმა, კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით, პროგრესი ვერ შენიშნეს, ისინი მაინც, ტრადიციისამებრ, აცხადებენ: **"ევროპარლამენტი მთლიანად იზიარებს გაერო-ს პოლიტიკას აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების თვალსაზრისით და არ დაეთანხმება მის ძალისმიერ გადაწყვეტას."**

ევროპარლამენტის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ნდობის აღდგენა და დევნილების უსაფრთხო დაბრუნებისათვის გარანტიების შექმნა, რაზეც პასუხისმგებელია გაერო.

ამასთან, აღნიშნეს, რომ სოხუმის მთავრობამ, დევნილების გალში დაბრუნებისათვის სათანადო პირობების შექმნის თვალსაზრისით, მზადყოფნა გამოთქვა.

ურსულა შლაიხერი 4 მარტს ბრიუსელში სპეციალურ ბრიფინგს გამართავს. მოგვიანებით კი, მოხსენებით წარდგება ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტში.

"ფესვები" რეგიონულ ორგანიზაციას აფუძნებს

გუშინ ნიკო ლეკიშვილი, რომელიც ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნაზე, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულად ზრუნავს, ოფიციალურად პირველად გამოჩნდა ჟიული შარტავას ვაჟის - კახა შარტავას თავმჯდომარეობით არსებულ საზოგადოებრივ მოძრაობა "ფესვებთან" ერთად.

"ფესვები" ახალციხეს სტუმრობდა და რეგიონული ორგანიზაციის პრეზენტაციაც მოაწყო.

"ჩვენ და მოძრაობა "ფესვები" აქ არ ვართ ჩამოსული თქვენი ხმების სათხოვნელად, თუნდაც იმიტომ, რომ "ფესვები" ჯერ არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკურ ორგანიზაციად..." - განაცხადა გუშინ ნიკო ლეკიშვილმა ხალხის წინაშე გამოსვლისას, თუმცა ცხადია, რომ ეს ვიზიტი წინასაარჩევნო ნიადაგის მოსინჯვა გახლდათ.

ამ აზრს უფრო განამტკიცებს ის ფაქტი, რომ ნიკო ლეკიშვილმა გამოსვლისას საკმაოდ ბევრი ისაუბრა იმ შეცდომებზე, რომლებიც მან სახელმწიფო მინისტრობის დროს დაუშვა, განსაკუთრებით კი - საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ჯერ კიდევ "ფესვების" ოფიციალურად დაფუძნებამდე ნიკო ლეკიშვილი საუბრობდა იმაზე, რომ კახა შარტავას მიერ შექმნილი მოძრაობა იმთავითვე მის დასაყრდენად მოიაზრებოდა. "24 საათის" ინფორმაციით, გასული წლის გაზაფხულის შემდეგ, ნიკო ლეკიშვილი საკმაოდ ხშირად ხვდებოდა "ფესვების" წარმომადგენლებს.

და კიდევ - გუშინ ახალციხის საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრაზე დარბაზში გამოჩნდნენ მხარის გუბერნატორი თემურ მოსიაშვილი და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, თუმცა ისინი სიტყვით არ გამოსულან.

"24 საათი"

მოკლედ

თბილისი. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ "მითი" უწოდა ქართული მხარის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩრდილოეთ ოსეთიდან რუსი ინსტრუქტორების თანხლებით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 13 ტანკი რ-55 და 6 ტანკი რ-62 შემოვიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად აპირებს მონაწილეობის მიღებას.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ "არასწორი" უწოდა ხელისუფლების მხარდამჭერ ძალებთან ერთად "მრეწველების" ერთ საარჩევნო ბლოკში შესაძლო გაერთიანების შესახებ არსებულ მოსაზრებებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს ექს-მინისტრი კახა თარგამაძე ამ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაბრუნებას არ აპირებს, თუმცა არ გამორიცხავს მომავალ საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრობის დრო უკვე კარგა ხანია წავიდა და სამომავლოდ "უფრო სერიოზული და სხვა გეგმები აქვს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენისა და გამოქვეყნების მიზნით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, შს სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს პირველ ივნისამდე საარჩევნო უფლების მქონე პირთა რაოდენობის დადგენა დაევალათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი შიდაპოლიტიკური ვითარება, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების და შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საკითხები განიხილება შაბათს ბათუმში ევროპარლამენტის დელეგაციის ერთდღიანი ვიზიტისას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის ურსულა შლაიხერის ხელმძღვანელობით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრა, სავარაუდოდ, 6-7 მარტს სოჭში გაიმართება. შეხვედრის გამართვის ადგილი და თარიღი საბოლოოდ უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ამის შესახებ რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომელმაც დღეს სახელმწიფო კანცელარიაში კანცელარიის უფროსთან პეტრე მამრაძესთან ორი ქვეყნის პრეზიდენტების მომავალ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა. ორი პრეზიდენტის შეხვედრის დეტალები გუშინ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზეც განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობის ზემო ნაწილში საქართველოს საჰაერო სივრცის მორიგი დარღვევის ფაქტი გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ დაადასტურა. მისი განცხადებით, მესაზღვრეებმა საჰაერო სივრცის დამრღვევი ორი თვითმფრინავის ხმა გაიგეს, თუმცა ღრუბლების გამო მფრინავი ობიექტის გარჩევა ვერ მოხერხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის პრობლემატიკაზე მომუშავე ევროპარლამენტის სპეციალური კომისიის დელეგაცია აფხაზეთის საკითხს ევროპარლამენტში რუს დეპუტატებთან ერთად განიხილავს. აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპარლამენტის დელეგაციამ გუშინ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან დევნილებთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გორი. კვლავ დაძაბულია ურთიერთობები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ფრონეს ხეობაში. ზნაურის რაიონის ოსური სოფლების უბიათის, ღვერძევისა და გაზაანთის მოსახლეობა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეჭრას გეგმავს. როგორც თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ხუგაევმა განაცხადა, თუ უახლოეს ხანებში ქართული მხარე სოფელ ნულის მეურნეობის დაქვემდებარებაში არსებულ 76 ჰექტარ მიწის ფართობს ოსურ მოსახლეობას არ გადასცემს, ისინი ამ სავარგულების დამუშავებას ძალის გამოყენებით, თვითნებურად დაიწყებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად 19-20 თებერვალს ჟენევაში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი არარეალურად მიიჩნევს და გაეროს სპეცწარმომადგენელს საქართველოში ჰაიდი ტალიავინის კონფლიქტის მოსაგვარებლად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გეგმის რეალიზაციისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თავდაცვის სამინისტროს წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის შტაბის უფროსის, მაიორ გოჩა გოგიშვილის ინფორმაციით, 6301 წვევამდელიდან, ბოლო მონაცემებით, უშუალოდ სამხედრო ნაწილებში 2350 კაცია გაწვეული, რაც საერთო გეგმის მხოლოდ 38 პროცენტია. მისივე თქმით, სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების 200-ლარიანი მოსაკრებელი 1652-მა წვევამდელმა გადაიხადა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. 11-12 მარტს საქართველოს ევროკავშირის „სამეულის" დელეგაცია ეწვევა. დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის — საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ევროკავშირის მომდევნო თავმჯდომარე ქვეყნის – იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ევროკავშირის საგარეო და უშიშროების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა. **მედია-ნიუსი.**

საერთაშორისო ურთიერთობებით დატვირთული კვირა

სოფო ბუკია

"გასული კვირა, საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, საკმაოდ დატვირთული და მნიშვნელოვანი იყო," – ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კახა სიხარულიძეს "გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" ავტორის, ბრიუს ჯეკსონის სტუმრობა, ევროპარლამენტის დელეგაციის ვიზიტი და ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში ჩამობრძანება აძლევს.

ვახტანგ ბასილაიას ფოტო

კახა სიხარულიძე

მიუხედავად იმისა, რომ გავლენიან კონგრესმენსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების მთავარ ლობისტს – ჯეკსონს - სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს შესახებ არავითარი დასკვნები არ გაუკეთებია, საგარეო საქმეთა სამინისტროში მის სტუმრობას ნატო-სკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად აღიქვამენ.

"აბსოლუტურად რეალურია საქართველოს სურვილი და ხელისუფლების მცდელობა, რომ ქვეყანა გაწევრიანდეს ნატო-ში," – განაცხადა სიხარულიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ნატო-ში საქართველოს ელჩის, დავით დონდუას თქმით, ჯეკსონი არ დაიზარებს და საქართველოში ყოველ ორ თვეში ერთხელ ჩამოვა, რათა თვალყური ადევნოს, რამდენად სრულდება ნატო-ში გასაწევრიანებლად აუცილებელი ვალდებულებები. **"ჯეკსონს აინტერესებს, რამდენად რეალურია პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პრაღაში გაკეთებული განცხადება ნატო-ში გაწევრიანების შესახებ და რამდენად მზად არის ქვეყანა ამისთვის,"** – ამბობს დონდუა.

მისი თქმით, საქართველო-ნატო-ს შორის თანამშრომლობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მიზნით, 14 მარტს ბრიუსელში კონსულტაციები გაიმართება. თუ აქამდე მსგავს კონსულტაციებზე ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობდა, ამჯერად დელეგაციას თავად მენაღარიშვილი ჩაუდგება სათავეში. დონდუას თქმით, ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრებზე განიხილება საქართველოში არსებულ ზოგად სიტუაციასთან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგებასთან, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე - საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროგრამა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შეფასებით, ნაყოფიერი აღმოჩნდა ევროპარლამენტის ოთხკაციანი დელეგაციის ვიზიტიც. ამ დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი აფხაზეთის პრობლემატიკა გახლდათ. კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად მინიჭების საკითხი და ამ კონტექსტში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. თვითონ ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტის დელეგაცია ერთი კვირით დაყოვნდა ჩვენ ქვეყანაში, კახა სიხარულიძის აზრით, უკვე ძალიან მნიშვნელოვანია.

"ისინი სოხუმში სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდნენ და არძინბას ხელისუფლებას განუცხადეს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის, ევროპარლამენტიც, არასოდეს ცნობს იმ ვითარებას, რაც დღეს აფხაზეთშია შექმნილი," – აცხადებს სიხარულიძე.

მინისტრის მოადგილემ გაერო-ში საქართველოს მდგომარეობაზეც ისაუბრა. საქართველოს გაერო-სთვის საწევრო გადასახადის დავალიანება დაუგროვდა. როგორც სიხარულიძე აღნიშნავს, უცხოელი პარტნიორებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ქვეყანა გარკვეულ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის. ამდენად, კახა სიხარულიძე დარწმუნებულია, რომ ურჩ გადამხდელ საქართველოს ამ პატარა ცოდვას დიდსულოვნად აპატიებენ. **"საქართველო ამ საწევროს გადაიხდის, რადგან გაერო-ს წევრობა საქართველოსთვის კატეგორიულად აუცილებელია,"** – აცხადებს იგი.

კახა სიხარულიძემ გუშინ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია აფხაზეთში რუსეთის საკონსულოს გახსნის თაობაზე. მისი თქმით, საკონსულოს გახსნა დიპლომატიური ნაბიჯია, რომელიც ორი ქვეყნის შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. რუსეთი კი, მისი თქმით, არ გამოთქვამს მსგავს სურვილს.

"თემატურმა კოალიციამ" "თემატური უმრავლესობა" დაამარცხა

პირველი გვერდიდან

შესახებ". უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, 2003 წლის 1 ივლისიდან საქართველოში მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს უტოლდება და 115 ლარი ხდება.

ერთადერთი პერსონა, ვისაც პარლამენტის ვერდიქტის შეცვლა შეუძლია, საქართველოს პრეზიდენტია. ედუარდ შევარდნაძეს ორი გზა აქვს: ან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს, პარლამენტის გადაწყვეტილებას დაეთანხმოს და საკანონმდებლო ორგანოში შემოვიდეს პროექტით 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუმცა, ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ პრეზიდენტი ასე მოიქცევა), ან (და უფრო სავარაუდოა) ახალ კანონი დაბლოკოს და ვეტო დაადოს.

ორივე შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირი მძიმე მდგომარეობაში ვარდება: თუ ის დათანხმდება 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის დაკანონებას, მაშინ მასვე დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა თავად სახელფასო რეფორმის განხორციელებასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე. არანაკლებ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდება შევარდნაძე, თუ ის პარლამენტის გადაწყვეტილებას ვეტოს დაადებს. ამ შემთხვევაში, მას არამარტო "დემოკრატების", არამედ მთელი პარლამენტისა და, საერთოდ, საზოგადოების წინაშე მოუწევს ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ შეიძლება ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში 2003 წელს დაგეგმილი 167-მილიონიანი ზრდიდან 116 მილიონი ლარი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიყოს.

ვიდრე პრეზიდენტი და მისი მხარდამჭერი ძალები ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალს მოძებნიან, "გაერთიანებული დემოკრატები", ოპოზიციურ ბანაკთან ერთად, გამარჯვებას ზეიმობენ. გამარჯვებაში მარტო ის როდი იგულისხმება, რომ მათი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტმა გაიზიარა და მხარი დაუჭირა. ეს, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ, ამ შემთხვევაში, უფრო არსებითი ის არის, რომ ეგრეთ წოდებულმა "თემატურმა უმრავლესობამ", რომელიც პარლამენტში პრეზიდენტ შევარდნაძის ახალ პოლიტიკურ დასაყრდენად მიიჩნეოდა, სერიოზული მარცხი განიცადა.

სახელისუფლებო ფრაქციების ბევრმა წარმომადგენელმა გუშინ ვერ გაბედა არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა და "დემოკრატების" ინიციატივის წინააღმდეგ წასვლა. მართალია, მათ კარგად იციან, რომ ოპოზიციის წინაშე გამოჩენილი "სისუსტის" გამო, კანცელარიის კაბინეტებიდან წამოსული რისხვა აუცილებლად დაატყდებათ თავს, მაგრამ ისიც მოეხსენებათ, რომ არჩევნების წინ ელექტორატთან ხუმრობა და მისი მოთმინების გამოცდა სარისკო საქმეა. ამომრჩეველს ვერ აუხსნი, რატომ არ უჭერ მხარს მათთვის ხელფასების გაზრდას და ამით, მათ თვალში, საბოლოოდ დაკარგავ ავტორიტეტს. სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ "მერყევ ელემენტებზე" გადამწყვეტი გავლენა იქონია გადასახადებისა და შემოსავლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, "მრეწველთა" ფრაქციის წევრის, დავით სალარიძის გამოსვლამ. "თემატური უმრავლესობის" წარმომადგენლის თქმით, სახელფასო რეფორმისთვის აუცილებელი რეალური სახსრები ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც არსებობდა, მაგრამ მაშინ მას არასწორად მიაჩნდა, რომ დიდი ოდენობის სახსრები ბიუჯეტის სახელფასო ნაწილში გადასულიყო. **"ახლა უკვე შევიცვალე პოზიცია და მზად ვარ, მხარი დავუჭირო "დემოკრატების" ინიციატივას, რადგან ამ ხელისუფლებას არ შეუძლია შეპირების შესრულება და ხელფასების თუნდაც ეტაპობრივად გაზრდა",** - განაცხადა სალარიძემ და იქვე ისიც განმარტა, რომ მისი ასეთი პოზიცია ბიუჯეტის შესრულების ორი თვის მონაცემებიდან და იმ უმართავი სიტუაციიდან მომდინარეობს, რომელიც საბაჟო სამსახურშია შექმნილი.

და მაინც, სალარიძის მათრახი ან თუნდაც რამდენიმე ოპოზიციური ფრაქციის ძალისხმევა უშედეგო იქნებოდა, რომ არა ერთი კულუარული გარიგება, რომელიც გუშინ "დემოკრატებსა" და "აღორძინებას" შორის შედგა. მათ შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ბათუმური ალიანსი იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს საარსებო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდას, თუ "დემოკრატები" მათ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ კანონპროექტის ლობირებაში დაეხმარებოდნენ. სწორედ თეზ-ის გარშემო "თემატური კოალიციის" შექმნის წყალობით მოხერხდა 79-ხმიანი ბარიერის გადალახვა და კანონპროექტის მისაღებად აუცილებელი ხმების დაგროვება.

"სოციალისტებისა" და "ალიანსის" მცდელობებს, დემარშისა და დარბაზის დატოვებით დეპუტატებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ, შედეგი არ მოჰყოლია: "დემოკრატების", "ტრადიციონალისტების", "ახალი მემარჯვენეების", "ნაციონალების", "აღორძინების", აგრეთვე, "მრეწველთა" და "ახალი აფხაზეთის" ფრაქციებისა და მაჟორიტარი დეპუტატების ნაწილის პულტები შევარდნაძის ხელისუფლებისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მისაღებად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ამასთან, აღარ გახდა საჭირო იმ სათადარიგო ვარიანტის გამოყენება, რომელიც, დარბაზის "გაჯიუტების" შემთხვევაში უნდა დამდგარიყო კენჭისყრაზე და "დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივის მხოლოდ მომავალი წლის 1 იანვრიდან ამოქმედებას ითვალისწინებდა.

ნამდვილი დროშა ბევრი ფრიალისგან არ ხუნდება - გუშინ "დემოკრატებმა" დაამტკიცეს, რომ სასწაულის მოხდენა უძლურ მრისხანებასაც შეუძლია და თუ მიზნისკენ სწორი გზით მიდიხარ ადრე თუ გვიან შენსას აუცილებლად გაიტან, მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში ხარ თუ ოპოზიციაში.

საჩხერის სამთო ბატალიონის ჯარისკაცები ღამის თორმეტ საათამდე ვარჯიშობენ

ალიმბა ბასარიას ფოტო

საჩხერის ბატალიონი წვრთნის დროს.

საჩხერის სამთო ბატალიონის ოცდაათმა მებრძოლმა გუშინ იაღლუჯას სამხედრო პოლიგონზე იმ საბრძოლო თვისებების დემონსტრირება მოაწყო, რომელიც ბოლო სამი კვირის მანძილზე, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში, ამერიკელმა ინსტრუქტორებმა შეასწავლეს. ქართველებს თავდაპირველად დაჭრილებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენასა და ბრძოლის ველიდან გაყვანას ასწავლიან.

გუშინდელი წვრთნები სწორედ სამხედრო მოქმედებების დროს "დაჭრილებისთვის" პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და მათი ევაკუირების იმიტაციას გულისხმობდა, "დაჭრილები" ამერიკის შეერთებული შტატების ნაჩუქარი "იროკეზის" ვერტმფრენებით გაჰყავდათ.

"ქართველები მონდომებულები არიან. ხუთდღიანი ვარჯიშების შემდეგ, დღეს მათ რეალურთან გათანაბრებული ბრძოლის პირობებში მოვუწყეთ გამოცდა. ჯარისკაცებმა კარგად აითვისეს სუნთქვის აღგდენის, სისხლდენის შეჩერებისა და მოტეხილობის დროს არტაშანის დადების პირველადი პროცედურები," – ვარჯიშის შემდეგ კმაყოფილმა აღნიშნა ინსტრუქტორმა ჯეიმს რეილმა.

ამერიკელები სულ საჩხერის ბატალიონის 450 სამთო ქვეითთსა და ასევე სასაზღვრო დეპარტამენტისა და შინაგანის ჯარის 90 ჯარისკაცსა და ოფიცერს წვრთნიან. **"ქართველებს ყოველდღიურად ათსაათიანი პროგრამით ვავარჯიშებთ, თუმცა ხანდახან ვარჯიშით ისე ერთობიან, რომ პოლიგონზე ღამის 11-12 საათამდე რჩებიან,"** – გვითხრა "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ახალმა ხელმძღვანელმა, მაიორმა სქოთ კემბელმა.

"24 საათი"

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

გუშინდელმა პუბლიკაციამ - "რუსლან გელაევი საქართველოში - იაპონელი ჟურნალისტის კოსუკე ცუნეოკას ობიექტივიდან დანახული სინამდვილე" - რომელშიც "24 საათმა" იაპონელი ჟურნალისტის კოსუკე ცუნეოკას მიერ, 2001 წელს პანკისსა და კოდორში, ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის ბაზირებისა და ბრძოლის ამსახველი უნიკალური ფოტოები და ჟურნალისტის პირადი ჩანაწერები გამოაქვეყნა *(ცუნეოკა ერთადერთი ჟურნალისტი იყო, რომელსაც რუსლან გელაევმა კოდორის გასაიდუმლოებულ რეიდში მონაწილეობის მიღების უფლება მისცა)*, ერთნაირად დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

სამწუხაროდ, ჩინოვნიკებმა, რომლებსაც ევალებოდათ პასუხები გაეცათ პუბლიკაციაში დასმულ შეკითხვებზე, პრაქტიკულად თავი აარიდეს კომენტარს; ზოგიერთმა მათგანმა კი სრულიად გაუგებარი ირონიით გვიპასუხა...

როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს, ისე მიივიწყოს წელიწადნახევრის წინანდელი მოვლენები, რომელმაც ქვეყანას კინაღამ გამოუსწორებელი პოლიტიკური ზიანი მიაყენა, რომ დღის წესრიგში ამ ავანტურის ავტორების პასუხისმგებლობის საკითხიც კი არ დადგეს.

"24 საათი" დღეს გთავაზობთ კოსუკე ცუნეოკას კიდევ რამდენიმე ფოტოს, რომელიც პანკისის ხეობაში არის გადაღებული. ფოტოებს კვლავ ავტორის კომენტარი ახლავს. უახლოეს მომავალში, ამ თემაზე ჩვენ ახალ პუბლიკაციებს შემოგთავაზებთ.

ლტოლვილები ურუს-მარტანიდან ინფორმაციას რადიოდან იგებენ.

ჩეჩენი მებრძოლი და მურადა.

კუვეიტიდან შემოვიდა ჰუმანიტარული ტვირთი.

თვეში ერთხელ იშლებოდა ასეთი სუფრა.

ბავშვები ვილისს აწვებიან.

კოსუკე ცუნეოკას ფოტოები

ავთო იოსელიანი: "მე არ ვიცი, იყო თუ არა იაპონელი გელაევთან"

უშიშროების საბჭოს სხდომიდან გამოსული ძალოვანები გუშინ გაურბოდნენ იაპონელი ჟურნალისტის პანკისური ისტორიის კომენტირებას. უშიშროების მინისტრმა, მაგალითად, იაპონელი ჟურნალისტის ხსენებისას იაპონიაში მოგზაურობა გაიხსენა. თქვა, რომ იაპონიამ, თურმე, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ჟურნალისტებს გაეცალა. შედარებით უფრო "მეტყველი" გახლდათ დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთო იოსელიანი, რომელმაც განაცხადა:

"იაპონელი ჟურნალისტის შესახებ ინფორმაციას ჩვენ ვფლობდით და ჩემმა ორმა თანამშრომელმა, მათ შორის კობა ოთანაძემ, იგი ჩამოიყვანეს თბილისში. მე თავიდანვე ვუთხარი, რომ ჩემთან არ მოეყვანათ და წაეყვანათ საგარეო საქმეთა სამინისტროში, რაც გააკეთეს კიდეც.

მე არ ვიცი, გელაევთან იყო იგი თუ არა. მე, საერთოდ, არასდროს მითქვამს, იყო თუ არა იქ გელაევი, მე არ მქონია მასთან კავშირი, არ მინახავს და არ ვიცი... ვიცი, რომ იყო ჩეჩნურ დაჯგუფებაში.

რაც შეეხება კასეტებს - მას ჰქონდა ორი ცარიელი კასეტა, რაც უნდა გვენახა და ვნახეთ კიდეც. რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა მას ადრე სხვა კასეტები, მან გადააგზავნა ეს კასეტები იაპონიაში მანამდე თუ სხვა ჩეჩნებმა - ეს მე არ ვიცი და არც არის ჩემი საქმე..."

"24 საათი"

კახა თარგამაძე კომენტარს უკეთებს "24 საათში" გამოქვეყნებულ ემზარ კვიციანის ინტერვიუს

შინაგან საქმეთა ექსმინისტრი კახა თარგამაძე "აბსურდს" უწოდებს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის ბრალდებას იმის შესახებ, რომ 2001 წლის ოქტომბერში ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის პანკისიდან კოდორში გადასროლა თარგამაძისა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ვლადიმირ რუშაილოს მიერ საიდუმლოდ დაგეგმილი ოპერაცია იყო.

როგორც მან პრაიმ-ნიუსს განუცხადა, საქართველო კატასტროფამდე სწორედ კვიციანმა და მისმა მსგავსმა კრიმინალებმა მიიყვანეს, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობებზე არიან და თავიანთ ჩადენილ სიბინძურეებს სხვებს აბრალებენ.

მისი თქმით, სინამდვილეში ემზარ კვიციანი იყო უშუალოდ ჩართული ამ პროცესებში, რაც პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც კარგად იცის.

შს ექს-მინისტრის მტკიცებით, უნდა მომხდარიყო ბოევიკების დევნის ინსცენირება და მათ, კოდორის ხეობაში, აფხაზური ჯარები შემოჰყვებოდნენ, რაც, პრაქტიკულად, კოდორის დაკარგვას ნიშნავდა.

მისი თქმით, შექმნილ ვითარებაში ვლადიმირ რუშაილოს საქართველოსათვის კარგის გარდა არაფერი უკეთებია და სწორედ ასეთი უსაფუძვლო ბრალდებების გამო არის შექმნილი საქართველო-რუსეთს შორის დღეს არსებული დაძაბული ურთიერთობა.

"რუშაილო იყო ის პიროვნება, ვინც საქართველო კოდორის ხეობის დაკარგვას გადაარჩინა", - განაცხადა კახა თარგამაძემ.

თავის მხრივ, ემზარ კვიციანმა სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გაზეთ "24 საათს" განუცხადა, რომ რუსლან გელაევის რაზმის კოდორში გადასროლა ვლადიმირ რუშაილოსა და კახა თარგამაძის საიდუმლო ოპერაციის შედეგია, რომელიც თარგამაძემ და მისმა ზოგიერთმა კოლეგამ შეასრულა.

მისი მტკიცებით, გელაევის რაზმი ჩუმად გადაიყვანეს ზუგდიდში და ისეთ ვითარებაში დატოვეს, რომ ომი რეალურად მოსალოდნელი იყო.

კვიციანის თქმით, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ რუსები და ჩეჩნები ერთმანეთს დაჯახებოდნენ და მთელი სამეგრელო დაბომბილიყო. სწორედ ასეთ ვითარებაში დაევალა მას ჩეჩნების კოდორის ტერიტორიიდან გაყვანა, რაც შეასრულა კიდეც, შემდეგ კი ეს ხალხი თავის გზაზე წავიდა.

მაშინდელმა მინისტრებმა ჩეჩნები პანკისიდან გამოიტყუეს და თითქოს აფხაზეთის ასაღებად წამოიყვანეს, - ამტკიცებს ემზარ კვიციანი. **პრაიმ-ნიუსი**

ახალი ანტიკრიმინალური ტალღა პანკისში

პირველი გვერდიდან

თედო ჭაფარიძე პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაციის მოტივებს ხსნის.

ბესო ბესელია, ფოტო

თავდაცვის სამინისტროების, დაზვერვის დეპარტამენტის ძალები.

როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განუცხადა, **"ღონისძიება მთლიანად ქართული ძალებით ჩატარდება".** უცხო ქვეყნის - როგორც რუსულ, ისე ამერიკულ - სპეცსამსახურებთან მხოლოდ ოპერატიული თანამშრომლობა განხორციელდება, რადგან საუბარია არა მარტო ადგილობრივ კრიმინალებზე, არამედ, სავარაუდოდ, ისეთ პირებზე, რომლებსაც შეიძლება, კავშირი ჰქონდეთ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მომავალშიც გამოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საბჭოს შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა განცხადება იმის თაობაზეც, რომ პანკისის და აფხაზეთის თემა ძირითადი იქნება შევარდნაძე-პუტინის "სამუშაო" შეხვედრაზე, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება.

თედო ჯაფარიძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ შევარდნაძე და პუტინი პირველად ხვდებიან ერთმანეთს არა დსთ-ს ფორმატით.

სწორედ ამ პირველი სამუშაო შეხვედრის მომზადება გახლდათ სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის სტუმრობის მთავარი თემა, თუმცა მან კომენტარი გააკეთა პანკისში მოსალოდნელ ოპერაციასთან დაკავშირებითაც: **"რუსეთი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების ყველა მცდელობას, რომელიც განხორციელებული იქნება პანკისში და, საერთოდ, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე წესრიგის დამყარების მიზნით."**

მესაზღვრეთა სწავლება და ინფორმაცია აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გასვლაზე

პანკისის პრობლემის გამო ერთმანეთის მიმართ წაყენებული უამრავი პრეტენზიისა და ურთიერთბრალდების შემდეგ, რუსეთის და საქართველოს ხელისუფლება, ბოლოსდაბოლოს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესაზღვრეთა თანამშრომლობა საერთო საზღვრის სახიფათო მონაკვეთების დაცვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა. დაღესტნის ქალაქ კასპიისკში, უკვე მეორე დღეა, მიმდინარეობს პირველი ერთობლივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელშიც, რუს და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, მონაწილეობას ქართველი მესაზღვრეებიც იღებენ. აღსანიშნავია, რომ მესაზღვრეთა მსგავსად თანამშრომლობის გზებს სამხედროებიც ეძებენ, თუმცა მათი ეს მცდელობა, ჯერჯერობით, სასურველ შედეგს ვერ აღწევს.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების 17 ოქტომბრის შეხვედრამ ერევანში, რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო უწყებებს შორის ახალი ტიპის თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი. გენერალ ვალერი ჩხეიძისა და მისი რუსი კოლეგის, კონსტანტინ ტოცკის მიერ ხელმოწერილ ოქმში, მხარეები რადიო-კავშირის სიხშირეებისა და ოპერატიული ინფორმაციების გაცვლაზე, საზღვრის გარკვეულ მონაკვეთზე რეგულარული შეხვედრების ორგანიზებასა და ერთობლივი სასაზღვო სწავლების ჩატარებაზე შეთანხმდნენ.

შემდეგ ამას მოჰყვა დეკემბრის შეხვედრა თბილისში, რომლის დროსაც ოქმში ასახული ვალდებულებები უკვე ორმხრივი თანამშრომლობის სახით გაფორმდა. ბუნებრივია, უბრალო მოკვდავი ვერასდროს გაიგებს, თუ რეალურად რამდენად ხორციელდება შეთანხმების პუნქტები, განსაკუთრებით ოპერატიული ინფორმაციების გაცვლის მიმართულებით, მაგრამ ხანგრძლივი დაპირისპირებისა და ურთიერთობის სრული გაწყვეტის შემდეგ, ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს დაღესტნის ქალაქ კასპიისკში 26 თებერვალს დაწყებული პირველი ერთობლივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელშიც რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებების რაზმები და საშტაბო ოფიცრები იღებენ მონაწილეობას.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, სამდღიან ერთობლივ მანევრებში, ქართულ დელეგაციას და ლაგოდეხის 30-კაციან სასაზღვრო რაზმს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსი კორნელი სალია ხელმძღვანელობს. სწავლების ძირითად მიზანს საერთაშორისო ტერორისტების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში მესაზღვრეთა ურთიერთქმედების საკითხების დამუშავება შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების მთავარი დავის საგანს ერთობლივი საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთი წარმოადგენს, დაღესტნის მონაკვეთზე აქცენტის გაკეთება სწავლებაში მესამე მხარის, აზერბაიჯანის მონაწილეობამ გამოიწვია. თუმცა, როგორც საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, შედგომში არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური სწავლება სწორედ რუს და ქართველ მესაზღვრეებს შორის, მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე გაიმართოს.

უნდა აღინიშნოს, რომ მესაზღვრეების მსგავსად, თებერვლის დასაწყისში, სამხედრო უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის იდეით გამოვიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ორმხრივი ურთიერთობის მიბმა სამხედრო ბაზების საკითხთან, არასწორი იყო და საჭიროა რუსულ მხარესთან კონტაქტების განახლება.

"ბაზების გაყვანა, ეს არის უფრო პოლიტიკური პროცესი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირებისა. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი საკმაოდ მჭიდროდ თანაშრომლობს საკუთრივ ნატო-სთან, ვითარება, რომელიც არსებობს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შორის, ალბათ, გარკვეულწილად, არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. ამიტომ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ განვსაზღვრავთ იმ პრინციპებს, რომლითაც ვითანამშრომლებთ," - განაცხადა საერთაშორისო-სამხედრო ურთიერთობების შედეგების მიმოხილვისას დავით თევზაძემ.

ამ პრინციპების განსაზღვრა და რუსეთთან ორმხრივი თანაშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკების გამართვა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს დაავალა. თუმცა საქართველოს ამ ინიციატივას მოსკოვიდან, ჯერჯერობით, არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამშვიდობო ოპერაციებში რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ევნევიჩის მოულოდნელ განცხადებას ზუგდიდის რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. თუ მართალია ინფორმაცია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ემზადებიან კონფლიქტის ზონიდან გასასვლელად და მთელი ინფრასტრუქტურის ქართული მხარისათვის გადასაცემად, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას სასწრაფოდ მოუწევს ზრუნვა, კოსოვო-გამოვლილი ქართველი სამხედროების ბაზაზე, სამშვიდობო ძალების ბატალიონის ჩამოსაყალიბებლად, რათა არ დაუშვას საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია გალის რაიონში.

ენერგოსექტორი სრული პარალიზების საფრთხის წინაშე

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

დაცვის მიზნით, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა. ორი დღის წინ სახელმწიფო კანცელარიაში "ეი-ი-ეს"-ის გენერალური დირექტორის წერილი მიიღეს, სადაც დედაქალაქის ენერგომომარაგების მოსალოდნელი პარალიზების შესახებ იყო საუბარი. წერილის თანახმად, კომპანიას არ გააჩნდა თანხები მეცხრე ენერგობლოკისათვის ბუნებრივი აირის შესაძენად და სომხეთიდან იმპორტის განსახორციელებლად. სახელმწიფო კანცელარიაში სასწრაფოდ მოიწვიეს საგანგებო თათბირები, სადაც იგნასიო ირიბარენმა მთავრობისაგან სიტყვიერი გარანტიების ქაღალდზე გადატანა მოითხოვა. "ეი-ი-ეს"-ის გენერალური მენეჯერი სახელმწიფო მინისტრს გუშინაც შეხვდა, თუმცა, დღის ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული მთავრობასთან გაფორმებული დოკუმენტის დეტალები. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აცხადებს, **"თბილისის ელექტრომომარაგებაში ამ ეტაპზე პრობლემები არ შეიქმნება, რადგან "ეი-ი-ეს"-თან მიღწეულია შეთანხმება სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის გაგრძელების თაობაზე, ხოლო მეცხრე ენერგობლოკისთვის ბუნებრივი აირის შესაძენად ორ მილიონ ლარს საბითუმო ბაზარი გაიღებს."** გუშინვე "ეი-ი-ეს თელასის" საბანკო ანგარიშს საგზაო ფონდმა ყადაღა დაადო. ამის მიზეზი გახდა ფონდისადმი "თელასის" 600 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება. თუმცა, ყადაღა რამდენიმე წუთში აიხსნა, ისე რომ "ეი-ი-ეს"-ის საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა არ მომხდარა. ირიბარენის განცხადებით, **"ყადაღისთვის ძალიან ცუდი დრო იქნა შერჩეული".**

მოვლენათა განვითარებამ კულმინაციას საღამოს რვა საათზე მიაღწია, როდესაც "სახელმწიფო ელექტროსისტემის", "ენგურჰესის" და "გენერაციის" თანამშრომლები, ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში შეიკრიბნენ და პროტესტი გამოხატეს ტარიფის შემცირების გამო. როგორც ცნობილია, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" და "ენგურჰესმა" საოლქო სასამართლოში გააპროტესტეს სემეკის დადგენილება ტარიფის შემცირების თაობაზე და სარჩელის შეტანამდე მისი ამოქმედების ვადის შეჩერება მოითხოვეს. საოლქო სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გენერაციის და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ხელმძღვანელი პირები ახცადებენ, რომ ტარიფში მათი წილის შემცირება მთლიანი ენერგოსისტემის პარალიზებას გამოიწვევს, რადგან ტარიფიდან ამოღებული თანხებით ისინი თანამშრომელთა ხელფასების დაფარვას და ენერგოობიექტების რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებას ახდენენ. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი აბსოლუტურ სოლიდარობას უცხადებს ენერგეტიკოსებს. მისი თქმით, ტარიფის შემცირებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია დონორ ორგანიზაციებში, რაც ავტომატურად ნიშნავს სარეაბილიტაციო

ენერგეტიკის მინისტრი გამოსავალს ეძებს.

გიორგი ბაბაშვილი ფოტოზე

პროექტების შეჩერებას. "ენგურჰესის" სარეაბილიტაციო პროგრამის ხელმძღვანელი ირაკლი სულაბერიძე ადასტურებს, რომ "ენგურჰესის" რეაბილიტაციის 22 მილიონ-ლარიანი პროექტი, რომლის განხორციელება ევროკავშირის დახმარებით დაიწყო, ტარიფის შემცირების გამო შეჩერდა. დავით მირცხულავას განცხადებით, იგივე მდგომარეობაა ლაჯანურჰესის, ხრამჰესის, იმერეთის ჰესების სარეაბილიტაციო პროგრამებთან დაკავშირებით. **"დონორები უარს აცხადებენ დაფინანსებაზე და ეს მოხდა იმის გამო, რომ ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ზეწოლა მოახდინეს სემეკის გადაწყვეტილებაზე. ეს პროცესები არა მარტო ენერგეტიკის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის შერყევას გამოიწვევს,"** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი.

ენერგეტიკოსები პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ. უახლოეს დღეებში ისინი უზენაეს სასამართლოში შეიტანენ სარჩელს.

საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია ბი-პი-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და ბი-პი-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA აცხადებს კონკურსს კვალიფიციური საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. საინფორმაციო ტექნოლოგიის ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში ბი-პი-ს მილსადენის სამშენებლო პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს ბი-პი-ს ხელმძღვანელობის ქვეშ

სამუშაოს აღწერა:

IT ინჟინერი ანგარიშვალდებულია პროექტის IT მენეჯერის წინაშე და პასუხს აგებს პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიის გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე, სტანდარტული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებასა და ინსტალაციაზე, ავტომატიზაციის საბაზისო ტექნიკურ უზრუნველყოფასა და ტრეინინგზე, პროექტის მიმდინარეობისა და დახურვისას დახმარების აღმოჩენაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

IT ინჟინრის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- ყველა სატელეკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული ელექტრონული აპარატურის და სისტემების ფუნქციონირება და ექსპლუატაცია.
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება დადგენილ ადგილებში.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალაცია და კონფიგურირება ყველა საჭირო სამუშაო ტერმინალზე.
- სერვერების ოთახებში, საწყობებსა და ოფისში სისუფთავის და წესრიგის დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს დახმარების აღმოჩენა.
- სეტელეფონო ქსელთან და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან, მაგალითად ოფისის ტელეფონებთან დაკავშირებით ჩანაწერების წარმოება.
- სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან დაკავშირებული საიზოლაციო სამუშაოების შესრულება და სამუშაო ნებართვების სისტემის ღრმა ცოდნა.
- მოწყობილობისა და ინვენტარის შეფასება, მოდიფიკაციების ინიცირება ან მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოდიფიკაციების პროცედურის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას.
- სამუშაო სადგურების საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- გამოყენებითი კლიენტის პროგრამის დამტკიცებული ბოლო ვერსიის ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურირება და ექსპლუატაცია.
- პროექტის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემით სარგებლობისას და ფორმალური და არაფორმალური ტრეინინგის ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ, სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- ავტომატიზაციის გრაფიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და აპარატურის ტექნიკური პირობების შემუშავების ხელშეწყობა.
- მითითებისამებრ, პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ, სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის დარგში, ან სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის უზრუნველყოფაში.
- სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება ტელეკომუნიკაციის ან საინფორმაციო უზრუნველყოფის დარგში.
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.
- ატესტირებული სპეციალისტი მაიკროსოფტის პროგრამაში (დიპლომირებული სპეციალისტი (MCP), მომავალში დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით (MCSE).
- თვითმოტივაცია, დინამიკური სამშენებლო პროექტის ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების აღღოს აღების უნარი.
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის შესანიშნავი უნარი.
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებითი სამუშაოს შესრულება.
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი.
- თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი: სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- ზეგავლენა: პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- სამუშაოს კომპლექსურობა: სხვადასხვა დიაპაზონისა და კონტექსტის მქონე მოვალეობების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კავშირის გარეშე.
- აუცილებელი უნარ-ჩვევები: შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა: IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდების, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

- თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 13 მარტი, ხუთშაბათი.
- კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "ბი-პი საქართველო"

სავალუტო ფონდი პარლამენტის თანადგომას ითხოვს

ნინო ნარჩემაშვილი

გრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიისა და მისი ხელმძღვანელის პაოლო ნეუჰაუსის ვიზიტი საქართველოში. გუშინ პაოლო ნეუჰაუსი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე პარლამენტის მიერ აღებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. კანონპროექტი "საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. თუმცა, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, კანონპროექტი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონკრეტული ცვლილებებითა და დამატებებით, საპარლამენტო სესიაზე მეორე მოსმენისათვის უნდა წარმოადგინოს. რაც შეეხება კანონპროექტთა პაკეტს "ფულის გათეთრების შესახებ", სსფ-ს მისიის ხელმძღვანელის აზრით, მისი მიღება ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა და არსებული კორუფციის გათვალისწინებით, აუცილებელია. პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, აღნიშნულ კანონპროექტზე პარლამენტის კომიტეტებმა უკვე იმსჯელეს და საპარლამენტო განხილვის დღის წესრიგშია შეტანილი. ნოდარ ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონი სრულიად არ არის საჭირო, მაგრამ, იმდენად, რამდენადაც იგი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან საქართველოს თანამშრომლობისათვის არის აუცილებელი და მისი არმიღება ფინანსური დახმარებების შემცირებას გამოიწვევს, პარლამენტმა კანონი უნდა მიიღოს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლევან ჩრდილელის განცხადებით, ფინანსთა სამინისტროში ვიზიტისას საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განსაკუთრებით მკაცრად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრობლემის მოგვარების საკითხი დასვა. ჩრდილელის თქმით, სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ფინანსთა სამინისტროს მოსთხოვა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მისაღები თანხები შემოსავლების ნაწილში აღარ გაითვალისწინოს.

პაოლო ნეუჰაუსის განცხადებით, აუცილებელია გააქტიურდეს მუშაობა საგადასახადო რეფორმებზე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობის საკითხი სრულყოფილი მექანიზმით უნდა შემუშავდეს.

დაგეგმილია სავალუტო ფონდის მისიის შეხვედრა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელთან კახა უგულავასთან.

ანტიკორუფციული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, კახა უგულავა დღეს ლონდონში მიემგზავრება. მისი ვიზიტის მიზეზი კი, საერთაშორისო კონფერენციაში – "მთავრობებისა და პარლამენტების როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში" - მონაწილეობის მიღებაა. კონფერენციაზე, რომელიც 2-დან 8 მარტის ჩათვლით გაგრძელდება, ასევე, მიწვეულები არიან აღმოსავლეთის და ცენტრალური ევროპის პარლამენტის თავმჯდომარეები, ანტიკორუფციული სამსახურის ხელმძღვანელები და შესაბამისი მინისტრები.

მამუკა ხაზარაძემ ანტიმონოპოლიურ სამსახურს სასამართლო მოუგო

"მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მონოპოლისტად გამოცხადებას კომპანიის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რაც სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა. 25 თებერვალს, პირველი ინსტანციის სასამართლოში, კომპანიამ დავა მოიგო. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ინფორმაციით, მისი სარჩელი შემდეგ ძირითად არგუმენტებს ემყარებოდა: კომპანია არ ეთანხმება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ბაზრის სეგმენტაციის პრინციპებში, რომლის მიხედვითაც ის ახდენს ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე მონოპოლისტ საწარმოთა დასახელებას, მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკაში საკმაოდ დიდი წილი უჭირავს არალეგალურ სექტორს, მონოპოლისტთა გამოვლენა უნდა ხდებოდეს სრული ბაზრის მასშტაბით და არა - მხოლოდ ეკონომიკის ლეგალური წილის მიხედვით; მონოპოლისტ კომპანიათა გამოვლენა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებიდან (სტატისტიკის, საბაჟო დეპარტამენტი) მიღებული მონაცემების საფუძველზე. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კანონის თანახმად, ვალდებულია ასეთ დროს სხვა წყაროებიდანაც მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის, თავად იმ კომპანიებიდან, რომელთა შეფასებაც ხდება; "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" სერიოზული შენიშვნები გააჩნია, აგრეთვე, ბაზარზე კომპანიათა წილების დაანგარიშების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

ამ არგუმენტების მიუხედავად, ანტიმონოპოლიური სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ლელა კოპალეიშვილი აცხადებს, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ანტიმონოპოლიური სამსახური აუცილებლად გაასაჩივრებს.

მთლიანად კი, 2001 წლის შემდეგ, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დასახელებული 32 კომპანიიდან, მონოპოლისტთა სიაში შეტანა სასამართლოში ექვსმა კომპანიამ გააპროტესტა.

"24 საათი"

MBG ემბიჯი

MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიუჰპრიზს!

ყოველი 21-ე, ჰომელიც გახსნის დეპოზიტს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

სენტრალური ფილიალი მისამართი 380012 ქუჩა ჭავჭავაძის 18 ტელ.: (995 32) 92-16-16 ფაქსი: (995 32) 95-05-80 e-mail: mbg@mbg.com.ge	ვაკის განყოფილება მისამართი 380079 ბინა 1, 8 ტელ.: (995 32) 95-28-06 ფაქსი: (995 32) 95-28-07 e-mail: vake@vake.mbg.com.ge	ზღვისპირეთის განყოფილება ზღვისპირეთი, 384410 ტ. ეროსმანიძის 1, 2 ტელეფონი: (8 256) 66-439 e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge	მარნეულის განყოფილება მარნეული, 385130, პოლოსგორის 1#3 ტელ.: (8 257)-2-16-00, 8 (257)-2-16-50 ფაქსი: (8822) 94-51-56 e-mail: info@marneuli.mbg.com.ge	ლილოს განყოფილება მისამართი 380015 ასპინძის ბაღისპირი 112 ტელ.: (995 32) 77-96-35 ფაქსი: (995 32) 77-96-36 e-mail: mbgl@access.sanet.ge	ქუთაისის ფილიალი ქუთაისი 384000 ქუჩა ჭავჭავაძის 1, 85 ტელეფონი: (8 231) 4-14-14; 4-51-64 e-mail: mbgk@mbg.com.ge
ბორის ფილიალი ბორჯომი, 383500, ჟვანიას ქუჩა 1, 10 ტელ.: (8 293) 2-30-64, 2-73-05, 33-46-57 ფაქსი: (8 22) 33-46-58 e-mail:info@gori.mbg.com.ge	ბათუმის ფილიალი ბათუმი 384500 (ქუჩა ზუბალაშვილის 1, 18 ტელ.: (8 88 222) 7-24-20 ფაქსი: (8 88 222) 7-19-54 e-mail: info@batumi.mbg.com.ge	ბიჭვინთის ფილიალი მისამართი 380067 ოქტომბრის 1, 1 ტელ.: (995 32) 57-01-01 ფაქსი: (995 32) 57-10-01 e-mail: gidoni@gidoni.mbg.com.ge	ვაჩნაძეების ფილიალი მისამართი 380052 ალექსიძის ბ.3 #7ბ/ნ ტელ.: (995 32) 76-44-82 ფაქსი: (995 32) 76-44-81 e-mail: varketili@mbg.com.ge	ფოთის ფილიალი ფოთი 384690 ტ. ეროსმანიძის 1, 23 ტელ.:(8 293) 28-28-5, 28-28-3 ფაქსი:(8 293) 28-28-3, 28-28-4 e-mail:mbgp@internet.ge	ზესტაფონის განყოფილება ზესტაფონი 384900 ნინოშვილი 1, 9 ტელ.: (8 292) 510-92; 554-58 ფაქსი: (8 22) 33 36 69 e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

აირჩევს, თუ არა, ჩეხეთის პარლამენტი ახალ პრეზიდენტს?

ჩეხეთის პარლამენტი კენჭისყრის წინ


პროფესორი იან სოკოლი

ვაცლავ კლაუსი

გუშინ ჩეხეთის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის პროცედურა მესამედ დაიწყო. როგორც ცნობილია, ჩეხეთის ყოფილ პრეზიდენტს პოსტზე ყოფნის ვადა 2 თებერვალს ამოეწურა, თუმცა, ჩეხმა კანონმდებლებმა, უკვე ორი მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ახალი ლიდერის არჩევა ვერ შეძლეს. ვერცერთმა წარმოდგენილმა კანდიდატმა საჭირო ხმების მოგროვება ვერ მოახერხა. ბოლო კენჭისყრა 24 იანვარს გაიმართა, რომელზედაც ოპოზიციური სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვაცლავ კლაუსს გამარჯვებისათვის 14 ხმა დააკლდა. ამ დამარცხების მიუხედავად, მან თავისი კანდიდატურა გუშინ კვლავ წამოაყენა.

პრეზიდენტის პოსტზე მეორე კანდიდატად, სამთავრობო კოალიციის წარმომადგენელი, განათლების ყოფილი მინისტრი, პროფესორი იან სოკოლია დასახელებული. ორივე კანდიდატს გამარჯვების თანაბარი შანსები გააჩნიათ. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ჩეხეთი ამჯერადაც პრეზიდენტის გარეშე დარჩეს. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ქვეყანაში პრეზიდენტის ხელისუფლება უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვიდრე რეალურს.

ლიტვას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ოთხშაბათს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ქვეყნის ახლადარჩეული პრეზიდენტის როლანდას პაკასასის ინაუგურაცია გაიმართა. როგორც ცნობილია, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პაკასასმა, ყველასათვის მოულოდნელად, იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიტვის რიგით მესამე პრეზიდენტი გახდა.

ინაუგურაციის ცერემონიალზე ქვეყნის სეიმის წინაშე გამოსვლისას ახალმა პრეზიდენტმა საზეიმოდ დაიფიცა, რომ დაიცავს თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებს. ამასთანავე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პრეზიდენტობის უმთავრეს მიზნებს ლიტვის ნატო-სა და ევროკავშირში განევრიანება წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, გასული წლის დეკემბერში ლიტვამ ევროკავშირში გაწევრიანებლად ოფიციალური მიწვევა მიიღო. ამის თაობაზე საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი ლიტვაში 2003 წლის მაისში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ როლანდას პაკასასის გამარჯვების მთავარ ფაქტს წარმოადგენდა ის, რომ წინა პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი საგარეო პოლიტიკას ძალზე დიდ დროს უთმობდა, და შიდა პოლიტიკურ ფრონტზე წარმატება გარანტირებულად მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ამომრჩეველთა უმრავლესობა. აშშ-ს ყოფილმა მოქალაქემ ვალდას ადამკუსმა აღიარა, რომ მისი დამარცხების მიზეზად იქცა ლიტვის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება და პროვინციებში ცხოვრების დონის დაცემა.

ამდენად, როლანდას პაკასასს, საგარეო პოლიტიკის გარდა, ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზეც მოუწევს ყურადღების გამახვილება. ის მოსახლეობას ასევე შეჰპირდა, რომ განახორციელებს მასშტაბურ რეფორმებს, რომელიც თავად ხელისუფლებასაც შეეხება. ვარაუდობენ, რომ ახალი პრეზიდენტი ლიტვის მთავრობის გარკვეულ ნაწილს დაითხოვს. როლანდას პაკასასი, პირველ რიგში, აპირებს, რომ ქვეყნის ძირითადი სამინისტროების ხელმძღვანელებად საზღვარგარეთ ნასწავლი ახალგაზრდა ტექნოკრატები დანიშნოს.

სომხეთის არჩევნები - გარდაუვალი დაპირისპირება

პირველი გვერდიდან

პირველი ტურის შედეგებთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ მხარეები ძალზე მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დემირჭიანმა მიიღო პრეზიდენტობის რამდენიმე ყოფილი კანდიდატის მხარდაჭერა, მათ შორის - ორი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, არამ სარქისიანისა და ვაზგენ მანუკიანის და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, რაფი ჰოვანესიანის. სამივე მათგანი აცხადებს, რომ პირველი ტურის შედეგების მიხედვით, დემირჭიანი უკვე პრეზიდენტია.

ბოლო დღეებში ოპოზიცია ერევნის ცენტრში მუდმივად აწყობს მიტინგებს. მათ, სხვადასხვა შეფასებებით, 50-100 ათასი ადამიანი ესწრება. სამმილიონიანი ქვეყნისათვის ეს ძალზე დიდი რიცხვია.

კოჩარიანმა და მისმა მთავრობამ ოპოზიციის აქტიურობას ცუდად შენიღბული მუქარით უპასუხა. ხელისუფლება ერევანში შემოსასვლელი გზებიდან უკან აბრუნებდა ყოველგვარ ტრანსპორტს, რომელშიც შესაძლოა, პოტენციური მომიტინგეები მსხდარიყვნენ. უამრავი მძღოლი, რომელიც ქალაქში თავის საქმეზე მიდიოდა, აცხადებს, რომ სატრანსპორტო პოლიციამ უკან გააბრუნა.

და რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია, ოპოზიციის ათეულობით აქტივისტი პატიმრობაში იმყოფება.

22 თებერვალს პოლიციამ დაიკავა დემირჭიანის მხარდამჭერი მიტინგების 50-ზე მეტი მონაწილე და მათ 15-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა ხულიგნობის ბრალდებით. მათი საქმეების განხილვა, პროცედურის საწინააღმდეგოდ, დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შემდეგ დღეებში დაპატიმრებათა სერია გაგრძელდა ("ჰიუმენ რაითს უოჩის" უკანასკნელი მონაცემებით, ამჟამად 154 კაცია დაპატიმრებული).

იუსტიციის მინისტრის წარმომადგენელი არა საგათელიანი ამტკიცებს, რომ დაკავებულთა უმრავლესობას კრიმინალური წარსული ჰქონდა. მაგრამ როგორც პარლამენტის დეპუტატმა და დემირჭიანთან დაახლოებულმა პირმა არშაკ სადოიანმა განაცხადა, ეს დაპატიმრებები "აშკარა პროვოკაციაა ხელისუფლების მხრიდან და მიზნად ისახავს ხალხისა და სამართალდამცავების ერთმანეთთან წაკიდებას".

აშკარაა, რომ ორივე მხარე სერიოზული უსიამოვნებების მოლოდინშია. თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა გააკეთეს განცხადება, რომლითაც ოპოზიციას ღიად მიანიშნეს - მიტინგების შესაჩერებლად, შესაძლოა, ძალა იყოს გამოყენებული.

"ჩვენ ყველას მოვუწოდებთ დემონსტრაციებისა და ყველა იმ აქციების შეწყვეტისაკენ, რომლებიც ანტიკონსტიტუციურია და საზოგადოების გახლეჩვას უწყობს ხელს, – ნათქვამია განცხადებაში, – თუ საზოგადოებრივი წესრიგი დაირღვა ან ჩვენს საზღვრებს რაიმე საფრთხე შეექმნა, არმია პასიურ მდგომარეობაში ვერ დარჩება".

მთავრობასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა IWPR-ს, რომ არმიის ზოგიერთი მაღალი რანგის ოფიცერი უარს ამბობს მომიტინგეების წინააღმდეგ მოქმედებაზე. კოჩარიანი იძულებული გახდა მთიანი ყარაბაღიდან ჩამოეყვანა ელიტარული სამხედრო ნაწილების რამდენიმე ასეული ჯარისკაცი.

"უკეთეს შემთხვევაში - ამან შეიძლება სერიოზულად დაძაბოს ურთიერთობა ორ სომხურ სამშობლოს შორის, უარესში - მათ შორის კონფლიქტი გამოიწვიოს," – აღნიშნავს ჟურნალისტი და ანალიტიკოსი დავით პეტროსიანი.

დემირჭიანის ტაქტიკა დღემდე ნაკრნახევი იყო იმით, რომ მას ხელი არ მიუწვდებოდა სახელმწიფო ტელევიზიის ეთერამდე. ტელევიზია აშკარად პრეზიდენტს უჭერს მხარს. თავისი სათქმელი რომ ხალხამდე მიიტანოს, იგი იძულებულია მიტინგები და დემონსტრაციები გამოიყენოს, სადაც ამტკიცებს, რომ უკვე ქვეყნის პრეზიდენტია. მიტინგებზე ყველა გამომსვლელი, კოჩარიანს, დაუყონებლივ გადადგომისაკენ მოუწოდებს.

"პირველი, რასაც პრეზიდენტად გახდომისთანავე გავაკეთებ, მათი დასჯა იქნება, ვინც ეს არჩევნები გააყალბა," – აცხადებს დემირჭიანი. "დღეს უკვე აშკარაა, რომ ხალხმა უარყო კოჩარიანი. ხალხის ნება აუცილებლად გაიმარჯვებს. რეჟიმი, რომელსაც ხალხი არ უჭერს მხარს, განწირულია. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ამ რეჟიმმა თავისი ძალაუფლება გაიხანგრძლივოს".

კოჩარიანი ყველა ბრალდებას უარყოფს და აფრთხილებს ოპოზიციას, საფრთხე არ შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას. "ჩვენ ძალზე სერიოზულ და მკვეთრ პასუხს გავცემთ მთავრობის ნორმალური მუშაობისთვის ხელის შეშლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყველა მცდელობას".

კოჩარიანი უარყოფს არჩევნების გაყალბების ბრალდებებსაც. და ამბობს, რომ ოპონენტებს სურთ, საკუთარი მარცხი ამით გაამართლონ. "ვფიქრობ, ოპოზიცია გაცილებით უფრო აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების გაყალბებაში," – აცხადებს იგი.

ამ ორ შეურიგებელ ბანაკს შორის კომპრომისის მიღწევა თითქმის გამორიცხულია. ამისათვის დროც აღარ დარჩა. საარჩევნო კამპანია სამ მარტს მთავრდება; ხუთში კი მოსახლეობამ საბოლოო არჩევანი უნდა გააკეთოს.

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება იზრდება

სამხრეთ კორეის მინისტრი ყველაფრისთვის მზად არის.

თეთრმა სახლმა "შემაშფოთებელი მოქმედება" უწოდა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული რეაქტორის ამუშავებასა და სამხედრო მანევრებს. აზიელი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტების აზრით, შესაძლოა, შექმნილი ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ჩრდილოეთ კორეამ მკაცრ პოლიტიკურ ტონს, ყველასათვის მოულოდნელად, სამხედრო ნაბიჯებიც მოაყოლა. ორშაბათს ფხენიანმა აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხედრო ხომალდების საწინააღმდეგო რაკეტა გამოსცადა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა რაკეტის გამოცდა სამხრეთ კორეის პრეზიდენტის რო მუ ჰიუნის ინაუგურაციის ცერემონიალს დაამთხვია. გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეის კუთვნილმა "მიგმა" სამხრეთ კორეის საჰაერო სივრცე დაარღვია, რაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა.

ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეამ თავისი ბირთვული რეაქტორის გააქტიურება დაიწყო, რომლის მეშვეობითაც ბირთვული იარაღის დამზადებაა შესაძლებელი.

სამხედრო ექსპერტებისა და იაპონური რეპორტაჟების თანახმად, შეერთებულმა შტატებმა წყნარი ოკეანის კუნძულ გუამზე საგანგებო რეჟიმზე გადაიყვანა 24 B-52 ტიპის ბომბდამშენები და სამხედრო ხომალდები ჩრდილოეთ კორეის სიახლოვეს გადაისროლა.

ვაშინგტონი აღარ გააუქმებს ორ მსხვილმასშტაბიან სამხედრო პროგრამას. 4 მარტს შეერთებული შტატები და სამხრეთ კორეელები სერიოზული მანევრების ჩატარებას ერთად გეგმავენ. ერთთვიან სამხედრო სწავლებაში 5000 ჯარისკაცი იქნება ჩართული, რომელთაც ამერიკელი რეზერვისტები გაუმაგრებენ ზურგს. ისინი წვრთნებს იმ დემილიტარიზებული ზონის მახლობლად ჩაატარებენ, რომელიც ორ კორეას ერთმანეთისგან ჰყოფს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეის ძირითადი სამხედრო ნაწილები სწორედ ამ მიმართულებით არის თავმოყრილი.

"სამხრეთ კორეაში ძალზე დაძაბულ ვითარებას ქმნის შეერთებული შტატების მიერ დაგეგმილი მანევრები, რომლის დროსაც მან პრევენტიული დარტყმები ნებისმიერ დროს შეიძლება განახორციელოს", - ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიერ ოთხშაბათს გავრცელებულ განცხადებაში. უფრო ადრე ჩრდილოეთ კორეა დაიმუქრა, რომ "თუ შეერთებული შტატები თავდასხმისათვის განკუთვნილი ძალების რაოდენობას არ შეამცირებს, მაშინ მთელი კორეა ნაცარტუტად იქცევა და კორეელები საშინელ ბირთვულ კატასტროფას ვერ გადაურჩებიან".

"როდესაც არ უნდა გაიმართოს სამხედრო მანევრები, ჩრდილოეთ კორეა მას შეენინააღმდეგება", - განუცხადა "ვაშინგტონ პოსტს" კიმ ჩან სუმ, კორეის თავდაცვის საკითხების ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტმა.

ამერიკის ოფიციალური წრეები ჩრდილოეთ კორეის განცხადებებს პროპაგანდას უწოდებენ. მათი თქმით, ისინი მუქარების გამო უარს არ იტყვიან წვრთნების ჩატარებაზე.

ამავდროულად, აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, ჩრდილოეთ კორეას აგრძნობინონ, რომ ფხენიანი მიზანში არ არის ამოღებული. "ჩვენ აღლუმზე არმიები არ გამოგვყავს, ჩვენ მათი დაპყრობის გეგმები არ გვაქვს", - განაცხადა სამშაბათს სეულში მყოფმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა.

თუმცა, რამდენიმე თვის დაძაბულობის გათვალისწინებით, აშშ-ის ხელიუსუფლების წარმომადგენლებს საგანგებო რეჟიმის შენარჩუნება მიზანშეწონილად მიაჩნიათ. "ჩვენთვის აუცილებელია, რომ ჩრდილოეთ კორეის ქმედებებს ყურადღებით ვადევნოთ თვალი", - აღნიშნა საზღვაო კონტრადმირალმა მეტ ბრაუნმა. შეერთებული შტატების მრავალი ოპერაცია წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში "იმით განისაზღვრება, თუ რა მოხდება ჩრდილოეთ კორეაში".

აშშ-ის საზღვაო ძალებმა ბირთვული ავიამზიდი "კარლ ვინსონი" სან-დიეგოდან დასავლეთ წყნარ ოკეანეში გამოუშვა. მას თან ახლავს ოთხი ნაღმოსანი და ერთი ჯავშნოსანი. ეს გადაადგილება იმისათვის განხორციელდა, რომ რეგიონში შეიარაღებული ძალების დასუსტება არ მოხდეს მოძველებული ავიამზიდის "კიტი ჰოუკის" სპარსეთის ყურეში გაგზავნის გამო.

"ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, გასულ კვირას აშშ-ის არმიამ 2800 ჯარისკაცს 90 დღით გაუგრძელა ერთწლიანი სამხედრო ყოფნა სამხრეთ კორეაში. ამჟამად, სამხრეთ კორეაში 37 000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება.

"ჩვენ 100-პროცენტიანი სამხედრო მზადყოფნა გვაქვს", - განაცხადა მაიორმა ჰოლი პირსმა, სეულში განლაგებული აშშ-ის მერვე არმიის შტაბის წარმომადგენელმა.

ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ისინი საკუთარ შეიარაღებულ ძალებს არ აძლიერებენ და ამიტომ ჩრდილოეთ კორეა არ უნდა შეშფოთდეს. თუმცა, აშშ-ის ნაბიჯების შემყურე ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამერიკელებმა ძალზე მოზომილად, მაგრამ მაინც გაზარდეს შეიარაღებული ძალების რაოდენობა. "რეგიონში აშშ-ის სამხედრო ძალები ძლიერდება", - ამბობს ჰიდეაკი - უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ტოკიოში.

ჩრდილოეთ კორეელი, ექსპერტების თქმით, შეერთებული შტატების მოქმედება ჩრდილოეთ კორეის ლიდერებში შიშს ბადებს. მათი აზრით, ერაყის შემდეგ ამერიკელთა სამიზნეები სწორედ ისინი გახდებიან.

პრაქტიკიულად, ანალიტიკოსები გამორიცხავენ, რომ ჩრდილოეთ კორეამ პირველმა განახორციელოს დარტყმა. თუმცა, მათი აზრით, ძალზე დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ფხენიანი ეჭვებითაა შეპყრობილი და ძალზე რთულია მისი ნაბიჯების გათვლა. უკიდურესი დაძაბულობა კი იმის ფონს ქმნის, რომ სამხედროებმა საკუთარ ნებაზე დაიწყონ მოქმედება.

ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი დიპლომატიური მცდელობების ჩაფლავების შემდეგ, იძულებული გახდა, უფრო კონსერვატული გზა აერჩია და გენერლებს მოქმედების მეტი თავისუფლება მისცა. "ჩრდილოეთ კორეელებმა, ფაქტობრივად, ყველა კარტი გამოიყენეს", - აღნიშნავს ტეიკოს უნივერსიტეტის პროფესორი ტოშიუკი შიკატა, - "ასე რომ, ახლა ფხენიანი უკანასკნელ კარტს გამოიყენებს: იგი სარაკეტო დარტყმას განახორციელებს იაპონიაზე".

ერაყის ფასი, საერთაშორისო პოლიტიკურ ბაზარზე, კიდევ უფრო მატულობს

ერაყის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო კრიზისი გრძელდება. გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებმა არაოფიციალურ დახურულ სხდომაზე კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლეს. როგორც ცნობილია, აშშ და დიდი ბრიტანეთი ახალი რეზოლუციის მიღებას ითხოვენ, რომელიც ბაღდადის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყებას ითვალისწინებს. ამის საწინააღმდეგოდ კი, საფრანგეთმა, რუსეთმა და გერმანიამ გაერო-ს ახალი მემორანდუმი წარუდგინეს, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სამხედრო ინსპექტორებს ერაყში მუშაობისათვის დამატებითი დრო უნდა მიეცეთ. თავის მხრივ, ერაყის ხელისუფლებაც ცდილობს, ვაშინგტონს ომის დაწყების საბაბი არ მისცეს. უკვე ცნობილი გახდა, რომ ოფიციალური ბაღდადი გაერო-ს მოთხოვნას დაეთანხმა და მზად არის, "სამუდ-2" ტიპის რაკეტების განადგურება დაიწყოს. ამის თაობაზე გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა.

ლევან ღირსიაშვილი

ერაყის ხელისუფლებას შაბათამდე უნდა განეცხადებინა, შეასრულებდა თუ არა გაერო-ს მოთხოვნას და გაანადგურებდა თუ არა რაკეტებს, რომელთა მოქმედების რადიუსიც სამხედრო ინსპექტორების მტკიცებით, დასაშვებ მანძილს – 150 კილომეტრს აღემატება. თუმცა, მანამდე სადამ ჰუსეინმა ამერიკული ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში კატეგორიულად უარყო გაერო-ს ბრალდება და განაცხადა, რომ შორეული მოქმედების რაკეტები ამჟამად ერაყს უკვე აღარ გააჩნია. ასეა თუ ისე, ოფიციალურმა ბაღდადმა პოზიცია მაინც დათმო და რაკეტების განადგურებაზე მზადყოფნა განაცხადა. ეს კი, რასაკვირველია, პირველ რიგში, ერაყის მორიგ დიპლომატიურ ჟესტად უნდა ჩაითვალოს. აშკარაა, რომ ბაღდადი მოერიდა ვითარების გამწვავებას და ამით აშშ-ს ომის დაწყების კიდევ ერთი საბაბი გამოაცალა.

მიუხედავად ამისა, ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელმა ჰანს ბლიქსმა ბაღდადის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა და განაცხადა, რომ მისიას ძალზე **"მწირი შედეგები"** გააჩნია. მოხსენებაში, რომლითაც ჰანს ბლიქსი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე დღეს წარსდგება, ნათქვამია, რომ ერაყმა თანამშრომლობის უფრო დიდი სურვილის დემონსტრირება უნდა მოახდინოს. მოხსენებაში ასევე გამოთქმულია უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყმა დაარღვია პირობა, რომლის თანახმადაც იანვრის შუა რიცხვებამდე პასუხი უნდა გაეცა ინსპექტორთა უმნიშვნელოვანეს შეკითხვებზე.

თუმცა, ჰანს ბლიქსის ეს განცხადება გაერო-ს უშიშროების საბჭოს იმ წევრების გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ერაყში ომის დაწყებას მხარს არ უჭერენ, ცხადია, ვერ იმოქმედებს.

გუშინ ცნობილი გახდა რუსეთის ოფიციალური პოზიციაც, რომლის თანახმადაც რუსეთმა, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მიერ წარმოდგენილი ახალი რეზოლუციის პროექტს, შესაძლოა, ვეტო დაადოს. ამის თაობაზე, პეკინში ყოფნის დროს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერს ისეთ რეზოლუციას, რომელიც ერაყში საომარ მოქმედებებს გაუხსნის გზას.

პარალელურად, ცნობილი ხდება ვაშინგტონის ახალი ინიციატივა, რომელიც რუსეთს, ერაყთან ომის სანაცვლოდ, ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებას სთავაზობს. ამის თაობაზე გავლენიანი ბრიტანული გაზეთი "ფაინენშალ ტაიმსი" იუწყება. როგორც ცნობილია, ჯექსონ-ვენიკის შესწორება ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებზე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. გარდა ამისა, აშშ რუსეთს ჰპირდება ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანოს ჩეჩნური ორგანიზაციები, რასაც რუსეთი უკვე დიდი ხანია დაჟინებით ითხოვს. გაზეთი ამ ინფორმაციებს აშშ-ს ადმინისტრაციის იმ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც ცოტა ხნის წინ მოსკოვში იმყოფებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს პირი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯონ ბოლტონი იყოს.

ამდენად, ერაყის საკითხზე დაწყებული საერთაშორისო ვაჭრობა კვლავ გრძელდება. როგორც ჩანს, ვაშინგტონი მის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებას აპირებს, რათა ერაყში შეჭრაზე საერთაშორისო პარტნიორებისგან თანხმობა მოიპოვოს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ერაყი თეთრი სახლისათვის საკმაოდ ძვირად ფასობს.

ვის უბედავთ

დიღმის მასივში ე.წ. მილიონერების უბანს „თბილგაზმა“ ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა. თბილგაზის გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, ბუნებრივი აირი შეუწყდა ლიუბლიანას ქუჩას, რის გამოც "მილიონერების" უბნის გარდა გაზის გარეშე დარჩა იქვე მდებარე საავადმყოფოები, მოსახლეობა და რესტორნები.

ცაავას ინფორმაციით, გაზის გათიშვის მიზეზი გახდა 300-მილიმეტრიანი საჰაერო გაზსადენის დაზიანება, რასაც ცაავა აღნიშნულ უბანში მიმდინარე მშენებლობებს უკავშირებს.

მისივე თქმით, „თბილგაზი“ არ აღადგენს აირის მიწოდებას მანამ, ვიდრე მიწების მესაკუთრეები არ უზრუნველყოფენ გაზსადენის უსაფრთხოებას. **მედია-ნიუსი.**

დევნილები და უმუშევრები

ისან-სამგორის რაიონის დევნილთა ადგილობრივი სამსახურის ბოლო მონაცემებით რაიონში 19.956 იძულებით გადაადგილებული პირია რეგისტრირებული.

ამჟამად რაიონში 118 კომპაქტურად დასახლებული ობიექტია, სადაც სულ 6.137 დევნილი ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი - კერძო საცხოვრებელ ბინებში.

გარდაცვლილ დევნილთა ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეძლევათ სარიტუალო მომსახურების ხარჯები.

სულ, დედაქალაქში რეგისტრირებულია 93 ათასამდე დევნილი. ამათგან 42 ათასი ადმინისტრაციულ ცენტრებში ცხოვრობს.

ისან-სამგორის რაიონში რეგისტრირებულია 3.107 უმუშევარი. ამათგან შემწეობა დაენიშნა 179-ს, დასაქმდა - 41, პროფორიენტაციის და გადამზადების კურსებზე გაიგზავნა 40 უმუშევარი. **მედია-ნიუსი.**

„კანონი ძალაშია!“

დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილობრივი არჩევნები, რომლის შემდეგაც დაკომპლექტდება მშობელთა სათათბირო, სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა კლუბები, პირველ ივნისამდე უნდა ჩატარდეს, – განაცხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა თავმჯდომარის მოადგილემ განათლების დარგში გია მურღულიამ.

მისი თქმით, დირექტორთა შესახებ ორი წლის განმავლობაში დაწესებულია მორატორიუმი და შესაბამისად, მათი შერჩევა მხოლოდ 2005 წლისთვისაა შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, საკრებულოს გადაწყვეტილება სკოლების მუნიციპალიზაციის შესახებ იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში უკვე გაატარა და მას, მურღულიას თქმით, უნდა დაემორჩილოს დედაქალაქის სკოლები.

ყველა სიახლესა და ცვლილებას ყოველთვის ჰყავს ოპონენტი მხარე, – აცხადებს მურღულია, თუმცა იდეა, რომელსაც საკრებულომ აქტიურად დაუჭირა მხარი, წელიწადზე მეტი ხნის წინათ გაჩნდა და კანონპროექტზე მაღალკვალიფიციური მუშაკები მუშაობდნენ. **მედია-ნიუსი.**

საკრებულომ, ამჯერად, სანიტარებსა და ვეტერინარებს შეუტია

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოარქივი

გივი თარგამაძე. საკრებულოს წევრებს, დეზერტირების ბაზრისა და სამგორის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის ამსახველ კადრებს აჩვენებს.

უკანონოდ მშენებარე ობიექტების დანგრევის შემდეგ, საკრებულომ, ქალაქის სანიტარული და ვეტერინარული სამსახურებისთვისაც მოიცალა და მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა.

ნანა ქადაგიძვილი

საკრებულოს დროებითმა საგანგებო ანტიკორუფციულმა კომისიამ გუშინდელი სხდომის დამსწრეებს ანტიკორუფციულ საბჭოსთან ერთობლივი მუშაობით მოპოვებული ფოტომასალა წარუდგინა. დეზერტირების ბაზრისა და სამგორის ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმო-საამქროებში არსებული მდგომარეობის ამსახველმა კადრებმა მთელი სხდომათა დარბაზი, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" წევრი მანდილოსნები, საშინლად აღაშფოთა. მართალია, მსგავს ფაქტებს ისინი, დამოუკიდებლადაც, ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან, მაგრამ ლიმონათის საამქროებისა თუ საქონლის თავების გადამამუშავებელ საწარმოში არსებული ანტისანიტარია ტელევიზორიდან უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა - ჩაბინძურებული აბაზანები და ვედროები, ჭუჭყიან დახლებზე დაყრილი გაფუჭებული ხორცი, ფუნთუშებისა და ხაჭაპურების საცხობების გვერდით გადაშლილი მცხობელთა საწოლები და საპირფარეშოები, მაცივარში ხორცთან ერთად გაყინული წრუწუნა, დეზერტირების ბაზრიდან რესტორანში შეუმოწმებლად გატანილი ხორცი და სხვადასხვა ფირმის ეტიკეტებიანი ძეხვი და ლიმონათი. ბუნებრივია, ასეთი კადრები მნახველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

ამ ფაქტების ნახვით აღშფოთებული გამომსვლელები სანიტარული და ვეტერინარული სამსახურების ხელმძღვანელთა სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვდნენ. "რატომ ფუნქციონირებს ასეთი საწარმოები და საამქროები - ეს ხომ თბილისის მოსახლეობის გენოციდია; რას აკეთებს სანიტარული ინსპექცია, სასწრაფოდ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენოთ," – განსაკუთრებით აქტიურობდნენ "ვაკის გონივრული განვითარების" წევრები. თუმცა, რამდენიმე გამომსლელი პრობლემას უფრო ღრმადაც ჩაწვდა და უკანონო ვაჭრობის განვითარების საქმეში პოლიციის როლიც გაიხსენა. "დეზერტირების საბითუმო ვაჭრობას პოლიციის მეექვსე სამმართველო, ე.წ. "შესტოი" ლობირებს. სამმართველოს ხელმძღვანელები ჩადუნელი და კაჭკაჭიშვილი დაუფარავად აცხადებენ, რომ "ხორცი მათია", - უშიშრად განაცხადა ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა გივი თარგამაძემ. საკრებულოს რამდენიმე წევრმა კი, სანიტარული სამსახურის პრობლემებიც გაიხსენა. "სანიტარული ინსპექციის თანამშრომელი მოვაჭრეებს როგორ უნდა ებრძოლოს, ქვაბს თავზე წამოამხობენ და კარს დაუკეტავენ," – დაიცვა სანიტარები საკრებულოს წევრმა, ჯუმბერ შენგელიამ, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა პროტესტი მოჰყვა. თუმცა, მაკონტროლებელი ორგანოების პრობლემების მოსმენა მაინც მოუწიათ. სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა, ჯუღული ახვლედიანმა ბრალმდებლებს შეახსენა, რომ ინსპექციის თანამშრომელს ხელფასი 30-40 ლარი აქვს, უკანონოდ მოვაჭრის სასჯელი 9-75 ლარიანი ჯარიმაა. სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, მაკონტროლებელს საწარმოს შემონმება მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეუძლია და, ისიც - სასამართლოს ნებართვით, ამ ნებართვის აღება კი მაკონტროლებელს ძალზე უჭირს. "სასამართლოს ნებართვით, 3100 ობიექტი შევამონმეთ და საჯარომო აქტი ყველა მათგანზე შევადგინეთ. 354 მათგანის საქმე სასამართლოს მეორედ გადავეცით და განმეორებით 75 ლარით დავაჯარიმეთ. დეზერტირების ბაზრის პირველ სართულზე განთავსებული საქონლის თავების გადამამუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელს 75-ლარიანი ჯარიმა გადავახდევინეთ და სასამართლოს ამ საწარმოს დახურვა ორჯერ მოვთხოვეთ, მაგრამ ის დღესაც ფუნქციონირებს. პრობლემის მოუგვარებლობას მხოლოდ ჩვენს უწყებას ნუ დააბრალებთ. სასამართლო და აღმასრულებელი სამსახურები რომ საკუთარ მოვალეობას ასრულებდნენ, ჩვენც უკეთ ვიმუშავებდით," – თავი დაიცვა ინსპექციის უფროსმა.

თავის მართლების მიუხედავად, გუშინდელი სხდომის დამწრეთა ნაწილს ახვლედიანზე გული მაინც არ მოლბობია და ისიც მშვენივრად იციან, რომ უკანონო ვაჭრობის პრობლემა მხოლოდ სანიტარული თუ ვეტერინარული სამსახურების უფროსების გათავისუფლებით არ მოგვარდება.

ნათელაშვილი გაზაფხულის დადგომას ელექტროენერგიის გაიაფებით გვილოცავს

ნათელაშვილი ელექტროენერგიის 10 პროცენტიან გაიფებას და გაზაფხულის დადგომასაც ულოცავს მოსახლეობას. "ლეიბორისტებმა" ენერგომაფიასთან პირველი საეტაპო შერკინების შემდეგ, ბრძოლის მეორე რაუნდი დაიწყეს. პარტიაში საომარი ტაქტიკა უკვე შემუშავებული აქვთ და ახლა მას თავიანთ "გულშემატკივრებს" აცნობენ. ამ და სხვა ამბების გასაცნობად, ნათელაშვილმა ჟურნალისტებისთვის საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ეთერ მამულაშვილი

საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილი ვერდიქტისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, 1.5 თეთრით გაიაფებული ელექტროენერგიის ტარიფი დღეიდან შედის ძალაში. "ლეიბორისტების" ლიდერი 12.2- თეთრიანი ტარიფით არ კმაყოფილდება და პირობას დებს, რომ ელექტროენერგიის ტარიფს კიდევ მნიშვნელოვნად შეამცირებს. ნათელაშვილმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და საკონსტიტუციო სასამართლოში, ორი დღის წინათ, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ამჯერად "ლეიბორისტების" თავკაცი, სემეკს საკონსტიტუციო სასამართლოს "დაუმორჩილებლობისთვის" უჩივის, რადგან **"მან ზუსტად არ შეასრულა სასამართლოს მოთხოვნა. გადაწყვეტილებაში წერია, რომ ელექტროენერგიის ტარიფი მინიმუმს უნდა გაუტოლდეს",** - გვითხრა ნათელაშვილმა, რომელსაც მომავალი სასამართლო პროცესის გამარჯვებაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება. ამის იმედს ნათელაშვილს ცოტა ხნის წინათ საკონსტიტუციო სასამართლოში მიღწეული ტრიუმფი და მისი ახალი მოთხოვნის **"სამართლიანობა"** აძლევს.

გამარჯვებამდე, თბილისელები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურად 12.2 თეთრს გადაიხდიან. 30 დეკემბრის შემდეგ გადახდილი "ზედმეტი" თანხა კი მოსახლეობას მომდევნო თვეების დეპოზიტზე დაუჯდებათ.

ელექტროენერგიის ტარიფში საკუთარი ათ-ათ-პროცენტიანი წილების შემცირებით აღშფოთებულმა გაერთიანებულმა ენერგოსისტემამ და "ენგურჰესმა" გუშინწინ, სემეკის გადაწყვეტილების შეჩერების მოთხოვნით, საოლქო სასამართლოში განაცხადი შეიტანეს. იმის გამო, რომ განაცხადი არ განიხილება, საოლქომ მოსარჩელეებს ხუთი დღის ვადა მისცა შესაბამისი სარჩელის მოსამზადებლად. გაერთიანებული ენერგოსისტემის თავჯდომარეს, ვახტანგ ბეგიაშვილს სარჩელი, თითქმის, მზად აქვს, რომელსაც უახლოეს ორ დღეში საოლქო სასამართლოში შეიტანს. სარჩელის მიღებისა და დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოვლენების განვითარების პროგნოზირება, ექსპერტებსაც კი უჭირთ - სიტუაცია რომ რადიკალურად შეიცვლება, ცხადია.

სარჩელების წერაში გაწაფული "ლეიბორისტული" პარტია ახალ სასარჩელო განცხადებაზეც მუშაობს. ამჯერად "მშრომელები" ჩვენს მთავრობას ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე წარადგენენ. სარჩელის ტექსტში საუბარი იქნება "ეი-ი-ეს თელასის" მიერ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის დარღვევის და ამერიკული კომპანიის **"კრიმინალური"** საქმიანობის შესახებ. **"ლონდონშიც გაიგებენ, რა ვაჟბატონია ეს ირიბარენი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ და მეგობარ სახელმწიფოს, თავისი საქმიანობით სახელს უტეხს",** - ამბობენ "ლეიბორისტები".

"ლეიბორისტები" მოუთმენლად ელიან ცოტა ხნის წინ შეერთებული შტატების კონგრესში გაგზავნილი წერილის პასუხს. "უსტარში" "მშრომელები", ამერიკის კონგრესს "ეი-ი-ეს თელასის" **"შავი"** ბიზნესის შესწავლას სთხოვდნენ. პარტიაში ამბობენ, რომ პასუხს დღე-დღეზე მიიღებენ, რაც, სავარაუდოდ, "ლეიბორისტებს" კიდევ ერთი საგანგებო ბრიფინგის ჩატარების საბაბს მისცემს.

„თორმეტკაცა“ შეიკრიბა - მერიისთვის ექსპროპრიაცია მისაღებია

გუშინ კულტურის სამინისტროში პრეზიდენტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, ბოლო დროის გახმაურებულ საკითხებთან, "დადიანების მუზეუმისა" და "ცხრა აპრილის ბაღის" ტერიტორიებზე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით. "თორმეტკაცას" შეკრებას "დადიანების" მუზეუმისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ დასწრებიან.

ვერა ნეფარიძე

"მათი აქ არ ყოფნა ან უპატივცემულობაა, ან ბოკიოტი ჩვენს მიმართ", - ივარაუდა სხდომის დასაწყისში საბჭოს ხელმძღვანელმა, კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ, ზუგდიდიდან მოწვეული სტუმრების არმოსვლის გამო. მათი სხდომაზე დასწრება კი, სასურველი იყო, აუცილებელი თუ არა. გუშინდელი სხდომის მიზანი დღის წესრიგში არსებულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა იყო, რასაც მომავალში საბჭო პრეზიდენტს გააცნობდა. სამწუხაროდ, გუშინ განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწიეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ განსახილველ საკითხს(ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის პრობლემების შესახებ) დიდი ხმაური მოჰყვა. მეცნიერებათა აკადემიის პოზიციას აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გურამ თევზაძე იცავდა, ზუგდიდელების ღირსებას კი (კაცმა რომ თქვას, სხდომაზე ამის საჭიროება არ დამდგარა, მაგრამ მაინც...) – დეპუტატი თენგიზ ჯგუშია; გაურკვევლი ფუნქცია ჰქონდა შეკრებაზე "დადიანების გადარჩენის ფონდის" ხელმძღვანელს, გიორგი კალანდიას და გურამ შარაძის ყურადღებაც დაიმსახურა: "რა არის ამ ფონდის ფუნქცია: ჩვენ გადავარჩინოთ მუზეუმი განადგურებას და თვითონ კი "სოროსისგან" მიიღონ დაფინანსება?" თენგიზ ჯგუშიას გაცხარება გურამ თევზაძის სიტყვას მოჰყვა, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მუზეუმის ტერიტორიაზე ერთ დროს ქობალიას შეიარაღებული ჯგუფის ყოფნა ახსენა. "ეს საქართველოს შეურაცხყოფაა და მსგავსი დეზინფორმაციების გავრცელების უფლებას არავის მივცემ", - თუმცა, დეპუტატმა დროულად მოზომა და როგორც მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისთვის, ისე დამსწრე საზოგადოებისადმი მობოდიშება არ ითაკილა. მეცნიერებათა აკადემიამ სხდომის წევრებს საფუძვლიანად ვერ დაუდასტურა საკუთარი უდანაშაულობა ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ტერიტორიაზე მიმდინარე უკანანონო მშენებლობის საქმეში.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საგანგებო კომისიამ (რომლის შემადგენლობაშიც მეცნიერებათა აკადემიისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები შევლენ) შეისწავლოს საკითხი. შეიძლება ითქვას, პრობლემის მოგვარება გაურკვეველი დროით გადაიდო. "დადიანების" სასახლეზე საუბრისას, ძირითადად, ორი საკითხი გამოიკვეთა: "თეატრონისა" (რომელიც უკვე აშენებულია და საზეიმოდ გახსნილიც) და მუზეუმში არსებული ექსპონატების მდგომარეობისა. კულტურის მინისტრმა მიანიშნა საბჭოს წევრებს, მიეღოთ გაადწყვეტილება უკანონოდ აშენებული "თეატრონის" დანგრევაზე, მაგრამ ასეთი რადიკალური ნაბიჯისგან საბჭოს წევრებმა რატომღაც თავი შეიკავეს და "თეატრონის" თემაც, მოსაგვარებლად, საგანგებო კომისიას გადაულოცეს.

შედარებით შედეგიანი გამოდგა საბჭოს დღის წესრიგის მეორე თემის განხილვა. "9 აპრილის პარკში" მიმდინარე მშენებლობაზე სასაუბროდ სხდომას ესწრებოდნენ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მერიის წარმომადგენლები და ქალაქის მთავარი არქიტექტორი. გუშინ კულტურის მინისტრმა გადაწყვიტა, სასამართლოდან გამოიტანოს სარჩელი, რომელიც მერიის წინააღმდეგ არის აღძრული; მინისტრის აზრით, მათი ასეთი გადაწყვეტილება მერიას უბიძგებს, გააუქმოს საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი არქიტექტურული სამსახურის უკანონო დადგენილება; პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მერიის მიერ მენაშენეთათვის გაღებული კომპენსაციით. ამ გადაწყვეტილებას გუშინდელ სხდომაზე მერიის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ მათთვის, ექსპროპრიაციის გზით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, მისაღებია.

გუშინდელი სხდომა ასეთი შედეგებით დასრულდა. სესილი გოგიბერიძე, დაახლოებით, ორი კვირის ფარგლებში ვარაუდობს საგანგებო კომისიის ამუშავებას. აპრილის დასაწყისში კი "თორმეტკაცა" პრეზიდენტის წინაშე გარკვეული მოხსენებით წარდგება.

ვის დარჩება „ლაგუნა-ვერე"?

ყოფილი მაღალჩინოსანი სამართალდამცავები საკონტროლო პაკეტის მფლობელთა წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

სასამართლო დარბაზი განაჩენის მოლოდინში.

გიორგი ბასილაშვილის ფოტო

სააქციო საზოგადოება "ლაგუნა ვერეს" გარშემო კარგა ხნის წინ ატეხილი აჟიტაჟი დღემდე არ ჩამცხრალა. მხარეებს შორის "ლაგუნა ვერეს" საკონტროლო პაკეტის გამო ატეხილმა დავამ, ამჯერად, საოლქო სასამართლოში გადაინაცვლა. საქმის არსი კი მარტივად ასე შეიძლება გადმოიცეს: საქართველოში არსებული ტრადიციის მიხედვით, მაღალი თანამდებობების მქონე გავლენიანი პირები, პრესტიჟული ობიექტების ხელში ჩაგდებას სხვისი ხელით ცდილობენ. ამჯერად, მათ ინტერესთა სფეროში სპორტული საცურაო კომპლექსი "ლაგუნა-ვერე" მოექცა.

უკვე მეექვსე თვეა, "ლაგუნა ვერეში" პროკურატურის წარმომადგენლები სხედან და სააქციო საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობას სწავლობენ. არადა, იმავე პროკურატურას და უშიშროების სამინისტროს "ლაგუნა ვერეს" საქმიანობა კარგა ხნის წინ, თანაც, არაერთხელ აქვს შესწავლილი. "ლაგუნა ვერეში" ასევე შესული იყო ეკონომიკურ დივერსიასთან მებრძოლი ჯგუფიც. ერთი სიტყვით, პროკურატურა გულმოდგინებით იძიებს უკვე ასჯერ გამოძიებულს. თავის მხრივ, საქმეში ქონების მართვის სამინისტროცაა გარეული და "ლაგუნა ვერესგან" აქციების საკმაოდ სოლიდურ პროცენტს ითხოვს. "ლაგუნა-ვერეს" აქციონერები თავს დატრიალებულ ყველა უბედურებას უკავშირებენ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე, გენერალური პროკურატურის ახლანდელ თუ ყოფილ მაღალჩინოსნებს. მათი თქმით, ქალაქის ცენტრში მდებარე მსხვილი ობიექტის ხელში ჩაგდებით დაინტერესებული მაღალჩინოსნები "ლაგუნა ვერეს" აქციათა საკონტროლო პაკეტის მოპოვებით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი, თუმცა, საქმეში თითქმის არ ჩანან და მათ ინტერესებსა და მოთხოვნებს აქციათა მცირე რაოდენობის მფლობელი მათივე ახლობლები ახორციელებენ. ერთი მათგანია "ლაგუნა-ვერეს" აქციების 15 პროცენტის მფლობელი ალექსანდრე გურგენიძე – ტრანსპორტის პროკურორის ნუგზარ შოშიაშვილისა და მისი ძმის, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის თენგიზ შოშიაშვილის ახლო ნათესავი; მეორეა 17 პროცენტის მფლობელი ბადრი წილოსანი – ვაგონმშენებელი ქარხნის დირექტორი. **"ეს ერთი გუნდია, ჯართისა და ხე-ტყის ბიზნესში ჩართული"**, - ამბობენ "ლაგუნა-ვერეს" აქციონერები.

დავა მხარეებს შორის თითქმის სამი წელია მიმდინარეობს და "ლაგუნა ვერეს" აქციონერებმა, ამ ხნის მანძილზე, თითქმის ყველა ინსტანციას მიმართეს, ღია წერილი ქვეყნის პირველ პირსაც გაუგზავნეს და უსამართლო დავის შესახებ აცნობეს. ამ ყველაფრის შემდეგ, სააქციო საზოგადოება "ლაგუნა ვერეს" ხელში ჩაგდების მცდელობა კი არ განელებულა, პირიქით, უფრო გამძაფრდა. ამჯერად აქციონერებს ქონების მართვის სამინისტრო უჩივის, რომლის მიღმა "ლაგუნა ვერეს" ორი დირექტორი და 105-მდე აქციონერი სერიოზულ მაფიას ხედავენ.

"ქონების მართვის სამინისტროს "ლაგუნა ვერეს" აქციების მიმართ პირადი დაინტერესება არ გააჩნია. მის უკან უფრო სერიოზული ჯგუფები დგანან. სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტით კარგა ხნის წინ დაინტერესდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს ყოფილი ჩინოსნები - უშუალოდ ვახტანგ ქუთათელაძე და კახა თარგამაძე. "ლაგუნა ვერეს" მიმართ დიდი დაინტერესება გააჩნდა ანზორ ბალუაშვილს და კიდევ ბევრ სხვა მაღალჩინოსანსაც. ამ დავის უკან დღესაც იგივე ხალხი დგას; ოღონდ, ახლა არენაზე გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე გამოვიდა. ყველა და ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული და ერთ საერთო ინტერესს – თბილისის ცენტრში მდებარე ობიექტის მითვისებას ისახავს მიზნად", - განაცხადეს ჩვენთან საუბრისას "ლაგუნა ვერეს" დირექტორებმა ცისანა მჭედლიძემ და ვლადიმერ გოიაშვილმა, რომლებმაც გუშინდელ სასამართლო პროცესზე სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ტარიელ ზამბახიძის აცილება მოითხოვეს. მოსამართლის აცილების მიზეზად დასახელდა საქმის შედეგებით დაინტერესებულ პირებთან მოსამართლის წინასწარი შეხვედრები, ამიტომ მის მიუკერძოებლობაში ეჭვი შეიტანეს. მათ მოთხოვნას დაეთანხმა ადვოკატი ზვიად კორძაძე, რაც კატეგორიულად არ გაიზიარა ქონების მართვის სამინისტროს ინტერესების დამცველმა. **"საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ეჭვი რომ არ გაჩნდეს, ტარიელ ზამბახიძე აცილებულ იქნას საქმის განხილვისგან"**, - რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ ასეთი განჩინება გამოუტანეს კოლეგას საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეებმა. ამის შემდეგ საქმის განხილვა აღარ გაგრძელებულა. გუშინდელი სასამართლო სხდომის დაწყებამდე, საოლქო სასამართლოს ეზოში ჩატარდა ხანმოკლე გამაფრთხილებელი აქცია. "ლაგუნა ვერეს" ახალგაზრდა სპორტსმენთა ჯგუფმა, საოლქო სასამართლოს, ობიექტური გადაწყვეტილების მიღება მოსთხოვა.

რუსეთი ითხოვს, საქართველო არ ჩქარობს

ჩეჩენი პატიმრების ექსტრადირების ისტორია ჯერ არ დასრულებულა

სოფიკო ჩხაიძე

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენა აგვისტოში დაკავებული ჩეჩნების ექსტრადიციის აუცილებლობის შესახებ. გუშინ გავრცელებულ განცხადებაში, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციის განგებ გაჭიანურებაში ადანაშაულებს. განცხადებაში ნათქვამია: **"საქართველოს ამგვარი პოზიცია ნამდვილად არ ემსახურება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციას"**. რუსეთის ხელისუფლებას აღაშფოთებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესი, რომელზეც სამი ჩეჩენი პატიმრის ექსტრადიციის გადაწყვეტილების კანონიერება განიხილება, არაერთხელ გადაიდო, ახლა კი მისი გაგრძელების თარიღი საერთოდაც არ არის დადგენილი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციითაც, იმ სასამართლო პროცესის განახლების თარიღი, რომელიც რუსლან გელოგაევის, რუსტამ ელიხაჯიევის და ხუსეინ ალხანოვის ექსტრადიციის საკითხს განიხილავს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ჯერ არ დაუნიშნავთ; თუმცა, ამბობენ, რომ, საავარაუდოდ, განხილვა ორშაბათს გაგრძელდება. როგორც მოგეხსენებათ, ამ სამეულის ექსტრადირების გადაწყვეტილების მიღებას გენერალურმა პროკურატურამ გაცილებით ნაკლები დრო მოანდომა, ვიდრე სასამართლო ხელისუფლებამ ამ გადაწყვეტილების კანონიერების დადგენას. რაც შეეხება გენერალურ პროკურატურას, იქ, როგორც ჩანს, შეცდომებზე სწავლა დაიწყეს, ან აიძულეს- ამის პირველი ნიშანი მაშინ გამოჩნდა, როცა რუსეთ-საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის დაკავებული 13 ჩეჩნიდან (მოგვიანებით ორი მათგანი საქართველოს მოქალაქე ქისტი აღმოჩნდა) ხუთის მალულად ექსტრადირების გამო აჟიოტაჟი ატყდა და ამის შემდეგ სამი პატიმრის ადვოკატებს ექსტრადირების გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა მისცეს. ეს სწორედ ის საჩივარია, რომლის განხილვაც დროში ასე უსასრულოდ იწელება. დანარჩენების მსგავსად, საქართველოს ხელისუფლება მათაც საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთას ედავება. სხვების არ იყოს, მათაც საქართველოს სასამართლოსი უფრო ეიმედებათ, ვიდრე რუსი სამართალდამცველებისა და საქართველოში გასამართლებას ითხოვენ. თუმცა, რუსეთის მხარე კვლავაც დაჟინებით მოითხოვს ისაევის, ხანოევისა და უსმანოვის გადაცემას. როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მათი ექსტრადირების შესახებ მასალების შესწავლას გენერალურ პროკურატურაში მეტი მონდომებით უდგებიან, რათა გრძელი სასამართლო განხილვები თავიდან იქნას აცილებული. თავის დროზე რუსეთიდან ჩამოსული 700-გვერდიანი დასკვნა შეიცავდა ცამეტივე პატიმრის დანაშაულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას და მათი იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს. ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოში დაკავებულ ჩეჩნებს ბრალდებათ: რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეთა და სამართალდამცველთა სიცოცხლის ხელყოფა, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება-გადაზიდვა, ტერორისტული აქტებისა და ბანდიტური თავდასხმების ჩადენა.

საბოლოოდ, გენერალურ პროკურატურაში დაადგინეს, ორი მათგანი არც რუსეთის მოქალაქეა და არც ჩეჩენი, შემდეგ კი ეტაპობრივად რვა ჩეჩენის ექსტრადირების გადაწყვეტილებები გამოიტანეს. დარჩენილი სამის იდენტიფიკაციის დოკუმენტაციამ გენერალური პროკურატურა არ დააკმაყოფილა და რუსეთიდან დამატებითი მასალები მოითხოვა. ეს მასალები უკვე კარგა ხანია ჩამოსულია; თუმცა, პროკურატურის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაში მათი შესწავლა ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ. როგორც განყოფილების უფროსმა პაატა მსხილიძემ განაცხადა: **"სავარაუდოდ, მასალების შესწავლა მომავალ კვირას დასრულდება. ამ ეტაპზე არაფერს გამოვრიცხავთ - არც იმას, რომ სულაც უარი ვთქვათ მათ ექსტრადიციაზე და საქართველოში გავასამართლოთ. ხოლო თუ ექსტრადიციის გადაწყვეტილება მივიღეთ, ეს ისეთი მყარი და არგუმენტირებული ნაბიჯი იქნება, რომ სასამართლო ვერაფერში შეგვედავება"**.

მანამდე კი, პროკურატურამ იზრუნა და უზენაეს სასამართლოს ისაევის, ხანოევისა და უსმანოვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობით მიმართა. ამ უკანასკნელთ წინასწარი პატიმრობის ექვსთვიანი ვადა გუშინწინ ამოეწურათ. უზენაესმა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ჩეჩენ პატიმრებს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელა.

უზენაესმა სასამართლომ ხულოელ ყაჩაღს მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა

დანაშაულმა, რომელიც წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში მოხდა, თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. სოფლისთვის სრულიად უცნობმა ცხენოსანმა პოლიციის ორი თანამშრომელი ჩაცხრილა, რომელთაგან ერთი ადგილზევე გარდაიცვალა. წინასწარმა გამოძიებამ და უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული მკვლელობა გამოიძია და დამნაშავეს შესაბამისი პასუხი გასცა.

ბექა სისაური
ქუთაისიდან

2000 წლის 31 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის პოლიციის თანამშრომლები: კახა ბაბუნაშვილი და ლერი დოლაბერიძე სოფელ ფარცხანაყანების ტერიტორიაზე, პროფილაქტიკური შემოწმების მიზნით, შემოვლას აწარმოებდნენ, როდესაც მათ უცნობი ცხენოსანი დაინახეს. იმ პერიოდში ფარცხანაყანებში საქონლის ქურდობა ძალიან გახშირებული გახლდათ. უცნობს კი უნაგირზე ბაწარი ჰქონდა მიმაგრებული. ამიტომაც, პოლიციელებმა ცხენოსნის შემოწმება გადაწყვიტეს. თუმცა, უცნობი ცხენოსანი მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა და გაიქცა. პოლიციის თანამშრომლები გაქცეულს დაედევნენ. ცხენოსანმა კანონდამცველებს ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა.

"ავტომობილის კარი გავაღე და გადმოვედი, იარაღი მოვიმარჯვე, მაგრამ უკვე დაჭრილი ვიყავი და ხელი არ დამემორჩილა, ამიტომ ველარ ვისროლე, შემდეგ კი გონება დავკარგე და არაფერი მახსოვს,"- თქვა სასამართლო პროცესზე პოლიციელმა დოლაბერიძემ. მეორე პოლიციელი კახა ბაბუნაშვილი კი სროლის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის გასახსნელად წყალტუბოს პროკურატურაში საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მხოლოდ დამნაშავის ცხენი იპოვა. მუშაობის პროცესში წარმოიშვა ვერსია, რომ ცხენი მათ აუცილებლად გაიყვანდა პატრონის კვალზე. პირუტყვი გაუშვეს და გაჰყვნენ. ცხენი წყალტუბოს რაიონიდან ვანში ჩავიდა და სოფლების გავლით მთის საძოვრებისკენ გაეშურა. ერთ-ერთ სოფელში ცხენი სახერხთან შეჩერდა. გამომძიებელსაც პირველი ჩვენება სახერხის დარაჯმა მისცა. შემდეგ კი ინფორმაციები გზადაგზა იკრიბებოდა. ცხენოსნის შესახებ მთებში მწყემსებმა ამომწურავად ისაუბრეს. გამოძიებამ გაარკვია, რომ პოლიციელებზე თავდასხმა ხულოდან გადმოსულმა რემზი ბოლქვაძემ ჩაიდინა.

ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში მცხოვრები რემზი ბოლქვაძე რამდენჯერმეა ნასამართლევი. 1999 წელს ბოლქვაძე საგარეჯოს კოლონიიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა, რის შემდეგაც იგი ხულოში, საკუთარ ოჯახში დაბრუნდა. ვადაზე ადრე გათავისუფლებულ ბოლქვაძეს ხულოს რაიონის პოლიციის თანამშრომლები ეწვივნენ და აცნობეს, რომ ვალდებული იყო ყოველ ორშაბათს გამოცხადებულიყო რაიონის პოლიციის განყოფილებაში. პოლიციის მოთხოვნამ ბოლქვაძე გაანაწყენა და დაუკითხავად მოსულ სტუმრებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა. **"მათი მოკვლა შემეძლო, მაგრამ არ მინდოდა; დასაშინებლად ვისროლეო,"** - განაცხადა ბოლქვაძემ სასამართლო პროცესზე.

ამ შემთხვევამდე ბოლქვაძეს საკუთარ სახლთან თანასოფლელი სოსო ქამადაძე ჩაუსაფრდა და ესროლა. დაჭრილი ბოლქვაძე ჯერ საკუთარ სოფელში, ხოლო შემდეგ კი ხონში, ძმასთან მკურნალობდა. გარკვეული დროის შემდეგ ბოლქვაძე ისევ თხილვანაში დაბრუნდა. მას ხონიდან ძველი ნაცნობი ალიკა ზალატუხინი წამოჰყვა. ისინი ხულოს რაიონში გლეხების დაყაჩაღებასა და ქამადაძეზე შურისძიებას აპირებდნენ, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს წყალტუბოში მომხდარი ინციდენტის გამო; რის შემდეგაც ბოლქვაძემ სოფლიდან წასვლა და დამალვა გადაწყვიტა. კარგად შეიარაღებული ზალატუხინი და ბოლქვაძე თავდაპირველად ტყეში იმალებოდნენ. შემდეგ კი სიცივისგან შეწუხებულებმა საძოვრებზე მყოფ ხელვაჩაურელ მწყემსს ცხენი მოჰპარეს და ვანის მთების გავლით ხონისკენ წამოვიდნენ.

დანაშაულის ჩადენიდან 2 კვირაში, წყალტუბოს პოლიციამ, რემზი ბოლქვაძე ყუმურის მთის საძოვრებზე დააკავა. 2002 წლის ბოლოს კი იგი სასამართლოს წინაშე წარდგა. პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ნინო ჟღენტმა რემზი ბოლქვაძე რამდენიმე სხვა დანაშაულის ჩადენაშიც დაადანაშაულა და მისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ლენგო ბოჭორიშვილმა პროკურორის მოთხოვნა სამართლიანად სცნო და რემზი ბოლქვაძეს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი სასჯელის ნაწილს საპყრობილეში, ე.წ. "კრიტში" მოიხდის, ნაწილს კი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

მოსკოვში ბირთვული უსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი მოკლეს

მოსკოვში მოკლეს, ატომური ენერგიის სამინისტროსთან არსებული, ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო ცენტრის გენერალური დირექტორი სერგეი ბუგაენკო. მოსკოვის პოლიციის ინფორმაციით, 68 წლის ბუგაენკოს გვამი თავის ქალის ტრავმით აღმოაჩინეს დილით, ლენინის პროსპექტზე მდებარე სახლის სადარბაზოში. შემთხვევის ადგილის სიახლოვეს ორი ძალაყინი აღმოაჩინეს. მილიცია ფიქრობს, რომ სწორედ ეს იყო მკვლელობის იარაღი. გამოძიება მომხდარის ორ ვერსიას განიხილავს.

ერთ-ერთი ვერსიით, ეს შეკვეთილი მკვლელობაა და ბუგაენკოს პროფესიულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მეორეს თანახმად კი, შინ დაბრუნებული ბუგაენკო ბინის კართან ქურდებს წაანყდა, რომლებმაც იგი მოკლეს. ბირთვული უსაფრთხოების ცენტრში, შეკვეთილ მკვლელობას, გამორიცხავენ: "ამას აზრი არ ჰქონდა", - ამბობენ ისინი. სერგეი ბუგაენკო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო, ცენტრს დაარსებიდან – 1996 წლიდან ხელმძღვანელობდა და მხოლოდ მეცნიერული კვლევებით იყო დაკავებული. მას კომერციულ საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ბირთვული უსაფრთხოების ცენტრი 1996წელს, ვაშინგტონში ხელმოწერილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე შეიქმნა. ცენტრი, რომელსაც ბუგაენკო ხელმძღვანელობდა, კვლევითი, ექსპერიმენტული და საპროექტო სამუშაოების შესრულებით არის დაკავებული. მისი მუშაობა მთლიანად ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენაა მიმართული. ცენტრი მუშაობს: ბირთვული ობიექტების უსაფრთხოების ზომების შესახებ მონაცემების ბაზის შექმნაზე, ბირთვული დანადგარების უსაფრთხოების ზომების გაძლიერებაზე; ბირთვული დანადგარების უსაფრთხოების საკითხებში შეთანხმებული პოლიტიკის გასატარებლად რუსეთის ატომური ენერგეტიკისა და ამერიკის ენერგეტიკის სამინისტროებისთვის ხელშეწყობაზე.

მილიციელების მკვლელი დააკავეს

ორი მილიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილის - მიხეილ მანაშეროვის - თბილისური წარმომავლობის აღნიშვნა რუსეთის სამართალდამცველ ორგანოებსა და მასმედიას არ დავიწყებიათ; სამაგიეროდ, მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ მიხეილ მანაშეროვი უკვე კარგა ხანია რუსეთის მოქალაქეა. მეტიც, თავის დროზე იგი ერთ-ერთ სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა. მანაშეროვი ოთხდღიანი ძებნის შემდეგ დააკავეს ნიჟნი ნოვგოროდში. საამისოდ ადგილობრივ მილიციას სპეცოპერაციის ჩატარება მოუხდა. მილიციით გარშემორტყმული სახლიდან გამოსვლისას მანაშეროვმა სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა. საპასუხო სროლისას ის მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მოათავსეს.

მანაშეროვს ბრალდება მილიციის ორი თანამშრომლის მკვლელობა და ერთის მძიმედ დაჭრა. მან მილიციელებს ცეცხლი მაშინ გაუხსნა, როცა ისინი მასთან სახლში მივიდნენ, რათა ოპერატიული ინფორმაცია გადაემოწმებინათ. მილიციის ინფორმაციის თანახმად, მანაშეროვი უცხოური მანქანების გატაცება-გასაღების ბიზნესში იყო ჩართული. გადარჩენილი მილიციელის თქმით, ბოროტმოქმედისთვის საპასუხო ცეცხლის გახსნას მოერიდნენ, რადგან მანაშეროვთან ერთად იყვნენ მისი ცოლი და მცირეწლოვანი ბავშვი.

ნატო-ს ექსპერტი ლათინოამერიკულ ნარკომაფიასთან თანამშრომლობდა

ნატო-ს აპარატის თანამშრომელი, ნიდერლანდების მოქალაქე იან-ვილემი ბელგიის პოლიციამ დააპატიმრა და ჰოლანდიას გადასცა. იგი ბრალდებულია სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, როცა ლათინოამერიკულ ნარკომაფიას შავი ფულის – 200 მილიონი დოლარის გათეთრებაში დაეხმარა.

ბრიუსელის ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, ნატო-ს ექსპერტი, ნატო-ს სახელით ევროპის ბანკებში აწარმოებდა მსხვილი თანხების გადარიცხვას, საიდანაც თანხას უკვე ლეგალური სახით იბარებდნენ ნარკომაფიოზები. იან-ვილემს სამართალდამცველებმა პარტნიორებთან - ნარკომაფიის ბოსებთან სატელეფონო საუბრების მოსმენის შემდეგ "ჩაავლეს". ბელგიის პოლიციამ ბრალდებულის ბინა გაჩხრიკა, სადაც სხვა მტკიცებულებებსაც მიაგნო. ნატო-ს გენერალური მდივნის თანხმობით, ბრიუსელელმა სამართალდამცველებმა გაჩხრიკეს დაპატიმრებულის სამუშაო ოთახი ალიანსის შტაბ-ბინაში.

რუსეთში პატიმრები დაითვალეს

რუსეთის საპატიმროებში ჩატარებული აღრიცხვის შემდეგ დადგინდა, რომ დღეისთვის რუსეთში 877 ათასი ტუსაღია.

რუსეთის სასჯელაღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსის ვლადიმირ იალუნინის განცხადებით, ჩატარებულმა მორიგმა ინსპექტირებამ ცხადყო, რომ რუსეთის საპატიმროები ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდნენ და სატუსაღოებში ადამიანის უფლებების დაცვაც ევროპული წესების შესაბამისად მიმდინარეობს. მისი ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დანაშაულის რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ასევე შემცირებულია ციხიდან გაქცევის ფაქტებიც.

მოკლედ

თბილისი. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ალა ავიძბა კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 2001 წლის შემოდგომაზე კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების დროს დატყვევებულ ქართველ მებრძოლს გერვასი ჯოლოგუას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

"გარწმუნებთ, აფხაზეთის სასამართლო ორგანოებს სასიკვდილო განაჩენი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არავისთვის გამოუტანია," - განაცხადა ალა ავიძბამ, რომლის მტკიცებით, აფხაზეთს, სხვა ქვეყნების მსგავსად, არაოფიციალური მორატორიუმი აქვს გამოცხადებული სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე.

"აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაზუსტებულ მონაცემებს არ ვფლობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასიკვდილო განაჩენი გამოტანილია, მას არავინ აღასრულებს," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ოტო შილი 4 მარტს თბილისს ეწვევა.

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ოტო შილი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება და საქართველოს საზღვრის დაცვის შესახებ გერმანიის საზღვრის დაცვის ფედერალური უწყების მიერ მომზადებულ შეფასებით მოხსენებას გადასცემს.

ოტო შილი ასევე შეხვდება საქართველოს შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილს და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძეს.

შეხვედრებზე განხილვის თემები იქნება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, არალეგალური მიგრაცია და საზღვრის დაცვის უწყებებს შორის ტრადიციული თანამშრომლობის გაგრძელება. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გუშინ, საბურთალოს რაიონში, გოთუას ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზში იპოვეს 49 წლის გია კესელავას გვამი. იმავე დღეს, ცოტნე დადიანის ქუჩის 313-ე სახლის სადარბაზოში აღმოაჩინეს უცნობი მამაკაცის გვამი. მამაკაცი, სავარაუდოდ, 40-50 წლის იქნებოდა. გუშინ პოლიციამ მესამე გვამი ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე იპოვა. გარდაცვლილი სტეფანე მარტიროსიანი, სავარაუდოდ, 50 წლის იყო.

წლის დასაწყისიდან თბილისში გვამების აღმოჩენის ეს უკვე მეექვსე შემთხვევაა, თუმცა ქალაქის პროკურატურაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ, ვინაიდან არც ერთ გვამს ძალადობის კვალი არ აღენიშნება და გარდაცვლილები სხვადასხვა მიზეზის გამო დაიღუპნენ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში 2000-მდე კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვაში ეჭვმიტანილი, 44 წლის დენიზა სხულუხია.

შს სამინისტროს ცნობით, სხულუხიამ სახელმწიფო ბიუჯეტს 1500 ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა. მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას აწარმოებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტი. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. „ეროვნული შერიგების პროცესი მხოლოდ ე.წ. ზვიადისტი პატიმრების გათავისუფლებით შემოიფარგლა. არადა, შეღავათი უნდა გაეწიოს მეორე მხარეს მდგომ ადამიანებსაც", – აცხადებს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი.

მისი თქმით, მეომარ პატიმართა გათავისუფლების იდეა სახალხო დამცველის აპარატში წარმოიშვა, თუმცა ყველა მათგანის შეწყალება, ამ პროცედურის სირთულის გამო, არ მოხერხდა.

ნანა დევდარიანის თქმით, ამ საკითხზე თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარლამენტარი გია ყარყარაშვილი მუშაობს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართავს მოთხოვნით, რომ დაისაჯონ მარტვილის რაიონის პოლიციის უფროსი ჩალიგავა და სამხარეო კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი ჯაიანი.

დევდარიანის ინფორმაციით, 7 თებერვალს პოლიციელებმა, ჩვენების გამოძალვის მიზნით, მარტვილელი მერაბ ზაქარაია სცემეს. პატიმარი ქუთაისის მე-2 საპყრობილეში სახალხო დამცველის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში ქეთევან კანდელაკმა მოინახულა, რომელმაც მის ცემაში მონაწილე პოლიციელთა გვარები დაასახელა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ჰააგის სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურის გასარკვევად, ქართული დელეგაცია, ჰოლანდიაში 4 მარტს გაემგზავრება. ქართული მხარე აპირებს, ჰაადის სასამართლოს, აფხაზეთში ქართველთა გენოციდის ფაქტზე სარჩელით მიმართოს.

დელეგაციის წევრები სასამართლოს კანცელარიაში გამართავენ შეხვედრებს, სადაც სარჩელის შედგენის ფორმას დააზუსტებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანის ყაჩაღობისთვის დააკავეს თბილისელი, 22 წლის ზვიად ღარიბაშვილი და 30 წლის მცხეთელი კობა რაზმაძე.

ქალაქის პოლიციის სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, ყაჩაღები ერისთავის ქუჩაზე თავს დაესხნენ რომან ავეტისიანს, რომელსაც დანის მუქარით ართმევდნენ ავტომანქანას. **მედია-ნიუსი.**

საომარი და სამშვიდობო დიპლომატია

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

დღეს საერთაშორისო დიპლომატიის საჭადრაკო დაფაზე გამართული თამაში სულ უფრო ემსგავსება ისეთ ბლიც ტურნირს, როცა მოთამაშეებს წამებიღა რჩებათ. სათამაშო დრო, შეიძლება, უცებ ამოიწუროს, ერაყში ომის დაწყების მანიშნებელი აღმოჩნდეს და გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ამ დიპლომატიური "ბლიც ტურნირის" დაძაბულ ხასიათს მოვლენათა უბრალო ქრონიკაც ცხადყოფს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, კოლინ პაუელი პეკინში პრეზიდენტ ძიან ძემინსა და მის მემკვიდრეს, ხუ ჩჟინ ტაოს არწმუნებს, არ გამოიყენონ ვეტო უშიშროების საბჭოში ახალი ამერიკულ რეზოლუციის კენჭისყრისას, რომლის თანასპონსორებადაც ინგლისი და ესპანეთი გვევლინებიან. პრეზიდენტი ბუში ტექსასში, რანჩო კროუფორდზე იწვევს თავის ერთგულ მოკავშირეს, ესპანეთის პრემიერ-მინისტრ აზიარს და სთხოვს მას, "გავლენა მოახდინოს" გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ ესპანურენოვან ქვეყნებზე. ვაშინგტონს კიდევ ერთი ერთგული მოკავშირე ეგულება – ბულგარეთის ტახტის მემკვიდრე და პრემიერ-მინისტრი, სიმეონ საქსე-კობურგი. ბაღდადში ამჯერად პრეზიდენტ პუტინის დავალებით ჩასული რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი, რომელიც სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს საბჭოთა პრეზიდენტის, გორბაჩოვის დავალებას ასრულებდა, თავის პირად მეგობარს, სადამ ჰუსეინს, ომის თავიდან აცილების მიზნით, განიარაღების აუცილებლობაზე "ეჩიჩინება."

ბერლინში, გერმანიის კანცლერი შრიოდერი და საფრანგეთის პრეზიდენტი შირაკი ვაშინგტონის რეზოლუციის წინააღმდეგ გამოდიან, ეს უკანასკნელი კი საფრანგეთის მხრიდან შესაძლო ვეტოზეც მიანიშნებს. სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, ბოლტონს, სასწრაფოდ მოსკოვში რომ გაემგზავრა, იგივე მისია ჰქონდა დაკისრებული, რაც მისსავე შეფს – პეკინში. ანკარის მთავრობამ ამერიკული ჯარისთვის თურქეთის ტერიტორიის დათმობა გადაწყვიტა. მოკლედ, საერთაშორისო დიპლომატიის საჭადრაკო დაფას ფიგურები ნამდვილად არ აკლია. ამ დაფაზე მათი გადაადგილების ტემპიც სწორედ ბლიც-ტურნირის შესაფერისია, სადებიუტო სვლები კი განსხვავებულია: ზოგი საომარია, ზოგი – სამშვიდობო. ერთ-ერთი ასეთი ახალი საომარი დებიუტი - ვაშინგტონის 24 თებერვლის რეზოლუცია - ბუშის სიტყვებით თუ ვიტყვით, "ბრიტების ხათრით" გათამაშდა – ანუ ინგლისის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის "ხათრით", რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის მეაბჯრედ იქცა. ბუშმა "გაუგო" თავის ერთგულ მეაბჯრეს, რომელსაც ინგლისის საზოგადოებრიობაც აუმხედრდა და თავისივე ლეიბორისტული პარტიაც. რეზოლუციაც გაერო-ში, ფორმალურად, ამერიკელმა წარმომადგენელმა კი არა, ინგლისელმა - სერ ჯერემი გრინსტოკმა შეიტანა.

ამ რეზოლუციის შინაარსი კი ისაა, რომ, რადგან ჰუსეინმა განიარაღების უკანასკნელი შესაძლებლობა არ გამოიყენა, განიარაღებას არ აპირებს და გაერო-ს ატყუებს, ამიტომაც.... ამის შემდეგ რეზოლუციის შინაარსი ბუნდოვანდება და, ინგლისურ ყაიდაზე გარედაქტირების გამო, მასში არც დროის ულტიმატუმი ჩანს და აღარც ომის მუქარა. ბუში მზადაა, უშიშროების საბჭოსგან "კურთხევის" მიუღებლადაც იომოს, ბლერს კი სწორედ საბჭოსგან სურს მხარდაჭერის მიღება. ამის გამო, ბლერს ენტონი იდენს ადარებენ, ზოგჯერ – ჩერჩილსაც კი, რომლებიც მიუნხენელი ჩემბერლენისგან განსხვავებით, ჰიტლერს დაუპირისპირდნენ, აი შირაკი კი ფრანგი პრემიერის, მიუნხენელი დალოდის სახელით მონათლეს. ვაშინგტონშიც, პარიზ-ბერლინის შეთანხმებას უფრო ხშირად მოიხსენიებენ ბოროტების სათავედ, ვიდრე ჩრდილო კორეა-ერაყი-ირანის ერთობას. საბოლოოდ, ამ ისტორიული პარალელების გავლენით, გაერო ეროვნებათა ლიგა გახდა, სადამი კი – ჰიტლერი.

ამერიკულ-ინგლისურ-ესპანური რეზოლუციის საპირისპიროდ, რუსეთმა და გერმანიამ, ჩინეთის მხარდაჭერით, რეზოლუცია კი არა, მემორანდუმი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ომის დაჩქარება არ ღირს, და ინსპექტორებს დამატებითი დრო უნდა მიეცეთ სამუშაოს დასასრულებლად. მემორანდუმში კონკრეტული ვადაც მითითებულია – 4 თვე. მაგრამ, ვაშინგტონი ამდენ ხანს ლოდინს არ აპირებს. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენლები ამბობენ, ვაშინგტონი მოიცდის მხოლოდ 7 მარტამდე, როცა მთავარი ინსპექტორები უშიშროების საბჭოს მოახსენებენ ჩატარებული სამუშაოს შესახებ. შემდეგ ვაშინგტონი კენჭს უყრის თავის ახალ რეზოლუციას და, განურჩევლად იმისა, დაამტკიცებენ თუ არა მას, ერაყში შეიჭრება. თეთრი სახლი ოთხი თვე დაყოვნებას არ აპირებს, რადგან ზაფხულობით ერაყში ჯოჯოხეთური სიცხე იჭერს და ომი უკიდურესად გაძნელდება, მით უმეტეს, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს ბაქტერიული და ქიმიური იარაღისგან დამცავი ტანსამოსი უნდა ეცვათ. მანამდე წინ კიდევ ერთი თარიღია – 1 მარტი. ამ დღისთვის ერაყმა, მთავარი ინსპექტორის, ჰაინს ბლიქსის მოთხოვნით, "ალ სამოუდ-2"-ის სახელწოდებით ცნობილი, მცირე მოქმედების რადიუსის მქონე, 100-120 რაკეტა უნდა გაანადგუროს.

ბლიქსის მტკიცებით, მათი რადიუსი გაერო-ს რეზოლუციებით დაშვებულ მანძილს –150 კილომეტრს აღემატება. ბაღდადი კი ირწმუნება, რომ ხსენებულ დადგენილებას არ არღვევს. ერაყმა პროპაგანდის მოქნილ ხერხს მიმართა და ბაღდადში განიარაღების სამხრეთაფრიკელი ექსპერტები მიიწვია (ამერიკელებს ერაყთან ხომ სულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მოჰყავთ მაგალითად). საკითხავი ისაა, დააკმაყოფილებს თუ არა ვაშინგტონს ამ რაკეტების განადგურება? ალბათ – არა. ტექსასში რანჩო კროუფორდზე სიტყვით გამოსვლისას ბუშმა, მისივე "ლოგიკით", დიდებული არგუმენტი მოიხმო: " თუ სადამი ამ რაკეტებს გაანადგურებს, ესე იგი, კიდევ ბევრი იარაღი აქვს"... ასე რომ, რაც უნდა მოიმოქმედოს ერაყმა განიარაღების სფეროში, მით მეტად გააცხარებს ვაშინგტონს, რომელიც ისედაც სულ მიზეზის ძიებაშია. და ბოლოს, ორშაბათს სენსაციური მოვლენა მოხდა – სადამ ჰუსეინმა პირველად მისცა ინტერვიუ ამერიკელ ჟურნალისტს. ტელეარხი სი-ბი-ეს-ის ახალი ამბების განყოფილების მთავარ კორესპონდენტს, მხცოვან ჟურნალისტს, დეი რაზიფს მოულოდნელად გაუმართლა – ინტერვიუმ (თარგმანის თანხლებით) სამ საათს გასტანა. ამ ინტერვიუში ჰუსეინმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბუშს ტელე და რადიოდებატებში იწვევს. "ყველაფერი თქვას, რისი თქმაც უნდა და მეც ჩემსას ვიტყვი. ისარგებლოს ამ შემთხვევით და დაუმტკიცოს მსოფლიოს ერაყთან ომის აუცილებლობა", - თქვა მან. გაოგნებული დეი რაზერი ერაყელ დიქტატორს ეკითხებოდა, - ხომ არ ხუმრობთო? "ომი რა სახუმაროა, მე სერიოზულად ვამბობ,"- უპასუხა ჰუსეინმა. თეთრმა სახლმა სადამის გამოწვევა აღშფოთებით უარყო: " ჩვენ მისგან დებატებს კი არა, განიარაღებას ველით," - განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა, არი ფლეიშერმა. დიპლომატიური ბლიც ტურნირის საათის ისარი სულ უფრო უახლოვდება საომარ ზღვარს. უოლ-სტრიტზე აქციების ფასი დაეცა... ბენზინი გაძვირდა.

REUTERS

კოლინ პაუელი, კონდოლიზა რაისი და დონალდ რამსფელდი.

REUTERS

ხოსე-მარია აზნარი და ტონი ბლერი.

ომი გარდაუვალია, გადავარჩინოთ საერთაშორისო იმიჯი

მოსკოვი დილემის წინაშე

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

"ჩვენ თვალწინ იბადება ახალი ევროპა, რომელიც ძველებურად აღარ იქნება დამოკიდებული აშშ-ს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე," - განაცხადა აშშ-ს და კანადის ინსტიტუტის დირექტორმა **სერგეი როგოვმა**. იგი მიიჩნევს, რომ მოვლენათა განვითარების ასეთ ლოგიკაში რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა განსაზღვროს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები. ვის მხარდამხარ ივლის რუსეთი ერაყში არსებული რეჟიმის შეცვლის შემდეგ და ხომ არ აღმოჩნდება რუსეთის ეკონომიკა საგალალო მდგომარეობაში? - აი, ის აქტუალური შეკითხვები, რასაც დღეს აყენებენ რუსეთის საერთაშორისო ინსტიტუტები.

რუსი ანალიტიკოსები აფიქსირებენ იმ სამწუხარო ფაქტსაც, რომ გეოპოლიტიკური ინტერესების დაახლოების და ანტიტერორისტულ კოალიციაში პარტნიორობის მიუხედავად, მოსკოვ-ვაშინგტონს შორის მაინც შენარჩუნებულია ცივი ომის მდგომარეობა. რუსეთი, ამ მიზეზით, ერთგვარი დილემის წინაშეც აღმოჩნდა - რუსეთის მიერ გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციების გაზიარების გამო, ხომ არ აამოქმედებს ვაშინგტონი მოსკოვის საწინააღმდეგო რაიმე გეგმას? რუსი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ერაყის დაბომბვების პარალელურად რუსეთმა უნდა იფიქროს საკუთარ თავზე - რაც შეიძლება მინიმალური დანაკარგებით აღიდგინოს ამერიკის თვალში მცირე ხნით შებღალული ავტორიტეტი. თუმცა, რუსი ექსპერტები თავს იმითიც იიმედებენ, რომ რუსეთი აშშ-ს მხრიდან შურისძიებას არ უნდა ელოდოს, მაგრამ მან მაინც თავისი, დამოუკიდებელი სიტყვა უნდა თქვას ერაყის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში. სწორედ ამ მიზნით იმყოფება ამ დღეებში ვაშინგტონში კრემლის ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრ ვოლოშინი, რომელიც ერთგვარად სახელმწიფო მდივნის მისიასაც ასრულებს. ამაზე წერს რუსული პრესაც.

პარალელურად, გასულ კვირას პრეზიდენტ პუტინთან კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ, ბაღდადში გაფრინდა ევგენი პრიმაკოვი - აღმოსავლეთის საკითხებში კრემლის ავტორიტეტული ექსპერტი და სადამ ჰუსეინის პირადი მეგობარი. მოსკოველი პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ რაიმე კონკრეტული მიზანი პრიმაკოვის ბაღდადში ვიზიტს არ ჰქონია. იგი უფრო დაზვერვით ხასიათს ატარებდა. მოსკოვში დაბრუნებული პრიმაკოვი ჟურნალისტებთან შეხვედრას გაურბის. როგორც ამბობენ, მან ბაღდადში რუსეთის პრეზიდენტის მიმართვა ჩაიტანა. როგორც ჩანს, პრიმაკოვმა ჰუსეინს ურჩია, ომის თავიდან ასაცილებლად, გაერო-ს ინსპექტორებთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს.

სერგეი როგოვი

გლებ პავლოვსკი

ანდრეი ნიკოლაევი

ალექსეი არბატოვი

როგორც ჩანს, რუსული საგარეო დიპლომატია მძიმე მდგომარეობაშია. **"ომის თავიდან აცილება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ გადავარჩინოთ ჩვენი საერთაშორისო იმიჯი,"**- ამბობს ფონდ "ეფექტური პოლიტიკის" პრეზიდენტი პოლიტტექნოლოგი გლებ პავლოვსკი.

რუსეთის პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ანდრეი ნიკოლაევი** აცხადებს, რომ **"მოსკოვი მხარს ვერ დაუჭერს ერაყში სამხედრო ძალის გამოყენებას. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ამ გზით გაწირავს დღემდე სტრატეგიულ პარტნიორად მიჩნეულ ერაყის ხელმძვანელობას. ცნობილია ერაყში რუსეთის ნავთობკომპანიების დიდი ეკონომიკური ინტერესებიც. ამას გარდა, ბაღდადის დაბომბვის მხარდაჭერას არასათანადოდ შეაფასებს რუსი ამომრჩეველიც,"** - ამბობს გენერალი. ნიკოლაევის მოადგილე პარლამენტარი **ალექსეი არბატოვი** კი მიიჩნევს, რომ, თუკი რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოში ერაყში სამხედრო ოპერაციების წარმოებაზე ვეტოს უფლებას გამოიყენებს, მოსკოვ-ვაშინგტონს შორის საბოლოოოდ გაფუჭდება ურთიერთობა, რისი დაშვებაც, პარლამენტარის აზრით, არ შეიძლება.

რუსი ექსპერტები იმედოვნებენ, რომ პუტინის ადმინისტრაციის უფროსის ალექსანდრ ვოლოშინის ვაშინგტონში ვიზიტი ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს. ამასობაში კი მოკოვის დამოუკიდებელი ექსპერტები და ნაწილობრივ რუსული პრესაც საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობენ ერთ საყურადღებო დეტალს, რომ საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელი ქმედებებით ვლადიმირ პუტინი კრემლის ოჯახის გავლენის სფეროდან გამოდის და დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას ცდილობს. ექსპერტთა აზრით, ეს შეიძლება სახიფათო თამაშიც აღმოჩნდეს. რუსეთში სხვადასხვა დონეებზე რამდენჯერმე უკვე გაიჟღერა პუტინის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ტერორისტული აქტების აღკვეთის თემამ. ცნობილი ფაქტია, რომ დღეს რუსეთის უმაღლეს მხედართმთავარს საკუთარი გასამხედროებული სტრუქტურები გეოპოლიტიკურ საკითხებში არ ეთანხმებიან. გენერალიტეტის ავტორიტეტული შემადგენლობა პრეზიდენტით უკმაყოფილოა და ეს უკმაყოფილება, პირველ რიგში, სასიცოცხლო რეგიონებში რუსეთის გავლენის შესუსტებითაა გამოწვეული.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

მაშინ ჩვენ ბეწვზე გადავრჩით

2001 წლის პანკისის მოვლენების შესახებ ჩვენი გაზეთის გახმაურებული პუბლიკაციის შემდეგ, ხელისუფლების სამხრეებიან თუ სამოქალაქო მაღალ ეშელონებში საბჭოთა, ნაცადი მეთოდის ამუშავება სცადეს - პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ფაქტები და ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაული ბელეტრისტიკად მოენათლათ. თუმცა, ფაქტების არგუმენტირებული უარყოფა ფარულ მოლაპარაკებებში მხილებული შესაბამისი სტრუქტურების არც მაშინდელმა და არც ამჟამინდელმა წარმომადგენლებმა ისურვეს.
ნომრის დღევანდელი პერსონა, გია ბარამიძე, მაშინ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. საიდუმლო ოპერაციის შესახებ მან და საკანონმდებლო ორგანოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ზუსტად იმდენი იცოდნენ, რამდენიც დღეს.

გია ბარამიძე

მაია ჭალაგანიძე

- ახლა რა იცით, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან.

- ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში მომხდარი ამგვარი ტიპის საქმეებიდან ეს ყველაზე უფრო რთული იყო. ამიტომ, კომენტარი განსაკუთრებით ჭირს. პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ თემა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტსა და იმიჯს ეხება. რუსეთს საშუალება მიეცა, საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა ეს ოპერაცია; გარდა ამისა, ეს აფხაზეთის საკითხსაც ეხება. ამ ოპერაციის შესახებ დღეს ჩვენ იმდენივე ვიცით, რამდენიც მაშინ და ისიც, მხოლოდ ჩვენს მიერ მოპოვებული სხვადასხვა ოპერატიული წყაროების საფუძველზე. მეორეს მხრივ, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ეს საქართველოს სამხედრო უწყებების მიერ დაგეგმილი ოპერაცია იყო. საამისოდ არანაირი დოკუმენტები არ არსებობს.

საქართველოს ხელისუფლება არ უარყოფს, რომ პანკისის ხეობაში მართლაც იყო ის ვითარება, რაც თქვენი გაზეთის პუბლიკაციაში აღინერა. ისინი უარყოფენ იმას, რომ ეს მოხდა არა მხოლოდ უმაღლესი რანგის ხელისუფალთა ინფორმირების პირობებში, არამედ - მათი ხელშეწყობითაც. ამის დამადასტურებელი მასალები ან არ არსებობს, ან არსებობს იმ უწყებებში, სადაც ხელი არ მიგვიწვდება.

საუბარი იმ მასალებზე, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ცოტა რთულია. ჩვენ მართლაც ვართ დაინტერესებული იმაში, რომ ყველაფერი გამჟღავნდეს და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ოპერაციაში მონაწილე ყველა პირს თავისი წილი პასუხისმგებლობა დაეკისროს. მაგრამ, მორეს მხრივ - თუ ეს გარკვეულ შედეგს არ მოგვცემს, ამ პროცესმა შეიძლება, ქვეყანას კვლავ მიაყენოს ზიანი. ამიტომ, ფაქტის კომენტირებისას, რთულ სიტუაციაში ვართ - ერთის მხრივ, გვაქვს დიდი სურვილი, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს და მეორეს მხრივ, არ გვსურს, უნებლიეთ გავხდეთ ჩვენი ქვეყნის საზიანო ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტი.

ერთის თქმა კი ნამდვილად შეიძლება - ამ ყველაფრიდან მოიგო რუსეთმა.

- პანკისი იმ დროს დიდი ფულის საკეთებელი ადგილი იყო. ამ ფულით, ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც იკვებებოდნენ და სწორედ ამიტომაც არ ხერხდებოდა პანკისის პრობლემის მთლიანად მოგვარება. ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ მთელი რიგი ოპერაციები ღალატის გამო ვერ მიიყვანეს ბოლომდე. ალბათ, დღესაც არის ამის საშიშროება. შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში პრობლემის მოგვარების სახელმწიფო ნება გამოჩნდეს?

- როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იღებდნენ, ეს არაკომპეტენტურობითა და უნებლიე შეცდომით არ მოსდიოდათ. ისინი რუსეთის სპეცსამსახურების მითითებით მოქმედებდნენ. ამის განცხადების საფუძველი გვაქვს. თუმცა, სამწუხაროდ, უტყუარი მტკიცებულებები არ არსებობს. ჩვენ მხოლოდ ანალიზის საშუალება გვაქვს. ფაქტი სახეზეა - რუსეთი დაინტერესებული იყო დესტაბილიზაციით და შეძლო ამ ვითარების საქართველოს წინააღმდეგ შემოტრიალება.

რაც შეეხება, სახელმწიფო ნებას. უმაღლესი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, დარწმუნებული ვარ, მართლაც სურს ამ პრობლემის მოგვარება. მაგრამ, ეს სურვილი არ ეთანხმება მათ სხვა სურვილებს, რომ დარჩნენ ხელისუფლებაში, მუდმივად ჰქონდეთ გავლენა და ძალაუფლება, ფინანსური ბერკეტები, რომ მათ ახლობლებსა და ნათესავებს პრობლემები არ შეექმნათ და ა.შ. ეს ერთი სურვილი მეორეს ებრძვის და, სამწუხაროდ, ხშირად ეს მეორე სურვილი სძლევს პირველს.

- ჩვენი პუბლიკაციის მერე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში შეეცადენ მასში ასახული ფაქტების გაუბრალოებასა და პრესის (ამ შემთხვევაში ჩვენი) რუსეთის ინტერესების მსახურებაში დადანაშაულებას. ამას სუკ-ის გამოცდილი ოფიცრები შეეცადნენ და მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტები გახმაურდა. რა მოვლენაა ეს?

- რა თქმა უნდა, ძველი მენტალიტეტი. იმჟამინდელი აზროვნება, როდესაც სახაროვს, გამსახურდიას, კოსტავას - ქვეყნის ღალატს მხოლოდ იმიტომ აბრალებდნენ, რომ ისინი ხმამაღლა საუბრობდნენ იმაზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა. დღესაც იგივე ვითარებაა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, პრესა იატაკქვეშეთში აღარ არის და ყველაფერი ლეგალურია. ამის მიღმა ჩანს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების უსუსურობა, რომ მათ სახელმწიფო საიდუმლო ოპერაციების საიდუმლოდ შენახვა და ხელისუფლებაში მყოფი ქვეყნისთვის საზიანო პიროვნებების გამოაშკარავება არ შეუძლიათ.

- თქვენი აზრით, ამგვარი ადამიანები რის სანაცვლოდ სჩადიან საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებს?

- მათი პატრონების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ეს არის ფული, კეთილდღეობა და ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი.

- როგორ ფიქრობთ, რომ არ ჩაშლილიყო „გელაევის რაზმის საშუალებით აფხაზეთის დაბრუნების ოპერაცია“ და მართლაც გადასულიყვნენ ჩეჩნები აფხაზეთში საომრად, რა მოჰყვებოდა ამას?

- სამწუხაროდ, ამ ოპერაციას აფხაზეთის დაბრუნება არ მოჰყვებოდა. ეს გამოიწვევდა კონფლიქტის ხელახალ გაჩაღებას და რუსეთი ამაში საქართველოს ტერიტორიებსაც ჩაითრევდა. მაშინ ბეწვზე ეკიდა კოდორის ხეობის ბედი. რუსეთს მთელი მსოფლიოს თვალში ექნებოდა არგუმენტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტებს ანადგურებდა. საქართველო ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გასწევდა. მაშინ ჩვენ ბეწვზე გადავრჩით.

- გაზაფხულის დადგომასთან ერთად პანკისში პროვოკაციები კვლავ მოსალოდნელია. რამდენად არის ხელისუფლება მზად ამასთან საბრძოლველად?

- ვფიქრობ, რომ სწორია, როცა საქართველოს მთავრობაში ამაზე ამახვილებენ ყურადღებას. უშიშროების საბჭომაც დაგეგმა ღონისძიებები იმისთვის, რომ საშიშროება თავიდან იქნეს აცილებული. საქართველოს ხელისუფლებაში არსებობენ ადამიანები, ვინც გულწრფელად არის ამით შეშფოთებული. აქედან გამომდინარე, ამგვარი ძალების მოქმედებას ჩვენ მხარს ვუჭერთ. მაგრამ ერთია რაღაცის დაგეგმვა და მეორე - ჩვენი ძალოვანი სპეცსამსახურების ეფექტურობა, რაც ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ეს სერიოზული პრობლემაა. ბიუჯეტში კვლავ ჩაიდო გაცილებით იმაზე ნაკლები, ვიდრე თითოეულ ამ სტრუქტურას ესაჭიროება.

- რა არგუმენტები აქვს ხელისუფლებას, როცა ასეთ დროს ბიუჯეტს არ უზრდის თავდაცვის, უშიშროების სამინისტროებს, საზღვრის დაცვისა და დაზვერვის დეპარტამენტებს?

- არანაირი არგუმენტი არ აქვს. ეს არის უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე. ანალოგიური ვითარებაა სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებითაც. ხელისუფლება აცხადებს, რომ მათი გასვლის შემდეგ რუსეთი პროვოკაციებს მოაწყობს და საქართველო ახალ საომარ მოქმედებებში იქნება ჩათრეული. ეს არგუმენტი 5-6 წლის წინ შეიძლება ყოფილიყო, როცა ჩვენ მართლა სუსტები ვიყავით. მთელი ამ ხნის განმავლობაში, არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ სამშვიდობო ძალები გაგვეყვანა და იმის თავი მაინც გვქონოდა, რომ არ ჩავეთრიეთ ომში, რომელიც არ გვსურდა. ხელისუფლება შეგნებულად არ დგამს ნაბიჯს წინ და ეს სწორედ დაუფინანსებლობის ბრალია. თუ არ დავაფინანსებთ ჯარს, არასდროს გვექნება ის ძალა, რომ საკუთარი პრობლემები თავად მოვაგვაროთ. აქ მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება.

- რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოსული იყო ბრიუს ჯეკსონი, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაში უზარმაზარი წვლილი აქვს. მისი ვარაუდით, საქართველოს ნატო-ში გაერთიანება რამდენიმე წელში იქნება შესაძლებელი. საქართველოში არსებული დესტაბილიზაცია და შიდა პოლიტიკური მოვლენები მართლაც აძლევს ამის თქმის საფუძველს „მისტერ გაფართოებას“?

- ეს აბსოლუტურად რეალურია. იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც უცხოელის სიტყვას მეტი ფასი აქვს. მე და ჩემი მეგობრები ამას უკვე ორი წელია, ვამბობთ.

მსოფლიოში მართლაც შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საქართველო დიდი ძალისხმევის გარეშეც შეიძლება გახდეს ნატო-ს წევრი. ეს მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების, მსოფლიოს ახალი გადანაწილების გამო ხდება. ჯარის დაფინანსებისა და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების რეალურად ამოქმედება არა მხოლოდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების საშუალება იქნება. ნატო-ში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნისთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას ნიშნავს. ინვესტორისთვის ნატო-ს წევრ ქვეყანაში შემოსვლა გაცილებით ნაკლებად რისკიანია.

როცა ისინი ხვალინდელ დღეზე და რამდენიმე წელიწადზე საუბრობენ, გულისხმობენ, რომ ამ დროში საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება. ამის საუკეთესო დადასტურება იყო აშშ-ს ამჟამინდელი ელჩის, რიჩარდ მაილსის ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გამოსვლა, როცა მას საქართველოს ელჩად ამტკიცებდნენ. მან განაცხადა, რომ მისი, როგორც ელჩის მთავარი პრიორიტეტი ამ ქვეყანაში ხელისუფლების დემოკრატიული ცვლის უზრუნველყოფა იქნება...

- შინაურ ამბებს შევეხოთ. „დემოკრატებმა“ ვერ მოახერხეს ხელფასების საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საკითხის ბიუჯეტში გათვალისწინება. პლენარულ სხდომაზე ზურაბ ჟვანიამ ეს საკითხი კვლავ დასვა და მხარდაჭერაც მოიპოვა.

- სახელისუფლო უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ გვიპირისპირდება, რომ ეს ინიციატივა „გაერთიანებული დემოკრატებიდან“ და ოპოზიციიდან მოდის. ხელისუფლებიდან დიდი ხანია გრძელდება ხანგრძლივი, ცრუ პროპაგანდა იმისა, რომ ამ იდეის რეალიზაცია ინფლაციასა და ათასგვარ სხვა უბედურებას გამოიწვევს. ამის მიუხედავად, ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა - ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, აბსოლუტურად რეალურია და არანაირ ინფლაციას ეს არ გამოიწვევს. ამის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებამ ვერანაირი მყარი არგუმენტი ვერ გამოძებნა. ჩვენ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ციფრებს დავეყრდენით, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო ნაწილი 200 მილიონით გაიზარდა. ჩვენ ამ 200 მილიონიდან 116 მილიონს ვითხოვთ იმისთვის, რომ 115 ლარამდე გაიზარდოს მინიმალური ხელფასი და შესაბამისად, პენსიები.

როდესაც ხელისუფლებას საშუალება აქვს, რომ ხალხს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი არ მისცეს და ამას არ აკეთებს, ის პირდაპირ არღვევს კონსტიტუციას, რადგან იქ წერია, რომ არ შეიძლება, ადამიანს იმაზე ნაკლები ხელფასი მისცე, რაც მის არსებობას უზრუნველყოფს. ხელისუფლება, უბრალოდ, ახირების გამო არ აკეთებს იმას, რაც მისი კონსტიტუციური მოვალეობაა.

- ოპონენტები ხშირად გიყენებენ ბრალდებას - ეს მაშინ რატომ არ გააკეთეთ, როცა ხელისუფლებაში იყავით და ეკონომიკურ ბლოკს აკონტროლებდითო...

- ჩვენ ეს განვახორციელეთ. ზურაბ ჟვანიამ შეახსენა ოპონენტებს, რომ თავის დროზე, ლარნახევრიანი ხელფასი თოთხმეტჯერ გავზარდეთ. არც ლარნახევარი ნიშნავდა რამეს და არც ოცი ლარი, მაგრამ, სერიოზული ზრდა ყოველგვარი აჟიოტაჟისა და ოპოზიციის ყვირილის გარეშე მოხდა. გავიხსენოთ, რამდენი იყო ხალხის პენსია და ხელფასი 1995-1997 წლებში - ის 14-ჯერ, 15-ჯერ და 20-ჯერაც გაიზარდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამით კმაყოფილი უნდა ვიყოთ. ამჯერად, მინიმალური ხელფასის 4-ჯერ გაზრდას ვითხოვთ და ამის საშუალება არის. როცა ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე იყო, გადასახადების ყოველი 100 ლარიდან 27 ლარი იხარჯებოდა პენსიაზე. დღეს კი ყოველი 100 ლარიდან, მხოლოდ 14 ლარი იხარჯება პენსიებსა და ხელფასებზე. ჩვენი რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, 100 ლარიდან ხელფასებისთვის 26 ლარს დავხარჯავთ. გვინდა დავუბრუნდეთ იმ მაჩვენებლებს, რაც მაშინ იყო.

- ხელისუფლებას საშიშროება „ნაციონალებისა“ და „დემოკრატების“ გაერთიანებითაც ექმნება. არ ვსაუბრობ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებზე, რომელთანაც თანამშრომლობთ. იქნება თუ არა ეს საარჩევნო გაერთიანება?

- ამ საფრთხის შესახებ ხელისუფლებამაც იცის და არ ვართ შეპყრობილი ილუზიით, რომ ამ გზას უპრობლემოდ გავივლით. ვფიქრობ, რომ ამ მართლაც ისტორიული მომენტის მნიშვნელობა ყველას შეგნებული აქვს და დარწმუნებული ვარ, გადავლახავთ ყველა ამბიციასა და უთანხმოებას. ეს ახლო მომავლის საქმეა. დროზე ადრე არ მინდა ვისაუბრო მოვლენების განვითარების შესახებ, რადგან ეს იმდენად სერიოზული საქმეა, რომ არ ღირს წინასწარ თამასუქების გაცემა.

საარჩევნო ბლოკის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე არჩევნების შემდეგ ერთ გუნდად მუშაობა. მთავარი ამოცანა ეს არის.

- არის თუ არა ჯუმბერ პატიაშვილი ამ გაერთიანების ხელისშემშლელი ძალა?

- პიროვნულად მას გარკვეული ავტორიტეტი, გარკვეულ ფენაში აქვს და ეს გასათვალისწინებელია. საუბარი მაქვს მხოლოდ პატიაშვილზე, თორემ მის გაერთიანებაში უამრავი ისეთი ადამიანია, ვინც ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის პრინციპულად არის მიუღებელი. ეს მათი კაპიტულანტური პოზიციის გამოა და არა იმიტომ, რომ რუსეთს სიმპატიით უყურებენ. ის, რომ ჩვენ დასავლური ორიენტაციის ვართ, სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთთან მტრულ დამოკიდებულებას ვემხრობით. სწორედ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციაზე გადის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გზა. ჩვენი კონცეფცია ეს არის.

პატიაშვილთან ურთიერთობა და მუშაობა შესაძლებელია, თუმცა ამაზე ჩამოყალიბებულნი არ ვართ.

- ყველაზე უარესს, რა წინააღმდეგობას ელით ხელისუფლებისგან ამ საყოველთაო გაერთიანების გზაზე?

- ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უარესი შეიძლება სისხლისღვრა იყოს. ამისთვის ხელისუფლებამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა და კვლავ აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით - დაწყებული კრიმინალების ციხიდან ღიად, პოლიტიკური მოტივაციით გამოშვებით, დამთავრებული - სხვადასხვა რეგიონებში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ხელის დაფარებით (სამეგრელოში, ქვემო ქართლში, თუ თბილისში). ჩვენ ამისი უამრავი ფაქტი გვაქვს.

- გულწრფელად რომ თქვათ, ხელისუფლებაში მართლა ასე არ უყვართ საკუთარი ქვეყანა?

- ჩემთვის სადღეგრძელოში გამჟღავნებული სიყვარული დიდი ხანია, აღარაფერს ნიშნავს. საქართველო მხოლოდ სადღეგრძელოს დროს ახსენდებათ, თორემ, მათი ქმედება, ყოველდღიური ნაბიჯები და გადაწყვეტილებები სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ მათ ქვეყანა არ უყვართ.

ბერიკები, ბერიკები!

ბერიკები დიღომში

ბოზიდა ბუსაურის. ფოტო

ოდესღაც ისინი ნაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას მართავდნენ ხოლმე. სცენარები, რომელთა საფუძველზეც წარმოდგენებს დგამდნენ, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. უცვლელი მხოლოდ პერსონაჟები იყვნენ - მეფე, კეკელა, მაჭანკალი, გლეხი, თავადი, თათარი, მოსამართლე, ხუცესი, ტახი, დათვი... არ იცვლებოდა განწყობაც - ბერიკას მოსვლას ყოველთვის სიხარული ახლავს.

ტრადიციულად, ბერიკაობა სამგვარი არსებობს: საკარდაკარო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. წლევანდელი ბერიკაობა რომელი იყო, ზუსტად ვერ გეტყვით. ერთი კია, რომ კახეთიდან მობრძანებულ ბერიკებს, ისევე, როგორც მრავალი საუკუნის წინათ, ახლაც სიხარული და ნათელი მომავლის რწმენა მოჰყვათ თან.

ომი ბავშვების თვალებით

ნანა ბასილაშვილი

გუშინ კლუბ "სარდაფში" ჩვეული ახლგაზრდული ჟრიამულისა და რომელიმე მწერალთან, ან პოეტთან სასიამოვნო შეხვედრის ნაცვლად, სევდიანი და ცრემლიანი სახეები დაგხვდებოდათ. წარმოადგინეს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პირველი ნაწილი. "მედეა" - მთავარი გმირის სახელი უწოდეს პატარა 10-წუთიან ნოველას, რომელიც აფხაზეთიდან დევნილ, 15 წლის გოგონას მონათხრობზეა აგებული - როგორ გადმოიარა 6 წლის მედეამ ჭუბერის უღელტეხილი და რამდენი საშინელება ნახა იმ 12 დღის განმავლობაში. ფილმის ჩვენებას კონფლიქტოლოგების დისკუსია მოჰყვა.

არასამთავრობო ორგანიზაციის "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის" მთავარი მიზანია აფხაზეთისა და სხვა საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება. "ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ახალგაზრდა შემოქმედები, ჭეშმარიტი და არა ჯიბის ინტელიგენცია, მხარს უჭერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამშვიდობო მოწოდებას და გაერო-ს ინიციატივას ემხრობა. კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროების საშუალებით ვცდილობთ, აფხაზეთის კონფლიქტი ჰუმანური მეთოდებით მოგვარდეს", - აღნიშნა ორგანიზაციის ლიდერმა, ირაკლი კაკაბაძემ.

აფხაზეთის თემაზე რა აღარ უთქვამთ და დაუწერიათ. "სარდაფში" შეკრებილმა კონფლიქტოლოგებმა და ხელოვნების მოღვაწეებმა ეს თემა კიდევ უფრო მტკივნეული კუთხით განიხილეს - საკუთარ ქვეყანაში, დევნილობაში გაზრდილი ბავშვების, ომგადავლილ მოზარდთა სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

სოხუმელი დევნილი გოგონას სევდიანი ნაამბობი რეჟისორმა, მალხაზ კუხიანიძემ, ძირითადად, დოკუმენტურ მასალაზე ააგო. "მედეამ ომის ტრაგედია საყვარელი ძაღლის დაკარგვით გამოხატა. მან არ იცის, რა არის ავტომატი, ტანკი, მან სოხუმში საყვარელი ძაღლი დატოვა და დღემდე განიცდის - ეს არის მისთვის ომი. არადა, ბავშვს შიშის ნიადაგზე მეხსიერება დაუქვეითდა, ჩიყვი ჩამოუყალიბდა, მაგრამ ეს რომ ომის შედეგია, მხოლოდ უფროსებმა ვიცით", - ესაა მალხაზ კუხიანიძის ფილმის იდეა.

რეჟისორი 25 სხვა დევნილ ბავშვსაც გაესაუბრა. მათი მონათხრობით შექმნილი დოკუმენტური ფილმი სულ ხუთი ნოველისაგან შედგება. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაწილია გადაღებული. დანარჩენი ოთხი ნოველის სცენარი უკვე მზადაა, მაგრამ, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, შემოქმედებით ჯგუფს გადაღებისათვის საჭირო თანხა მოსაძიებელი აქვს.

კალენდარი

1 მარტი

აკუტაგავა რიუნოსკეს იაპონურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უდიდეს კლასიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება.

დაიბადა 1892 წელს, ტოკიოელი ვაჭრის ოჯახში. ბიჭი ცხრა თვისა იყო, როცა დედა გაუგიჟდა. ოჯახურმა ტრაგედიამ მომავალ მწერალზე ძალიან იმოქმედა, მას მთელი ცხოვრება ეშინოდა, რომ დედის სიგიჟე შეიძლება მემკვიდრეობით გადასცემოდა.

1910 წელს, ტოკიოს მუნიციპალური საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, რიუნოსკემ ინგლისური ლიტერატურის შესწავლა გადაწყვიტა. მან პირველ კოლეჯში, ლიტერატურულ განყოფილებაში ჩააბარა, შემდგომ კი ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში, ინგლისურ სექტორზე განაგრძო სწავლა.

რიუნოსკეს მალე მოსწყინდა უნივერსიტეტში სწავლა, და ის მთლიანად ჟურნალ "სინსიტოს" გამოცემაზე გადაერთო. ჟურნალი "ანტინატურალისტურ" პოზიციაზე იდგა და აკუტაგავა და მისი მეგობარი ლიტერატორები, პირველი ნეორეალისტები გახდნენ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აკუტაგავა საზღვაო მექანიკურ სასწავლებელში ორი წლის განმავლობაში ინგლისურს ასწავლიდა და თავის მომავალ მეუღლეს გაღიზიანებული სწერდა ხოლმე, როგორ სძულდა მასწავლებლის საქმე.

სამაგიეროდ, წერა უყვარდა – ცხრა თვის განმავლობაში მან თორმეტამდე ნოველა, ესეი და სტატია დაწერა. უნივერსიტეტის პედაგოგის ნაცვლად აკუტაგავა გაზეთის თანამშრომელი გახდა.

ახალგაზრდა ლიტერატორს წარმატება ერთ-ერთმა პირველმა ნოველამ, "რასიომონის კარიბჭემ" მოუტანა. ნოველამ "ცხვირი" დიდი იაპონელი მწერლის, ნაცუმე სოსეკის აღფრთოვანება გამოიწვია – ამ მწერალს აკუტაგავა თავის მასწავლებლად თვლიდა. სულ რამდენიმე წელიწადში ნათელი იყო, რომ აკუტაგავა რიუნოსკე მოკლე მოთხრობის უბადლო ოსტატია.

მისი ლიტერატურული მოღვაწეობა საოცარი ინტენსივობით გამოირჩევა: დაახლოებით 150 ნოველა და მოთხრობა, ათამდე "უსიუჟეტო" პროზის კრებული, მრავალი სტატია ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, ლექსების კრებულები...

როცა 1927 წელს აკუტაგავამ თავი მოიკლა, ეს დიდად არავის გაკვირვებია: ამის შესახებ ის ბევრს ლაპარაკობდა და ბევრს წერდა.

დიდი იაპონელი მწერალი, **რიუნოსკე აკუტაგავა**, დაიბადა 1892 წლის 1 მარტს.

"აღმოაჩინე საქართველო"

საქართველოს შესახებ პირველი ელექტრონული ენციკლოპედია შეიქმნა

მადი სერებრიაკოვა

ჩვენს ეპოქაში წიგნის ელექტრონული ვერსიებით ჩანაცვლება სულ უფრო აქტუალური ხდება. მით უმეტეს ისეთი წიგნისა, რომელიც, ძირითადად, ვიზუალურ ხატებზეა აგებული. "აღმოაჩინე საქართველო" ჩვენი ქვეყნის შესახებ შექმნილი პირველი ელექტრონული ენციკლოპედიაა, რომელიც ისტორიულ, სამეცნიერო-კულტურული მასალას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით მოუყრის თავს. ახალი გამოცემის პრეზენტაციას გუშინ წიგნის მაღაზია "პარნასმა" უმასპინძლა.

რეზო ესაძე "ნეომედიას" წარმომადგენლებთან ერთად

ეკატერინა ბასილაშვილის. ფოტო

ელექტრონული ენციკლოპედია "აღმოაჩინე საქართველო" კომპანია "ნეომედიას" მიერაა შექმნილი. მასზე 5 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მართალია, ჯერჯერობით იგი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა გამოსული, მაგრამ ავტორები ქართული, ფრანგული და გერმანული ვერსიების გამოშვებასაც გეგმავენ. ტირაჟიც მომავალი მოთხოვნის მიხედვით განისაზღვრება.

"აღმოაჩინე საქართველო" შვიდი სფეროს შესახებ მოიცავს მასალას. მათ შორის საქართველოს ისტორიის, ტრადიციების, გეოგრაფიის, ხელოვნების და ლიტერატურის შესახებ. გარდა აღწერილობითი ტექსტისა მასალას 3 ათასი ილუსტრაცია, 95 აუდიო და 43 ვიდეო რგოლი აქვს დართული. ენციკლოპედიაში განთავსებული ინფორმაცია საარქივოა და უშუალოდ ენციკლოპედიის გმირების – გამოჩენილი ქართველი საზოგადო და კულტურის მოღვაწეებისგან ექსკლუზიურად მიღებულ მასალებს ეყრდნობა. სულ "აღმოაჩინე საქართველო" 200-მდე ისტორიული ძეგლის და 110 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნების შესახებ მოიცავს ინფორმაციას. ამ ყოველივეს დემონსტრირებას "ნეომედიას" წარმომადგენლები გუშინ "პარნასში" ახდენენ. დისკის პრეზენტაციაში აქტიურ მონაწილეობას თავად მისი გმირებიც იღებდნენ. რეჟისორი რეზო ესაძე საკუთარი თავის შესახებ დაცული ინფორმაციით დაინტერესდა. ამას ზოგადად კინემატოგრაფისტთა გვერდის პრეზენტაციაც მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ "აღმოაჩინე საქართველო" ჯერ მხოლოდ ინგლისურ ენაზეა გამოცემული (როგორც ჩანს ავტორები უფრო მეტად უცხოელ მყიდველებზე აკეთებენ აქცენტს), მაგრამ იგი ქართულენოვანი მყიდველებისთვისაც არ უნდა იყოს უინტერესო. მარტივი და სახალისო ფორმით აწყობილი გვერდები ყოველგვარი თავსმოხვევის გარეშე გვაცნობენ ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს, საინტერესო პიროვნებებს. ვიზუალური მასალა კი ცეკვის, სიმღერების, სპორტული მოვლენების, ფილმებისა და სპექტაკლების ნაწყვეტების ნახვისა და მოსმენის საშუალებას გვაძლევს.

"აღმოაჩინე საქართველოს" გამოსაყენებლად შემდეგი ტექნიკური პარამეტრებია საჭირო: პენტიუმ სამი, 500MHz, ოპერატიული მეხსიერება 128Mb, CD Rom 8x. იგი Windows-ის საოპერაციო სისტემაზეა გათვლილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღმოჩენა ქართული ბაზრის კვალობაზე საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, იგი 40 ლარამდე ღირს.

მამუკა მიქელაძის ზღაპრული სამყარო და ანგელოზი

ანა კორძაია-სამადაშვილი

მამუკა მიქელაძე

გერმანეს ბასილაშვილის. ფოტო

გალერეა "უნივერსში" მამუკა მიქელაძის გამოფენა გაიხსნა. დარბაზში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ თითოეულ ნამუშევრამდე იდაყვებით თუ გაიკვლევდით გზას. შემოსასვლელში მდგომი მხატვრის, ზაზა ბერძენიშვილის სახის გამომეტყველება კარგად მენიშნა: ასეთი კმაყოფილი მხოლოდ კარგი გამოფენების გახსნაზეა ხოლმე.

ეს მხატვარი თბილისელ ხელოვნების მოყვარულებს დიდად არ ანებივრებს, უფრო ხშირად დასავლეთში აწყობს ხოლმე გამოფენებს. ახლაც მომახსენა, რომ მისი 40-მდე ტილო ბრიუსელში ინახება, მრავალი ნამუშევარი კი გერმანიაშია დატოვებული. გუშინდელ ვერნისაჟზე, ნაწილობრივ, ის ნახატები იყო წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოში დატოვა, ძირითადად კი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში შექმნილი ტილოები ვნახეთ: მამუკას ფეხი მოუტეხია და შინ ჩამჯდარი ხატავდა და ხატავდა...

საერთოდ, მამუკა მიქელაძე ძალიან ბევრს მუშაობს. უკანასკნელ წლებში ეკლესიების მოხატვასაც მიჰყო ხელი: კაკაბეთის ეკლესია, დიღომში, ე.წ. "კინოსტუდიის ტაძრის" საკურთხეველი, ახლა კი საბურთალოს სასაფლაოზე, ახალ ეკლესიაში ხატავს ფრესკებს.

"უნივერსში" გამოფენილი ნამუშევრები, ისევე, როგორც ის ტილოები, რომლებიც ოდესღაც მამუკასთან სახელოსნოში ვნახე და ახლა, ალბათ, რომელიმე ევროპული გალერეის კედლებს ამშვენებს, ძალიან ლამაზია. მხატვართა უმრავლესობას ამგვარი შეფასება აღიზიანებს ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა - ასეთია, და რა ვქნა! ჩემი პირადი აზრის გარდა, იმასაც მოგახსენებთ, რაც დამთვალიერებლებისგან მესმოდა, დანარჩენი კი ხელოვნებათმცოდნეებმა განსაჯონ. მამუკასთან ყველაფერი მშვენიერია: ჯადოსნური ცხოველები, აღმოსავლური ფერადოვნება, ანგელოზი, სრულიად არაანგელოზური სიყვარულით რომ შემოგცქერით...

"უნივერსში" გამოფენა კიდევ ათ დღეს გასტანს. ვფიქრობ, მისვლა და დათვალიერება ნამდვილად ღირს.

WTC-ს შემცვლელი გამოვლინდა

ნინო ჭანიშვილი

9 თვის წინ დაწყებული ციებ-ცხელება ფინალში გავიდა. ნიუ იორკში კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა - ქვედა მანჰეტენზე, 2001 წლის 11 სექტემბერს დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილას გერმანელი არქიტექტორის დანიელ ლიბესკინდის პროექტის მიხედვით ამერიკის ახალი სიმბოლო აღიმართება.

კონკურსი მაისში გამოცხადდა, რომლის ბოლო ეტაპზე დანიელ ლიბესკინდი და არქიტექტორთა გუნდი THINK გავიდა. ამ ხნის მანძილზე ნიუ ორკის მცხოვრებლები არქიტექტურის კრიტიკოსებად გადაიქცნენ. გახსნილი იყო ცხელი სატელეფონო ხაზი და რამდენიმე ინტერნეტ-საიტი, სადაც მოქალაქეები თავინთ აზრებს გამოთქვამდნენ.

როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, ჟიურიმ ერთხმად დაუჭირა მხარი დანიელ ლიბესკინდის პროექტს. ამგვარი არჩევანი მოულოდნელი არ ყოფილა – ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი და ნიუ იორკის შტატის გუბერნატორი ჯორჯ პატაკი დიდი ხანია აცხადებდნენ, რომ გერმანელი არქიტექტორის პროექტი "მსოფლიოს ბაღები" ნამდვილი ფავორიტი იყო 470 შემოთავაზებულ პროექტს შორის.

გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცეოდა დაღუპულთა ოჯახების მოსაზრებებს, მათი უმეტესობა კი ლიბესკინდის პროექტს იწონებდა. პირველ რიგში, მათთვის ლიბესკინდის პროექტის კონცეფცია იქნებოდა მისაღები: "სავაჭრო ცენტრის ადგილას ისეთი მონუმენტი უნდა აშენდეს, რომელიც ამერიკის ახალ სიმბოლოდ იქცევა, რომელიც ძალას მისცემს პროგრესულ კაცობრიობას, განამტკიცებს პოზიტიური ძალების ძალაუფლებას და აღორძინების შესაძლებლობად იქცევა. იმ ადგილის მნიშვნელობა, სადაც სავაჭრო ცენტრი მდებარეობდა დათვლილ წუთებში დრამატულად შეიცვალა. ამიტომ ამიერიდან არ შეიძლება ეს მხოლოდ კომერციული ზონა იყოს – აქ ადამიანები დაილუპნენ. ახალმა არქიტექტურამ მთელს კაცობრიობას უნდა შეახსენოს ტერაქტის მსხვერპლნი".

ლიბესკინდმა თავის კონცეფცია ემოციურ არქიტექტურულ პროექტად აქცია – ასიმეტრიული, არასტანდარტული ფორმებითა და ხაზებით. პროექტის მიხედვით ორი ცათამბჯენი აშენდება, პირველ, 534 მეტრიან გიგანტურ კოშკში, რომელიც შპილით სრულდება უზარმაზარი ორანჟერეა განთავსდება, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხის მცენარე იყვავილებს. მის გვერდით შედარებით დაბალი ცათამბჯენი აღიმართება. ლიბესკინდის პროექტში ცენტრალური ადგილი მემორიალურ კომპლექს ეთმობა. პირველ სართულზე კი მუზეუმი განთავსდება. ეს არის ტრაპეციის ფორმის ყუთი, რომელიც თითქოს ორმოში ვარდება. მისი კონსტრუქცია ყოველდღიურად შეახსენებს მნახველს ტყუპების დაცემის შესახებ. იქვე გაკეთდება გმირთა პარკი და არქიტექტურული კონსტრუქცია "სინათლის ბლოკი", რომელზეც ყოველ 11 სექტემბერს, ზუსტად ტრაგედიის საათებში მზის სხივები იქნება ფოკუსირებული.

დანიელ ლიბესკინდი

თუ THINK-ის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, დანიელ ლიბესკინდის არქიტექტურული წარსული მეტად მდიდარია, თანაც მემორიალური განხრითაც - 2001 წელს ბერლინში ებრაელთა მუზეუმის მშენებლობა დასრულდა, რომელიც მთლიანად ჰოლოკოსტს მიეძღვნა. ლიბესკინდის პროექტებით აშენდა დენვერის ხელოვნების მუზეუმი, სამეფო მუზეუმი ონტარიოში. ამჟამად ის ახალ შეკვეთებზე მუშაობს; ესენია: ებრაელთა მუზეუმი სან ფრანცისკოში, მედია ცენტრი ჰონ კონგის უნივერსიტეტისათვის, სავაჭრო ცენტრი ბერნში. ასე რომ ლიბესკინდის სტუდია 120 მომუშავეთი მთელს მსოფლიოში მოღვაწეობს. 56 წლის ლიბესკინდი ბერლინიდან ამერიკაში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას, სანამ ებრაელთა მუზეუმის მშენებლობას დაასრულებს. ამასთან მას კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის სკოლის დეკანობა შესთავაზეს.

რაც შეეხება დამარცხებული THINK-ის პროექტს "მსოფლიოს კულტურული ცენტრი", იგი მოკლებული იყო ყოველგვარ უტილიტარულ დანიშნულებას. ეს არის ორი გამჭვირვალე კოშკი, შიგნით მეტალის ბადისებური კონსტრუქციით, რომელიც 21-ე საუკუნის ეიფელის კოშკად მონათლეს. მათ გარშემო უნდა განლაგებულიყო 8, 50 სართულიანი საოფისე შენობები.

ორივე პროექტს ერთი საერთო თვისება აქვს – ისინი 100 მეტრით მაღალია ამჟამად ყველაზე მაღალ ტყუპ-კოშკებზე "პეტრონასი", რომელიც მალაიზიაში მდებარეობს.

დამარცხებული გუნდის წამყვანი არქიტექტორი რაფაელ ვინიოლი ამგვარ კომენტარს აკეთებს: "ასეთ სიტუაციაში ჩვენი პროფესიის ადამიანები ხშირად ვარდებიან, ასეთი რამ ყოველთვის ხდება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, უნდა ადგე და მუშაობა განაგრძო".

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი ერთნაირი 411 მეტრიანი და 110 სართულიანი ცათამბჯენი 1973 წელს აიგო არქიტექტორ მინორუ იამასაკის (ფირმა "ემორი როტი") პროექტის მიხედვით, რომელიც ყოველდღიურად 50 ათას მომუშავეს და 80 ათას მიმსვლელს იტევდა.

ლიბესკინდის კოშკის სიმაღლე 541 მეტრი იქნება ანუ 1776 ფუტია, რაც შემთხვევითი სულაც არ არის - სწორედ 1776 წლის 4 ივლისს მოეწერა ხელი ამერიკის თავისუფლების დეკლარაციას.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დაჯდება პროექტი და როდის დასრულდება მისი მშენებლობა.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთამაშოთ ენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

დიეგო და რობინიო - „ზედმეტად ძლიერები"

ბრაზილიური ფეხბურთის ორი ამომავალი ვარსკვლავი, "სანტოსის" ახალგაზრდა ფეხბურთელები რობინიო და დიეგო მონაწილეობას არ მიიღებენ 21 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მარტში დუბაიში გაიმართება. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვალინიოსმა განაცხადა, რობინიო და დიეგო გუნდში იმიტომ არ მიიწვია, რომ ისინი, სხვებთან შედარებით, მეტისმეტად ძლიერები არიან. "რობინიო და დიეგო იმდენად მაღალი დონის ფეხბურთელები არიან, რომ 21 წლამდე ჭაბუკთა შორის აღარაფერი ესაქმებათ. მათ 23 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებში მივიწვევთ და ამ გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ ივლისში, მსოფლიო ჩემპიონატზე. მანამდე კი რობინიო და დიეგო "სანტოსის" შემადგენლობაში ლიბერტადორესის თასზე თამაშობენ, იქ უფრო საჭირონი არიან", - ამბობს ვალინიოსი.

თავად რობინიო მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა. "ეს უსამართლობაა. მე მინდოდა მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში. მაგრამ არა უშავს, კიდევ ბევრჯერ მომეცემა მუნდიალზე გამოსვლის შანსი", - განაცხადა რობინიომ.

ლორან ბლანი ფეხბურთიდან მიდის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მცველი, 37 წლის ლორან ბლანი, მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე დაასრულებს თავის კარიერას. ამ გადაწყვეტილების შესახებ თავად ფეხბურთელმა განაცხადა. ფეხბურთიდან წასვლა ბლანს ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, თუმცა, "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა, მას ეს ნაბიჯი არ გადაადგმევინა და დაითანხმა, კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაეგრძელებინა. ბლანის თქმით, წლეულს ეს აღარ მოხდება და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. "მორჩა, მეყოფა. არ მინდა, სულელის შთაბეჭდილება დავტოვო - ყოველ წელიწადს ერთსა და იმავეს ვამბობდე და მერე აზრს ვიცვლიდე. ეს თემა დახურულია. "მანჩესტერში" ახლა შესანიშნავი ახალგაზრდა ცენტრალური მცველები არიან: რიო ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, ჯონ ო`ში. მათთვის კონკურენციის გაწევას აღარ ვაპირებ, ხოლო სხვა კლუბში თამაში არ მსურს", - განაცხადა ბლანმა.

ამბობენ, რომ, კარიერის დასრულების შემდეგ, "მანჩესტერ იუნაიტედი" ბლანს რომელიმე სამწვრთნელო თანამდებობას შესთავაზებს.

მღელვარება „შალკეს" კულისებში

გელზენკირხენის "შალკე" პროფესიული არა, მაგრამ ადამიანური კრიზისის საფრთხის წინაშე კი ნამდვილად დგას. ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის თანდათან იძაბება ურთიერთობა, გოლკიპერი ფრანკ როსტი კი უკვე აშკარად გამოთქვამს უკმაყოფილებას გუნდის თავკაცის მიმართ.

"ბორუსიასთან" გამართული სკანდალური მატჩის შემდეგ "შალკეს" ყველა ფეხბუთელი, მენეჯერი ანდრეას მიულერი და პრეზიდენტი რუდი ასაუერი იტალიურ ტავერნა "ლა სკალაში" წავიდნენ დიდი ჯაფით მოპოვებული ფრეს აღსანიშნავად, გუნდის მთავარი მწვრთნელი ფრანკ ნოიბარტი კი ამ ზეიმზე არავის მიუწვევია. ნოიბარტი მხოლოდ მაშინ მიხვდა ამას, როცა "შალკეარენას" ბარ "ცისფერ სალონში" მარტო აღმოჩნდა დაცარიელებულ მაგიდებთან...

მეორე დღეს ამას ფრანკ როსტის თავდასხმა დაემატა. "შალკეს" შარიანი გოლკიპერი, რომელიც შარშან ოლივერ კანის ლანძღვით იოხებდა გულს, ჯერ თანაგუნდელ იორგ ბიომეზე იყო გაბრაზებული, ბიომესთან შერიგების შემდეგ კი ნოიბარტი ამოიღო მიზანში: "რაც შენ გუნდში ხარ, მე ფეხბურთის თამაში სიამოვნებას აღარ მანიჭებს. შენ ყოველნაირად ცდილობ ჩემს იგნორირებას, არ მექახი, არაფერს მეკითხები, შენს გამო თამაში აღარ მინდა", - ასე ყღერდა როსტის მოულოდნელი ბრალდებები.

მიუხედავად იმისა, რომ ნოიბარტი არც დანარჩენ ფეხბურთელებს ეხატებათ გულზე, როსტის ამ გამოხდომით ყველა გაოცებული დარჩა. ბიომესთან შერიგების შემდეგ აღარ გვეგონა, თუ კლუბში კიდევ რამე უსიამოვნება მოხდებოდაო, ამბობენ როსტის თანაგუნდელები.

"შალკეს" ბოსმა, რუდი ასაუერმა, უცებ ჩააცხრო კლუბში ამტყდარი მღელვარება და განაცხდა, რომ კულისებში მომხდარი ამბავი "შალკეარენას" არ უნდა გასცილებოდა. ამ მცდელობის მიუხედავად, მეორე დღეს ყველა გერმანული გაზეთი წერდა გელზენკირხენულ კლუბში მომხდარი უსიამოვნების შესახებ...

სად წავა სალასი?

ჩილელი ფორვარდი, მარსელო სალასი, შესაძლოა, ახალი სეზონიდან, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც გამოეთხოვოს იტალიის ჩემპიონატის ლიდერს, ტურინის "იუვენტუსს" და პრიმერა დივიზიონის არცთუ წარმატებულ კლუბ "ბეტისში" გააატაროს კარიერის დარჩენილი წლები.

საქმე ის არის, რომ "იუვეს" ხელმძღვანელობას ძალიან მოსწონს "ბეტისისა" და ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი ხოაკინი, რომელზეც ევროპულ გრანდებს შორის ნამდვილი ტაციობაა. "იუვეს" გარდა, ხოაკინის ხელში ჩაგდება სურთ ისეთ გუნდებს, როგორებიცაა მადრიდის "რეალი", მილანის "ინტერი" და "რომა". ამ გუნდებთან შედარებით "იუვენტუსს" ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლია, სევილიელები სალასის შეთავაზებით მოხიბლოს. "ბეტისი" საკმაოდ ამბიციური გუნდია და მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას გეგმავს. ამ მიზნის მიღწევაში კი "ელ მატადორად" წოდებული მარსელო სალასი სევილიელებს ნამდვილად დიდ დახმარებას გაუწევს.

ბექჰემს კონკურენტი გამოუჩნდა: არმანის მეგობარი - კახა კალაძე

კარგა ხანია, კახა კალაძის პოპულარობა გასცდა საქართველოს, უკრაინისა და იტალიის საზღვრებს. დღე ისე არ გავა, რომელიმე უცხოურ გამოცემაში მასზე ახალი ინფორმაცია არ გაჩნდეს ან ვრცელი ინტერვიუ არ დაიბეჭდოს. მოსკოვში, "ლოკომოტივთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ, რომელშიც "მილანმაც" და კახამაც წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას, - ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, - რუსულ პრესაში კალაძის რამდენიმე ინტერვიუ გაჩნდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გაზეთ "მოსკოვსკი კომსომოლეცში" დაიბეჭდა და რომელიც კახას მოედნის მიღმა ცხოვრებას ეხება.

კახა კალაძე

- კახა, თქვენს პირად ინტერნეტ-საიტში გაჩნდა განყოფილება – "მოდელი", სადაც თქვენი არაერთი ფოტოა წარმოდგენილი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პოდიუმზე გამოსასვლელად ემზადებით ან რომელიმე ცნობილი ბრენდის სარეკლამო სახედ გახდომა გსურთ?

- არც ერთი და არც მეორე წინადადებით ჩემთვის ჯერ არავის მოუმართავს. იმედი მაქვს, "ჯერ". მაგრამ ამ ძალიან საინტერესო საქმეებისთვისაც დიდი დროა საჭირო. მაგალითად, იტალიაში ძაღლის ყოლის საშუალებაც კი არა მაქვს. ვინმემ ხომ უნდა მოუაროს. მე სულ თამაშებზე და ვარჯიშებზე ვარ. შინ, პრაქტიკულად, იშვიათად მიწევს მისვლა.

- ანდრეი შევჩენკოს მსგავსად, თქვენც მეგობრობთ ჯორჯო არმანისთან?

- ვერ ვიტყვი, რომ მე და არმანი ახლო მეგობრები ვართ და ხშირად ვხვდებით, თუმცა, ნორმალური ურიერთობა გვაქვს.

- თქვენ მარტო არმანისთან უკვეთავთ ტანსაცმელს?

- არა, სხვადასხვა ტანსაცმელი მომწონს. ჩასაცმელს მხოლოდ იმის გამო არასოდეს ვიყიდი, რომ მასზე მოდური სავაჭრო ნიშანია. პირველ რიგში, საგანი უნდა მომეწონოს.

- ვიცი, რომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფად ამზადებთ ერბო-კვერცხს...

- დიდი მზარეულობით ვერ დავიკვეხნი. თუმცა, ხანდახან ამ საქმის კეთებაც მიწევს. იმის გამო, რომ დრო ცოტა მაქვს, მარტივ სადილს ვიმზადებ, მაგალითად, ერბო-კვერცხს. სპაგეტის მოხარშვას ან მიკროტალღურ ღუმელში პიცის მომზადებას გაცილებით დიდი დრო სჭირდება.

- ბავშვობიდან ოქროს მედლების შეგროვების ჰობი გაქვთ. სკოლა ფრიადზე დაამთავრეთ, "მოოქროვილად" წარიმართა თქვენი კარიერა თბილისის "დინამოში", შემდეგ - კიევის "დინამოში". რიგში "მილანია"?

- ვგრძნობ, რომ წლეულს შეგვიძლია "სკუდეტოს" ან ჩემპიონთა ლიგის მოგება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ჯილდოა იტალიის თასიც, რომლისთვისაც წარმატებით ვიბრძვით.

მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს ცნობით, "ლოკომოტივ"-"მილანის" მატჩის შემდეგ მოსკოვის გამოსაფხიზლებლებში 67 კაცი მოხვდა. ალბათ, ამ ხალხს იმედი გაუცრუვდა იმის გამოც, რომ იმ დღეს უშეცდომოდ ითამაშა "ვეფხისტყაოსნის" ტატუთი მხარდამშვენებულმა კახაბერ კალაძემ.

სამ თვეში რომარიო „ფლუმინენსეს" დაუბრუნდება

...და თავის მე-1000 გოლს გაიტანს

აკა ტონია

რომარიო

გასულ ოთხშაბათს ბრაზილიელი რომარიო, რომელმაც ყატარის კლუბ "ალ-სადთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი, თავის ახალ "სამსახურში" გაემგზავრა. ყატარში გამგზავრებას ის 5 მარტს გეგმავდა. სწორედ ამ დღეს დაასახელებენ რიო-დე-ჟანეიროს კარნავალის გამარჯვებულს, რომელიც გუშინ დაიწყო. რომარიო ყოველთვის ცდილობს, რიოს ცნობილი კარნავალი არ გააცდინოს, თუმცა, ის მაინც დათანხმდა ახალი კლუბის ხელმძღვანელობის თხოვნას და ყატარში დროზე ადრე გაემგზავრა.

კონტრაქტის თანახმად, "ალ-სადის" შემადგენლობაში რომარიო 3 თვის მანძილზე ითამაშებს და სანაცვლოდ 1,5 აშშ დოლარს მიიღებს. მისმა ყოფილმა კლუბმა, "ფლუმინენსემ", ფეხბურთელის გაშვებისთვის "ალ-სადისგან" 150 ათასი დოლარი მიიღო. ყატარული კლუბის მეპატრონე, შეიხი ჰასინ ელ ხალიფა ბრაზილიელებს დამატებით 70 ათას დოლარსაც ჰპირდება, თუ "ფლუმინენსე" "ალ-სადთან" ამხანაგური მატჩის ჩატარებას დათანხმდება.

მარტში საუდის არაბეთში გაიმართება "ემირის თასის" გათამაშება, რომელსაც ემირი ჰამად ელ ხალიფა ატარებს. "ალ-სადმა" რომარიო სწორედ ამ ტურნირისთვის შეიძინა. "ემირის თასის" საპრიზო ფონდი 5 მილიონი დოლარია. კონტრაქტის თანახმად, თუ "ალ-სადი" ტურნირში გაიმარჯვებს, რომარიო საპრიზო ფონდიდანაც მიიღებს თავის წილს. ფეხბურთელის დაყინებული მოთხოვნით, ხელშეკრულებაში შეიტანეს ერთი პუნქტი, რომელიც, ერაყში ომის დაწყების შემთხვევაში, რომარიოს კონტრაქტის გაუქმების უფლებას აძლევს.

ყატარში გამგზავრების წინ რომარიომ განაცხადა, რომ არაბეთში ბრაზილიის ელჩის ფუნქციებსაც შეასრულებს. "შევეცდები, ყოველივე საუკეთესო ვაჩვენო იქაურ გულშემატკივარს. ბრაზილია საუკეთესოდ უნდა წარმოვაჩინო, გარკვეულწილად, მე ბრაზილიის ელჩი ვიქნები ყატარში", - ამბობს რომარიო.

37 წლის ვეტერანის ყატარში გადასვლის გადაწყვეტილება ბევრისთვის უსიამოვნო ამბავი აღმოჩნდა. ბრაზილიელი გულშემატკივრები შიშობენ, რომ მათი კერპი ნელ-ნელა კარიერის დასასრულს უახლოვდება. მაგრამ თავად რომარიო საპირისპირო აზრისაა და ამტკიცებს, რომ კიდევ დიდხანს არ აპირებს ფეხბურთიდან წასვლას. ყატარში გამგზავრების წინ ფეხბურთელმა განაცხადა: "ვერავინ დამაბრალებს, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებება მინდა. ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. მე კი არსადაც არ ვაპირებ წასვლას, სანამ 1000 გოლს არ გავიტან. კარიერას მხოლოდ მაშინ დავასრულებ, როცა ამ ამოცანას შევასრულებ და ვიგრძნობ, რომ ფიზიკური მდგომარეობა ხელს აღარ მიწყობს. ახლა კი შესანიშნავ ფორმაში ვარ". "ბოტაფოგოსთან" მატჩში რომარიომ კიდევ 3 გოლი დაუმატა თავის აქტივს და მის ანგარიშზე უკვე 861 გოლია. მე-1000 გოლამდე მას 139 ბურთი აშორებს, რასაც, სულ ცოტა, 2 წელი მაინც დასჭირდება. ასე რომ, მისი კარიერის დასრულებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

"ფლუმინენსეს" გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: რომარიომ ისიც განაცხადა, რომ ყატარში მხოლოდ 3 თვეს ითამაშებს, რის შემდეგაც "ფლუს" დაუბრუნდება: "საფეხბურთო მინდვრის გარეთ ცხოვრება სრულიადაც არ მიზიდავს. ყატარიდან კვლავ "ფლუმინენსეში" დავბრუნდები. ეს კლუბი დღითიდღე მიყვარდება".

რომარიო გამოტყდა, რომ კარიერის დასასრულს გამოსამშვიდობებელ მატჩს არ ჩაატარებს.

იტალიელები პოლონური ზამთრის წინაალმდეგ

ნინო პირველი

ხუთშაბათს ევროპის სტადიონებზე უნდა გამართულიყო UEFA-ს თასის მატჩები იმ რვა გუნდის გამოსავლენად, რომლებიც მერვედფინალში გავიდოდნენ და გააგრძელებდნენ ბრძოლას ამ პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად. გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში, საბერძნეთში, პორტუგალიასა და ბელგიაში ყველა მატჩი გართულების გარეშე ჩატარდა, პოლონეთში კი მერვედფინალისტის გამოვლენა პრობლემად იქცა...

რომის "ლაციო" კრაკოვში იმ განზრახვით ჩავიდა, რომ ადგილობრივ "ვისლასთვის" ჭკუა ესწავლებინა და პირველ მატჩში რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაშვებული სამი გოლისთვის რევანში აეღო, მაგრამ, როგორც კი რომაელები სტადიონზე სავარჯიშოდ გავიდნენ, მაშინვე ცხადი გახდა, რომ თოვლიან და ტალახიან მინდორზე მატჩის ჩატარება შეუძლებელი იყო. "ლაციოს" ახალგაზრდა თავკაცი, რობერტო მანჩინი, გაოგნებული სინჯავდა ფეხით წყობიდან გამოსულ ბალახს და მის საზრუნავით მოცულ ტვინში ნელ-ნელა მწიფდებოდა მატჩის გადადების იდეა. "ლაციოს" სიფრთხილე მმართებდა - პირველი მატჩი რომში 3:3 დასრულდა და თუ რომაელები კრაკოვში ვერ გაიმარჯვებდნენ, UEFA-ს თასის მიმდინარე ტურნირზე პირველი სენსაცია დაფიქსირდებოდა. ამიტომ იტალიელებმა აღარ გარისკეს და UEFA-ს წარმომადგენლებს უიმედოდ შესჩივლეს, ამ სტადიონზე როგორ უნდა ვითამაშოთო.

ოთხშაბათს "ლაციომ", მატჩის გადადების თაობაზე, ოფიციალური განცახდებით მიმართა UEFA-ს, მაგრამ ხუთშაბათს დილით ჯერ კიდევ არავინ იცოდა, შედგებოდა თუ არა ეს შეხვედრა. საღამოს ცხრა საათზე კრაკოვის სტადიონის წინ თავმოყრა დაიწყეს გულშემატკივრებმა, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ თამაშის დაწყებას და "ვისლას" მერვედფინალში გასვლას, მაგრამ, პოლონელი ფანების გულდასაწყვეტად, UEFA-მ იტალიელებს დაუჭირა მხარი და რომაელები გაუდაურჩნენ კრაკოვის ატალახებულ სტადიონზე ცხვირ-პირის დამტვრევას.

რომაელებმა კრაკოვის სტადიონს ევროპული სტანდარტებისთვის შეუფერებელი უწოდეს, რამაც პოლონელთა რისხვა გამოიწვია. "ლაციოსგან" განსხვავებით, "ვისლამ" უპრობლემოდ ჩაატარა ვარჯიში თოვლისგან გაფუჭებულ ბალახზე და, ეჭვი არ არის, მატჩი რომ შემდგარიყო, მასპინძლებს დიდ სარგებელს მოუტანდა წყობიდან გამოსულ მოედანზე თამაში, რადგან იტალიელები ისე იყვნენ დაშინებულები, ფეხის მოტეხვის შიშით, წესიერად სირბილსაც ვერ შეძლებდნენ... სწორედ ამ ფაქტორს გაუსვა ხაზი რობერტო მანჩინიმ, როცა მატჩის გადადების მიზეზებს ასახელებდა: "ჩვენ კრაკოვში სათამაშოდ ჩამოვედით და ვითამაშებდით კიდეც, მოედანი კარგ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო. ასეთ ბალახზე, უბრალოდ, სახიფათოა თამაში. არც ერთი ფეხბურთელი არ იქნებოდა ტრავმისგან დაზღვეული. მატჩის გადადება ჩვენი ბრალი არ არის, ასეთი გადაწყვეტილება UEFA-მ მიიღო და "ლაციო" არაფერ შუაშია. ჩვენთვისაც ცუდია, რომ ვერ ვითამაშეთ. ახლა კიდევ ერთხელ უნდა მოვემზადოთ ამ მატჩისთვის", - თქვა გუნებაწამხდარმა მანჩინიმ.

პოლონელები იტალიელთა პრეტენზიებმა დიდად გაანაწყენა. მასპინძლებმა, თითქოს პროტესტის ნიშნად, ვარჯიშის დროს კარი გააღეს და სტადიონზე გულშემატკივრები შეუშვეს, რათა ყველას ენახა, რომ მოედანი სულაც არ იყო კატასტროფულ მდგომარეობაში და უპრობლემოდ შეიძლებოდა თამაში. "ვისლას" პრეზიდენტმა, ბოგდან ბაშატაიმ, ყველაფერი ამინდს გადააბრალა. "რა ჩვენი ბრალია, თუ კრაკოვში ასეთი კლიმატური პირობებია. პოლონური ზამთარი ასეთია და ამას ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში ამაზე უარეს სიტუაციაში ჩატარებული მატჩებიც მინახავს", - განაწყენებული იყო "ვისლას" შეფი.

პოლონელთა უკმაყოფილების მიუხედავად, თამაში მაინც გადაიდო. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მატჩი 5 მარტს გაიმართება. შეხვედრის ადგილი კი ჯერაც არ დაუზუსტებიათ. "ლაციოს" ოფიციალურ საიტზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მატჩი, შესაძლოა, ჩატარდეს პრაღაში, რის გამოც პოლონელები აქედანვე უკმაყოფილონი არიან.

რაგბი

რუსული ფერიცვალება

საქართველოს ნაკრებთან მომავალი მატჩის წინ რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის თქმით, ამ ცვლილებების ნაწილი იძულებითი იყო, ნაწილი კი მწვრთნელმა ჩათვალა საჭიროდ.

ჰაატა თოთაძე

რუსეთის ნაკრები გუშინ უნდა გამგზავრებულიყო კრასნოდარში, შეკრებაზე, მაგრამ მიზეზთა გამო გამგზავრება ხვალისთვის გადაიდო. რუსები დაბანაკდებიან სტანიცა პოლტავსკაიაში (კრასნოდარიდან 60 კმ) და ქართველებთან მატჩისთვის იქ მოემზადებიან. კრასნოიარსკში ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და გუნდს გამოაკლდა სერგეი ვასილიევი. პერვუხინის თქმით, რა თქმა უნდა, ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ვასილიევი არ არის შეუცვლელი მოთამაშე. ასე რომ, რუსებს დიდი დანაკლისი არ განუცდიათ. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გუნდს კიდევ სამი მოთამაშე - ვაკილ ვალეევი, დენის აკულოვი და რომან ფედოტოვი დაემატნენ. რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობის განცხადებით, სამივე მათგანს, საქართველოსთან თუ არა, უახლოეს ხანში სხვა მეტოქეებთან მოუწევს რუსეთის ღირსების დაცვა, ამიტომაც მათი მიწვევა შეკრებაზე მიზანშეწონილიაო.

ბოლო დროს რუსეთისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი მუდამ პრინციპული და უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ასე რომ, ამ მატჩისადმი დიდია ინტერესი და რუსული მედიის წარმომადგენელთა სურვილიც, ნაკრებში არსებული მდგომარეობა მწვრთნელისგან გაიგოს, ამით არის გამოწვეული.

„ჩემი განსასჯელი არ არის, რა მოხდა აფრიკელებთან დაკავშირებით. მე ის ვიცი, რომ ჩვენი რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა შეცდომაში შეიყვანეს. ნებისმიერ შემთხვევაში უცხოტომელთა მიწვევა ნაკრებში მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ გუნდი მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებდა. ავსტრალიაში ჩვენ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევდა თამაში. ჩვენი ძალებით მათი არათუ დამარცხება, მცირე ანგარიშით წაგებაც კი შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამისთვის არიან საჭირო უცხოტომელები, თორემ ევროპის ერთა თასზე საქართველოსთან და რუმინეთთან საპაექროდ ჩვენი ძალებიც საკმარისია“, - აღნიშნა პერვუხინმა.

რუსეთის ნაკრები რომ პროგრესს განიცდის, აშკარაა, მაგრამ ის „აფრიკელები“ პერვუხინმა პირველად სწორედ ქართველებთან მატჩში ათამაშა. მეორე მატჩში კი მწვრთნელი სახალხოდ აცხადებდა, რომ, ლეგიონერებთან ერთად, მას აფრიკელთა იმედი ჰქონდა. ასე რომ, მწვრთნელი ახლა, უბრალოდ, იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, ჩვენი ძალებით გავუმკლავდებით მეტოქეებსო. ეს, ალბათ, საკუთარი მოთამაშეების ფსიქოლოგიური განწყობის ასამაღლებლადაც იყო ნათქვამი. ბუნებრივია, არასასიამოვნო მოსასმენია, როცა სახალხოდ აღნიშნავენ, რომ ნაკრების ბედი უცხოტომელთა ხელშია. როგორც ამ საუბრიდან ირკვევა, პერვუხინი არც გუნდში „აფრიკელების“ მიწვევის მომხრე ყოფილა. გამოდის, კავშირის ხელმძღვანელობა მის გარეშე წყვეტდა ყველაფერს, ან მთავარი მწვრთნელის ფუნქციას, პერვუხინი კი არა, სამხრეთაფრიკელი შტოფბერგი ასრულებდა. ასეა თუ ისე, ყველაფერში თავად რუსები არიან დამნაშავე. ისე, პერვუხინის ადრე ნათქვამისა არ იყოს, რუსეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელები რაღა სამხრეთ აფრიკას მიადგნენ, როცა ავსტრალიასა და კანადაში უამრავი რუსი თამაშობს რაგბის. მათი ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის, მაგრამ, ისევ პერვუხინს თუ მოვიშველიებთ, დაახლოებით, 400 მორაგბეზეა საუბარი.

რაც შეეხება ქართველებთან მომავალ მატჩს, პერვუხინი, ახლაც, როგორც აქამდე, ძირითადად, ლეგიონერებზე ამყარებს იმედს. „ესპანელებთან მატჩში სერგეევი და გრაჩოვი გამოირჩეოდნენ. ორივე გუნდის ლიდერია. ნაკრების წარმატება, ფაქტობრივად, მათ თამაშზეა დამოკიდებული. კარგად ითამაშა რაჩკოვმაც. ჩვენი ყველა შედეგიანი შეტევა რაჩკოვის გააზრებული თამაშის წყალობით განხორციელდა. მომავალ მატჩებში ჩვენი წარმატებაც ამ მოთამაშეებზე იქნება დამოკიდებული“, - აღნიშნა პერვუხინმა.

ქადრაკი

კასპაროვმა მოიგო


გარი კასპაროვი

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა ჭადრაკში, გარი კასპაროვმა, ლინარესის ტურნირზე, როგორც იქნა, გაიმარჯვა. სპეციალისტთა საერთო აღიარებით, რუსმა დიდოსტატმა პირდაპირ გაანადგურა უკრაინელი რუსლან პონომარიოვი. თეთრი ფიგურებით მოთამაშე კასპაროვმა იოლად დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი და აგრძნობინა, რომ მის წინააღმდეგ არავითარი შანსი არა აქვს.

პონომარიოვმა 44-ე სვლაზე გამოაცხადა კაპიტულაცია და ნათელი გახდა, რომ პირად შეხვედრაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ოთხთა გამაერთიანებელი ტურნირის ფარგლებში უნდა გაიმართოს, კასპაროვს პონომარიოვი კონკურენციას ვერ გაუწევს. ასეთი შეფასება მისცეს ჭადრაკის მიმომხილველებმა კასპაროვ-პონომარიოვის პარტიას. ამ გამარჯვების შემდეგ გარი კასპაროვის ანგარიშზე ორი ქულაა. პონომარიოვი კი ერთი ქულით ტურნირის აუტსაიდერია.

ლინარესის ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს ოთხთა გამაერთიანებელი ციკლის კიდევ ერთი მონაწილე, ახალგაზრდა უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო (მას ვლადიმირ კრამნიკთან შეხვედრა მოუწევს). ლეკომ ტურნირზე მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ესპანელ ვალიეხოზე და სამი ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ლეკო ნახევარი ქულით უსწრებს ინდოელ ვიშვანათან ანანდს, რომელიც მე-5 ტურში, 25-სვლაზე, აზერბაიჯანელ ტეიმურ რაჯაბოვს დაუზავდა.

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ვლადიმირ კრამნიკიც, რომელიც ამჯერად ისვენებდა. მეექვსე რაუნდში, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება, ვალიეხო კასპაროვს შეხვდება, ანანდი - ლეკოს, კრამნიკი - რაჯაბოვს. რუსლან პონომარიოვი დაისვენებს.

დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ლეკო - 4 პარტია, 3 ქულა, ანანდი-კრამნიკი - 4-2,5, რაჯაბოვი - 5-2,5, კასპაროვი - 4-2, ვალიეხო - 4-1,5, პონომარიოვი - 5-1.

ჩოგბურთი

ანა კურნიკოვას ახალი ამპლუა

ანა კურნიკოვა

ამ ოქროსფერთმიან სექსბომბას ჩოგბურთის ყველაზე დაუძლეველ ცდუნებას უწოდებენ. იმის მიუხედავად, რომ ყველა კარგად იცნობს მის სპორტულ მონაცემებს და ნებისმიერი ტურნირის დაწყების წინ თითოეული გულშემატკივარი მტკიცედაა დარწმუნებული, კურნიკოვა მეოთხედფინალშიც კი ვერ მოხვდება, როცა ის თამაშობს, ტრიბუნები მაინც გადაჭედილია. “სექსი ანას” კორტებზე ხილვა ყველას უნდა, განურჩევლად იმისა, თუ როგორი შედეგით დასრულდება მატჩი. ანა კურნიკოვა იმ ლამაზმანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც კარგად იციან, როგორ იშოვონ მილიონები. ანასთან გაფორმებულ ყოველ კონტრაქტს სპონსორებისთვის მხოლოდ მოგება მოაქვს...

ბოლო დროს ანას ახალი გატაცებები გაუჩნდა. ჩოგბურთში ხელმოცარულმა ანამ გადაწყვიტა, სხვაგან მოესინჯა საკუთარი ძალები და ამერიკის “ინდი რესინგ ლიგის” რბოლაში ბრაზილიელი პილოტის, ელიო კასტრონევესის გვერდით დაიკავა ადგილი.

ევროპულ ფორმულა 1-ში ყველა მნიშვნელოვან საჯინიბოს ჰყავს მომხიბვლელ ქალთა ჯგუფი, რომელიც რბოლების დროს გუნდს თან ახლავს და, სპორტის პარალელურად, მაყურებელს ლამაზი ფორმებით დატკბობის საშუალებასაც აძლევს. ფორმულა 1-ის ქალად ყოფნა ევროპელი ლამაზმანებისთვის სახელის გათქმისა და ფულის შოვნის ფრიად პოპულარული გზაა. ანა კურნიკოვამ კი, როგორც ჩანს, ამ ახალ ამპლუას ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის მიმართა. “ინდი რესინგ ლიგა” ფორმულა 1-ის ამერიკული ვარიანტია. მართალია, ანას თავისი ახალი კარიერა მიხაელ შუმახერთან ან რუბენს ბარიკელოსთან თანამშრომლობით არ დაუწყია, მაგრამ არც ბრაზილიელი ელიო კასტრონევესია ხელწამოსაკრავი პიროვნება. ანას ისე მოეწონა ბრაზილიელის გვერდით ქროლვა, რომ ელიო და მისი თანამემამულე, ჟილ დე ფერანი, მეორე დღეს ჩოგბურთის სათამაშოდ მიიპატიჟა. მეგობრული სეტი ჟილ დე ფერანის გამარჯვებით დასრულდა. მან ანასგან საჩუქრად კოცნა მიიღო. გულდაწყვეტილი არც ელიო კასტრონევესი დარჩენილა - ანა მასაც გადაეხვია და მადლობა გადაუხადა.

ანას ასეთი აქტიურობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჟურნალისტებს. უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ანა და ენრიკე იგლესიასი, მართლაც, დაშორდნენ ერთმანეთს და ანა ახალ მეგობარს ეძებს. გახდება თუ არა რომელიმე ბრაზილიელი პილოტი რუსი ჩოგბურთელის გულის მურაზი და გააგრძელებს თუ არა ანა მათთან ერთად რბოლას, ამას მომავალი გვიჩვენებს...



ინფორმაცია

ტრავმების ეპიდემია „ინტერში“

ასე თუ გაგრძელდა, მალე მილანის “ინტერს” ჯანმრთელი ფეხბურთელი აღარ დარჩება. არგენტინელი ერნან კრესპოს დაშავების მერე კუპერის გუნდმა სამი წამყვანი მოთამაშე დაკარგა “ბარსელონასთან” მატჩში.

კატალონიელთა პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა სიერალეონელი მუჰამედ კალონი, რომელსაც ხუჭუჭა კარელს პუიოლი ისე უხეშად ეთამაშა, რომ რეკობას შემცვლელი აფრიკელი “სან-სიროდან” პირდაპირ გააქანეს სან მატეო დი პავიას ჰოსპიტალში, სადაც მას მარჯვენა ქუსლის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ექიმები ვარაუდობენ, რომ კალონს 90 დღე მაინც დასჭირდება ფორმის აღსადგენად, რაც იმას ნიშნავს, რომ აფრიკელი ფეხბურთელისთვის ეს სეზონი უკვე დამთავრებულია...

ფრანგმა სტეფან დალმამ კატალონიელებთან მატჩში მარჯვენა ფეხი იტკინა და ექიმებმა ორთვიან იძულებით შვებულებაში გაუშვეს, დომენიკო მორფეოს კი მარცხენა თეძოს კუნთი დაეჭიმა და ერთ თვეს ვეღარ ითამაშებს.

„დელე ალპის“ რეკონსტრუქცია 2006 წლამდე არ დასრულდება

ტურინის “იუვენტუსის” დირექტორმა, ანტონიო გირუადომ განაცხადა, რომ კლუბის კუთვნილი სტადიონის, “დელე ალპის” რეკონსტრუქცია 2006 წლამდე ვერ დასრულდება. “სამწუხაროდ, სამშენებლო სამუშაოები, სულ ცოტა, 2006 წლამდე გასტანს. რეკონსტრუქციას მხოლოდ მაშინ დავიწყებთ, როდესაც გუნდი სტადიონს აღარ გამოიყენებს”, - ამბობს გირუადო. “იუვენტუსის” დირექტორის განცხადებით, რეკონსტრუირებული “დელე ალპი” ულამაზესი სტადიონი იქნება. ტრიბუნებს მოედანთან ახლოს მიწევენ. სტადიონი თანამედროვე ფეხბურთის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ბელმონდო მიდის

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იტალიელმა მოთხილამურემ სტეფანია ბელმონდომ გადაწყვიტა, აქტიური სპორტიდან წავიდეს. 34 წლის სპორტსმენმა ეს გადაწყვეტილება მიიღო თავისი მდგომარეობის გამო – სექტემბერში ბავშვს ელოდება.

“ახლა მხოლოდ ერთ რამეზე - დედობაზე ვფიქრობ. ჩემს ცხოვრებაში ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება. ასეთ მდგომარეობაში არც სპორტზე და არც სხვა რამეზე ფიქრი არ შემიძლია. აქტიურ სპორტში არც ბავშვის გაჩენის შემდეგ დავბრუნდები”, - განაცხადა ბელმონდომ.

მინიატიურულმა (154 სმ) იტალიელმა მოთხილამურემ ოთხ ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებებს პირველ და ბოლო ოლიმპიადებზე მიაღწია. პირველი ოქრო ბელმონდომ 1992 წელს, ლილიჰამერში მოიპოვა 30 კმ. დისტანციაზე, მეორე კი – შარშან, სოლტ-ლეიკ სიტიში, 15 კმ-ზე. პირველ და მეორე ოლიმპიადებს შორის ათი წელია. ბელმონდოს ჯერ კიდევ 1998 წელს უნდოდა, აქტიური სპორტიდან წასულიყო, მაგრამ უნდოდა, წასულიყო გამარჯვებული. 1998 წელს, ნაგანოს ოლიპიადაზე ის ოდნავ ჩამორჩა იმ დროისთვის უცნობ იულია ჩეპალოვას, მანამდე კი ბელმონდოს კიდევ ერთი რუსი - ელენა ვიალბე უშრობდა სისხლს. სწორედ ვიალბეს “დამსახურებაა”, რომ ბელმონდომ 2002 წლამდე ვერ მოიგო ოლიმპიური ოქრო. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც იტალიელმა მას შემდეგ მოიპოვა, რაც ვიალბე სპორტიდან წავიდა.

ზელანდიელები ბობოქრობენ

მაიკ ტაისონმა და მომღერალმა რობი უილიამსმა ახალზელანდიელთა წყრომა დაიმსახურეს. ამის მიზეზი მათ სხეულებზე გაკეთებული ტატუებია.

ტატუ, რომელსაც ა-ლა-მაორი ჰქვია, ტაისონმა თვალის გარშემო გაიკეთა. ეს კიდევ არაფერი - ტაისონს მთელი სახის მოხატვა განუზრახავს. რაც შეეხება უილიამსს, მან პოლინეზიური წარმოშობის ნახატი გაიკეთა ხელზე.

ყველაფერმა ამან ახალზელანდიელები აღაშფოთა. ოკლენდის უნივერსიტეტის პროფესორთა განცხადებით, რომლებიც წარმოშობით მაორები არიან, ტაისონისა და უილიამსის სხეულებზე გამოსახული ნახატები მაორებს ეკუთვნით და მათი მითვისება ყოვლად დაუშვებელია. მაორთა ერთ-ერთი ტომის ბელადი უფრო შორს წავიდა და აღნიშნა, რომ ეს ტატუები მხოლოდ მის ტომს ეკუთვნის და მისი გამოყენების უფლებას არავის მისცემს. საინტერესოა, როგორ აპირებს ბელადი, ტაისონს თვალის გარშემო გაკეთებული ტატუ მოაშოროს?

ისტორიული ფოტო

ეს იყო 14 წლის წინათ...

1989 წელი. ციურიხი.
FIFA-ს მაბინდებელი გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი და პელე.

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიური ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000.

ტელ: 38-32-50

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი 1200 კვ.მ. ეზოთი საბურთალოზე. 32 07 42, 8(77) 74 90 89

მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

კომერს. ფართი

იყიდება 72 კვ.მ. ფართი I სართულზე 156 კვ.მ. განთებული სარდაფით, ვაკეში, სტუდქალაქის უკან. 8(77) 78 58 42

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

მანქანები

იყიდება ავტომანქანა „შკოდა-ოქტავიას“ ნებისმიერი სათადარიგო ნაწილები. 8(99) 50 33 53

სწავლება

უნივერსიტეტის ლექტორი და მოსამზადებელი განყოფილების მასწავლებელი ამეცადინებს მსურველებს ფიზიკა-მათემატიკაში. 38

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმეს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

63 73 ზურაბი

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ფიზიკაში და მათემატიკაში. აგრეთვე დავეხმარები მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. 32 59 62

თურქეთში სტაჟირებული პედაგოგი შეასწავლის თურქულ ენას. 79 63 64, 8(93) 20 85 61

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებო კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

სასწრაფოდ იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. ფასი 20 ლარი. 8(93) 24 58 72

იყიდება PANASONIC-ის FAX-ი ავტომპასუხით, ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი 190 $. 32 83 11

იყიდება საქსოვი მანქანა „ნი-

სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ღუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.

ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47

გეპატიჟებათ
კაფე-რესტორანი
„იმედი“

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბეგოთ ადგილები და მენიუ.

სანდრო ეულის ქ. 1.
8(93) 21 76 12

ვეა“ ხელსაწყოებით, კონსპექტებითა და სქემებით. ფასი 150 ლარი. 79 12 42

ვთარგმნი ინგლისური, გერმანული და რუსული ენებიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება "გაზ-69"-სა და "უაზის

გვესაჭიროება!

მდივანი: ახალგაზრდა მანდილოსანი ინგლისური და რუსული ენების, აგრეთვე, კომპიუტერის კარგი ცოდნით (სწრაფი ბეჭდვა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე), სასურველია, ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება.

ბუღალტერი: ახალგაზრდა მანდილოსანი უმაღლესი საბუღალტრო განათლებით, ბუღალტერის საერთაშორისო სტანდარტების მცოდნე (სასურველია იყოს ფაბის მიერ სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი), კომპიუტერისა და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნით, მუშაობის სამწლიანი გამოცდილებით.

ანაზღაურება შეთანხმებით. მიღება მოხდება გასაუბრების და მოთხოვნათა შემოწმების საფუძველზე ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ. მსურველებმა საკალდებულოა წარმოადგინონ:

განათლების დამადასტურებელი საბუთი და სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნებთან შესაბამისობას: ავტობიოგრაფია; ორი ფოტოსურათი. განცხადების მიღების ბოლო ვადა 3.03.03

საკონტაქტო ტელეფონები: **98-65-45, 98-65-68, 92-09-04**.

სადილი ყველას!

3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, "კათარზისი" კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

დარეკეთ 11-დან 17 საათამდე. 95-16-46
დავით აღმაშენებლის 121.

" ავტონაწილები, ძრავი. 75-93-16 გოგი.

იყიდება ახალი და მეორადი სამედიცინო ტექნიკა: ექოსკოპი, ელექტროდანა, ახალშობილთა რეანიმაციის მონყობილობა და გერმანული ლაბორატორია. 93 49 62,

8(99) 53 63 95

გვესაჭიროება ტრაქტორისტი, რომელიც შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს წალკის რაიონში და აგრეთვე პროფესიონალი მეფუტკრე. 79 62 34, 8(99) 98 17 43

აფიშა

თეატრები

■ რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

■ მარჯანიშვილის თეატრი
"ხელოვნება", რეჟ. თემურ ჩხეიძე, როლებში: მიხეილ გომიაშვილი, ზურა ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

■ თავისუფალი თეატრი
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

■ თეატრალური სარდაფი
"კარლო", რეჟ. ანდრო ენუქიძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

■ თეატრალური სარდაფი ვაკეში
"ვენეციელი ვაჭარი" რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

■ სამეფო უბნის თეატრი
"გოდოს მოლოდინში" რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 5, 7 ლარი

■ ახმეტელის თეატრი
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

■ უნივერსი
მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

■ ორიენტი
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

■ ქარვასლა
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

■ „ამირანი„
"აბა დამიჭირე"
დას: 13:00; 16:00; ფასი 5,6 ლარი
"სიმონა"
დას: 19:00; 21:30; ფასი 8,9 ლარი

■ „ელისო„
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

■ კინოს სახლი
"ველური", რეჟ. ჟან პოლ რაპნო, მთავარ როლში, ივ მონტანი (ფრანგულენოვანი სეანსი)
დას: 16:00 სთ; ფასი 2 ლარი

TV პროგრამა 1 მარტი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული“
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.45 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო“
18.00, 01.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში“
19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა
20.05 სერიალი „ჩინელი პოლიციელი“
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. „ყველაზე ლამაზი“.
01.15 მხ.ფ. „ისტორია იქსი“ მთ. რ-ში: ედვარდ ნორტონი
03.20 ღამის ჯაზი

პირველი არხი

08.00, 20.00, 00.45 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „ამფეთქებელი“
09.40 მულტსერიალი „ბელფეგორი“
10.00 დილის პაემანი
11.00 „ლატარია ყველასათვის“
11.10 „მხიარული კარუსელი“
11.40 დოკ. სერიალი „კონტაქტი“
11.55 „ბლოგუსი“
12.25 „მეტრო“
13.00 კვალი
13.30 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია“
14.25 „საქართველო, დრო, მოვლენები“
15.15 მხ. ფილმი „ქარიანი ღამე“
16.45 საწინდარი
17.15 „შემოქმედებითი პორტრეტი“ ს. წერეთელი
17.40 რეალური სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.45 „თბილისის დროით“
19.05 „ენერგია“
19.35 „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“
20.40 „ფორტუნა“
21.15 სერიალი „ძალები ზღვისპირეთში“
22.00 კონცერტი
23.00 მხ. ფილმი „ალორძინების ეპოქის ადამიანი“
02.30 ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

09.00 განმ. რუსული მუსათეული
10.00 ტოროლა
13.00 განმ. უცნობი
14.00 სმს შოუ
17.00 ფილმი „ო, ძმაო სად ხარ“ მთ. როლ-ში ჯორჯ კლუნი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 კვირის საუკ. ლექსები
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი გრავო „ძარცვა“ მთ. როლში ჯინ ჰეკმანი, დენი დე ვიტო
01.50 ფილმი ღამური „ჰელოუნი-3“ მთ. როლ-ში ჯემი ლი კერტისი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 „ახლო ხედი“
21.00 დოკ. ფილმი
21.30 გუდარია
21.40 მხ. ფილმი „ბნელი წარსული“

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „როკის მეფეები“
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
12.40 მხ. ფილმი „სასიყვარულო წერილი“
15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
15.20 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
16.30 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00, 19.30 მულტფილმი
18.45 გუნების ფერები
20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
21.00 დოკ. ფილმი
22.30 მხ.ფ. „ბლანში“
00.00 მხ.ფ. „მოახლე ტიტანიკიდან“
01.40 ღამის ფილმი

ევროპა

10.30 საოცარი პირამიდა
11.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
12.00 რუსული ენის გაკვეთილი
12.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
13.00 სალონი
14.30 ექიმი გვირჩევს
15.30 დოკ. ფილმი
16.00 ლაბირინთი
18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
19.00 რუსული ენის გაკვეთილი
19.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
20.00 თინეიჯერი
21.00 ცეროდენა ვარსკვლავები
22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი“
22.30 თეატრალური შეხვედრები
23.45 მხ. ფილმი „ცრემლები წვიმაში“

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „საცდელი დღე“
14.20 მხ. ფილმი „ბრონქსის ისტორია“
16.20 მხ. ფილმი „უკანასკნელი მეტრო“
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
19.20 მულტფილმი
21.00 მხ. ფილმი „ანდროიდების კოლონია“
22.30 მხ. ფილმი „ტყუილი სამიზნე“
00.20 მხ. ფილმი „შოკოლადი“

მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი“
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
12.45 მხ. ფილმი „მკვლელის შვილი“
14.15 „ტელემეტრი“
14.45 დოკ. ფილმი „კანი. 400 დარტყმა“ მე-2 ნ.
15.15 დოკ. სერიალი „სუპერშეგრძნება“
15.45 მხ. ფილმი „შეუპოვარი მაძიებლები“
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
18.40 მულტსერიალი „ალექსი“
19.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში“
20.00 დოკ. ფილმი „კანი. 400 დარტყმა“ მე-3 ნ.
21.00 დოკ. მუს. ფილმი „იგლუი“ მე-2 ნ.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“ 1-ლი ს.
22.15 კლუბი ყაზგები: 1. მხ. ფილმი „კოლეჯი“ 77-83-28 2. მხ. ფილმი „რითმი“ 77-83-29 3. მხ. ფილმი „უსახო“ 77-83-30

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 მულტფილმი
09.40 საბავშვო ფილმი „აიფ, აფ, ვაი, ვაი, ვაი“
12.15 მხატვრული ფილმი „გუსარების ესკადრონი“ 1-2 სერია
15.00 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.40 კომედია „ლიფტიდან მარცხნივ“
19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.25 „ყველანი ვართ პატარები“
19.30 „პრესდაიჯესტი“
19.55 მელოდრამა „შემოდგომის ლეგენდა“
22.40 „პრესდაიჯესტი“
22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.00 Слово
01.00 მელოდრამა „ამერიკელი პრეზიდენტი“
03.30 მელოდრამა „შორეული შორეთი“

VII არხი

18.10 მოგილურები
18.50 მელოდია
18.55 კომპიუტერული თამაშები
19.00 „აჩიკუდა“
19.25 „გედნიერი ერი“ ილიას აუდლიციტური წერილების მიხედვით
19.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.15 „ღამის კაპარიზი“ - თემა: მე-7 არხი
21.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.50 მელოდია
22.15 „კინოკლუბი „ - „ეპიდემია“ იტალია 1994 წელი. სათავგადასავლო. როლებში: დასტინ ხოფმანი
00.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ -ესპანეთის ჩემპიონატი.
02.15 კომპიუტერული ტექნიკა

1 OPT

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер“
08.55 Сериал „Твинисы“
09.15 Играй, гармонь любимая!
09.55 Слово пастыря
10.10 Здоровье
11.10 „Смак“
11.30 „Смехопанорама“
12.05 „Путешествия натуралиста“
12.35, 13.05 „Новый день“
13.35 Кремль-9. „Операция „Долина“
14.35 Дисней-клуб: „Базз и его команда“
15.10 Чтобы помнили
15.50 Умницы и умники
16.20 „Новый день“
16.50 Худ.фильм „БУЧ КЭССИДИ И САНДЕНС КИД“
19.25 Шутка за шуткой
19.55 „Кто хочет стать миллионером?“
21.00 „Последний герой 3“
22.00 Время
22.25 Боевик „ДВОЙНОЙ ПРОСЧЕТ“
00.30 Триллер „Психоз“
02.30 Лыжный спорт.
03.25 Реальная музыка

РТР

07.20 Худ.фильм „ШАХ КОРОЛЕВЕ БРИЛИАНТОВ“
08.45 Мультсериал „Джуманджи“
09.10 Студия „Здоровье“
09.40 Золотой ключ
10.00 ТВ Бинго-шоу
10.25 „Военная программа“
10.45 Утренняя почта
11.25 „Сто к одному“
12.15 „Сам себе режиссер“
13.15 В поисках приключений
14.10 Клуб сенаторов
15.00, 21.00 Вести
15.20 Детектив „КОРОЛЕВА БЕНЗОКОЛОНКИ“
16.50 Киноистории Г. Скороходова
17.00 Комедия „ПЛАН „Б“
19.00 Моя семья
20.00 Аншлаг
21.25 Зеркало
21.50 „Честный детектив“
22.15 Юмористический концерт
23.25 Худ.фильм „ИСКУССТВО ВОЙНЫ“
01.40 Худ.фильм „ДОМ СВИДАНИЙ“

НТВ

07.50, 09.05 Худ.фильм „Джеймс Бонд - агент 007“
09.00, 11.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.55 „Без рецепта“. Доктор Бранд
10.30 Путешествия натуралиста
11.05 „Кулинарный поединок“
12.05 „Квартирный вопрос“.
13.05 „Профессия - репортер“
13.25 Служба спасения
14.05 Детектив „ИППОДРОМ“
15.50 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 „Женский взгляд“. В. Петкун
18.05 „Шоу Е.Степаненко“
19.05 Сериал „Бушующая планета“
20.30 Боевик „НЕУДЕЖИМЫЕ“
22.05 Боевик „ТРУДНАЯ МИШЕНЬ“
00.30 Супербокс: Оскар де ла Хойя - Оба Карра
01.05 Худ. фильм „ГРЕЧЕСКАЯ СМАКОВНИЦА“

სანამ დროა, იცეკვეთ სამბა

ბრაზილიური კარნავალი სალვადორში 27 თებერვალს დაიწყო

"ფერფლის ოთხშაბათის" მოლოდინში

თამარ ბაბუაძე

დღეს რიოში წვიმაა გამოცხადებული. მაგრამ როდის იყო, ატმოსფერული ნალექი ბრაზილიელებს სიცილსა და ცეკვაში უშლიდა ხელს. პრეცედენტი არც წელს დაფიქსირებულა. ბრაზილიის უდიდეს ტურისტულ სანახაობად ქცეულმა რიოს კარნავალმა ცეცხლოვანი სამბის ფონზე სტარტი დღეს აიღო. დღესვეა დაგეგმილი სიმბოლური და ულამაზესი სანახაობა – გადამდები და ველური ბრაზილიური ჰანგების, ათასფრად მორთული სამბადრომის ფონზე რიოს მერი ქალაქის უზარმაზარ გასაღებს კარნავალის მეფეს გადასცემს. ანუ, "ოფიციალურად" ქალაქის მართვის უფლებას კარნავალის მონაწილეებს აძლევს და თვითონაც საერთო მხიარულებას უერთდება.

სამბის 14 სკოლის აღლუმი კი, რომელსაც ტურისტები განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ელიან, ხვალ დაიწყება. მართალია, სამბის მოცეკვავე ქალები სამბადრომზე ხშირად ნახევრადშიშვლები გამოდიან, მაგრამ ოფიციალურად სრული სიშიშვლე კარნავალზე აკრძალულია. "იმპერატრის ლეოპოლდინესე", "სალგიერო", "მანგეირა", "ბეჟა ფლორ", "პორტო და პედრა", "პორტელა" – ეს ის სკოლებია, რომელთა სახელებიც წელს სამბადრომზე ყველაზე მეტად ქუხს. ყველაზე დიდ სიურპრიზებს "მანგეირას" მოცეკვავეებისგან ელიან. ის ხომ კარნავალის შარშანდელი გამარჯვებულია, თანაც მეჩვიდმეტედ. "მანგეირას" მხოლოდ "პორტელა" უსწრებს. ამ სკოლის წარმომადგენლები რიოს კარნავალის მთავარ ჯილდოს 18-ჯერ ფლობდნენ. ამბიციურად გამოიყურებიან "იმპერატრის ლეოპოლდინესეს" მოცეკვავეებიც. ისინი 1994-95 და 1999-2001 წლებში სამბადრომის პირველ ტიტულს იოლად ეუფლებოდნენ. ისე კი, სამბის სკოლების ისტორია გაცილებით უფრო ხანგრძლივია. პირველად ბრაზილიაში ამ მხიარულ დანესებულებებს საფუძველი 1920-იან წლებში ჩაეყარა.

კარნავალი, ანუ ოთხდღიანი ჭამა-სმა, ქეიფი, მასკარადი და ცეკვა ბრაზილიელებისთვის იგივე რანგშია აყვანილი, როგორც დასავლური კულტურის წარმომადგენლებისთვის შობისა და ახალი წლის დღესასწაული. რიოს კარნავალის დროს წყდება მუშაობა ბანკებში, მაღაზიებში, იხურება ბიზნეს-კომპანიებისა და სამთავრობო ოფისების უმეტესობა, რათა რიოელებმა უფრო მეტი გულმოდგინებით და ენერგიით იცეკვონ სამბა. ამ ფერადოვანი მასკარადით ბრაზილიელები სიმბოლურად ეთხოვებიან ცოდვებს და ორმოცდღიანი მარხვისთვის ემზადებიან. ვინაიდან კარნავალი რელიგიურ ფესვებს ეყრდნობა და აღდგომის დღესასწაულს უკავშირდება, მისი დაწყების თარიღი წლიდან წლამდე იცვლება. წელს კარნავალის დაწყება გაზაფხულის პირველ დღეს დაემთხვა. ბუნებრივია, ბრაზილიელებს არც ეს დეტალი გამორჩებათ მხედველობიდან და ზამთრის დასრულებას ერთ ცეცხლოვან ცეკვას აუცილებლად მიუძღვნიან.

თუმცა, წელს გლობალურად დაძაბულმა სურათმა ბრაზილიელთა განწყობაზე მაინც იმოქმედა. ტერორიზმის საფრთხეზე მხიარულ რიოშიც კი ალაპარაკდნენ. ამის საფუძველი არა მხოლოდ ერაყში შესაძლო ომმა, არამედ ნარკო-ბანდების გააქტიურებამ შექმნა. გასულ კვირას ქალაქი ტერორმა მოიცვა, არალეგალურმა ბანდებმა რამდენიმე ავტობუსი დაწვეს, გამუდმებით თავს ესხმოდნენ მოსახლეობას და ამგვარად კარნავალის დაწყებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. ამ მიზეზების გამო ოთხდღიანი კარნავალის მონაწილეთა უსაფრთხოებას 36 ათასი პოლიციელი და 3 ათასი ჯარისკაცი დაიცავს. ბრაზილიის ტურიზმის სამინისტროს ვარაუდით, ქალაქს 400 ათასამდე სტუმარი ეწვევა. თუმცა, ძალადობა და ნარკო-ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები კარნავალის მიმდინარეობის დროსაც გამუქდება. სამბის ცნობილი სკოლა "ბეჟა ფლორი" თავის შოუს სწორედ შიმშილს, სიღარიბესა და ძალადობას მიუძღვნის. როგორც ცნობილია, წელს პირველად ჩატარდა სამბის სკოლების ღია რეპეტიციები და ცნობისმოყვარე ტურისტებმაც უკვე შეიტყვეს, რომ "ბეჟა ფლორის" მოცეკვავეები ასეთ უცნაურ შოუს დადგამენ: სამბადრომზე ჯვარზეგაკრული ქრისტეს როლის შემსრულებელ მოცეკვავეს გამოიყვანენ, რომელიც მოულოდნელად ჯვარს მოიშორებს, ხელში იარაღს აიღებს და ეშმაკს დაედევნება.

ეს საერთო მხიარულება, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო კომერციულ ხასიათს იღებს, რიო დე ჟანეიროში 5 მარტამდე გაგრძელდება. სამბადრომი ე.წ. "ფერფლის ოთხშაბათს" დაიხურება, ქალაქის გასაღებს ისევ ქალაქის ოფიციალური მერი გადაიბარებს და დაიწყება 40 დღიანი მარხვის პერიოდი, ანუ, ცხოვრება სამბის გარეშე. შემდეგ კი, ბრაზილიელები მომავალ თებერვალსა და ველურ კარნავალს კვლავ დაელოდებიან.

ბრაზილიის კულტურის მინისტრი, ჟილბერტუ ჟილი სამბის მოცეკვავესთან ერთად სალვადორში

ქალეიდოსკოპი

მკერდით წამხდარი მეჯლისი

ხუთშაბათს, ღამით, ვენის ოპერაში გამართული ტრადიციული მეჯლისის ორგანიზატორებმა ერთ-ერთი სტუმარი იმაში დაადანაშაულეს, რომ მან განთქმული მეჯლისის ამაღლებული განწყობა წაახდინა. საქმე ის გახლავთ, რომ მილიონერმა რიხარდ ლიუგნერმა ბრილიანტებით დამშვენებული მაღალი საზოგადოების თავყრილობაზე მეტისმეტად სექსუალური პამელა ანდერსონი დაჰპატიჟა.

რიხარდ ლიუგნერი ქალების დიდი მოყვარულის რეპუტაციით სარგებლობს. წლევანდელი მეჯლისის დაწყებამდე ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ელზაბეტ გიურტლერმა, უსაყვედურა, რომ მისი წყალობით ყველაფერი სეირად გადაიქცა: "მეჯლისია ეს თუ ცირკი?"

ქ-ნი გიურტლერი განაწყენდა, რომ პამელას ჩამოსვლის გარდა ავსტრიელ ჟურნალისტებს აღარაფერი აინტერესებდათ. ჩვეულებრივ, მეჯლისზე დარჩენილი არისტოკრატები, დიპლომატები, პოლიტიკოსები, კლასიკური მუსიკის ცნობილი შემსრულებლები და მსგავსი "ელიტარული ელემენტები" იკრიბებიან ხოლმე, წელს კი მთავარი გმირი ვიღაც საეჭვო რეპუტაციის მქონე პამელა გახდა! გიურტლერის აზრით, ასეთი ამბები ამ ღონისძიების იმიჯს ძალიან ვნებს.

ლიუგნერზე თავად ანდერსონიც ნაწყენია, მიუხედავად იმისა, რომ ულამაზეს კაბაში ვალსის ცეკვის საშუალება სწორედ მილიონერის წყალობით მიეცა: პამელა ჩივის, რომ მისი მკერდის ზომის თემაზე საუბარი ლუიგნერს არ ეკადრებოდა, და საერთოდ, "სერიოზულად ვერ აღმიქვავსო".

სამაგიეროდ, თავად რიხარდ ლიუგნერი ძალიან კმაყოფილია. მისი თქმით, მადლობის მეტი არავის არაფერი ეთქმის: არც პამელას და არც მეჯლისის ორგანიზატორებს. ის რომ არ ყოფილიყო, ვიღას აინტერესებდა ვენის მეჯლისი...

სერიალის გმირი მაო

გუშინ ახალი 36-სერიიანი ფილმის გადაღება დაიწყო. ჩინური ტელესერიალი ბელად მაო ძედუნის ცხოვრებას ეძღვნება. მისი ბიუჯეტი 2,5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ფილმში მაო ძედუნის ცხოვრების ყოველი ეტაპი იქნება ნაჩვენები. პირველი 12 სერიის მოქმედების ადგილი ბელადის მშობლიური სოფელია, რომლის ზუსტი ასლიც კინოსტუდიის პავილიონებში იქნება აშენებული. ფილმის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს "მართალი" ფილმი იქნება, და მასში უნიკალურ დოკუმენტებს გამოიყენებენ, რომლებიც მათ მაოს ნათესავებისა და თანამებრძოლების წყალობით იყო მოპოვებული.



წარმატება წარმატების წყალობით

ნორა ჯონსი

24 თებერვალს ამერიკელმა დიზაინერმა, მიშელ დე კურსიმ, სახელგანთქმულ ქალად გაიღვიძა. წინა დღეს 23 წლის მომღერალმა, ნორა ჯონსმა, რვა Grammy მიიღო, და ამ დროს მის მიერ შეკერილი შავი აბრეშუმის კაბა ეცვა.

"შოუს დროს სამმა მეგობარმა დამირეკა, ტელევიზორი ჩართე, მგონი, ნორა ჯონსს შენი კაბა აცვია," ყვებოდა დიზაინერი, რომელმაც თავისი ნამუშევარი, ცხადია, დანახვისთანავე იცნო.

როგორც გაირკვა, მომღერალს კაბა სხვა მუსიკალური ჯილდოს, ტელეარხ VH1-ის პრიზების გადაცემის ცერემონიაზე ჩაუვარდა ხელში – იქ ერთი კომპანია ყველას, ვინც მუსიკალურ ინდუსტრიაში იყო დასაქმებული, ტანსაცმლის არჩევას სთავაზობდა. ჯონსმა შავი კაბა აირჩია, ისე, რომ დიზაინერს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო მისი მფლობელი.

დამწყები დიზაინერისთვის ეს დიდი წარმატებაა. მიშელმა სულ ორი წლის წინათ დაიწყო კერვა, როცა საკერავი მანქანა აჩუქეს. მანამდე დე კურსი ბუღალტერი იყო.

რას ერჩის ვრესა ვატარა ბრიტნის

ბრიტნი სპირსი

პოპ-ვარსკვლავი, ბრიტნი სპირსი, ამერიკულ ჟურნალ Star-ს უჩივის.

ამ ჟურნალში სტატია დაიბეჭდა, რომელმაც ბრიტნი ძალიან გაანაწყენა. ამ ბოლო დროს მას ისედაც ცუდად იხსენიებენ, იმის გამო, რომ ღამის კლუბებში დაიარება, მოწევა დაიწყო და მაისურებს უწმაწური წარწერები უმშვენებს. ახლა კი გაირკვა, რომ ბრიტნი ნარკოტიკებს ეძალება, რომ მაიამის ღამის კლუბის ტუალეტში კოკაინს ყნოსავდა. ეს მხოლოდ ერთ-ერთი პუბლიკაციაა, Star-მა თავის მკითხველს ბრიტნი სპირსის მრავალი სხვა საგმირო ამბავიც მოუთხრო.

სულ ცოტა ხნის წინათ ძირითადი თემა ბრიტნის სასიყვარულო თავგადასავლები იყო, კერძოდ, მისი ურთიერთობა Limp Bizkit-ის წევრთან, ფრედ დერსტთან. ფრედ დერსტი, მთლიანად მოსვირინგებული როკერი, ბრიტნიზე ათი წლით უფროსია და ის და მისი ჯგუფის წევრები ხმაურიანი წვეულებებით და ხულიგნობით არიან ცნობილი. გაზეთ Life-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ფრედმა განაცხადა, რომ ბრიტნი "ძალიან მხიარული გოგოა". მისი თქმით, ბრიტნი თუ შეუყვარდებოდა, ვერასოდეს წარმოიდგენდა. "მაგრამ ბრიტნი სრულიად განსაკუთრებული გოგო აღმოჩნდა. მე ის ძალიან მომწონს და ბედნიერი ვარ, რომ უკეთ გავიცანი."

მაგრამ, ფრედის არსებობის გარდა, სხვა დანარჩენში 21 წლის ვარსკვლავს ბედმა ზურგი შეაქცია: მშობლები გაიყარნენ, მისი სადებიუტო ფილმი, "გზაჯვარედინები", კრიტიკოსებმა უვარგისად ჩათვალეს. ყველა სიკეთესთან ერთად, ბრიტნის მიერ ნიუ-იორკში გახსნილ რესტორან "ნაილაში" არავინ დადის, იმიტომ რომ ორი კლიენტი ჩივის, მოგვწამლესო.

და აი, ახლა ნარკომანიაშიც დასდეს ბრალი. როგორც კი ეს სტატია გამოქვეყნდა, ბრიტნიმ საჯაროდ განაცხადა, მტკნარი სიცრუეაო. ის სტატიის ავტორებს სასამართლოში შეხვედრით დაემუქრა.

სტატიაში კი აი, რა ეწერა: ეს ამბავი შარშან, 14 ნოემბერს, მაიამის ღამის კლუბში მოხდა. ერთი კაცი, რომელიც იმ საღამოს ბრიტნის ახლდა, მაგრამ ჟურნალისტებისთვის თავის ვინაობის გამხელა არ ისურვა, მოყვა, რომ ის, ბრიტნი, ბრიტნის მეგობარი გოგო და კიდევ ერთი კაცი კლუბის ტუალეტში ჩაიკეტნენ. იმ კაცმა უნიტაზის თავსახური ხელსახოცით გადაწმინდა, ზედ კოკაინი დაყარა, მერე კი თავის მართვის მოწმობით ოთხ ნაწილად დაყო. ბრიტნიმაც შეისუნთქა თავისი ულუფა და მეგობარ გოგოს ჰკითხა, ნესტოებზე კვალი ხომ არ დამრჩაო.

საერთოდ, სასამართლოში ჩივილი ბრიტნი სპირსს ღამის ცხოვრების წესად ექცა. სულ ცოტა ხნის წინათ მან ლოს ანჟელესის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, 41 წლის ბიზნესმენი, მესახიკო შიზავე, დამდევს და სამი თვეა, გასაქანს არ მაძლევსო. ბრიტნის თქმით, ის სულ მის სახლებთან ტრიალებდა და წერილებს უგზავნიდა: "მე შენ მოგდევ".

შიზავე იაპონელია, მისი ადვოკატის თქმით, "იაპონიაში დიდი კაცია", და სულ არ უნდოდა მოსარჩელეს წყენინება. ის პატივსაცემი პროგრამისტია, ტექნოლოგიურ პატენტებზე მილიონები აქვს გაკეთებული, მის შესახებ ცუდი არავის სმენია, და თან ამერიკაში აღარც იმყოფება – ვიზა დაუმთავრდა. მთელი ეს ამბავი "კულტურათა სხვაობის" ბრალი ყოფილა. ასე თუ ისე, საქმის მოსმენა 28 თებერვლისთვის გადაიდო, და ბრიტნის ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა.

საერთაშორისო კვლევისა
და გაცვლების საბჭო
International Research
& Exchanges Board (IREX)

საქართველო, 3800062, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 62;
ტელ/ფაქსი 291905;
ელ-ფოსტა: adm@irexonline.ge; http://www.irex.org
62, Chavchavadze Avenue, 3800062, Tbilisi, Georgia;
Tel./Fax: (995 32) 291905;
E-mail: adm@irexonline.ge; http://www.irex.org

IREX იწყებს ნამუშევრების
ფოტოკონკურსისთვის ახალი ამბების ფოტოგრაფიაში

1 მარტი, 2003

IREX ის მედია ინიციატივების პროგრამა საქართველოში აცხადებს კონკურსს ახალი ამბების ფოტოგრაფიაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ფოტოჟურნალისტებს,რომლებიც მუშაობენ ან თანამშრომლობენ მასობრივი ინფორმაციის რომელიმე საშუალებასთან.

ნამუშევრები შეგიძლიათ წარმოადგინოთ შემდეგი სამი კატეგორიისათვის:

რეპორტაჟი
პორტრეტი
ახალი ამბავი

თითოეულ მონაწილეს შეუძლია ნამუშევრების კომპლექტი წარმოადგინოს ზემოთ ჩამოთვლილი სამი კატეგორიიდან მხოლოდ ორისათვის. ნამუშევრების თითოეული კომპლექტი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფოტოსაგან, იმის გათვალისწინებით, რომ კომპლექტში წარმოდგენილი ყველა ფოტო ერთი სიუჟეტის ნაწილი უნდა იყოს.

თითოეულ ფოტოს უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია: ა) რა ან ვინ არის გადაღებული ფოტოზე, ბ) როდის არის ფოტო გადაღებული, გ) სად არის ფოტო გადაღებული. ფოტოს აუცილებლად უნდა ახლდეს ავტორის სახელი და გვარი. ამ ინფორმაციის გარეშე IREX ნამუშევრებს არ მიიღებს.

ნამუშევარი უნდა წარმოადგინოთ ნაბეჭდი სახით,A4 ფორმატში. ფოტოები გადაღებული უნდა იყოს კონკურსამდე არაუმეტეს ერთი წლით ადრე (კონკურსი ცხადდება 2003 წლის 1 მარტიდან). ყველა მონაწილემ ნამუშევართან ერთად უნდა წარმოადგინოს მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინოთ IREX-ის ოფისში 2003 წლის 15 აპრილის 12:00 საათამდე. IREX-ის ოფისის მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №62. ოფისი ღიაა 10:00-დან 18:00 საათამდე. შესვენება 13:00-დან 14:00 საათამდე. ოფისი დაკეტილია ეროვნული დღესასწაულების დროს.

კონკურსის თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებული (სულ სამი გამარჯვებული) პროფესიული ციფრული კამერით დაჯილდოვდება, ათი საუკეთესო ნამუშევარი თითოეული კატეგორიიდან კი წარმოდგენილი იქნება 3 მაისის პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღსანიშნავად მოწყობილ გამოფენაზე. გამოფენა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარმოდგენილი ნამუშევარი გახდება IREX-ის საკუთრება და იგი არ დაუბრუნდება ავტორს. საავტორო უფლებას ავტორი ინარჩუნებს, ხოლო IREX იტოვებს უფლებას, ნამუშევარი კონკურსის პოპულარიზაციის ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოიყენოს.

კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ IREX-ის პროგრამის კოორდინატორს ქეთი ჭუმბურიძეს ტელეფონზე 29 19 05 ან kchumburidze@irexonline.ge

სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

იყო კი კეროლი პედოფილი?

მელორ სტურუა
მინეაპოლისი, აშშ
ოქტომბერი 2002

იყო თუ არა პედოფილი ყველაზე პოპულარული და ყველასათვის საყვარელი საბავშვო წიგნის ავტორი ლუის კეროლი? რატომღაც ამ კითხვაზე სულ ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება ხოლმე – ჩაიკოვსკიზე; ამ ანეკდოტის ბოლოს ასეთი ფრაზაა შემოგდებული: "მაგრამ ჩვენ იგი მარტო ამის გამო კი არ გვიყვარს..."

ამერიკულ პრესაში დღესდღეობით ისევ ბჭობენ ლუის კეროლის ორიენტაციის შესახებ. ეს თემა შეერთებული შტატების გაზეთების ფურცლებზე ორი რაღაცის გამო ამოტივტივდა. მიზეზი ამერიკის კულტურულ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. ჯერ ერთი, სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით "ოცნება სურათებში", სადაც ინგლისელი მწერლის მიერ გადაღებული ფოტოსურათები გამოიფინა. კეროლი ხომ სერიოზულად იყო გატაცებული ფოტოგრაფიით და "პატარა მისების" ასეულობით ფოტო დაუტოვა შთამომავლობას. გამოფენა სან ფრანცისკოდან ამერიკის სხვა ქალაქებშიც გაეგზავნა - ჰიუსტონში, ნიუ იორკსა და ჩიკაგოში. სწორედ ამ გამოფენის პერიოდს დაემთხვა ახალი წიგნის გამოსვლა, რომელსაც "მუზების ცხოვრება" ჰქვია და რომლის ავტორია ქალბატონი ფრენსინ პროუზი. რომანი იმ ქალებზე მოგვითხრობს, რომელნიც ხელოვნების მსახურ მამაკაცთა შთაგონების წყარონი იყვნენ – დაწყებული სემუელ ჯონსონიდან, ჯონ ლენონით დამთავრებული. მუზების რიცხვში პატარა გოგონა ალისა ლიდელიც მოხვდა, სწორედ ის ალისა, რომლის არსებობამაც ჩაგონა ლუის კეროლს "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" დაეწერა. ეს ამბავი 1862 წლის ერთი ზაფხულის ცხელ დღეს ექსპრომტად შეთხზა, თავიდან მხოლოდდამხოლოდ იმისთვის, პატარა გოგონა რომ გაემხიარულებინა, მერე კი ალისას თხოვნით ჩაიწერა საკუთარი გამონაგონი; ეს გამონაგონი კი მოგვიანებით უკვდავ ნაწარმოებად იქცა. ასე რომ, ალისა ლიდელი პროუზის ახალ რომანში ლუის კეროლის მუზადაა გამოყვანილი. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია დასაძრახი, მაგრამ რომანის ავტორი ცნება "მუზას" ასეთნაირად განმარტავს: "მუზათა ცხოვრება საშუალებას გვაძლევს გავაფართოვოთ ჩვენი წარმოდგენა ეროსის შესახებ." ამგვარად, ეროსის სამეფოში შვიდი წლის ალისაც მოხვდება.

ეჭვს ნამდვილად არ იწვევს ის ფაქტი, რომ კეროლს პატარა გოგონები უყვარდა... აბა, ყურადღებით მოუსმინეთ და ჩაუფიქრდით ამ თითქოსდა უბრალო ფრაზას, მარტივ გაუვრცობელ წინადადებას: "კეროლს პატარა გოგონები უყვარდა." როგორც ცნობილია, ყველა თავისი უზნეობის მიხედვით ზომავს. ვიქტორიანულ ეპოქაში, რომელშიც ლუის კეროლი (ნამდვილის სახელი და გვარი - არტურ დოჯსონი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ეს ფრაზა მხოლოდ გულის ამაჩუყებელ ღიმილს თუ გამოიწვევდა. ჩვენს ბინძურ საუკუნეში კი, სექსუალური ძალადობისა და მლიქვნელური პოლიტკორექტულობის სინთეზის ეპოქაში ეს ფრაზა მხოლოდ ბილწ ასოციაციას და ირონიულ ღიმილს იწვევს. მაგალითად, ავიღოთ ჟურნალ "ტაიმის" 2002 წლის 7 ოქტომბრის ნომერი, რომელმაც აიტაცა ფრაზა: "კეროლს პატარა გოგონები უყვარდა", და მორიდებულად დასვა ასეთი შეკითხვა: "რამდენად ძლიერად უყვარდა?", თუმცა დასმული შეკითხვის ავტორი სულ სხვა რამეს გულისხმობს: "როგორ?" მას ის კი არ აინტერესებს, სიყვარული ძლიერია თუ არა, ავტორი სიყვარულის დამახინჯებულ ფორმაზე მიანიშნებს.

ლუის კეროლი ბავშვებთან ერთად.

ალისა ლიდელი (მარცხნივ) დებთან და ძმასთან.

ლუის კეროლი

რატომ იღებდა კეროლი პატარა გოგონების ფოტოსურათებს? რატომ უწოდებდა მათ თავის დღიურებში "მეგობარ გოგონებს"? – ჩაეძიებიან ინტრიგის მოყვარულები. ვერ გეტყვით, რატომ იკავებენ ისინი თავს შეკითხვისგან: "რისთვის დაწერა კეროლმა "ალისა საოცრებათა ქვეყანაში?" რატომ არ ასახელებენ მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის ამ შედევრს პედოფილიის ჰიმნად? თუმცა საქმე უკვე იქამდეც მივიდა, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა ლუის კეროლი "საბავშვო ლიტერატურის მაიკლ ჯექსონად" მონათლა. როგორც ცნობილია, პოპ-მუსიკის მეფეს, რომელსაც ძალიან უყვარს ბავშვების გარემოცვაში ყოფნა, მცირეწლოვანებთან სქესობრივი კავშირის ბრალდება წაუყენეს და სასამართლოში საქმეც კი აღიძრა. მაგრამ ჯექსონმა მილიონების წყალობით სასამართლოდან თავის დაძვრენა მოახერხა.

შეძლებდა მაიკლ ჯექსონი დაეწერა "ალისა საოცრებათა ქვეყანაში"? ეს კითხვა არავის აწუხებს. რადგან ამ შეკითხვის დასმით ვერც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევი და ვერც მაყუთს იშოვი. აი, კეროლის პედოფილიის საკითხი კი სულ სხვა საქმეა. ასეთი მითქმა-მოთქმა გამოფენის წარმატებასაც უწყობს ხელს და ახალი რომანის "პრომოუშენსაც"; მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი, აბსოლუტურად არანაირი ფაქტი და დასაბუთება იმისათვის, რომ კეროლს თავის პატარა "გერლ ფრენდებთან" სქესობრივი კავშირი დავწამოთ. მაგრამ, მით უარესი ფაქტებისთვის და თავად ლუის კეროლისთვის. სუფთა ფურცელზე სიბინძურე უფრო ადვილად და კარგად იწერება. სხვათა შორის, ათამდე კრიტიკულ სტატიას გადავხედე, სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ფოტოგამოფენას რომ ეძღვნება. ყველა სტატია ერთი მთავარი თემის გარშემო ტრიალებს – კეროლის მიერ გადაღებული ფოტოსურათები "შენიღბული პორნოგრაფია" ხომ არაა? რატომ "დასდევდა" კეროლი თავის პატარა გოგონებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე - მატარებელში, მაღაზიაში, ზღვის სანაპიროზე, და რატომ უღებდა ფოტოებს? რატომ დაჰქონდა თან საბავშვო სათამაშოები და თავსატეხები? იქნებ მსხვერპლის მისატყუებლად? რატომ სწერდა ბავშვებს წერილებს ასეთი სიტყვებით: "ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს ერთმანეთი და ერთმანეთის მიმართ მთრთოლვარე მიზიდულობას ვგრძნობთ"? კრიტიკოსები, რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე პასუხს არ გვაძლევენ, მაგრამ ეჭვებს კი, იცოცხლე, უხვად თესავენ.

ლუის კეროლს თავისმა მოსიყვარულე ბუნებამ და სენტიმენტალობამ აშკარად ცუდი საქმე გაუკეთა – შთამომავლობამ ეს სითბო სხვა კუთხით დაინახა. თუნდაც, ალისა ლიდელის ცნობილი ფოტო ავიღოთ – "მათხოვარი". დიდხანს არჩევდნენ კრიტიკულად ამ სურათს: რატომ აქვს ამ ფოტოზე ალისას ცალი მხარი მოშიშვლებული? რატომაა ფეხშველა? რატომ აქვს ასეთი თამამი მზერა? ამ შეკითხვებს ვერავინ პასუხობს, მაგრამ დასკვნებს კი აკეთებენ – აღნიშნული ფოტო რეიტინგით R-კატეგორიას ეკუთვნის, რაც ნიშნავს, რომ "18 წლამდე ასაკის ბავშვებს ეკრძალებათ მისი ნახვა". კიდევ ცოტაც და, ეს სერიოზული ბიძები განაცხადებენ, რომ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" პორნოგრაფიული ლიტერატურაა და მას საბავშვო ლიტერატურის რიგებიდანაც კი განდევნიან. ტყუილად კი არ გაუკეთებიათ წიგნის სახელწოდების ასეთი ინტერპრეტაცია: "ბოროტი ჩანაფიქრი საოცრებათა ქვეყანაში" (უთარგმნელი სიტყვათა თამაშია: Alice In Wonderland და Malice in Wonderland). თუ "საოცრებათა ქვეყანა" – ამერიკაა, სადაც სექსზე გაგიჟებულნიც არიან და სექსუალური მაკარტიზმით შეპყრობილნიც, მაშინ ეს ბოროტი ჩანაფიქრი ეჭვს აღარ იწვევს. მწერალი პროუზი თავის "მუზებში" "ეჭვქვეშ აყენებს" იმ მოსაზრებას, რომ კეროლი "აქტიური პედოფილი" იყო, მაგრამ მის შემოქმედებაში "ეროტიკულ ლტოლვას" ხედავს. პროუზი სვამს კითხვას (ისევ ეს წყეული შეკითხვები): "სად შეიძლება გავავლოთ ზღვარი წმინდას, სუფთასა და გრძნობით-სქესობრივს შორის?" და, დანარჩენი "გამომძიებელი" კრიტიკოსების მსგავსად, კითხვას უპასუხოდ ტოვებს. მაგრამ ასეთი უპასუხო, ჰაერში გამოკიდებული შეკითხვები ჰაერს წამლავენ.

"ჩუმად, ჩუმად, განძარცვეთ კერპებს სამოსელი," - გვაფრთხილებდა კონსტანტინ ბალმონტი. ლუის კეროლი მარტო არ არის, ის იმ "კერპებთან" ერთად დგას, რომელთა განძარცვასაც დღეს გამალებით ცდილობენ. დასავლეთში, განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებში, ე.წ. "სარევიზიო" ლიტერატურის ნაკადი მოედინება. წერენ და გამოსცემენ გამოკვლევებს, ბიოგრაფიებს, მემუარებს, რომლებშიც დიდი ხელოვანების ცხოვრება და შემოქმედება სულ სხვა პრიზმაში განიხილება – ავტორებს ძირითადად ხელოვანთა სქესობრივი აღვირახსნილობა აინტერესებთ და ამის დასადასტურებლად ვითომ, რაღაც, საბუთებსაც მოიძიებენ ხოლმე. გამომცემლები თავს იმით იმართლებენ, რომ "სექსი ბიზნესს უწყობს ხელს"; მწერლები საკუთარ არჩევანს იმით ამართლებენ, რომ სექსუალური მოტივი მხოლოდ გარეგნული მხარეა, ნაწარმოების "შეფუთვის" ერთგვარი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ისინი საზოგადოებას კულტურას აზიარებენ; სხვაგვარად ხალხს კულტურით ვერ დააინტერესებო, - ირწმუნებიან ისინი. გამომცემლები აბსოლუტურად მართალნი არიან. აი, მწერლები კი თვალთმაქცობენ, რადგან მათაც ფული იზიდავთ, და საგანმანათლებლო მისია აქ არაფერ შუაშია.

ყოველ შემთხვევაში, დიდი სისასტიკეა იმის მტკიცება, რომ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" ბავშვებს უფრო მეტად დაინტერესებს, როცა ისინი გაიგებენ, რომ თურმე კეთილი მეზღაპრე ლუის კეროლი პედოფილი ყოფილა. ჩვენ კი, ძველი ყაიდის ადამიანებს, კვლავინდებურად გვეყვარება იგი, "მარტო ამის გამო არა..."

წერილი ჟანა დარკისგან

ნაწილიბრივ "იმეილი", ნაწილობრივ ნოველა

მიხო მოსულიშვილი

This message is not flagged.
(Flag Message - Mark Unread)
From: "Jana D'Ark" JanaD'ark@hotmail.com
I This is Spam I Add to Adress book
To: "Mikho Mosulishvili"
mihomosu@yahoo.com
Subject: Tserili Jana D'arkisgan
Date: Wed, 14 Jan 2003 02:35:29-0500

მოგესალმები კვლავაც გოდორში მჯდომო, პატივცემულო მწერალო, სახელად მიხო!

ჩემმა ერთმა ახლობელმა ამასწინათ შენი წიგნი, "ფრენა უკასროდ" გამომიგზავნა. წავიკითხე და კინაღამ იმაზე უფრო ადრე მოვკვდი სიცილით, ვიდრე სინამდვილეში ვაპირებ.

შენ ნაღდად ნამყოფი უნდა იყო გერმანიაში, მაგრამ მეზობელი ქვეყნების ამბები, მაგალითად, ბელგიისა, ნაკლებად ეცოდინება მეთქი, ვიფიქრე. ჰოდა, იმ ჩემს ახლობელს, შენი წიგნი რომ გამომიგზავნა, შენი იმეილიც მოვანახვინე და აი, გწერ კიდეც.

ჩემი მხიარული თავგადასავალი ბელგიაში ასე იყო:

ახლობლებმა სხვისი პასპორტი და ცოტა მაყუთიც მიშოვეს და ბელგიაში გამიშვეს. იქ ერთ იატაკქვეშა სტრიპტიზ-კლუბში უნდა მივსულიყავი და სამსახურის ვარიანტი გაეჩალიჩებინათ.

ბელგიაში, ძირითადად, აქაური "შაევების" ტუსოვკა თუხთუხებს - მაღაზიების გატანა, ფარული ბორდელების კონტროლი, მოშნათ, და ღამის სტრიპტიზ-კლუბებისაც და დამალული კაზინოებისაც მოსულა რა...

მოკლედ, იმ სტრიპტიზ-კლუბის პატრონი აქაური ძაღლია, უფრო სწორად, ძაღლობიდან გაგდებული პოლკოვნიკი. იქ სიაბანდი პასპორტით ჩავიდა, სხვისი გვარ-სახელით. მერე კიდე, ბელგიური პასპორტიც მოიადა, იქაური მოქალაქე გახდა და ფრანგულ პონტში ფრანსუა გამბაც დაირქვა საკაიფოდ. (თუ ატყობ, რომ დიტო ქინქლაძესავით ვბაზრობ? რა კარგი და თანაც რა აუტანელი ტიპია, არა?!)

თავიდან სამი-ოთხი კვირა ვცეკვავდი.

მერე ფრანსუას ნდობა მოვიპოვე და საქართველოდან მოტყუებით ჩამოყვანილი მაგარ-მაგარი გოგონიებისთვის უნდა მეყურა.

იქვე ფრანსუას ბორდელიც ჰქონდა და ეს გოგონიები იმიტო უნდოდა...

გოგონიების ჩამოტყუებას რა დიდი ამბავი უნდა - თბილისში მოქმედ რომელიმე ოფიციალურ ფირმას, იმენა ტურისტულ პონტში, შეკვეთას ვაძლევდით, რო "მაღალანაზღაურებად სამუშაოზე გვჭირდება ფრანგული ენის მცოდნე, 18-დან 25 წლამდე, ლამაზი გარეგნობის ქალიშვილები. სასურველია თანამედროვე ცეკვების ცოდნა". თითო გამოგზავნილ გოგონიაში ფირმას ას დოლარს ვაძლევდით. და თანაც ის ფირმა, ის ბოზი, თითო გოგონიას ათას-ათას მწვანე ბაქსს ართმევდა, რახან სამუშაოდ გიშვებთ შუაგულ ევროპაშიო.

ჩვენ თავს ვიზღვევდით და საქართველოში მოქმედ ფირმას ნამდვილ მისამართს არ ვაძლევდით. ქალაქ გენტში ერთი ოთახი გვქონდა ნაქირავები და ცოცხალ ტავარს იქ გვიგზავნიდნენ.

ჰოდა, გოგონიები ბელგიაში რო ჩამოგულავდებოდნენ, მერე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო. ჩავსვამდით უმინებო პონტის დახურულ ფურგონში და მიგვყავდა - ანტვერპენის ახლოს პატარა ქალაქია, სახელწოდებით ბრასხაატი და იმ პატარა ქალაქ ბრასხაატის პატარა გარეუბნის პატარა ტყეში. იმ ტყეში პატარა მონადირული სახლი გვქონდა იჯარით აღებული.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო, გოგონიებს პასპორტებს ჩამოვართმევდით და ეგრევე ვაჯახებდით, რაც გვინდოდა იმათგან.

ერთი დღე სტრიპტიზ-კლუბში უნდა ემუშავათ, მეორე კი ბორდელში.

ილუსტრაციები ნახატებიდან

და ყოველთვიურად მიიღებდნენ შვიდას დოლარს მოჭრილად, პლიუს ის ერთდოლარიანები, ბიკინებში ან, უკეთესია, მონოკინებში რო უტენიან სრტიპტიზ-კლუბის კლიენტები მოცეკვავეებს.

ამ მაყუთს მართლა ვაძლევდით, მაგრამ ეგ არი, რო ეს ფული მინიმალური ანაზღაურებაა ბელგიაში. აი, შედარებისთვის რო ავიღოთ, ჰოლანდიაში ამისთანა ხელობის ქალებს, ოღონდ ოფიციალურ ბორდელში, ათას ხუთასი და მეტიც აქვთ, თანაც ეს ერთ კვირაში, თუმცა იმ ქვეყნის მოქალაქე თუ არი, მარტო მაშინ.

და როცა გოგონიებს ამისთანა ფაქტის წინ დავაყენებდით, თუ დამიჯერებ, ბევრი გვეთანხმებოდა. ზოგი ისე რა, წესის გულისთვის პატარას წაუტირებდა და თანხმდებოდა, ოღონდ გარანტიას ითხოვდა, რო მწვანე ბაქსებს მართლა მიიღებდა.

ისეთებიც იყვნენ, ბორდელის ხსენებაზე კივილს რო იწყებდნენ, გული უწუხდებოდათ. ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გუნების დეგენერატკა თავის მოკვლასაც ცდილობდა.

ჯერ ტკბილი სიტყვით ვცდილობდით ეგეთების გადაბირებას. თუ არ გაჭრიდა, მაშინ ვაშიმშილებდით და თუ არც ეს გაჭრიდა, ვემუქრებოდით, წამალზე შეგსვამთო.

და თუ ეს საშიში მუქარებიც ვერ გატეხდა, თითო-ოროლა მაგარ დაცენტრილ, იდეინი ქალწულებს, ჟანა დარკის და ამისთანების პონტში, მაშინ ტყუილი ფრანსუა გამბა გოგონიას უკან დაბრუნებას შესთავაზებდა. ოღონდ ერთი პირობით - ერთხელ მაინც უნდა გამოსულიყო შიშველი სტრიპტიზ-კლუბში. მოკლედ, ბევრს იყოყმანებდა თუ ცოტას, და ბოლოს მაინც რო გამოვიდოდა, ვიდეოზე გადაიღებდნენ. ეს იმიტო, რო თუ სიტუაციას გაამწვავებდა, ანუ თბილისში ჩაგვიშვებდა, ეგეთ შემთხვევაში იმ ვიდეოკასეტის ასლები იმ ბოზის, ოღონდ სხვა გაგების ბოზის, ანუ იმ ჩამშვების მშობლებს და ნათესაობას მიუვიდოდა.

ჰოდა, გოგონიასაც სხვა გზა არ ჰქონდა, თანხმდებოდა ერთხელ ცეკვაზე.

კი იცეკვებდა, მაგრამ იმ დღეს მოუბოდიშებდნენ, კამერა გაგვიფუჭდაო, კასეტა არა ვარგოდაო, ამისთანა რიჟა ბაზარი რა, და, მოკლედ, ხვალაც უნდა იცეკვოო.

ისიც, იდეინი ჟანა დარკი კი იყო, მაგრამ მაინც თანხმდებოდა, ოღონდ შინ გაეშვათ და ამ ჯოჯოხეთს მოსცილებოდა...

აი, ეგრე ნელა-ნელა ეხვეოდა ნებისმიერი ჟანა დარკი ტყუილი ფრანსუა გამბას ბადეში და ბოლოს ბედსაც ემორჩილებოდა. და რომ იცოდე, სხვათაშორის, ყველაზე კარგი მომსახურე პერსონალი სტრიპტიზ-კლუბებში და ბორდელებში სწორედ ის იდეინი ჟანა დარკები დადგებოდნენ ხოლმე.

ფარულ ბორდელებში, ძირითადად, ფსიქიკურად გადახრის დეგენერატი კაცები დადიან და ხო ხვდები, მანიაკი და არანორმალური რა დღეში ჩააგდებს ქალს. სამაგიეროდ, სწორედ მაგ დეგენერატებს მოაქვთ დიდი მოგება ფრანსუა გამბასთვის და მისი ამფსონებისთვის.

ალბათ, შემეკითხები, არ გეცოდებოდა ის საწყალი გოგონები, ეგეთ საზიზღრობას რომ უკეთებდიო?..

ჯერ ერთი, ზემოთ რომ მოგიყევი, მეც ერთ-ერთი იმათნაირი იდეინი ჟანა დარკი ვიყავი და მეორეც, ამ იმეილს შიდსით დაავადებულების ერთ-ერთი საავადმყოფოდან გიგზავნი - აი, ეგრე გადამეხადა.

იქნებ ახალგაზრდა გოგონიებს მიაწვდინო ხმა და უთხრა - ნუ წამოეგებიან ანკესზე. ისინი აქ არავის სჭირდება. აქ არავინ ელოდებათ. ეგ კოხტა-კოხტა გოგონიები ამათთვის მხოლოდ მოხმარების საგანია და მეტი არაფერი. როგორც ერთჯერად ჭიქას, ისე დაჭმუჭნიან და მერე ჩემსავით სანაგვეზე მოისვრიან...

ისე, რომ იცოდე, არც ფრანსუა გამბასნაირებს უწერიათ კარგი დღე - ის ჩემი ნაცნობი ფრანსუა გამბა პატარა ქალაქ ბრასხაატის პატარა გარეუბნის პატარა ტყეში იპოვეს - ერთ პატარა ხეზე ეკიდა თავდაყირა და შავ-შავი ყვავები ძიძგნიდნენ...

ეს "იმეილი" გამოგზავნისთანავე გავაუქმე; ასე რომ, ტყუილად ნუ შეწუხდები და პასუხს ნუ მომწერ...

რა ვიცი, იქნებ გამოგადგეს...

პატივისცემით,
ჟანა დარკი

ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

აპრილი ხომ გაზაფხულის თვეა...

დედამ წელს, ნოემბრის ბოლოს, ოთხმოცდაექვსს გადააბიჯა. ერთი-ორი წლის წინათ წნევას უჩიოდა, ახლა, კარგა ხანია, აღარ გახსენებია, სათვალეს კი მხოლოდ კითხვის დროს თუ იხმარს. ამას ისე ვამბობ, თორემ...

ძალიან უყვარს ტელევიზორი, თუ მიუჯდა, ვეღარ მოაშორებთ.

- დედა, ცოტა დაუწიე ხმას, დაინგრა სახლი!

- აა! - ვერ გაიგონა დედამ.

- ხმას დაუწიე, ხმას! - რაც შეიძლება ხმამაღლა ვეძახი მე.

- რაო?.. მოდი, ექვთიმეზეა გადაცემა!

- დაინგრა, ადამიანო, სახლი, არ გესმის? - ახლა, ახლო მივედი მასთან და ყურთან ჩავძახე.

- რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს, ყრუ ხომ არა ვარ! - ეწყინა დედას.

- აი, ასე არ გესმის? - ვეკითხები დედას, ტელევიზორს ხმას ვუკლებ და ჩემს ოთახში ვბრუნდები.

- რა იყო, არ შეიძლება ტელევიზორის ყურება? - ფრთხილად აღებს დედაჩემი ოთახის კარებს და მეკითხება.

- შეიძლება, მაგრამ ამოდენა ხმაზე?

- ვერ გავიგონე.

- აუ!.. კარგი, კარგი, არაფერი.

- რა თქვი, ჩემი დედა, მითხარი! - მეკითხება დედა და ჩოჩვა-ჩოჩვით ჩემკენ მოდის. - ექვთიმეზე იყო, ბიჭო, გადაცემა, ექვთიმეზე. მაი რომ ჩვენებური იყო, იცი შენ?..

- ვიცი.

- აა?..

- ვიცი, ვიცი!..

- ნენა, რა გაყვირებს, ბიჭო! - წყნარად მეუბნება დედა, მერე სკამი ჩოჩიალით მოაქვს ჩემს მაგიდასთან და ფრთხილად ჯდება.

მამა გასულ წელს გარდაიცვალა ოზურგეთში. მარტოდმარტო დარჩენილი დედა ხვეწნა-მუდარით ჩამოვიყვანეთ თბილისში.

- ეხ... - მძიმედ ამოიხვნეშა დედაჩემმა.

- რა იყო?.. - ხელით ვანიშნე მე.

- ოჯახი გამახსენდა. ლადიკოა იქ მარტო...

დედა ისევ კარგა ხანს ასე წყნარად ზის; მერე უცებ მეკითხება:

- შვილო, დედა, როდის გამიშვებ ახლა მე სახლში?..

- ამ შუა ზამთარში?!

- აა?.. - არ ესმის დედას. - ქათმები მყავს, დედა, მოკვდებიან შიმშილით ან მოიპარავს ვინმე.

- მოიპაროს მერე! ნეტავ ვიცოდე, რა ჯანდაბად გინდა ეს გადაკრუხებული ქათმები?!

- რაო?!

- მოიპარონ მერე! - ვყვირი მე.

- რატომ უნდა მოიპარონ, რისთვის გავზარდე?! ორთავე ყოველდღე თითო კვერცხს დებს... - თავისთვის ამბობს დედა და ფიქრებში იძირება. - ნენა, - უცებ მითხრა მან, - პენსია მაქვს, ბიჭო, იქ და რომ დამეკარგოს?!.

- რად გინდა პენსია?..

- ჩემი პენსია, ჰო!..

- რად გინდა-მეთქი, გეკითხები!

- შენ გინდა-მეთქი, არ მითქვამს მე.

- შენ რად გინდაა! გაიგე? - ისევ ხმას ვუწევ მე.

- ფული რად მინდა?! - უკვირს დედას.

- დიახ!

- ბიჭო, მოგცემ შენ! ეგერ ბაბალიკას მივცემ, დავკარგო, აბა?..

- მე არ მჭირდება შენი ორმოცდაათი მანეთი!

- ათი მანეთი?..

- ...

- ვერ გავიგე, რას მეუბნები, ნენა!

- ...

- რომ მიბრაზდები, აბა, სხვამ წაიღოს ჩემი პენსია?..

- ვერავინ ვერ წაიღებს!

- აა?..

- გაიკეთე ის ყურის აპარატი, ტყუილად გიყიდე?..

- რა მიყიდე?..

- აპარატი!

- რას ჩივი, ბიჭო, გამაგებინე ერთი.

დედა ისევ ფიქრებში მიდის. თავი ხელებშუა ჩაუდვია და ცდილობს, არ ჩამოუვარდეს. უცებ თავს მაღლა სწევს და მეკითხება:

- დედა, ვასო გოძიაშვილი მოკვდა?

- კი!

- ნენა! - შეიცხადა დედამ. - რა კაი მსახიობი იყო, დედა, მაი! ცეცილე, დედა?

- ეგ ხომ მკითხე გუშინ.

- ცეცილეს ბებიე იყო ელცაბედი. ელცაბედი გახსოვს, ნენა? ერთხელ ცეცილე და ვერიკო მოვიდნენ, შენ მაშინ ექვსი წლის იყავი, მე ოცდარვის, ელცაბედმა...

- მახსოვს, მახსოვს!..

- გახსოვს?! რაფერ გახსოვს, ბიჭო, შენ მაშინ ექვსი წლის იყავი და... - ისევ ჩათვლიმა დედამ, მერე მძიმედ წამონია თავი და... ჟორჟოლიანი გაიხსენა დედამ. მე ისევ თავი დავუქნიე.

- ცოცხალია, დედა?

- არა! - დედამ ისევ მოიწყინა.

- იშხნელები, დედა, რაფერი კაი იყო მაი გოგოები. შენ გახსოვს ნენა?..

- აუ! ეგენიც ხომ გავიხსენეთ გუშინწინ?!

- ვერ გავიგე, დედა.

- კი, კი! შენ თუ გახსოვს შალიკო და იოსკა საპარასკეოსთან მაროჟნს და წურბელებს რომ ყიდდნენ...

- ...

მე თაროზე ლამფას შუშას ვხსნი, ტუჩებზე საყვირივით ვიდებ და ნათქვამს ხელმეორედ ვიმეორებ.

- კი! - იმ წამსვე მპასუხობს დედა და იცინის. - კი მარა, შალიკო და იოსკა რამ გაგახსენა, შე დაღუპულო!

- ნოვიე მესაათე?

- რას მასხრობ შენ! - გამიბრაზდა დედა. - მე სერიოზულად გეკითხები და შენ შალიკოს და ნოვიე მესაათეს მეკითხები?..

მერე ცოტას აყოვნებს და ისევ მეკითხება:

- ხორავაც მოკვდა, ხომ?!

- ხორავაც, ზაქარიაძეც, მანჯგალაძეც...

- დედა შვილო! - შეწუხდა დედა. - მანჯგალაძე რამ მოკლა, ნენა, მაგფერი ახალგაზრდა კაცი. მაი ხომ იყო ჩვენთან სტუმრად დედა... კვანტალიანი?!. ნოდარი დუმბაძე, ნენა...

- მაცალე მუშაობა! აუ, არ გარეკა კაცო?!

- ა, ბიჭო, რა გაყვირებს, ნეტა ვიცოდე. ნელა ვერ იტყვი? კაი წავალ. - მეუბნება წყნარად და მძიმე-მძიმედ დგება.

- სად მიდიხარ? - ისევ ხელით ვანიშნე მე.

- წავალ, კაცო, ტელევიზორს ჩავრთავ!

- მოდი, დაჯექი აქ! - მე ფრთხილად ვკიდებ ხელს და ისევ სკამზე ვსვამ. - არ გინდა ტელევიზორი! - ახლა ისევ ლამფის შუშაში ისე ჩავძახე, რომ ლამფის შუშა დედას ყურზე მივადე.

- მოიცა! - იცინის დედა. - მათხოვე აგერ მაგი. - მეუბნება დედა და ლამფის შუშას ხელიდან მართმევს, პირთან მიაქვს და...

- რატომ არ მინდა ტელევიზორი?! - ახლა გამოჯავრებით მეკითხება ისიც.

- თქვენ არ იცით ჩართვა! გასაგებია? - გაპრანჭული ვპასუხობ მეც.

- ტელევიზორის ჩართვა არ ვიცი, არა?... - სწყინს დედას ჩემი ნათქვამი, ლამფის შუშას იქვე მაგიდაზე დებს ფრთხილად, მძიმე-მძიმედ დგება და ჩოჩვა-ჩოჩვით და ბუტბუტით მიდის.

- კი მქონდა მე ჩემს ოჯახში ტელევიზორი, ჩართვაც შემეძლო და გამორთვაც. თქვენი რა გახდა ერთი. გამიშვით მე ჩემს ოჯახში, რომ გამომამწყვდიეთ აქ, ამ ციხეში. ოჯახი მაქვს მე იქ, ბედაური, ქათმები, მეზობლები. წაიღო იქნება იქაურობა ვინმემ. პენსია მაქვს ასაღები. - შემდეგ ჩერდება, ჩემკენ ბრუნდება და მეკითხება. - შვილო, ნენა, შენ არ მოგცემენ აქ ჩემს პენსიას? მიდი უთხარი, დედაჩემის პენსია...

- მაგაზე ხომ მოვილაპარაკეთ!

- მოვილაპარაკეთ?! რა მოვილაპარაკეთ ნენა?

- არ მინდა მე შენი პენსია, იყოს იქ, გაზაფხულდება, გათბება, აყვავილდება მთა და ველი, ჩავალთ, მივალთ საპენსიოში და ავიღებთ ყველაფერს ერთად!

- ჰო... მერე ავიღოთ ერთად? კაი, ნენა, მასე მითხარი მერე...

- ხომ გითხარი ათჯერ, ასჯერ...

- მითხარი?

- სად მიდიხარ?

- წავალ, ტელევიზორს ჩავრთავ!

- მოიცა! - მე ვდგები, ხელს ფრთხილად ვკიდებ და ჩვენ ჩოჩვა-ჩოჩვით ტელევიზორთან მივდივართ. - ა, დაბრძანდი აგერ და ა, ბატონო, გესმის? ამაზე მეტი ხმას არ აუწიო, გაიგე?!.

- რაა მაი, კაცმა არ უნდა გაიგონოს რამე? - ისევ სწყინს დედას. მძიმედ დგება სავარძლიდან და ფლოსტების ფლარტუნით თავისი ოთახისაკენ მიდის, ისევ ბუტბუტით: ამისთანა რაა ნენა, კი მაქვს მე ჩემი ტელევიზორი სახლში, ოჯახი... მეზობლები...

გარეთ ისევ თოვს. სახლში თბილა. გარედან მანქანების ყრუ გუგუნი ისმის.

მართლაც ჩვენი "ბედაური ოჯახი". ოზურგეთში, ალბათ არ მოინახება მეორე ისეთი ფარღალალა, ოქოქია სახლი და კარმიდამო, როგორიც ჩვენია, მაგრამ დედას მაინც იქ ურჩევნია.

ისევ ფრთხილად იღება ჩემი ოთახის კარები.

- შვილო, რა თვეა ახლა?

- დეკემბერი!

- დეკემბერი? - მერე თითებზე რაღაცას ითვლის. - აპრილი ხომ გაზაფხულის თვეა? რაღა დარჩა, ნენა! - კმაყოფილი სახით მეუბნება დედა და ფრთხილადვე ხურავს კარებს.

თებერვალში დედა გარდაიცვალა, რომლის დაკრძალვასაც მე ვერ დავესწარი.

სვირინგი: ოზიდან მერილინ მენსონამდე

ანა კორძაია-სამადაშვილი

სვირინგი, ტატუ - ესეც ხელოვნებაა, ოსტატურად გაკეთებული, ის სვირინგის ყველაზე სასტიკი მოწინააღმდეგეების აღფრთოვანებასაც იწვევს. მაგრამ ლამაზი მხოლოდ ოსტატის ნახელავია ხოლმე, არაპროფესიონალის მიერ გაკეთებული ცუდი სანახავიცაა და შეიძლება ჯანმრთელობისთვისაც ძალიან საზიანო აღმოჩნდეს. გარდა ამისა, მოსვირინგება საკმაოდ მტკივნეული პროცესია, ძვირი ღირს, და, რაც განსაკუთრებულ პრობლემად მესახება, მთელი ცხოვრება უნდა ატაროთ. საშინელი ამბავია: იქნებ ერთ დღეს სულ აღარ იყოთ პეპლების და დრაკონების გუნებაზე და აღარც წარწერა I love Mamuka იყოს აქტუალური...

ტაიტელები

მცენარეული მოტივები

ჩინური დრაკონი

ყველაფერი ასე დაიწყო

1991 წელს, იტალიაში, 3.300 მეტრის სიმაღლეზე, მყინვართან, ოზი იპოვნეს, დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილი ქვის ხანის ადამიანი. ოზი დაახლოებით 5300 წლისაა, ამჟამად მისი ნახვა ბოზენის არქეოლოგიურ მუზეუმში შეიძლება. ჩვენთვის კი ოზი იმ ნიშნითაა საინტერესო, რომ მის სხეულზე მეცნიერებმა 15 მოლურჯო-მოშავო სვირინგი აღმოაჩინეს: ხერხემალთან - პარალელური ხაზები, მარჯვენა მუხლთან –ჯვარი... ამრიგად, მსოფლიოში ყველაზე ძველი ტატუს მფლობელი ოზია.

როგორც ჩანს, სვირინგი უხსოვარი დროიდან არსებობს, უბრალოდ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც ადამიანმა სხეული პირველად მოიხატა, უსასრულოდ დიდი დრო გავიდა, დღეს უკვე ელექტრონული სვირინგის მანქანასთან გვაქვს საქმე.

ეტყობა, ერთხელ ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ მოხატული სხეული მშვენიერი სანახავია. ეს, ალბათ, იმავე დროს მოხდა, როცა ჩვენმა წინაპრებმა პირველად მოხატეს კლდეები. იმ დროიდან მოყოლებული, სხეულზე ნახატების დანიშნულება უცვლელი რჩება: ადამიანი ცდილობს სხეული მოირთოს და გალამაზდეს, თავი დაიცვას გარეშე ძალებისგან, დემონებისაგან და ჯადოქრებისგან, გარშემომყოფთ აჩვენოს, რომ გლოვობს ან დიდი ომისთვის ემზადება და სხვა და სხვა. მოხატულობა შემდეგ სვირინგად და დამღად იქცა.

სიტყვა "ტატუირების" ფუძე, მკვლევართა ნაწილის აზრით, არის "ტატუ", რაც პოლინეზიურად "ნახატს" ნიშნავს: პოლინეზიური თქმულების თანახმად, ადამიანებს სვირინგის გაკეთება ღმერთმა, ტიკიმ ასწავლა. სხვები თვლიან, რომ "ტატუ" სინამდვილეში არის იავური "ტაუ", ანუ "ჭრილობა" ან "დაჭრილი". ე.წ. ჭრილობების ტატუირება კანქვეშ ფერის დადების ყველაზე ადრეული ფორმაა: ინფექციის თავიდან ასარიდებლად ჭრილობაში მცენარეების წვენს იზელდნენ და ის შეხორცების შემდეგაც ფერადად რჩებოდა. მაშინ ტატუს სამკურნალო მნიშვნელობაც ჰქონდა – რევმატიული თუ თავის ტკივილის დასაამებლად იყენებდნენ. სამოას კულტურის ტრფიალნი ამტკიცებენ, ასეთი ტატუ ყველანაირ ტკივილგამაყუჩებელს ჯობიაო.

თუკი უძველესი სვირინგები არც ისე ლამაზი იყო – ხაზები, წერტილები, მარტივი გეომეტრიული ფორმები, – დროთა განმავლობაში ისინი ნამდვილ ნახატებად იქცა და სიმბოლოებმა გარკვეული მნიშვნელობები შეიძინა. მაგალითად, მეხანძრეების მკლავებს ცეცხლისგან დასაცავად წყლის ურჩხულები ამშვენებდა, მეთევზეები კი დელფინებს უნდა დაეცვათ სირინოზებისგან. საერთოდ, ტატუცაა და ტატუც: ესკიმოს ქალებს კანქვეშ ფერად ძაფებს უხორცებენ ხოლმე, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქალი თავის ქმარს ეკუთვნის. სერ მარტინ ფლობიშერმა, არქტიკის მკვლევარმა, ასეთი ქალი 1578 წელს ნახა და გულგახეთქილმა აღწერა. აფრიკის ზოგიერთ ტომში ორსული ქალების მოსვირინგებით ცდილობდნენ მომავალი ბავშვის სქესის განსაზღვრას და მის დემონებისგან დაცვას. საერთოდ, სვირინგი დღემდე რჩება ტომის თუ კლანისადმი მიკუთვნილების ნიშნად, და როცა მოზარდი მოზრდილი ადამიანი ხდება, ტატუს უკეთებენ – გალამაზების გარდა, ტატუირების დროს გადატანილი ტკივილიც ზრდასრულობის მაჩვენებელია.

რელიგიური ტატუები

სახარებას ხომ ყველა ისე კითხულობს, როგორც გაუხარდება, და სვირინგის თავდავიწყებული თაყვანისმცემლები ამტკიცებენ, მოციქულ პავლესაც სვირინგები ჰქონდაო: "...რადგან ჩემი სხეულით ვზიდავ უფლის, იესოს წყლულებს." (გალათელთა მიმართ, 6.17). 787 წელს პაპის, ადრიანე I-ის დანაწესით, სვირინგით სხეულის მორთვა აიკრძალა – წარმართულ და ეშმაკეულ საქმედ იქნა მიჩნეული. ევროპის ცალკეულ ქვეყნებში 1996 წლამდე ასე იყო – ვითომ სხეულის განზრახ დაზიანებად ითვლებოდა, სინამდვილეში კი მიზეზი (ეს კანონის გაუქმების შემდეგ აღიარეს) კათოლიკური ტრადიციების ერთგულება ყოფილა.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეშვენის ღვთისმოშიშ ადამიანს ტატუირება. არადა, პირველი ქრისტიანები, განსაკუთრებით იმ მხარეებში, სადაც ცოტანი ცხოვრობდნენ, ტატუირებული იყვნენ – ქრისტეს ინიციალები (X ან N.I.), თევზი, ჯვარი ან ბატკანი უმშვენებდათ შუბლს ან მაჯას; 1890 წლამდე ბოსნიაში კათოლიკე გოგონებს ტატუს უკეთებდნენ, რომ ისლამის მიღება არ შეძლებოდათ, კოფტები კი დღემდე ატარებენ მაჯაზე ჯვარს. რელიგიური მიუკუთვნილების გარდა ეს იმის ნიშანიცაა, რომ ადამიანი მზადაა თავისი სარწმუნოებისთვის დაიტანჯოს. აი, ჯვაროსნების სვირინგები კი სულ სხვა ამბავი იყო – ორიგინალური სვირინგი მათი ცხედრების ამოცნობის საშუალება გახლდათ.

ფაქტია, რომ მრავალი აკრძალვის მიუხედავად, სვირინგი ევროპაშიც ფართოდ გავრცელდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში ბაზრობებზე მოხატული ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც გარკვეულ თანხად თავიანთი სხეულის დემონსტრირებას ახდენდნენ – მაშინ ვინმე ალბანელი ალექსანდრინოსი ამ გზით ძალიან გამდიდრებულა. 1890 წელს კი ფრანგმა ქალმა, "მშვენიერმა ირენმა", გაშიშვლება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავისი სვირინების ჩვენება გაბედა. ეს მაშინ არაჩვეულებრივ, ეგზოტიკურ სანახაობად ითვლებოდა.

"ნაკოლკა"

ბოლო დრომდე მოსვირინგებული ადამიანი ჩვენში ასოციალურ ელემენტად იყო მიჩნეული. რა გასაკვირია: ლურჯი ნახატებით და წარწერებით სხეულები ხომ, ძირითადად, ნაციხარ საზოგადოებას ჰქონდა დამშვენებული. სასჯელის მოხდის დროს ტატუირების მექანიზმის შესახებ არაფერს გიამბობთ, "გალამაზება" მეტისმეტად ბარბაროსული ხერხით ხდებოდა, თუმცა, ტატუთი მკვდარიც არავინ უნახავთ. საბჭოთა ციხეებში ამ ხელოვნებამ არნახული განვითარება ჰპოვა და ამჟამად განსაკუთრებულ კვლევის საგნად შეიძლება ჩაითვალოს: სიმბოლური ნახატები და წარწერები საქმეში ჩახედულ კაცს ცალკეული ადამიანების ბედის, მრწამსისა და ოცნებების ამბავს მოუთხრობს. ცხადია, სიმბოლიკა, ძირითადად, საბჭოთა იყო, წარწერები კი – რუსული. განსაკუთრებით საინტერესო აბრევიატურებია – მათი მნიშვნელობები მამაკაცებისა და ქალების სხეულებზე განსხვავებულია. მაგალითად, სრულიად უწყინარი სიტყვა, кот, მამაკაცისთვის ნიშნავს коренной обитатель тюрьмы, ხოლო ამ წარწერის მქონე ქალბატონი თავის ბედს ჩივის - как одной трудно.

დრო შეიცვალა. ღვთის შეწევნით, აღარც რელიგია გვდევნის და აღარც საზოგადოებრივი აზრი გვაწუხებს. თუ გაგვიხარდება, სვირინგსაც გავიკეთებთ და თავგადაპარსულიც ვივლით. დღეს ხომ სვირინგმა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და რაც არ უნდა ვაბრალოთ სოციალური პროტესტისა და მსგავსთა დანიშნულება, ახლა ეს, უბრალოდ, ხალისია. მთავარია, გავერკვეთ, სინამდვილეში რა გვინდა.

ძირითადი მოტივები

დღეისათვის უკვე კლასიკური კელტური ტატუ, მკვეთრი კონტურის წყალობით, ყველაზე იოლი საცნობი და ყველაზე იოლი გასაკეთებელია. თან იმის გარანტიაც არსებობს, რომ სხეულზე რამე უმსგავსობას არ დაიწერთ – ჩინურ-იაპონურისგან განსხვავებით.

ე.წ. ჩინურ-იაპონურ სვირინგებს ჩინეთთან და იაპონიასთან ხშირად არაფერი აქვს საერთო, თუმცა ურიგო სანახავი არაა. იეროგლიფებიც ლამაზია, მაგრამ ვის რა აწერია – ვერ გეტყვით. კლასიკური ვარიანტში იაპონური ტატუ ფერადოვანია, ხშირად მთელ სხეულს ფარავს, შესაბამისად, ძალიან შრომატევადი საქმეა და სათანადოდ ძვირიც ჯდება. ასეთ სვირინგებს დახურულ კლუბებში თუ ნახავთ.

ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება "ბიომექანიკური ტატუ". მისი ავტორი ვინმე გიგერია, შვეიცარელი, რომელმაც სრულიად ახლებური სტილი შეიმუშავა – "მექანიკური შენებისა და სიცოცხლის ფორმების ერთობლიობა". რთული გასაკეთებელია, თან აგრესიული ნახატია, მაგრამ გემოვნებაზე არ დავობენ.

მცენარეები, ცხოველები და ათასგვარი ფანტასტიკური სულიერი სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე მშვენივრად გამოიყურება ხოლმე. თუმცა, აქაც სიფრთხილეა საჭირო: შეყოლა არ ღირს. მაგალითად, ერთი ამერიკელის, ჯორჯ რეიჯერსის "სურათების გალერეა" 9 ათასი დოლარი დაჯდა. ჯერ ბემბით დაიწყო, შემდეგ კი გაუტკბა, და ამჟამად მის სხეულს უოლტ დისნეის მულტფილმების სამასზე მეტი პერსონაჟი ამშვენებს: იღლიაში ბაჭია როჯერი შეყუჟულა, მუცელზე ზღვის ქალწული და მისთანანი ახატია, ყველაზე ინტიმურ ადგილას კი 101 დალმატიერი იწონებს თავს.

ყველაზე ლურჯი ადამიანი

ადამიანი-ლეოპარდი, ინგლისელი ტომ ლეპარდი, 28 წელი ჯარში მსახურობდა და აღმოაჩინა, რომ ამის შემდეგ ცივილიზებულ სამყაროში ნორმალურად არსებობის უნარი აღარ გააჩნია. არადა, ტომს უნდოდა, რამით მაინც ყოფილიყო უნიკალური, და ლეოპარდად გადაქცევა გადაწყვიტა. ეს სიამოვნება 10 ათასი დოლარი დაუჯდა. სამაგიეროდ, ახლა მისი სხეული მთლიანად ლურჯი ლაქებითაა დაფარული და გინესის რეკორდების წიგნმა ტომ ლეპარდი დედამიწაზე ყველაზე მოსვირინგებულ მამაკაცად აღიარა. გახარებულმა ტომმა ეშვებიც კი ჩაიდგა, რომ საბოლოოდ დამსგავსებოდა მტაცებელს. ამჟამად ადამიანი-ლეოპარდი ტყეში, ქოხში ცხოვრობს და მხოლოდ კვირაში ერთხელ ეწვევა ხოლმე უახლოეს დასახლებას – საჭმლის საყიდლად და პენსიის ასაღებად.

ჯადოსნური Z

ზემფირას სულ ერთი სვირინგი აქვს, მაგრამ როგორი! ამბობენ, ცეცხლოვან წრეში ჩასმული ლათინური ასო Z მისი ახალგაზრდული ამბიციების – მსოფლიოს მბრძანებლობის სურვილის ფარული სიმბოლოა, და ამჟამად არამარტო მომღერლის მარჯვენა მკლავს, არამედ მის პლაკატებსა და აფიშებსაც ამშვენებს. თავად ზემფირა მას ასე ხსნის: "ასო Z რაღაც პათოსი არაა, უბრალოდ, მინდა, რომ ჯგუფს თავის სიმბოლო ჰქონდეს. მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რაღაც იტალიური სამზარეულოების რეკლამაც მაქვს ნანახი, იქაც ეს ასოა, მერე რა? ეს სვირინგი ხუთი წლის წინათ ერთმა გოგომ გამიკეთა, თუ ოდესმე კონცერტზე მოვიდა, გაგაცნობთ, და თვითონ მოგიყვებათ, როგორ შევარჩიეთ ეს ნახატი."

ანტიქრისტე-სუპერვარსკვლავი

მერილინ მენსონი ზოგში თავდავიწყებულ სიყვარულს იწვევს, ზოგში – სიძულვილს, ზოგში კი – პანიკურ შიშს. გარეგნულადაც შესაბამისად გამოიყურება: ე.წ. "ჰეროინის მაკიაჟი", თეთრი გრიმი, შავი უპეები და ტუჩები, სხვადასხვა ფერის თვალები – ერთი ბუნებრივი აქვს, თაფლისფერი, მეორე კი – ცისფერი (ეს უკვე საკონტაქტო ლინზების დამსახურებაა). რას აღარ ყვებიან: სინამდვილეში ქალიაო, ცალი თვალი კონცერტზე შეჭამაო... გადასარევი, პირდაპირ. მთელ ამ მშვენიერებას სვირინგები აგვირგვინებს: თავის ქალები, თხის თავი, დაგრეხელი ხეები... ბოროტი ენები ყვებიან, მკლავებზე თვალები იმისთვის ამოისვირინგა, რომ ნანემსარები არ ეტყობოდესო, ასო კი შავი სვირინგითა აქვს დაფარული და ზედ უხამსობებიც ანერიაო. თუმცა, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, პირველწყაროებთან საქმე არ გვქონია. იმას კი მოგახსენებთ, რომ მისი სვირინგების ავტორები მსოფლიოში ცნობილი ოსტატები, ალბერტ სგამბატი და დონოვანი არიან.

ქალების საყურადღებოდ

მკერდზე, მუცელზე და ბარძაყებზე ტატუს გაკეთებას არ გირჩევთ. სხეულის ამ ნაწილებს, მოგეხსენებათ, მუხანათობა ახასიათებს: თუ დაორსულდით ან უბრალოდ გასუქდით, მუცელზე დახატული სალამანდრა შეიძლება დინოზავრად იქცეს, თან ტატუს, ისევე, როგორც ყველაფერ სხვას, ცელულიტი არ უხდება, ჩემს ერთ ნაცნობ გოგონას კი ასაკთან ერთად მკერდი დაეწია და ახლა "როლინგ სტოუნზის" სიმბოლოს მეტისმეტად გრძლადა აქვს ენა გამოყოფილი.

■ ■ ■

ტატუს კონვენციების ისტორია 1976 წლიდან დაიწყო: ოსტატები და მოყვარულები მთელს მსოფლიოში აწყობენ ყრილობებს. შარშან ასეთი ყრილობა – 12th International Tattoo Convention 2002, 8-10 დეკემბერს ბერლინში გაიმართა. ჩვენ კი, სანამ ტატუირების საქმე, მრავალი სხვა საქმის მსგავსად, სათანადოდ გაგვივითარებია, სჯობს, სამდღიანი სიამოვნება და ინის ნახატები ვიკმაროთ, მით უმეტეს, რომ ცივა და ახლა სვირინგის გაკეთება ნამდვილად არ ღირს.

უსახელო მამაკაცი

ამერიკული "ცხენის ოპერა" 100 წლისაა

ირაკლი მახარაძე

1965 წელს ჰოლივუდში მყოფმა სოფი ლორენმა მოითხოვა შეხვედრა ყველაზე ცნობილ ამერიკელ მსახიობთან; როდესაც სტუდიის მესვეურებმა შეიტყვეს რომ ეს ცნობილი მსახიობი ქლინთ ისთვუდია, თავის ყურებს არ დაუჯერეს, რადგან ვერ წარმოედგინათ სატელევიზიო სერიალის მსახიობი იმ კინოვარსკვლავად, რომელთანაც შეხვედრა თვით სოფი ლორენს სურდა. თუ იმდროინდელი ამერიკული აუდიტორია ისთვუდს თითქმის არ იცნობდა, მთელი იტალია და ევროპა სერჯიო ლეონეს ვესთერნის წყალობით გადარეული იყო ქლინთ ისთვუდზე - IL CIGARILLO ასე ეძახდნენ მას, რადგან მის გმირს პირში სულ სიგარა ჰქონდა გარჭობილი (ცხოვრებაში ისთვუდი არ ეწევა და გადაღებებისას ლეონეს ემუდარებოდა: სერჯიო, რასაც გინდა იმას გავაკეთებ, ოღონდ ნუ მომაწევინებო. თუ დააკვირდებით, დოლარების ტრილოგიაში ისთვუდი გამუდმებით უკიდებს სიგარას და თითქმის არ ეწევა), ისთვუდის გმირის პონჩო კი მაშინათვე იქცა იტალიელი ახალგაზრდების პოპულარულ ტანსაცმელად. "უსახელო მამაკაცი" (ასე შეარქვეს მას კრიტიკოსებმა, თუმცა უნდა ითქვას, რომ დოლარის ტრილოგიის სამივე ფილმში მას სახელი ჰქონდა - ჯო, მანქო და ბლონდი), მსახიობის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად იქცა (მას ალბათ, მხოლოდ ინსპექტორი ქელეჰენი თუ გაუწევს პაექრობას რეჟისორ დონ სიგელის ფილმიდან "ბინძური ჰარი").



დოლარის ტრილოგიაში

ყველაფერი კი ასე დაიწყო: სერჯიო ლეონე თავისი პირველი ვესთერნისათვის ეძებდა მთავარი გმირის შემსრულებელს, ამისთვის უამრავი კანდიტატურა ჰყავდა, მაგრამ მეგობრებმა ურჩიეს ენახა ამერიკაში პოპულარული ტელესერიალის "ნედლი ტყავის" ერთ-ერთი სერია. როგორც კი ლეონემ იგი ნახა, მაშინათვე მოიხიბლა ისთვუდით და შესთავაზა მთავარი როლი. მსახიობი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ სცენარი რომ წაიკითხა მაშინათვე აკირა კუროსავას ფილმის "მცველის" სიუჟეტი იცნო. "როდესაც რამოდენიმე წლის წინათ "მცველი" ვნახე, ვიფიქრე ეს ნამდვილი ვესთერნია მეთქი"-იხსენებდა ისთვუდი და დათანხმდა. (საინტერესოა, რომ აკირა კუროსავამ ეს ფილმი ამერიკული ვესთერნის "შეინის" ზეგავლენით შექმნა). მსახიობის მენეჯერი წინააღმდეგი იყო მისი ევროპაში, კერძოდ კი იტალიასა და ესპანეთში, სადაც გადაღებები უნდა ჩატარებულიყო, გამგზავრების. ეს იქნება "მალპასო" (ესპანურად არასწორი ნაბიჯი) შენი კარიერისთვისო. მაგრამ საბედნიეროდ, იგი შეცდა. შემდგომში ისთვუდმა შექმნა კომპანია, რომელსაც სწორედ "მალპასო" დაარქვა. თავდაპირველად ამ როლზე მიწვეული იყო ჯეიმს ქობერნი, მაგრამ მან დიდი ჰონორარი, 25 ათასი დოლარი მოითხოვა, რაზედაც რეჟისორმა უარი განაცხადა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ფილმის ბიუჯეტი სულ 200 ათასს დოლარს შეადგენდა და როგორც ისთვუდი იხსენებდა, მას დუბლებისათვის გამოსაცვლელი ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა, ამიტომ ყოველნაირ რეკვიზიტს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. თვით ისთვუდს სულ 15 ათასი დოლარი და თვითმფრინავის ბილეთი ერგო. მეორე ფილმისთვის მსახიობმა 50 ათასი დოლარი და "ფერარი" მიიღო, ხოლო მესამისთვის 250 ათასი.

ამერიკის ყველაზე ცნობილი კოვბოი

ლეონეს ვესთერნებს უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად, იტალიელმა რეჟისორმა და მსახიობმა ვიტორიო დე სიკამ ისთვუდს "ახალი გერი კუპერი" უწოდა და მართლაც, ისთვუდი თამაშის მანერით ცნობილ მსახიობს წააგავს, ის ისეთივე თავდაჭერილი და ჩაკეტილია, ზედმეტს არ ლაპარაკობს მაგრამ კუპერისაგან განსხვავებით ისთვუდმა რადიკალურად განსხვავებული ახალი გმირი შემოგვთავაზა. მისი პერსონაჟი "უსახელო მამაკაცი" თუმცა კი სჯის ბოროტებას, ანადგურებს ბანდიტებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ოქროს ან ფულს დაეპატრონოს. ამ მიზნის მისაღწევად კი იგი ყველანაირ ხერხს ხმარობს. ფილმში "ერთი მუჭა დოლარები" იგი სამსახურში ჩაუდგება მოქიშპე ბანდებს, ორივესაგან ფულს აიღებს, ბოლოს და ბოლოს კი ერთმანეთს წაჰკიდებს. ასეთი საქციელი წარმოუდგენელი იყო ტრადიციული ვესთერნის გმირისათვის. იმის საჩვენებლად რომ მას მთლად არ დაუკარგავს ადამიანური სახე, იგი ბანდიტებისაგან ათავისუფლებს ქალს და ქმარ-შვილთან დააბრუნებს. ქალის შეკითხვაზე თუ რატომ გააკეთა ეს, "უსახელო მამაკაცი" ცალყბად პასუხობს: "მე ოდესღაც ვიცნობდი ასეთივე ქალს როგორც თქვენ, მაგრამ ვერაფრით ვერ დავეხმარე." თავდაპირველად სცენარში მთავარი გმირი ძალიან დიდხანს უხსნის ქალს იმის მიზეზს, თუ რისთვის გაათავისუფლა. ისთვუდმა კი თავისი კორექტივი შეიტანა და ასე მოკლედ მოხაზა სათქმელი. "ჩვენ მხოლოდ სიტყვა გადავუკარით - ამბობდა იგი - დაე, მაყურებელი თვითონ მიხვდეს რატომ! სიუჟეტმა მაყურებელი უნდა ჩაითრიოს, იგი თვითონვე უნდა გაერკვეს მომხდარ სიტუაციაში და საკუთარი დასკვნები გამოიტანოს."


"ბინძური ჰარი"

ისთვუდმა ლეონეს სამ ფილმში ("ერთი მუჭა დოლარები", "რამოდენიმე დოლარით მეტი" და "ცუდი, კარგი, ავი") მიიღო მონაწილეობა. საინტერესოა, რომ სამივე სურათში იგი იყენებდა იმავე კოლტს, რასაც სატელევიზიო სერიალში. ამ ფილმებს მოჰყვა უამრავი ვესთერნი-კლონი, სადაც პერსონაჟები იძერწებოდა ლეონეს ფილმების გმირებისაგან და ისინი დაუღალავად ანადგურებდნენ უთვალავ მტერს, აყენებდნენ სისხლის ტბებს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ფილმში რაც უფრო მეტი მკვლელობა იქნებოდა, იგი მით უკეთესს შედეგს მოიტანდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდებოდა. ისთვუდის მეგობარი მსახიობი ბერთ რეინოლდსი, რომელიც ისთვუდის წყალობით მოხვდა ერთ იტალიურ ვესთერნში, იხსენებდა დინო დე ლაურენტისთან საუბარს:"...ჩვენი ფილმი იქნება უფრო მაგარი. ქლინთი ჰკლავს 100 კაცს. შენ მოკლავ 245. ჩვენ ორჯერ უფრო მაგრები ვიქნებით."

შემდეგში სერჯიო ლეონემ ისთვუდს შესთავაზა სხვა ვესთერნებშიც მონაწილეობა, მაგრამ მსახიობის თქმით ეს უკვე მეტისმეტი იყო. ევროპის შემდეგ საჭირო იყო ამერიკის დაპყრობაც. იგი დაბრუნდა სამშობლოში და მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ვესთერნში ("ჩამოჰკიდეთ ისინი მაღლა", "მაწანწალა მთებიდან", "ბანდიტი ჟოზი უელსი" და სხვა) რომელიც იტალიური ვესთერნის "მამის" ზეგავლენით იყო შექმნილი. სულ ცოტა ხანში ისთვუდი მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიან მსახიობად იქცა და თვით პოლ ნიუმენსა და სთივ მაქქვინს გაუთანაბრდა. მან თვითონაც მიჰყო ხელი რეჟისორობას, საკმაოდ ნაყოფიერადაც, სულ დადგა სხვადასხვა ჟანრის 22 ფილმი, მაგრამ ვესთერნს მის შემოქმედებაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თვითონ ისთვუდი ამბობდა: "ამერიკულმა კულტურამ მოგვცა ორი ჟანრი - ვესთერნი და ჯაზი." (სხვათაშორის, ისთვუდი ნიჭიერი პიანისტი, კომპოზიტორი და ხანდახან მომღერალიცაა. მან დადგა ბრწყინვალე ფილმი "ჩიტი", რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ჯაზმენს ჩარლი პარკერს).

90-იან წლებში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ქლინთ ისთვუდის დღეები, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი შემოსავლიანი ვარსკვლავის და მასთან ერთად ვესთერნის ჟანრის, რომელსაც მან უდიდესი ღვაწლი დასდო და რომელმაც მსახიობი დიდებას აზიარა, დათვლილია. "უკვე კარგა ხანია, რაც ზოგიერთი ექსპერტი ვესთერნის სიკვდილზე სპეკულაციას ეწევა. ვესთერნისადმი მიძღვნილ ამ რექვიემს მე უკვე 35 წელია ვუსმენ, მაგრამ ის რატომღაც ყოველთვის მკვდრეთით დგება"-ამბობდა ისთვუდი და თავისი სიტყვების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მან შექმნა ბოლო დროის ყველაზე კარგი ვესთერნი "მიუტევებელი" (1992). ამ პროექტზე ისთვუდი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა და უცდიდა რომ წლები მომატებოდა, რათა მთავარი გმირი ეთამაშა.

უილიამ მანი, ისთვუდის შესრულებით, ერთ-ერთი საუკეთესო როლია მის კარიერაში და ძნელად თუ მოიძებნება ასეთი პერსონაჟი ვესთერნის ისტორიაში. დაუნდობელი მკვლელი და ქურდი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს მისი სისხლიანი წარსული, ცდილობს დაადგეს ნორმალურ, პატიოსანი ცხოვრების გზას თავისი შვილების საკეთილდღეოდ, მაგრამ უშედეგოდ....

ფილმში ვერ ნახავთ ტრადიციულ დუელს ქალაქის მთავარ ქუჩაზე, ადამიანებს ჰკლავენ მაშინ, როდესაც ისინი ყველაზე უფრო დაუცველები არიან, ანუ ისე როგორც ეს ხდებოდა რეალურ ცხოვრებაში. ფილმში უილიამ მანი ამბობს: "ადამიანის მოკვლა ეს არ არის ადვილი საქმე, შენ არ მიგიცია მისთვის სიცოცხლე, შენ მას ართმევ ყველაფერს რაც ჰქონდა და რაც კი ექნებოდა მომავალში."

"მიუტევებელში" ნაჩვენებია პირქუში და ძალადობით აღსავსე სამყარო, სადაც ცხოვრობენ უმეტესწილად ეგოისტი და მშიშარა ადამიანები, ფილმის განმავლობაში ისინი თავისავე ჩადენილი ცოდვების გამო ისჯებიან და არავის ძალუძს ითხოვოს ან მიიღოს პატიება. "მიუტევებელი" ერთგვარი თქმულებაა იმაზე, თუ როგორ ბადებს ძალადობა უფრო მეტ ძალადობას. ისთვუდის ვესთერნი არ ამართლებს ჩადენილ ძალადობას, მიუხედავად იმისა თუ ვინ სჩადის ამას, რადგან ყოველი ადამიანი ამისთვის ძვირ საფასურს იხდის. ფილმის ბოლოს უილ მანი წვიმიანი ღამის წყვდიადში მიემართება და არა გადაწვერილი მზის სხივებით განათებულ პრერიაში, როგორც ეს ტრადიციულ ვესთერნში ხდება ხოლმე... "მიუტევებელი" იმ წლის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ფილმი გახდა და ამასათან ერთად ოთხი ოსკარი მიიღო, მათ შორის საუკეთესო ფილმისა და რეჟისურისათვის. მადლიერმა მოსწავლემ, ქლინთ ისთვუდმა ფილმი მიუძღვნა თავის მასწავლებლებს - სერჯიო ლეონესა და დონ სიგელს.

არ ვიცი გადაიღებს თუ არა ქლინთ ისთვუდი კიდევ ვესთერნს (ამ ბოლო ხანებში იგი დეტექტივებზეა გადართული), მაგრამ აშკარაა, რომ "მიუტევებელი" ეს არა მარტო ისთვუდის, არამედ ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დიდი ხელოვანი კიდევ გაახარებს ამ ჟანრის მოყვარულთ ახალი შედევრებით.

საკულტო სუნამოები

ის არ იწვევს მასობრივ აღტაცებას, არ იყიდება აეროპორტის მაღაზიებში და არც მოდელების სახლთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. საკულტო სუნამოები დამზადებულია ძველებური მეთოდებით და განკუთვნილია ყველაზე პრეტენზიული შემფასებლისათვის.

კოლბენის "შარვე"

ყნოსვა ადამიანის ხუთი გრძნობიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღმგზნები და შეუფასებელია. ტყავის ნაწარმთან, სათვალეებთან, სპორტულ ჩასაცმელთან, ავეჯთან და სასადილო სერვისთან ერთად, სუნამო ფუფუნების საგნების არსენალში კიდევ ერთი იარაღია. თავდაპირველად იხარჯება მილიონები იმის დასადგენად, თუ რა სურნელი ურჩევნია მომხმარებელთა უმეტეს ნაწილს, შემდეგ ეს სურნელი ვრცელდება აეროპორტის მაღაზიებში, კოსმეტიკურ დახლებზე, ფარმაცევტულ და მოდების ბუტიკებში. თუმცა, ასეთი უმაღლესი დონის მარკეტინგის საშუალებით მოწოდებული ეს სუნამოები მზა ტანსაცმლის მაღაზიებში შეძენილი სამოსის ვულგარულ ექვივალენტს წარმოადგენს. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ორიოდე საკმაოდ ეკლექტური სურნელი ინდივიდუალისტებისათვის და, მადლობა ღმერთს, არსებობენ ასეთი ინდივიდებიც.

40 წლის წინათ გენერალ დე გოლის მოწოდებით, ტანსაცმლით მოვაჭრე დენის კოლბენმა შეისყიდა პარიზის უმთავრესი ფარმაცევტული საწარმო, რითაც ის უცხოელთა დაპატრონებისაგან იხსნა. უმაღლესმა ინდივიდუალისტმა კოლბენმა, იმის გამო, რომ ვერ მიაგნო არომატს, რომელიც "შარვეს" სახელის ღირსი იქნებოდა, თვითონ შექმნა ასეთი სურნელი. "შარვეს" ისტორია აქედან არ დაწყებულა, მას ჯერ კიდევ 20-იან წლებში მადამ შანელი ფლაკონის ფორმას დაესესხა თავისი ცნობილი №5-თვის.

კოლბენი არ ილტვოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი და კომერციული სურნელის შქმნისაკენ. მას, უბრალოდ, ისეთი რამის გაკეთება უნდოდა, რაც პირველ რიგში პირადად მას მიანიჭებდა სიამოვნებას. იმ დროისათვის კოლბენის ასეთი საქციელი ექსცენტრულად ითვლებოდა და ეწინააღმდეგებოდა ამ სფეროში დამკვიდრებულ ტრადიციებს. ამასთან, ეს გარკვეული სუნამოების ინდივიდუალიზაციის პირველი ნიშანი იყო.

პირველი სუნამო, რომელიც კოლბენმა 25 წლის წინათ შექმნა შამპანურის ბოთლის ფორმით შთაგონებელ ფლაკონში, Cuvee Speciale იყო.

მსგავსი კლასის სუნამოების საფუძველი ინდივიდუალისტებშია.

ქრიდის Green irish Tweed არის სუნამო, რომელიც აერთიანებს აბსოლუტურად სხვადასხვა კულტურის გემოვნებიან მამაკაცებს. მის თაყვანისმცემელთა რიგებში დგანან უელსის პრინცი, რობერტ რედფორდი და ქუინსი ჯონსი.

"ამ სუნამოს მარტო იმიტომ არ ვხმარობ, რომ ფანტასტიური არომატი აქვს, არამედ იმიტომაც, რომ, საეჭვოა, ვინმე სხვასაც ესხას იგი. ის ეგზოტიკურია; იმდენი მშვენიერი ტუალეტის წყალი და ოდეკოლონი არსებობს, მაგრამ ქრიდი – ეს ნამდვილი ექსცენტრიკაა", ამბობს ქუინსი ჯონსი.

ქრიდის კიდევ ერთ ექსცენტრულ სურნელს Millesime ჰქვია. ეს ფრანგული ტერმინია და ძველ ღვინოებთან ასოცირდება, სინმდვილეში კი მსგავსი სახელი იმას ნიშანვას, რომ სუნამო ზემაღალი ხარისხის იარლიყს ატარებს.

აკვა დი პარმა

მამაკაცის სხვა სუნამოები ძირითადად ტუალეტის წყლის კონცენტრაციით მზადდება. Millesime ტუალეტის წყალზე ორჯერ უფრო ძლიერია, უფრო მაღალი კონცენტრაციისაა, უფრო ღრმა არომატი აქვს და, აქედან გამომდინარე, მის არომატს უფრო დიდ ხანს შეინარჩუნებთ.

სხვა ფრანგული ნაწარმიდან ქრიდს გამოარჩევს ბუნებრივი ინგრედიენტების მაღალი პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქრიდი პარიზშია დაფუძნებული, 1760 წელს ჯეიმს ჰენრი ქრიდმა ლონდონში თავისი პირველი მაღაზია გახსნა, სადაც იგი ამავე დროს ავეჯსა და ტანსაცმელს ამზადებდა, თვით სამეფო ოჯახისთვისაც. 1854 წლიდან ნაპოლეონ III ცოლის პატრონაჟით ქრიდი პარიზში გადავიდა, სადაც დაიწყო ექსკლუზიური სუნამოების შექმნა ისეთი ცნობილი პიროვნებებისათვის, როგორიც იყო ოსკარ უაილდი, გრეის ქელი და ოდრი ჰეპბერნი.

მათ გვერდით დგას ტრამპერის Extract if lime, ცაცხვის არომატიანი სუნამო, რომელიც ვესტ-ინდოეთის ცაცხვის ბუნებრივ ზეთებზეა დამზადებული. ბრიტანული სამხედრო ოჯახის საყვარელი სუნამო, რომელიც ხელითაა დამზადებული (თვით ფლაკონებშიც ხელით ასხამენ), როგორც ამბობენ, არ შეცვლილა მას მერე რაც მისტერ ტრამპერმა პირველად ჩამოასხა კარზონ სტრიტის ლეგენდარულ მაღაზიაში. დრო იცვლება, მაგრამ გეო ტრამპერი არაფერს ცვლის. მაგალითად, სუნამოს ვარდისფერი ეტიკეტი პირველი მსოფლიო ომის მემკვიდრეობას წარმოადგენს – მაშინ ქაღალდის დეფიციტის გამო ერთადერთი ხელმისაწვდომი ფერი ვარდისფერი იყო.

ქრიდი

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე წარმატებული სუნამო ამ ნიშაში Aqua di Parma არის, რომელიც 1930 წლიდან არსებობს. მსუბუქი, ახალი, სიცილიური ციტრუსის არომატი პოპულარული იყო ისეთ პიროვნებებს შორის, როგორიცაა ქერი გრანტი, დევიდ ნივენი, ოდრი ჰეპბერნი და ავა გარდნერი. მის ერთგულ მომხმარებელთა შორის არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც. მას ხმარობს ანა-მარი კოლბენი – დიდი კოლბენის შვილი და "შარვეს" დღევანდელი პატრონი. ის ძალიან მსუბუქი და სასიამოვნოა და, რაც მთავარია, დასხმიდან 10 წუთის შემდეგ ოთახში მისი სურნელი აღარ დგას და ისეთ მაღაზიებში იყიდება, სადაც კუბური Davidoff-ის სიგარა 150 ფუნტი სტერლინგი ღირს.



ჩვენი კონსტიტუციის ავტორებმა გადაწყვიტეს, რომ ბედნიერებისადმი ლტოლვისთვის ხელშემწყობი პირობები უზრუნველეყოთ. ისინი აცნობიერებდნენ და აღიარებდნენ ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი გრძნობებისა და ინტელექტის განუსაზღვრელ მნიშვნელობას. მათ ესმოდათ, რომ სიცოცხლის შემადგენელი ტკივილის, სიამოვნებისა და კმაყოფილების მხოლოდ ერთი ნაწილია მატერიალურ საგნებში მოცული. დამფუძნებლებს სურდათ, ამერიკელები დაეცვათ თავიანთ რწმენაში, აზრებში, ემოციებსა და გრძნობებში. მათ მოითათბირეს ყველა დროის მთავრობების წინააღმდეგ და აღიარეს უფლება პიროვნების პირადი ცხოვრებისა - უფლებათა შორის ყველაზე ყოვლისმომცველი და ცივილიზებულ ადამიანთა მიერ ყველაზე პატივსაცემი უფლება. ამ უფლების დაცვისთვის უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების მხრიდან ყოველი გაუმართლებელი ჩარევა ადამიანის პირად ცხოვრებაში, ნებისმიერი სახითა და ფორმით, კონსტიტუციის (მეექვსე ჩასწორების) დარღვევაა.

ლუის ბრენდაისი, ა.შ.შ.
უზენაესი სასამართლო
"ოლმსტედი ა.შ.შ.-ს წინააღმდეგ"
1928 წ.

პოლიტიკური მეცნიერება

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს, პერიოდულად შევთავაზებთ, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

მართული დემოკრატია - ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს 1959 წელს, ინდონეზიაში, პრეზიდენტ სუჰარნოს რეჟიმის დასახასიათებლად, როდესაც მან გააუქმა საპარლამენტო რეჟიმი, რომელიც ათი წლით ადრე, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე იყო დაფუძნებული. ე.წ. „მართული დემოკრატია“, რომელიც ამ რეჟიმის სლოგანს წარმოადგენდა, შედგებოდა ინდონეზიური საზოგადოების „სამი ბურჯისგან“. ესენი იყვნენ ნაციონალიზმი, რელიგია და კომუნიზმი. რეალურად, ეს იყო შეშფოთებული ნაბიჯი და მცდელობა მაშინდელი ხელისუფლებისა, რომ მას შეენარჩუნებინა ერთდროულად არმიისა და კომუნისტების მხარდაჭერა. სინამდვილეში, ეს არ იყო დემოკრატია. ეს ტერმინი ხშირად იხმარება ანალოგიური ნაციონალისტი რეჟიმების დასახასიათებლად, რომლის ლიდერებიც განსხვავებული აზრის ჩახშობას ცდილობდნენ. გენერალმა სუხარტომ, ვინც 1968 წელს ძალაუფლება აიღო ხელში, დაამყარა ე.წ. „ახალი რეჟიმი“, რომელსაც წინ უსწრებდა ასობით ათასი კომუნისტის სიკვდილით დასჯა. 1998 წელს, სახალხო პროტესტებისა და დემონსტრაციების შედეგად, გენერალი იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

გოლიზმი - გენერალ შარლ დე გოლის იდეები (1890-1970), ვინც საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკისა და გოლისტური პარტიის დამფუძნებლად გვევლინება, ყველაზე ხშირად არიან ძალაუფლებაში რესპუბლიკის დაარსებიდან, ანუ 1958 წლიდან. ტერმინმა ამ დროისთვის შეიძინა ერთგვარი ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც ნაციონალიზმთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება კულტურული და პოლიტიკური გამორჩეულობისა და ე.წ. „სიდიადის“ პრეტენზიის ჩამოყალიბებაში. ევროპაში ეს ფენომენი ხშირად მჭიდრო კავშირშია ანტიამერიკანიზმთან. ინსტიტუციონალურად გოლიზმი შეიცავს პრეზიდენტიზმისა და პლებისციტური დემოკრატიის ნაზავს. დემოკრატები ეჭვით უყურებენ პოლიტიკურ პარტიებსა და კანონმდებლებს, როგორც ხალხის ნების ადეკვატურად გამომხატველ ინსტიტუტებს; გოლისტების აზრით, ხალხის ნება საუკეთესოდ შეიძლება გამოიხატოს ძლიერი ლიდერისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს საშუალებით.

პლებისციტი - იგი ხშირად იხმარება როგორც ტერმინ რეფერენდუმის სინონიმი. თუმცა, პლებისციტი შეიძლება ნიშნავდეს სპეციფიკურ რეფერენდუმს, ისეთს, რომელშიც რომელიმე მთელი ტერიტორიის მოსახლეობამ შეიძლება გადაწყვიტოს, თუ რომელ ქვეყანას სურთ, რომ მიეკუთვნებოდნენ. 1935 და 1955 წლებში საარლანდის მოსახლეობამ დიდი უმრავლესობით გამოხატა საკუთარი სურვილი, გამხდარიყო გერმანიის ნაწილი. 1956 წელს ბრიტანეთის ტოგოლანდი, რომელსაც წარსულში მოპოვებული ერთა ლიგის მანდატი ჰქონდა, საკუთარი ნებით გახდა განის ნაწილი, იმის ნაცვლად, რომ გამხდარიყო ფრანგული ტოგოლანდის ნაწილი.

ფემინიზმი - ფემინიზმი განმანათლებლობის ეპოქიდან იშვა. თუ მამაკაცებს აქვთ უფლებები, რატომ არა აქვთ ისინი ქალებს? ასეთი კითხვები განმანათლებლობის შედეგად გაჩნდა. დიდ ბრიტანეთში თავისუფლად მოაზროვნე ქალებმა, ისეთებმა, როგორებიც იყვნენ მერი უოლსტოუნკრაფტი (1759-97) და ჰარიეტ ტეილორი (1807-59), მოითხოვეს ქალთა თანასწორობა მამაკაცებთან, რასაც ასევე ემხრობოდნენ უტილიტარული ფილოსოფიის წარმომადგენლები. ფემინისტური ბრძოლის ავანგარდში ყოველთვის სკანდინავიელი ქალები იყვნენ.

ფემინისტური მოქმედება და თეორია ზოგჯერ თანმიმდევრული და ჰარმონიული, ზოგჯერაც შიდარეაქციონერულია. ყველაზე ადრეული სტრატეგია იყო საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება ქალებისთვის, რასაც თან ერთვოდა მოსაზრება, რომ, როგორც კი ამას მიაღწევდნენ, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას მყარი გარანტიები გაუჩნდებოდა. ქალთა ხმის უფლების მოპოვების მოძრაობა, ე.წ. „სუფრაჟისტული“ მოძრაობა, ამერიკასა და ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. მათ პირველ წარმატებას ფინეთსა (1906) და ნორვეგიაში (1907) მიაღწიეს. მეოცე საუკუნის შუა წლებში მრავალ ქვეყანაში ქალები მამაკაცთა თანასწორი უფლებებით აღიჭურვნენ, თუმცა, ქალებს მაინც მრავალი სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდათ. მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოში ადგილის მოსაპოვებლად არჩევნების მოგების პროცესში. მხოლოდ ისლანდიის ქალთა პარტიას უკავია მრავალი საკანონმდებლო პოზიცია არჩევნებში გამარჯვების შედეგად.

როდესაც ქალებმა აღმოაჩინეს, რომ საარჩევნო ხმის უფლება და სამთავრობო კომპექტაციისთვის გამართულ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მათ მაინც არ ანიჭებდა მამაკაცებთან სრულ პარიტეტს, მათ სხვაგვარ ქმედებებს მიმართეს. 1960-იან წლებში წამოწყებულმა „ქალების ლიბერაციის“ მოძრაობამ მიზნად დაისახა ქალთა ცნობიერების გამდიდრება, რის განსახორციელებლადაც იგი ხშირად მიუთითებდა სქესობრივი უთანასწორობის სხვადასხვა გამოვლინებაზე.

სტიმული ამ მოძრაობისთვის წამოვიდა ქალებისთვის უმაღლესი განათლების ასპარეზის გაფართოებითა და შრომის მარკეტში ქალების მეტად აქტიური ჩართვით. რადიკალური ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ მათი უუნარობა მთავარი მმართველი პოზიციების მოპოვებისა, იყო რეზულტატი მამაკაცთა კოლექტიური მცდელობისა, რომ შენარჩუნებულიყო არსებული უთანასწორობა. მამაკაცთა უპირატესობისადმი გამოხატული ფემინისტური რეაქცია სხვადასხვა ფორმას იღებდა. ერთი ასეთი ფორმა იყო ქალთა ინტერეს-ჯგუფის შექმნა. ჯგუფი ამტკიცებდა, რომ „სქესობრივი დისკრიმინაცია“ უნდა დასრულებულიყო. ამგვარ დისკრიმინაციას ისინი ისეთივე შემართებით უტევდნენ, როგორც შავკანიანი ჯგუფები უტევდნენ რასობრივ დისკრიმინაციას. ზოგიერთ ქვეყანაში მიღწეულ იქნა შესამჩნევი წარმატება, რაც ქალთა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღებაში გამოიხატა. სხვა რადიკალური ფემინისტები, რომლებიც იზიარებდნენ სოციალისტურ იდეალებს, ამავე ტრადიციაში ამტკიცებდნენ, რომ ქალთა ექსპლოატაცია კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნაწილი იყო და მხოლოდ ქალური რევოლუციური მოქმედება შეიძლებოდა აღკვეთილიყო. ჰომოსექსუალისტი ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ ქალთა შევიწროების საფუძველი ჰეტეროსექსუალობაში იყო. კიდევ სხვა ფემინისტები ამბობდნენ, რომ ხალხი სოციალიზებულია ისეთი სალაპარაკო ენის საშუალებით, რომელიც ხაზს უსვამს მამაკაცთა დომინირების ფაქტს. ამდენად, ტერმინი „ბიზნესმენი“ იქცა „ბიზნეს-პერსონად“, შესაბამისად, შეიცვალა სხვა სქესის სპეციფიკურად ამსახავი ტერმინოლოგიაც.

იმის გამო, რომ ფემინურობა ადამიანთა მოდგმის ნახევარს ახასიათებს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ფემინიზმმა გლობალურ მასშტაბებს მიაღწია. ქალებმა დაარწმუნეს გაერო საკუთარი ბრძოლის სამართლიანობაში და მან (გაერომ) 1976 წლიდან 1985 წლამდე „ქალთა დეკადა“ გამოაცხადა - ორგანიზება გაუკეთა ქალთა სამ კონფერენციას. თავიდან წარმოჩნდა არსებული უთანხმოებანი პირველი და მესამე სამყაროს ქალთა შორის: ამ უკანასკნელთა ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად. მაგრამ 1985 წელს ნაირობში გამართული მესამე კონფერენციის დასასრულისთვის მათ შორის თანხმობის ზოგიერთი ნიშანი გამოჩნდა. ახლა მხოლოდ დროის ამბავია, რამდენ ხანში მოიპოვებენ ქალები მამაკაცთა თანასწორ პოლიტიკურ ძალაუფლებას.

ეკონომიკური კაცი (რაციონალური მაქსიმალისტი) - კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებელთა ადრეული კონცეფცია, რომელიც ყველას საკუთარი მოგების მოტივაციით მართულად თვლის თავისუფალ საზოგადოებასა და თავისუფალი სამარკეტო ეკონომიკის არსებობის პირობებში. ეს კონცეფცია დაასკვნის, რომ ეკონომიკური სუბიექტი (აქტიორი) არის უზადოდ რაციონალური და გამოხატავს საკუთარ თავისუფალ არჩევანს უზადო შეჯიბრებითობის კონდიციის მქონე გარემოში. ამგვარად, მომხმარებლის როლში, ეკონომიკური კაცი, პროდუქტს უიაფეს მარკეტზე იყიდის; მეწარმის როლში კი - პროდუქტს გაყიდის იქ, სადაც მას ეს უდიდეს ფასად შეეძლება.

გვიანდელმა ეკონომისტებმა განავითარეს აზრი, რომ არსებობს მოგების შემცირების ხარისხიც, რომელიც ეკონომიკური კაცის გათვლებზე იქონიებს გავლენას. მაგალითად, რაც უფრო მეტ ხანს მუშაობს ადამიანი, იმდენად ნაკლები ექსტრა წუთი ემატება მის მოგებას. ამდენად, რაღაც მომენტში იგი მიაღწევს „ზღვრულს“, როცა გაგრძელებას აღარ მოაქვს მოგება და იგი გაჩერდება. ეს კონცეფცია ცნობილია „მარგინალიზმის“ სახელით და ნებისმიერ სამარკეტო ურთიერთობას ესადაგება.

ეკონომიკური კაცის კონცეფციისადმი არსებობს გარკვეული კრიტიკაც: პირველ რიგში, ეს კონცეფცია თავისთავად დაასკვნის, რომ არსებობს რაციონალური არჩევნის შესაძლებლობა; მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს აქვს მთლიანი ინფორმაცია. პრიმიტიული მარკეტების შემთხვევის გამოკლებით, ეს უმეტესობა ადამიანთათვის შეუძლებელია. ასევე, ბუნებაში ძალიან ცოტა „უზადო“ მარკეტი თუ არსებობს. კონცეფცია აგრეთვე აწყდება სირთულეებს იქაც, როდესაც საქმე გვაქვს მეწარმესთან, რომელსაც კლასიკურ ეკონომიკასთან ცოტა რამ აქვს საერთო. არსებული რისკების კალკულაცია, თუნდაც, მოკლევადიანი გათვლისთვის, მით უფრო, საშუალო თუ გრძელვადიანი გათვლებისთვის, კომპიუტერებსაც კი უჭირთ. არასწორმა ინფორმაციამ, შესაძლოა, ისევე სწრაფად მოიცვას მარკეტები, როგორც კორექტულმა ინფორმაციამ. აგრეთვე ძნელია გათვლებში სოციალური ფასებისა და მოგების მოქცევაც, რაც ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მოჰყვება. მაგალითად, როგორი მონეტარული ფასი უნდა დაედოს სუფთა და არახმაურიან გარემოს? ეკონომიკური კაცის კონცეფცია გამოსადეგია იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, მაგრამ უნდა გვახსოვდეთ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიც, რომლებიც ამ კონცეფციის ლიმიტებზე მიგვანიშნებენ.

პრეზიდენტი

შენკი - ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ 1919

ბერნარდ რაიანი

აპელანტი და მსჯავრდებული: ჩარლზ თ. შენკი

მოსარჩელე: ამერიკის შეერთებული შტატები

აპელანტის მოთხოვნა: 1917 წლის შპიონაჟის აქტის დარღვევის კონსპირაციაში უდანაშაულოდ ცნობა

მთავარი დამცველი: ჯონ ლორდ ო'ბრაიანი

აპელანტის ადვოკატი: ჰერი ჯ. გობონსი და ჰენრი ჯონ ნელსონი

მოსამართლენი: ლუის დ. ბრენდაისი, ჯონ კლარკი, უილიამ რ. რეი, ოლივერ უენდელ ჰოლმსი, ჩარლზ ევანს ჰიუზი, ჯოზეფ მაკენა, ჯეიმ ს. მაკრეინოლდსი, უილის ვან დევანტერი, ედვარდ დ. უაიტი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

პროცესის ადგილმდებარეობა: ვაშინგტონი, კოლუმბიის ფედერალური ოლქი

განაჩენის თარიღი: 1919 წლის 3 მარტი

განაჩენი: დამნაშავედ ცნობის ვერდიქტი ძალაში რჩება

მნიშვნელობა: ამ საქმეში უზენაესმა, საკუთარი ისტორიის განმავლობაში პირველად განსაზღვრა, თუ რამდენად ჰქონდა უფლება შეერთებული შტატების ხელისუფლებას თავისუფალი სიტყვის შეზღუდვისა. ამ საქმემ თაობებს დაუტოვა ოლივერ უენდელ ჰოლმსის მიერ შეთხზული გადაწყვეტილება, რომლისგანაც ნასესხები ორი ფრაზა იქცა ამერიკის იურისპრუდენციის ყველაზე ხშირად ციტირებულ სამართლებრივ ნორმად.



ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა, რომელმაც შენკის საქმე განიხილა.

1917 წლის 15 ივნისს, სწორედ იმის შემდეგ, რაც შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო, კონგრესმა მიიღო ე.წ. „ჯაშუშობის საწინააღმდეგო“ კანონი, რომელიც ფედერალურ დანაშაულად აღიარებდა ქვეყნის საომარი ქმედებებისადმი ნებისმიერი ობსტრუქციის გამოვლენას. წინამდებარე კანონი მჭიდრო კავშირში იყო კონსკრიფციის, ანუ ჯარში გაწვევის აქტთან, რომელიც საშუალებას აძლევდა ხელისუფლებას, სამხედრო სამსახური სავალდებულო გაეხადა და ახალწვეულებით ფრონტი უზრუნველეყო.

პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში, სოციალისტური პარტიის შტაბბინაში, პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა სასწრაფოდ მიიღო რეზოლუცია, რომელიც 15.000 ცალი პროკლამაციის დაბეჭდვასა და წევვამდელთათვის ფოსტითა თუ სხვა საშუალებით დარიგებას ითვალისწინებდა. პროკლამაცია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეცამეტე ჩასწორების ციტირებას ახდენდა:

„არც მონობა და არც არანაირი სხვა სახის ძალდატანებითი შრომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება დანაშაულის სასჯელის სახითა და სასამართლოს შესაფერისი გადაწყვეტილებით, არ იქნება დაშვებული არსად შეერთებულ შტატებში, ან მისი იურისდიქციის ნებისმიერ ტერიტორიაზე.“

პროკლამაცია მკითხველს უხსნიდა, რომ ახალწვეული „ცოტათი უკეთესია“, ვიდრე მსჯავრდებული და რომ სავალდებულო სამხედრო სერვისი დესპოტიზმის ყველაზე უარესი ფორმა და კაცობრიობის წინაშე ყველაზე მხეცური დანაშაული იყო, გამოწვეული უოლ-სტრიტის რამდენიმე რჩეულის პირადი ინტერესებით. „არ დაემორჩილოთ დაშინებას“ - ამბობდა პროკლამაციის ტექსტი და მკითხველს ურჩევდა, ამ კანონის გასაუქმებლად კონგრესში პეტიციები შეეტანა.

„პროკლამაციის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი“

სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი ჩარლზ თ. შენკი, რომელიც მეთაურობდა ფილადელფიის შტაბბინას, საიდანაც ხსენებული პროკლამაციები გავრცელდა.

შენკი მალე დააპატიმრეს. მას წაუყენეს ბრალდება: შეიარაღებულ რიგებში ამბოხის პროვოცირება და წევვამდელთა სამხედრო სამსახურში ჩადგომის პროცესისადმი ობსტრუქცია. თუმცა, მთავრობას არ ჰქონდა არც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ შენკმა თუნდაც ერთ წევვამდელის გადააფიქრებინა სამხედრო სამსახური. ამის საპირისპიროდ, მთავრობას მიაჩნდა, რომ თვით ფაქტი ამ პამფლეტების პუბლიკაციისა საკმაო მტკიცებულება იყო ბრალდებულის წინააღმდეგ.

შენკის დამცველმა სასამართლოს მარტივი არგუმენტი წარუდგინა: კერძოდ, ის, რომ შენკმა, უბრალოდ, გამოიყენა მისი უფლება თავისუფალი სიტყვისა; უფლება, რომელსაც მას კონსტიტუციის პირველი ჩასწორება ანიჭებდა, რაც გულისხმობდა საჯარო საკითხზე აზრის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვის დაუშვებლობას.

იმის შემდეგ, რაც შენკი დამნაშავედ სცნო პირველი ინსტანციის სასამართლომ, მან საკუთარი განაჩენი ჯერ საოლქო სასამართლოში, ხოლო შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

შენკის დაცვა ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ბრალდებული თვითონ იყო ჩართული პამფლეტების გავრცელების პროცესში. ჩვენებების გადახედვის შემდეგ მოსამართლე ოლივერ უენდელ ჰოლმსმა აღნიშნა, რომ შენკი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი იყო და ხელმძღვანელობდა შტაბბინას, რომლიდანაც წევვამდელებს გაეგზავნათ პამფლეტები. ჰოლმსის სიტყვით, სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის 1917 წლის 20 აგვისტოს ბრძანება ამბობდა, რომ „მოვიპოვეთ ახალი ფურცლები სტამბიდან და დავიწყეთ სამუშაო კონვერტების ადრესირების მიმართულებით“. ჰოლმსმა ასევე მიუთითა: „ამავე დოკუმენტში არის მოთხოვნა, რომ ამხანაგ შენკს ჰქონდა უფლება, სალაროდან გამოეტანა 125 დოლარი, პროკლამაციების ფოსტით გაგზავნის ხარჯის დასაფარავად“.

„არც ერთ რაციონალურ პიროვნებას არ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ბრალდებული შენკი პამფლეტების გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი იყო“, - დაასკვნა ჰოლმსმა.

ამავე მოსამართლემ დაწერა სასამართლოს დასკვნა, რომელსაც მთელი უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა ერთხმად დაეთანხმა. აღნიშნა, რომ არ ყოფილა მცდელობა იმის მტკიცებისა, რომ პროკლამაციამ შეიარაღებულ ძალებში ნებისმიერი სახის აჯანყება გამოიწვია, ჰოლმსმა დაასკვნა:

„რა თქმა უნდა, წინამდებარე დოკუმენტი ფოსტით არ გაიგზავნებოდა, თუ იგი არ იყო ნაგულისხმევი და გათვლილი რაიმე ეფექტის მოსახდენად; ჩვენ ვერ ვხედავთ, რა ეფექტი შეიძლება ჰქონოდა მას, თუ არა ის, რომ უარყოფითი გავლენა მოეხდინა წვევამდელთა სამხედრო სამსახურში ჩაბმის გადაწყვეტილებაზე“.

ჰოლმსი დაეთანხმა დაცვის არგუმენტს, რომ პროკლამაციები იმსახურებდა პირველი ჩასწორების დაცვას, მაგრამ, მისივე აზრით, მხოლოდ მშვიდობიანობის და არა ომის დროს.

„ჩვენ ვაღიარებთ, რომ მრავალ ადგილას და მშვიდობიანობის დროს ის ყველაფერი, რაც ბრალდებულმა პროკლამაციაში გამოთქვა, კონსტიტუციური უფლების ფარგლებში მოექცეოდა. მაგრამ ყოველნაირი ქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომელთა შორისაც ეს აქტი შესრულდა. თავისუფალი სიტყვის ყველაზე მკაცრი დაცვაც კი ვერ დაიცავს იმ ადამიანს, რომელიც თეატრში ტყუილად დაიძახებს: „ცეცხლი!“ და ამით პანიკას გამოიწვევს“.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ჰოლმსს ამ პასაჟში არ უთქვამს: თეატრი სავსე უნდა ყოფილიყო; შთამომავლობა მეთოდურად და შეცდომით მიაწერს მის სიტყვებს იქ არარსებულ ზედსართავს. შემდეგ გამოითქვა მეორე, ასევე მრავალჯერ ციტირებული ფრაზა:

„ყველა ასეთ საქმეში მთავარია იმის დადგენა, გამოყენებული სიტყვები თუ იხმარება ისეთი გარემოებების დროს, რომ ძალუძთ ნათელი და აწმყოში არსებული სერიოზული საფრთხის შექმნა, ისეთი საფრთხისა, რომლისაგან დაცვაც კონგრესის უფლებამოსილებას შეესაბამება“.

ჰოლმსის მიხედვით, „ნათელი და აწმყოში არსებული საფრთხე“ წარმოადგენდა „სიახლოვისა და ხარისხის“ საკითხს.

„მაშინ, როდესაც ერი ომშია ჩართული, მრავალი რამ, რისი თქმაც მშვიდობიანობის დროს შეიძლება, შესაძლოა, იქცეს ისეთ ტვირთად საომარი ქმედებებისთვის, რომ მათი წარმოთქმაც კი დაუშვებელი ხდება იმ დროის განმავლობაში, სანამ კაცები იბრძვიან; და არანაირ სასამართლოს არა აქვს უფლება, ასეთი სიტყვები კონსტიტუციური დაცვის ობიექტად შერაცხოს“.

საბოლოოდ, მოსამართლემ აღნიშნა: იმას, რომ შენკმა და მისმა ამხანაგებმა ვერ მოახერხეს ჯარში განვევის ობსტრუქცია, მნიშვნელობა არ ჰქონდა. „კანონი სჯის ობსტრუქციის კონსპირირებას, ისევე, როგორც თვით ობსტრუქციას“.

„თუ პროკლამაციის ტენდენცია და ის განზრახვა, რომლითაც იგი განხორციელდა, ერთი და იგივეა, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ საფუძველს განცხადებისა, რომ მხოლოდ ქმედების წარმატებულობა განაპირობებს ამ ქმედების დანაშაულად ქცევას“.



ოლივერ უენდელ ჰოლმსი უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში.

ამით ქვედა ინსტანციის სასამართლოთა განაჩენი ძალაში დარჩა. მსჯავრდებული ჩარლზ თ. შენკი, რომელსაც თითო ბრალდებისთვის 10 წელი მიესაჯა მათი თანმიმდევრული მოხდის ვალდებულებით, ფედერალურ ციხეში გადაიგზავნა.

შენკის პრეცედენტი, რომელმაც „ნათელი და აწმყოში არსებული საფრთხის“ კრიტერიუმი დაამკვიდრა, იქცა უზენაესი სასამართლოს აზროვნების საეტაპო წერტილად პირველი ჩასწორების (სიტყვისა და თვითგამოხატვის უფლების) საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებში. ამ საქმის რეზულტატად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ედუარდ უაიტმა და სხვა მოსამართლეებმა ხელისუფლებას ნება დართეს, შეეზღუდა ისეთი სიტყვის თავისუფლება, რომელსაც ჰქონდა „სახიფათო ტენდენციები“. თუმცა, სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ოლივერ უენდელ ჰოლმსმა კიდევ უფრო დახვეწა საკუთარი შეხედულებები პირველ ჩასწორებასთან დაკავშირებით, როდესაც მისმა შვიდმა კოლეგამ აღმოაჩინა „ნათელი და აწმყოში არსებული საფრთხე“ საქმეში აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ. აქ, რუსეთში დაბადებული ამერიკელი ჯეიკობ ადამსი, დამნაშავედ ცნეს ჯაშუშობის აქტის დარღვევაში, როდესაც მან პროკლამაციები გაავრცელა 1917 წლის რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად ამერიკული ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ. ჰოლმსის განსხვავებული მოსაზრება ამბობდა, რომ აბრამსი ისჯებოდა არა იმისთვის, რაც ჩაიდინა, არამედ იმისთვის, რისიც სწამდა. ჰოლმსი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციის პირველი ჩასწორება უზრუნველყოფდა პიროვნების აზრის, პოზიციის თავისუფლებას, და არა (როგორც ეს შენკის საქმეში იყო) მისი მოქმედების თავისუფლებას. ადვილი წარმოსადგენია, რომ ჰოლმსი განაგრძობდა იგივეს მტკიცებას მაკარტიზმის ბნელი დღეებისა და არაამერიკულ საქმიანობათა კომიტეტის არსებობის დროს.

1927 წელს ჰოლმსმა ისევ განსხვავებული აზრი გამოხატა, როდესაც სასამართლომ დამნაშავედ სცნო სოციალისტი ბენჟამენ გიტლოუ, ნიუ-იორკის შტატის კანონის დარღვევისა და კრიმინალური ანარქიისადმი მოწოდებისთვის. გიტლოუს პუბლიკაციები, რომლებიც ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდნენ, ჰოლმსმა მიიჩნია კონსტიტუციის მეთოთხმეტე ჩასწორების „კანონის შესაფერისი პროცესის“ უზრუნველმყოფი მუხლის დაცვის ობიექტად, რაც სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესში ჩარევის დაუშვებლობას მოითხოვდა. გიტლოუს პუბლიკაციებში მოსამართლემ ვერ აღმოაჩინა „აწმყოში არსებული საფრთხე ხელისუფლების ძალისმიერი ხერხებით დამხობისა“.

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკოლოზ რურუამ

სამართლის ფილოსოფია

პირადი ცხოვრების უფლება

სემუელ დ. უორენი
ლუის დ. ბრენდაისი

პრინციპი, რომელიც გვაუწყებს, რომ აუცილებელია, ინდივიდს ჰქონდეს პიროვნული და საკუთრებრივი დაცვა, ისეთივე ძველია, როგორც თვით საერთო სამართალი (Common Law); მაგრამ დროდადრო აუცილებელი ხდება ამ დაცვის ხასიათისა და განზომილების ხელახალი განსაზღვრება. პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს ახალი უფლებების აღიარება მოსდევს და მარად ახალგაზრდა საერთო სამართალიც საზოგადოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად იზრდება. ამდენად, ადრეულ ხანაში კანონი მხოლოდ სიცოცხლისა და საკუთრების ფიზიკური ხელყოფისთვის, VIET ARMIS-ის (შეიარაღებული ძალადობა) ხასიათის დარღვევებისთვის გვთავაზობდა გამოსავალს. იმ დროისთვის „სიცოცხლის უფლება“ სუბიექტს მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფის სხვადასხვა ფორმისგან იცავდა; თავისუფლება მხოლოდ ფიზიკური ტყვეობისგან თავისუფლებას ნიშნავდა; საკუთრების უფლება ინდივიდის მიწებსა და პირუტყვს იფარავდა. მოგვიანებით კი გაჩნდა ადამიანის სულიერი ხასიათის, სამყაროს, გრძნობათა და ინტელექტის აღიარება. თანმიმდევრულად ამ კანონიერ უფლებათა საზღვარი გაფართოვდა; დღეისთვის „სიცოცხლის უფლება“ გაიგება როგორც „სიცოცხლით ტკბობის უფლება“ - უფლება, რომ ნებისმიერმა, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დაგვტოვოს მარტო ბედნიერების ჩვენეულ ვერსიასთან პირისპირ და სიმყუდროვეში. თავისუფლების უფლება უზრუნველყოფს ნაირგვაროვან სამოქალაქო პრივილეგიებით სარგებლობას; ტერმინი „საკუთრება“ კი გადაიზარდა ნებისმიერი ფორმის მფლობელის აღმნიშვნელ სიტყვად, იქნება ეს ხელშესახები ნივთი თუ რაიმე არამატერიალური.

ამდენად, გრძნობათა კანონიერ აღიარებასთან ერთად, სხეულის ფიზიკური დაზიანებისაგან დაცვა განივრცო ამგვარ დაზიანებათა მცდელობის აკრძალვებამდეც, რაც ნიშნავს ადამიანის ფიზიკური ზიანის შიშში ჩაგდების მცდელობის აკრძალვას. თავდასხმის ბრალდებიდან მუქარის ბრალდება წარმოიშვა. დიდი ხნის შემდგომ გაჩნდა ისეთი უსიამოვნო ხმაურისა და სურნელისგან დაცვის გარანტიებიც, როგორიცაა მტვერი და კვამლი, გადამეტებული რყევები და ვიბრაცია. ამის შედეგად იშვა კანონი „შეწუხებების“ („უსიამოვნების“) წინააღმდეგ. ასე რომ, მალე ადამიანის ემოციათა გათვალისწინებამ პიროვნული იმუნიტეტის საზღვრები ინდივიდის სხეულის საზღვრებს განაშორა. მისი რეპუტაცია, მისი სტატუსი გარემომყოფ კაცთა შორის აგრეთვე დაცვის ღირსად იქნა მიჩნეული. ასე დაიბადა კანონი ცილისწამების წინააღმდეგ. კაცის ოჯახური საქმეები მისი ცხოვრების ლეგალური კონცეფციის ნაწილი შეიქნა და მეუღლის მიჯაჭვულობის ხელყოფა ანაზღაურების ღირსად ჩაითვალა. დროდადრო კანონი შეგნებულად ფერხდებოდა ხოლმე, როგორც ეს მოხდა იმ შემთხვევაში, როდესაც მან არ სცნო ოჯახის ღირსების ცდუნებით შელახვის შესაძლებლობა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი საზოგადოების მოთხოვნა შესმენილი იყო. გამოგონილ იქნა achon oer quod servidium amisit-ის სახელით მონათლული აბსოლუტური ფიქცია, რომელიც მშობელთა გრძნობებისთვის მიყენებული ზარალისთვის ადეკვატური ანაზღაურების მოთხოვნას აკანონებდა. „სიცოცხლის უფლების“ ანალოგიურად მოხდა საკუთრების ლეგალური კონცეფციის ზრდაც. ფიზიკური, ხელმოსაჭიდი საკუთრებიდან წარმოიშვა უსხეულო, ინკორპორეალური უფლებები და ამან არაფიზიკურ საკუთრებათა მთელ სამყაროს გაუხსნა კარიბჭე - ისეთ საკუთრებათა უფლებებს, რომლებიც გონების პროდუქტებსა და პროცესების ნაყოფს წარმოადგენენ. მაგალითად, ლიტერატურასა და მხატვრობას, კეთილგანწყობას, ხელობის საიდუმლოებებსა და ვაჭრობის სიმბოლიკას.

კანონის ასეთი განვითარება გარდაუვალი იყო. ინტენსიურმა ინტელექტუალურმა და ემოციურმა ცხოვრებამ, ასევე ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად წარმოშობილმა ახალმა გრძნობა-განცდებმა შეაგნებინეს ადამიანებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაწილი ტკივილისა, სიამოვნებისა და სარგებლობისა ძევს ფიზიკურ საგნებში. აზრებმა, ემოციებმა და გრძნობებმა აგრეთვე მოითხოვეს კანონიერი აღიარება, და საერთო სამართლის (Common Law) ზრდისა და განვითარების ბრწყინვალე უნარმა მოსამართლეებს კანონმდებელთა ჩაურევლად მიანიჭა საშუალება მათთვის შესაფერისი დაცვის პოვნისა.

თანამედროვე გამოგონებებმა და ბიზნესმეთოდებმა ყურადღება გაამახვილეს იმ შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად, რომელმც პიროვნება და მისი ის უფლება უნდა დაიცვას, რომელსაც მოსამართლე ქუული „ყველას მხრიდან თავის დანებების“ უფლებას უწოდებს. მოულოდნელად გადაღებულმა ფოტოსურათებმა და საგაზეთო სტატიებმა დაიპყრო პირადი და საშინაო ცხოვრების უსათუთესი უბნები; უამრავი მექანიკური ინსტრუმენტის გამოგონება იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც ამბობს, რომ „ყოველივ დაფარული ცხადზე ცხადი გახდება“, ახდენას უქადის. წლების განმავლობაში არსებობდა აზრი, რომ უნდა ეარსება სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც კერძო პირთა პორტრეტების უნებართვო გამოქვეყნებას დასჯადს გახდიდა. კერძო ცხოვრებაში საგაზეთო პუბლიკაციის დახმარებით შეჭრის ბოროტება კი ახლახან ერთმა ცნობილმა და ნიჭიერმა მწერალმაც დაასურათხატა.

ერთი საკმაოდ ავადსახსენებელი საქმე ნიუ-იორკის პირველი ინსტანციის სასამართლოში იქნა ახლახან მოსმენილი, რომელშიც გაირჩა პორტრეტების საგაზეთო ცირკულაციაში გაშვების უფლება. საკითხი, თუ რამდენად აღიარებს და დაიცავს კანონი კერძო, პირადი ცხოვრების უფლებას ამ და ანალოგიურ შემთხვევებში, აუცილებლად გახდება ჩვენი სასამართლოების მსჯელობის საგანი.

გარკვეული დაცვის სასურველობა, ან აუცილებლობაც კი ასეთი უფლებისა, უეჭველად არსებობს. პრესა ყველა მიმართულებით არღვევს წესიერებისა და ზრდილობიანობის საზღვრებს. ჭორი აღარ არის მხოლოდ უსაქმურთა და მავნებელთა ინსტრუმენტი - ის პროფესიად იქცა, რომელსაც გამომგონებლობითა და უტიფრობით აღჭურვილნი მისდევენ. ვულგარული და მდაბიო გემოვნების დასაკმაყოფილებლად სექსუალურ ურთიერთობათა დეტალებით ყოველდღიურ გაზეთთა გვერდები მსუყედაა გაჯერებული. უქნარათა დასაქმების მიზნით საგაზეთო სვეტი სვეტზე ივსება არაფრისმომცემი ჭორებით, რომელთა მოპოვებაც მხოლოდ საოჯახო წრის გარღვევითაა შესაძლებელი.

ლუის დებმიც ბრენდაისი.

თანამედროვე ცხოვრების ინტენსიურობამ და კომპლექსურობამ, რაც მზარდ ცივილიზაციას მოსდევს, აუცილებელი გახადეს სამყაროდან გარკვეული განრიდება, და კულტურის დახვეწილი გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი სულ უფრო და უფრო მგრძნობიარე ხდება საკუთარი პიროვნების საჯარო განხილვის შესაძლებლობის მიმართ. ამდენად, მარტოობა და სიმყუდროვე პიროვნებისთვის მეტად მნიშვნელოვანი შეიქმნა; მიუხედავად ამისა, თანამედროვე გამოგონებებმა და წამოწყებებმა მას ბევრად დიდი სულიერი ტკივილი და ტანჯვა მიაყენეს, რაც მის პირად ცხოვრებაში ჩარევას მოჰყვა, ვიდრე ეს მხოლოდ ფიზიკური ზიანის შემთხვევაში ხდებოდა. ასეთი თავდასხმების ზიანი არ შემოისაზღვრება მხოლოდ იმ ადამიანთა ტკივილით, ვინც ჟურნალისტური თუ სხვა წამოწყებების სუბიექტს წარმოადგენს. აქაც, ისევე როგორც კომერციის სხვა შტოებში, პროექტის მიწოდება მის შემდგომ მოთხოვნას წარმოშობს. ჭორის თესლისაგან ამგვარად აღმოცენებული ნებისმიერი მოსავალი უფრო მეტ და მის ცირკულაციასთან პირდაპირპროპორციულად მყოფ თესლს წარმოქმნის, რაც საბოლოოდ სოციალური სტანდარტებისა და მორალურობის დამდაბლებას იწვევს. ერთი შეხედვით უწყინარი ჭორიც კი, რომელიც ფართოდ და მეთოდურად ვრცელდება, ბოროტების შესაძლებლობის მატარებელია. მას აქვს უნარი დაკნინებისა და გარყვნისა. იგი აბუჩად იგდებს საგანთა მნიშვნელობას, რითიც ის ადამიანთა აზრებისა და მოწოდებების დაკნინებას უწყობს ხელს. როდესაც პიროვნული ჭორი ბეჭდვით სიტყვაში კეთილშობილდება, საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად საჭირბოროტო საკითხთა ადგილის დაკავებასთან ერთად, აღარ არის გასაკვირი, რომ უვიცთა და უცოდინართათვის იგი ერთგვარი მნიშვნელობის მატარებელი გახდეს. ადვილად გასაგები და ადამიანის სუსტ წერტილებზე გათვლილი, არ არის გასაკვირი, რომ ჭორი იკავებს გონების ინტერესთა იმ ნაწილებს, რომელთაც სხვა საქმეთა კეთება ძალუძდათ. ტრივიალურობა ერთდროულად ანადგურებს გონების გამჭრიახობასა და გრძნობის დელიკატურობას. არანაირ ენთუზიაზმს, არანაირ სისხლსავსე იმპულსს არ ხელეწიფება მისი ლპობისმიერ ზემოქმედებაზე გამარჯვება.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ, თუ რამდენად არსებობს დღევანდელ კანონმდებლობაში ის პრინციპი, რომელიც პიროვნების პირადი ცხოვრების დაცვისათვის გამოდგება. და თუ ის არსებობს - როგორია მისი საშუალებით მოპოვებული დაცვის ხასიათი და სიგრძე-სიგანე.

იმ ინსტრუმენტთა ხასიათიდან გამომდინარე, რომელთა საშუალებითაც პირადი ცხოვრების უფლება ირღვევა, მათ მიერ მოტანილი ზიანი ერთი შეხედვით იმ დარღვევებს მოგვაგონებს, რომელთაც ცილისწამების წინააღმდეგი კანონმდებლობა სჯის. თუმცა სამართლებრივი აქცია ცილისწამების შემთხვევაში საჩივრის საკმარისობისათვის ადამიანის შეურაცხყოფილ გრძნობებსაც ჯერდება. მიუხედავად ამისა, ის პრინციპი, რომელსაც ცილისწამების კანონი ეფუძნება, მოიცავს არსებითად განსხვავებული კლასის ეფექტებს, იმასთან შედარებით, რაზედაც ახლა ვაპირებთ საუბარს. ცილისწამების წინააღმდეგ არსებული კანონი ეხმაურება მხოლოდ რეპუტაციისადმი მიყენებულ ზიანს; ანუ ზიანს, რომელიც პიროვნებას საზოგადოებასთან არსებულ, საგარეო ურთიერთობებს უფუჭებს გარშემომყოფთა თვალში მისი დამცირებით. პუბლიკაციას, როგორი ფართოც არ უნდა იყოს მისი გავრცელების დიაპაზონი, და როგორი შეუფერებელიც არ უნდა იყოს იგი გამოქვეყნებისათვის, იმისათვის, რომ მას ვინმემ უჩივლოს, აუცილებლად უნდა გააჩნდეს პირდაპირი ტენდენცია მისი სხვებთან კავშირების დაზიანებისა; წერილობით თუ ბეჭდვითი სახის ასეთ პუბლიკაციას უნდა შეეძლოს ადამიანის სიძულვილის, დაცინვისა და აბუჩად აგდების სამიზნედ ქცევა. პუბლიკაციის მიერ მის საკუთარ თვითშეფასებაზე და მის გრძნობებზე მოხდენილ ზემოქმედებას არანაირი სამართლებრივი წონა ცილისწამების ბრალდებისათვის არ აქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, დარღვევები და მათთან კავშირში მყოფი უფლებები, რომელთაც აღიარებს ცილისწამების კანონი, თავიანთ არსში უფრო მატერიალურნი არიან, ვიდრე სულიერნი. კანონის ხსენებული წარმონაქმნი უბრალოდ განავრცობს გარშემომყოფი ფიზიკური საკუთრების დაცვას იმ ხარისხით, რომელიც არის აუცილებელი ან დამხმარე ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის. მეორე მხრივ, ჩვენი კანონმდებლობა არ აღიარებს ისეთ პრინციპს, რომელიც დაკანონებდა კომპენსაციას მხოლოდ გრძნობისმიერი ტკივილით მიყენებული ზარალისათვის. სულიერად როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს კონკრეტული ქმედების ეფექტი, თუნდაც ეს იყოს დაუდევარი ან წინასწარგანზრახული ქმედება, თუ მოქმედება სხვაფრივ კანონიერია, მიყენებული სულიერი ტკივილი Dannum absque injuvia-დ (ზიანი, მოტანილი დანაშაულის გარეშე) ჩაითვლება. გრძნობისმიერი ზიანი რა თქმა უნდა გათვალისწინებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ადგენს რაიმე სხვა აღიარებული უფლების დარღვევისათვის შესაფერის კომპენსაციას. მაგრამ ჩვენი (იგულისხმება ამერიკული სამართალი) სისტემა, განსხვავებით რომაული სამართლისაგან, არ რთავს ნებას კომპენსაციისა ისეთი სულიერი ტრავმებისთვისაც კი, რომელიც არის არა მარტო შეურაცხყოფის რეზულტატი, არამედ რომელიც სხვა პიროვნების „ღირსებისათვის“ მიყენებული, წინასწარგანზრახული და გააზრებული ქმედებით მოტანილი ზიანიდან გამომდინარეობს.

თუმცა, იმისათვის, რომ „საერთო სამართალში“ (Common Law) ვიპოვოთ პრინციპი, რომელიც პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას ესადაგება, არ არის საჭირო ზედაპირული ანალოგიების მოშველიება რეპუტაციებზე შეტევებისა და ღირსების შელახვის ცალკეული შემთხვევის ჩამოთვლის სახით. ამგვარად იმიტომ ვმსჯელობთ, რომ სამართლებრივი დოქტრინები, რომელნიც კავშირში არიან ე.წ. „საერთო სამართლის“ ინტელექტუალური და არტისტული საკუთრების უფლებებთან, მიჩნეულნი არიან არაფერ სხვად, თუ არა პირადი ცხოვრების ზოგადი უფლების მისადაგების შემთხვევებად, რაც სწორად გაგების შემთხვევაში გვთავაზობს ხსენებულ ბოროტებათათვის ანაზღაურების საშუალებას.

„საერთო სამართალი“ პიროვნებისათვის უზრუნველყოფს უფლებას იმისა, რომ ადამიანმა თვითონვე დაადგინოს, თუ რამდენად იქნება მისი აზრი, სენტიმენტი და ემოცია სხვათათვის გაზიარებული. მთავრობის ჩვენი სისტემის ქვეშ არასდროს შეიძლება მისი იძულება ჩამოთვლილ ფასეულობათა გამოსააშკარავებლად (გარდა შემთხვევისა, როდესაც პიროვნება სასამართლოში მოწმის როლში იმყოფება); იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მაინც დააპირებს მათ გამომზეურებას, იგი ინარჩუნებს უნარს მათი გახმაურებისათვის საზღვრების დადგენისა. ამ უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული გამოხატვის რომელიმე მეთოდსა თუ სახეობაზე. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ მოხდა მისი კომუნიკაცია სიტყვით, ნიშნით, ხატვით, ქანდაკებითა თუ მუსიკით. ასევე არ არის დამოკიდებული ამ უფლების არსებობა აზრისა თუ ემოციის ხასიათსა თუ ღირებულებაზე, ანდაც გამოხატვისათვის შერჩეული საშუალების ვარგისიანობაზე. ისეთივე ხარისხის დაცვა ეკუთვნის ყოველდღიურ წერილს, ან დღიურში ჩანაწერს, როგორც ყველაზე ფასეულ ლექსსა თუ ესეის; ერთნაირად არიან დაცულნი უნიჭოდ გამოჩორკნილი თუ ნათხაპნი, ისევე როგორც ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში. ყოველ ასეთ შემთხვევაში ინდივიდი უფლებამოსილია დაადგინოს, რომ წარდგება თუ არა საზოგადოების წინაშე ის, რაც მას ეკუთვნის. არავის აქვს უფლება, რომ გამოაქვეყნოს მისი პროდუქცია ნებისმიერი ფორმით, მისი ნებართვის გარეშე. ეს უფლება მთლიანად დამოკიდებულია იმ მატერიისაგან, რომლის გამოყენებითაც მისი აზრი, სენტიმენტი ან ემოცია გამოიხატა. მას შეუძლია იარსებოს ნებისმიერი კორპორეალური არსებისაგან დამოუკიდებლად, იქნება ეს ნათქვამი სიტყვა, ნამღერი სიმღერა თუ გათამაშებული დრამა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რაიმე მატერიითაა გამოხატული, როგორც ეს ნაწერი ლექსის შემთხვევაშია, და ავტორსა და ფურცელს მანძილი ჰყოფს, ავტორი მაინც ინარჩუნებს მისი კომპოზიციის საკუთრების უფლებას. ეს უფლება მხოლოდ მაშინ იკარგება, როდესაც თვით ავტორი აწვდის საკუთარ პროდუქტს საზოგადოებას - ანუ აქვეყნებს მას. ეს უფლება მთლიანად დამოკიდებულია კოპირების კანონთაგან, და მათი არტისტულ სამყაროში შეჭრისაგან. ამგვარ სტატუტთა მიზანი ავტორის, კომპოზიტორისა თუ არტისტისათვის გამოქვეყნების მთელი მოგების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. საერთო სამართალი კი ანიჭებს მას უნარს, რომ მთლიანად აკონტროლოს პუბლიკაციის აქტი, ან ასეთი აქტის ყოფნა-არყოფნის საკითხი. სტატუტის მიერ მინიჭებულ უფლებას არანაირი ღირებულება არ გააჩნია იქამდე, სანამ პუბლიკაცია არ განხორციელებულა. საერთო სამართლის მიერ მინიჭებული უფლება კი გამოქვეყნებისთანავე ქრება.

რაში მდგომარეობს ხსენებული უფლების საფუძველი, რაც მას ანიჭებს უფლებას აკრძალვისა ლიტერატურის თუ მხატვრობის ნიმუშთა გამოქვეყნების საქმეში? ამაზე აცხადებენ, რომ ეს კერძო საკუთრების უფლების ფორსირებას (გატარებას) წარმოადგენს, რაც არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს იქამდე, სანამ საქმე ლიტერატურული და მხატვრული კომპოზიციების რეპროდუქციასთან გვაქვს. ისინი ჭეშმარიტად ატარებენ ჩვეულებრივი კერძო საკუთრების მრავალ თვისებას - არიან

გაგრძელება D4 გვერდზე

D3 გვერდიდან

გადაცემის უნარიანნი, გააჩნიათ ფასი და პუბლიკაცია, თუ რეპროდუქცია არის ის გამოყენება, რომლის საშუალებითაც ხდება ამ ფასის რეალიზება. მაგრამ მაშინ, როდესაც პროდუქტის ფასი და ღირებულება არ მდგომარეობს პუბლიკაციით მოპოვებული მოგებით სარგებლობის უფლებაში, არამედ იმის შეგნებით მიღწეულ სულიერ სიმშვიდესა თუ აუღელვებლობაში, რომ საერთოდ არ მოხდეს კონკრეტული პუბლიკაცია, ძნელია, რომ ასეთი უფლება, საკუთრების უფლებად ჩავთვალოთ - ყოველ შემთხვევაში, ამ ტერმინის ჩვეულებრივი გაგებით. კაცი სწერს წერილში საკუთარ შვილს, ან ასეთ ჩანაწერს ის დღიურში აკეთებს, რომ რომელიღაც დღეს მან საკუთარ მეუღლესთან ერთად არ ისადილა. არავის, ვისაც ეს ფურცელი ხელში ჩაუვარდება, არ აქვს უფლება მისი გამოქვეყნებისა, თუნდაც იგი ამ პიროვნებას კანონიერი გზით ჰქონდეს მოპოვებული. და ეს აკრძალვა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ წერილის ან დღიურის ასლის გამოქვეყნებაზე. შეზღუდვა აგრეთვე მისი შინაარსის გამოქვეყნებაზეც ვრცელდება. რა არის დაცვის ობიექტი ამ შემთხვევაში? დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს არ არის იმ ფაქტის დაფიქსირების ინტელექტუალური აქტი, რომ ქმარს ცოლთან ერთად არ უსადილია. დაცვის ობიექტს აქ თვით ეს ფაქტი წარმოადგენს. იგი არ არის ინტელექტუალური პროდუქტი; ის საოჯახო შემთხვევაა. ადამიანი წერს უამრავ წერილს, განკუთვნილს სხვადასხვა ხალხისათვის; თუმცა არავის ექნებოდა უფლება ამ წერილთა სიის გამოქვეყნებისა. იმ შემთხვევაში, თუ წერილისა თუ დღიურის შინაარსი ისევე იქნებოდა დაცული, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მაშინ მისი დაცვის დიაპაზონიც უნდა ყოფილიყო ისეთივე, როგორსაც კოპირების კანონმდებლობა გამოქვეყნებულ პროზას სთავაზობს. მაგრამ კოპირების კანონი ვერ აღკვეთდა წერილის გამრავლებას, ან წერილში არსებულ ზოგიერთ ფაქტთა გამოქვეყნებას. ნახატებისა თუ ესკიზების კოპირების კანონს შეუძლია ნახატების სურათებად რეპროდუქციის შეჩერება, მაგრამ მას არ ძალუძს ამ ნახატთა სიისა თუ მათი შინაარსის გამოქვეყნების აკრძალვა. ცნობილმა პრეცედენტმა, რომელიც ცნობილია სახელით პრინცი ალბერტი სტრეინჯის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ საერთო სამართლის კანონი კრძალავდა არა მხოლოდ გამოქვეყნებას იმ ესკიზებისა, რომელიც მოსარჩელემ და დედოფალმა ვიქტორიამ საკუთარი სიამოვნებისათვის დახატეს, არამედ „ამ სკეტჩების მიახლოებით აღწერასაც კი, და ასევე მისი მოკლე შინაარსის გადმოცემასაც, იქნებოდა ეს კატალოგისა თუ სხვა ფორმისა“. ასევეა დაცული გამოუქვეყნებელი ახალი ამბები, რომელთაც არანაირი ლიტერატურული ხასიათი არ გააჩნიათ პირადი ცხოვრების უფლებით.

ის, რომ ამგვარი დაცვა არ ეფუძნება ლიტერატურულ თუ არტისტულ საკუთრებას, ჩანს კიდევ უფრო უკეთ მაშინ, როდესაც საქმე არა ინტელექტუალურ საკუთრებას, არამედ ჩვეულებრივ ფიზიკურ საკუთრებას ეხება. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი აგროვებს ქვების ან სხვა ღირსშესანიშნაობების კოლექციას. ალბათ ძნელია ვინმემ ამტკიცოს, რომ სხვას ვინმეს აქვს უფლება მათი კატალოგის გამოქვეყნებისა; ჩამოთვლილი საგნები ნამდვილად არ წარმოადგენენ ინტელექტუალურ საკუთრებას ნებისმიერი თვალსაზრისით იმაზე მეტად, ვიდრე ეს ტაფებისა თუ სკამების შეგროვების შემთხვევაში იქნებოდა.

იმ რწმენამ, რომ საკუთრების იდეა მისი ვიწრო გაგებით, იყო გამოუქვეყნებელ ნაწერთა დაცვის საფუძველი, ჩვენი, საკმაოდ უნარიანი სასამართლო, რამდენიმე შემთხვევაში შეცდომაში შეიყვანა. მაშინ სასამართლომ უარი განაცხადა კერძო წერილის აკრძალვის ბრძანების გამოტანაზე და საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ „წერილები, რომელთაც არ გააჩნიათ ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულება, არ წარმოადგენენ დაცვის ღირს საკუთრებას“; და რომ „ეს დღესავით ნათელია, რომ მოსარჩელე მათ ვერავითარი ლიტერატურული ღირებულების მქონედ ვერ ჩათვლიდა, იმდენად, რამდენადაც არ შეიძლება ავტორისათვის ღირებულ რამედ მივიჩნიოთ ის, რის გამოქვეყნებასაც იგი არასდროს დათანხმდება“. ამგვარი გადაწყვეტილებები მალე მივიწყებულნი იყვნენ და მათ აღარავინ მისდევდა. ასევე ვერ ჩაითვლება დადგენილად წესი, რომ ის დაცვა, რომელსაც ნებისმიერი ნაწერის ავტორს საერთო სამართალი ანიჭებს, მთლიანად დამოუკიდებელია ამ ნაწერის ფულადი ღირებულებისა, შინაგანი ფასეულობისა თუ იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელიც მის გამოქვეყნება-არგამოქვეყნებას შეეხება; ასევე არ არის იგი მთლიანად დამოუკიდებელი იმ მატერიისაგან, რომელზე დაყრდნობითაც აზრი ან სენტიმენტი იყო გამოხატული.

ლუის ბრენდაისი წინამდებარე სტატიის შექმნის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები საკუთარ გადაწყვეტილებებს საკუთრების დაცვის პრინციპს უკავშირებენ, არსებობს უფრო ლიბერალური დოქტრინის აღიარების ფაქტიც. ამდენად, საქმეში პრინცი ალბერტი სტრეინჯის წინააღმდეგ, ვიცეკანცლერმა (მოსამართლე ინგლისის სასამართლო სისტემაში) და ლორდ-კანცლერმა (ინგლისის სასამართლო სისტემის თავი) საკუთარი მსჯელობით ცხადყვეს, რომ აღიარებენ მეტნაკლებად ნათლად განმარტებული, უფრო ფართო და გასათვალისწინებელი პრინციპის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც მათ საკუთარი გადაწყვეტილება მიიღეს. ვიცე-კანცლერი რაინდი ბრუსი ახსენებს სიტუაციას, სადაც ადამიანს, „ვინც გარკვეულ პიროვნებებს გარკვეულ საკითხებზე მისწერა“, და ვისაც შესაძლოა კონკრეტული ზიანი მიადგეს პირადულ ურთიერთობებში ამ ნაწერთა გამომზეურების შედეგად, ამისაგან დაიცავს სასამართლო შესაფერის შემთხვევაში. თუმცა გაუგებრად რჩება ის, თუ რატომ შეიძლება ამგვარი პუბლიკაციის შეზღუდვა, როდესაც იგი მის მსხვერპლს არა მარტო სარკაზმის, არამედ უმძიმესი ზიანის ობიექტად ხდის, და რატომ არ შეიძლება ასეთი პუბლიკაციის შეზღუდვა მაშინ, როდესაც იგი მისი ჩამწარებული სიცოცხლის მიზეზი შეიძლება გახდეს. პიროვნებისათვის პოტენციური მოგების რეალიზების შანსის დაკარგვა, რაც შეიძლება ძვირფას ქვათა კატალოგის გამოქვეყნებას მოჰყვეს, არ შეიძლება მისი პერსონალისადმი per se დარღვევად ჩაითვალოს. მომავალი მოგების შესაძლებლობა არ წარმოადგენს იმგვარ საკუთრების უფლებას, რომელსაც კანონი ჩვეულებრივ აღიარებს. ამდენად, ასეთი აღიარებისათვის აუცილებლად უნდა იარსებოს სხვა უფლებების დარღვევის ფაქტმა, რაც არამართლზომიერ აქტს წარმოადგენს; და ასეთი დარღვევა ისეთივე არამართლზომიერია იმისაგან დამოუკიდებლად, არის მისი რეზულტატი მოგების პოტენციის მატარებელი (თუ პიროვნება მისთვის ამ არახელსაყრელი ინფორმაციის გამომზეურებას დაუპირებს), თუ ის პიროვნების სულიერი ტკივილითა და ტანჯვის საშუალებითაა გათვლილი უპირატესობის მოსაპოვებლად. თუკი კერძო საკუთრების კონცეფციას, მისი ვიწრო გაგებით, სიცოცხლე უწერია, მაშინ არ შევცდებით თუ დავასკვნით, რომ ჭორის გამავრცელებლის მიზანი მიღწეულია, როდესაც ეს უკანასკნელი ავრცელებს იმ ფაქტებს სხვისი პირადი ცხოვრების შესახებ, რომელნიც ამ სხვას გახმაურებისათვის შეუფერებლად მიაჩნია. ლორდი კოტენჰემი აცხადებს, რომ ადამიანი „არის ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ მას გააჩნია“. მანვე მოიხსენია გამართლებულად მოსაზრება, რომელიც ლორდ ელდონს ეკუთვნის და გამოქვეყნებულია 1820 წელს საქმეში ვიატი უილსონის წინააღმდეგ: საქმე ეხებოდა მეფე ჯორჯ მესამის პორტრეტის ამოტვიფრას მისი ავადმყოფობის ჟამს; საქმის ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი მეფის ექიმთაგან რომელიმე დღიურს აწარმოებდა იმასთან დაკავშირებით, რაც მან მკურნალობის პროცესში გაიგო, არც ერთი სასამართლო, მეფის სიცოცხლის განმავლობაში, მისი გამოქვეყნების უფლებას არ მისცემდა. ლორდმა კოტენჰემმა განაცხადა, რომ საქმის ბრალდებულთა ქმედებებიდან გამომდინარე, „უფლება, რომელიც აქ დაირღვა, არის პირადი ცხოვრების უფლება“. ამდენად, თუ პირადი ცხოვრების უფლება, ერთხელ მაინც, ეღირსა კანონისმიერ აღიარებას, მაშინ სასამართლოთა ამ უფლების მიმართ არსებული მიდგომა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ უფლების დარღვევით მოტანილი ზიანის ხასიათსა და თავისებურებაზე.

ამგვარ მსჯელობას აუცილებლად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ წერაში ან ხატვაში გამოხატული აზრის, სენტიმენტისა და ემოციისათვის არსებული დაცვა, როდესაც საქმე პუბლიკაციის შეზღუდვას ეხება, არის უფრო ზოგადი უფლების - სხვებისაგან პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის დაცვით უზრუნველყოფა. ეს უფლება ანალოგიურია უფლებისა, რომ არ ვიყოთ თავდასხმის მსხვერპლნი და გალახულნი; რომ არ ვიყოთ უკანონოდ შეპყრობილნი; რომ არ ვიყოთ შევიწროვების მიზნით გასამართლების მსხვერპლნი და ცილისწამებულნი. ნებისმიერ ამ უფლებათაგან გამოსჭვივის, როგორც კანონის მიერ აღიარებული სხვა უფლებებიდან, რომ არსებობს ფლობისა და პატრონობის ნიუანსი და შესაძლოა, რომ არც იყოს შეუფერებელი ამ უფლებებზე გარკვეულწილად საკუთრების კონტექსტში საუბარი. მაგრამ, ნათელი უნდა იყოს ის, რომ ისინი ოდნავ შესამჩნევ ერთობას ინარჩუნებენ ამ ტერმინის ჩვეულ გაგებასთან მიმართებაში. პრინციპი, რომელიც პირად ნაწერსა და ყველა სხვა სახის კერძო პროდუქტებს იცავს, არა მოპარვისა და წართმევისაგან, არამედ ნებისმიერი ფორმით გამოქვეყნებისაგან, რეალურად არა კერძო საკუთრების, არამედ ხელშეუხებელი, დაურღვეველი, სანუკვარი პიროვნულობის პრინციპია.

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკოლოზ რურუამ
დასასრული შემდეგ ნომერში

ქართული ადვოკატურის ისტორიიდან

"სამშობლოს" გმირთა ლიტერატურული სასამართლო

ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ (1910 წლის N 12) თავის მკითხველებს აცნობა:

„სამშაბათს, 16 მარტს, ეკ. გაბაშვილის თაოსნობით გამართულ საღამოზე ქართულ თეატრში გაასამართლეს „სამშობლოს“-ს გმირნი ქ. ლიონიძე და ლ. ხიმშიაშვილი. მსაჯულთა თავმჯდომარე იყო ილ. ზურაბიშვილი, მისი ამხანაგნი შ. მიქელაძე და ნ. ლორთქიფანიძე, ნაფიც მსაჯულთ მამასახლისი კ.ზ. მაყაშვილი, ბრალდებულნი: ქეთევანი - თამარა გოგოლაშვილი, ლევან ხიმშიაშვილი - სვ. ყიფიანი, დამცველნი: იოსებ მაჭავარიანი და ალ. მდივანი. ბრალს დებდა ვექილი შალვა მესხიშვილი. ნაფიც მსაჯულთ ქეთევანი და ლევანი გაამართლეს, რამაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია...

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იოს. მაჭავარიანისა და შ. მესხიშვილის სიტყვებმა...“

„ბრალმდებლის (შ. ალექსი-მესხიშვილის) სიტყვა.

ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! ნათლად რომ გამოვარკვიოთ დამნაშავენი არიან თუ არა ბრალდებულნი, უფლება რომ გვქონდეს გადაჭრითა ვსთქვათ ან ერთი ან მეორე, საჭიროა განსაზღვრული საზომი - საერთოდ ვინ ითვლება დამნაშავედ? მართალია, ამის შესახებ ბევრი აზრი იყო მეცნიერებაში გამოთქმული, მაგრამ დღეს ეს საკითხი ასე წყდება. საკითხი შესდგება ორი მომენტისაგან, პირველი - თუ ბრალდებულს ესმოდა რას სჩადიოდა, წარმოდგენილი ჰქონდა შედეგი თავის მოქმედებისა და იცოდა მისი უკანონობა ან დღეს ჩვენ საქმეში, უპატიოსნობა თავის საქციელისა, ჩვენ უფლება გვაქვს პასუხისგებაში მივცეთ, მსჯავრი დავსდოთ მის მოქმედებას, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საჭიროა ამა თუ იმ მოქმედების ჩადენა და თავის საქციელით განსაზღვრული შედეგის გამოწვევა. როცა ეს ორი მომენტი მტკიცდება საქმის გარჩევიდან, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: დამნაშავეა. ამ საზომით მე ვიხელმძღვანელებ ბრალდებულთ მოქმედების დაფასების დროს.

გადავავლოთ თვალი ჩვენს საქმეს. მე აღარ გავიმეორებ ფაქტიურ მხარეს, რადგანაც სასამართლოს გამოძიებამ ნათლად გამოარკვია საქმე. მე მოკლედ დავახასიათებ გარეშე პირობებს, რომელშიაც ბრალდებულთ უხდებოდათ მოქმედება, თქვენს წინაშე, ბ-ნო მსაჯულნო, ჩვენება მოგვცა სვიმონ ლიონიძემ, თქვენ გაიგონეთ დიაკვანი გოგიას სიტყვები, ნახეთ მოხუცი ქალი, რა საზარელ სურათს გვიხატავენ ისინი! შაჰ-აბასმა გააოხრა, მიწასთან გაასწორა საქართველო. სისხლით მორწყო მტარვალმა მთელი არე-მარე. ჯალათების წამებას ვერ დაახწია თავი ვერც უსუსურმა ბალღმა, ვერც მოხუცმა, ვერც ქალმა, ვერც კაცმა, ხალხი გმინავდა, ხალხი იტანჯებოდა. საუკეთესო მამულიშვილნი ძალღონეს იკრეფავდნენ მტარვალთ მოსასპობად. ხანდახან ვეღარ აიტანდა ხოლმე ტანჯვას თავისუფლებას ნაჩვევი გული, ბოღმა ამოხეთქავდა და კერძო პირნი შურს იძიებდნენ, როგორც ეს მოხუცმა ქალმა ჩაიდინა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, საჭირო იყო შაჰ-აბასის დედა-ბუდიანად აღმოფხვრა, საჭირო იყო ერის განთავისუფლება, აი პირობები, რომელშიაც უხდებოდათ მოქმედება ბრალდებულთ. ამ საზარელ ხანას ლევან ხიმშიაშვილმა შეიყვარა თავისი გულითადი მეგობრის სვიმონ ლიონიძის მეუღლე ქეთევანი, რასაკვირველია გარეშე პირობებს სიყვარულის აღგზნებაზე გავლენა არა აქვს. ამისთანა ზღუდე ვერ დაიმაგრებს ამ დიად გრძნობას, მაგრამ როდესაც სამშობლო განსაცდელშია და ამ დროს გიყვარს შენი მეთაურის ცოლი, ვალდებული ხარ ყოველივე გრძნობას ჩაუფიქრდე, იხმარო ყოველივე ღონისძიება და გამოარკვიო თავისი მოქმედება. რასა ვხედავთ. ერთი წელიწადი უყვარდათ ერთმანეთი ლევანს და ქეთევანს, სარგებლობდენ ყოველივე შემთხვევით ფარულად დამტკბარიყვნენ თავისი გრძნობით და ერთხელაც არ გაუელვნია იმათ თავში აზრს გამოემჟღავნებინათ თავისი სიყვარული, პირბადე აეხადათ იმისათვის და მოტყუების ნაცვლად პირდაპირ გაემხილათ სვიმონ ლიონიძისათვის. მე ბრალს არა ვსდებ ხიმშიაშვილს და ქეთევანს, რათ შეუყვარდათ ერთმანეთი!.. არა! სიყვარული დიადი გრძნობაა, ვიმეორებ, იმისათვის ზღუდე არა სუფევს, როცა გიყვარს ღიმილით შესცქერი მზეს, მთა-ბარს, ბუნებას, ადამიანთ, ყოველივე ძარღვი შენის არსებისა ჰიმნს უმღერის ბუნების სიდიადეს, სიცოცხლეს, სილამაზეს, მაგრამ ამ მძლავრ და წარმატებულ გრძნობას ერთი დიადი თვისება აქვს. იგი უნდაიყვეს პირბადე ახდილი, იგი ნათლად უნდა უყურებდეს ყველას, უნდა იყვეს თავისუფალი, განუყოფელი.

თუ ამ გრძნობას ართმევენ და თვითონვე ფეხ-ქვეშ ჰქელავენ ამ თვისებას, იგი სიყვარული არ არის, იგი უბრალო გარყვნილებაა. განა შეიძლება გიყვარდეს და საყვარელ არსებას უზიარებდე მეორეს? განა შეიძლება სიყვარულით ქურდულათ დატკბობა? არასოდეს! იქნება ბრალდებულნი ამას ვერ გრძნობენ? მოიგონეთ ბ-ნნო მსაჯულნო, ლევანისა და ქეთევანის სიტყვები, როცა ისინი სვიმონ ლიონიძის სახლში ამაზე ლაპარაკობდნენ: „რა ტანჯვაა, გიყვარდეს ერთი და მეორეს კი ეკუთვნოდე“, - ამბობს ქეთევანი. „რა სულმდაბლობაა ქურდულად მოტყუება მეგობრისა და იმის ცოლის საყვარლად გახდომა“, - ამბობს ხიმშიაშვილი. მაგრამ მაინც თვალთმაქცობდნენ, მაინც ატყუებდნენ ლიონიძეს. შემთხვევაც ჰქონდათ გამომტყდარიყვნენ, მაგრამ ვერ გაბედეს, სანამ ლიონიძემ თითონ არ გამოსტეხა ისინი. ხომ არ ეშინოდა ხიმშიაშვილს, რომ თავის გულახდილობით ავნებდა სამშობლოს განთავისუფლების საქმეს? თქვენ თვით გაიგონეთ, ბ-ნნო მსაჯულნო, ლევანის ჩვენება, რომ ეგ დარწმუნებული იყო სვიმონის სულის სიდიადეში, რომ სვიმონ პირადის საქმისათვის საერთო საქმეს არ უღალატებდა. ეს ასეც მოხდა. მაშ რათ არ გამოტყდნენ, რათ გაჰქელეს სიყვარულიც და მეგობრობაც? მე გიპასუხებთ: სულით ლაჩარნი იყვნენ ბრალდებულნი და იმიტომ. ყველა ამ გარემოების გამო მე ბრალს ვსდებ ლევან ხიმშიაშვილს და ქეთევან ლიონიძისას, მათ ვერ გამოიჩინეს იმდენი სულის სიმტკიცე, რომ ეღიარებინათ თავისი გრძნობა. ხიმშიაშვილმა დაჰგმო მეგობრობის კავშირი და ორივემ კი ფეხქვეშ გასთელეს სიყვარული.

ჩაუკვირდეთ ქეთევანის შემდეგ მოქმედებას. სიყვარულისა და არა სიყვარულის გადასარჩენად, ქეთევანმა მიჰმართა იმისთანა საზიზღარ საშუალებას, როგორიც არის შეთქმულთა გაცემა. როცა აღელვებული ლიონიძე სახლიდან მუქარით გავიდა, მოვკლავ შენს საყვარელსო, ქეთევანი უკან დაედევნა. იმას ეჭვი ჰქონდა, რომ ლიონიძე შეთქმულია და მართლაც შეთქმულთ კრებას თავს წაადგა. შემდეგ ქეთევანი მიდის შაჰ-აბასთან და ძალით იწვევს შაჰს სალაპარაკოთ თავისი სიტყვებით: „დარწმუნებულნი ხართ, რომ ხვალინდელი დღე გაგითენდებათ?“ ქეთევანმა ძალდაუტანებლივ გასცა შეთქმულება, ადგილი საცა შეთქმულნი უნდა შეკრებილიყვნენ და ნიშანი ბატონიშვილის დავითის შემოსვლისა. მართალია შეთქმულთ სახელები შაჰმა წამებით ათქმევინა, მაგრამ განა არ იცოდა ქეთევანმა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. უსუსური უნდა იყვეს ადამიანი, რომ არ იცოდეს, საჭიროა მტარვალს მის წინააღმდეგ შეთქმულება გაუმჟღავნო და დანარჩენს თვითონ გათქმევინებს, ვისაც გამოუცდია, მტარვალთა ხელში ყოფნა, ეს ძალიან კარგად იცის. იქნება ქეთევანი არა გრძნობდა თავის თავს, რას სჩადიოდა? მართალი არის, ბ-ნნო

დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის პირველი მინისტრი შალვა მესხიშვილი.

მსაჯულნო, ისკანდერ ბეგმა გვითხრა, რომ ქეთევანი აღელვებული იყოვო, მაგრამ ეს ადვილად ასახსნელია და აღელვება სიგიჟეს არა ნიშნავს. დახელოვნებული ჯაშუშიც კი გულგრილად ვერ გასცემს უდანაშაულო ადამიანთ. მოიგონეთ, ბ-ნნო მსაჯულნო, ქეთევანის სიტყვები: „ვიცი, რასაც ვჩავდივარ - საზიზღრობაა“, დააკვირდით შემდეგ ფრაზას: „ისარგებლეთ ჩემის სიგიჟით, ის თქვენ სიცოცხლეს მოგანიჭებსო“, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქეთევანი ანგარიშს აძლევდა თავის თავს, იცოდა რას სჩადიოდა, არ არის გიჟი ადამიანი, რომელიც თვითონ ლაპარაკობს თავის სიგიჟეზე და ესმის თავის საქციელის საზიზღრობა. მე მეტყვიან: ქეთევანს სამშობლო არა ჰქონია, მამულისადმი სიყვარული არ გამოუცდია და ამიტომ შეთქმულთა გაცემა დანაშაული არ არისო. ბ-ნო მსაჯულნო! განა შეთქმულთა მტარვალის ხელში მიცემა იმიტომ არის საზიზღრობა, რომ შენს სამშობლოსა სცემს? არასოდეს! სამშობლოს გაცემა ფსიქოლოგიურად უფრო ძნელი ჩასადენია, მაგრამ ყოველივე გაცემა, ვისიც უნდა იყოს, საზიზღრობაა; მით უმეტეს, რომ ქეთევანმა გასცა პირადად თავისთვის სრულიად უდანაშაულო პირნი, გასცა ერის განთავისუფლების საქმე.

განა ეს საქციელი შემაძრწუნებელი არ არის?! განა, იმის პატიება შეიძლება? არასოდეს! რა სულმდაბალი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავის საყვარლის გადასარჩენად დაღუპოს თუ გინდ უცხო ერის განთავისუფლების საქმე, ცეცხლის კოცონზე გაგზავნოს მამულიშვილნი, ეს საქციელი შეუნდობელია, რისთვისაც უნდა იყოს ჩადენილი. მერე რით ამართლებს თავის საქციელს ქეთევანი? „მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლო სიყვარულია-ო“, რას ნიშნავს ეს? იქნება ქალი რაღაცა განკერძოებული ქმნილებაა, იმას ადამიანური არაფერი აქვს? შეიძლება ქალის არსს შეადგენს მხოლოდ სიყვარული? მოიგონეთ, ბ-ნო მსაჯულნო, ქეთევან, მაგრამ ეს კი არა, ქეთევან წამებული, მოიგონეთ უფრო ახლო ხანს საერთო საქმისთვის მებრძოლნი ქალნი, რომელთაც მთელი ძალ-ღონე და თვით სიცოცხლე შესწირეს თავის მიზნის განხორციელებას და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ქალი იგივე ადამიანია. იმას აქვს ყოველივე ადამიანური გრძნობა, ადამიანურ გრძნობას კი, მარტო ქალსა და კაცს შორის სიყვარული კი არ შეადგენს. მე აქამდინ ვერ დავამცირებ ქალს და სწორედ ამიტომ პასუხსა ვთხოვ ქეთევან ლიონიძისას მის საზიზღარ საქციელში. რა შედეგი მოჰყვა შეთქმულთა გაცემას? დამონაებული ერი უკანასკნელ ღონეს იკრეფავდა მტარვალთ დასაცემად. ყველაფერი ხელს უწყობდა და მზად იყო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აზვირთებულ ხალხს ხმლის ტრიალზე დაეგუგუნებინა: „სიკვდილი მტარვალთ, გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოსო“, უარესი ტანჯვა, უარესი გათელვა ერისა, წამება საუკეთესო მამულიშვილებისა.

ბ-ნნო ნაფიცნო მსაჯულნო! თქვენ, როგორც საზოგადოების სინდისის გამომხატველნი, ვალდებულნი ხართ ჩაუკვირდეთ საქმეს, ამისთანა საზიზღრობას თქვენ ვერ აპატიებთ და მე იმედი მაქვს, რომ თქვენი განაჩენით დაუბრუნებთ სიყვარულს გულახდილობას, დაგმობთ მეგობრის მოღალატეს და საშვილიშვილოდ სამარცხვინო ბოძზე გააკრავთ ყველას, ვინც პირადის ვნებათაღელვისათვის საზოგადო საქმეს გასცემს“.

ვექილის - იოსებ მაჭავარიანის სიტყვა

ბ-ნნო მსაჯულნო და ნაფიცნო მოსამართლენო! დამცველის მოვალეობა საზოგადოთ და განსაკუთრებით კი ასეთს საქმეში მეტის-მეტად მძიმეა. ბრალდება ადამიანის ადვილია, ხოლო მართლება კი - ძნელი. ადამიანის პიროვნების გათელვა, იმის ტალახში ჩაგდება და გასვრა ადვილია, მაგრამ ტალახიდან ადამიანის ამოყვანა, იმის გაწმენდა და ფეხზე დაყენება კი მეტად ძნელი საქმეა, თუმც ეს საქმე უფრო ადამიანური, უფრო პატიოსანია. ნაკლს ადვილად შეამჩნევთ ადამიანს, მაგრამ უნდა აორკეცოთ ყურადღება, უნდა აორკეცოთ მხედველობა, რათა დაინახოთ ის ღვთიური ნაპერწკალი, მუდამ რომ ღვივა ადამიანის სულში, მუდამ რომ გამოჰკრთის, სანამ გული ცემას არ შესწყვეტს. ჩვენ უნდა ავხადოთ ამ საქმეში ჯვარსაბმელი და დაგანახოთ მთელი განუსაზღვრელი სიდიადე ქეთევანის სიყვარულისა. ჩვენ უნდა გადაგიშალოთ თავგანწირული ქართველი გმირის გული და დაგანახოთ სიყვარულის ცრემლი ზედ შხამად დაწვეთებული. აი, სიძნელე ჩვენის მოვალეობისა? ამას უნდა დავსძინოთ ის, რომ აგერ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველი ფემიდა, არამც თუ დაბრმავებული, დამუნჯებულია!.. ახლა იდგამს ენას... და ვით ახლად ენა ადგმულ ბავშვს ბევრი რამ ეპატივების, აგრე, თუ რამ სისუსტე შეგვნიშნოთ, ჩვენც გვაპატივებთ და დაგვეხმარებით, რათა საერთო ძალ-ღონით მოვნახოთ ამ საქმეში ის სიმართლე, რომელზედაც აგებულ უნდა იქნეს მართლმსაჯულების წმინდა ტაძარი. მაშ, ვნახოთ, რა ბრალსა სდებენ ქეთევანსა და ლ. ხიმშიაშვილს?

ბრალმდებელი ამბობს: ქეთევანმა უღალატა ქმარს, ხიმშიაშვილმა - მეგობარს იმ დროს, როდესაც სამშობლო განიცდიდა უსაშინელეს პოლიტიკურ კრიზისსაო; ქეთევანმა გასცა ქართველთა შეთქმულება და დაღუპა საზოგადო საერთო საქმეო. საზოგადო საქმე? მაგრამ ვისთვის იყო საერთო ეს საქმე? მხოლოდ ქართველთათვის. და განა ქეთევანი ქართველია? არა, ის არის სპარსელი ქალი, ირანში დაბადებული, სპარსულ აკვანში აღზრდილი... დედის ტკბილ ძუძუს მოჰგლიჯეს პატარა ქეთევანი და ტყვედ წამოიყვანეს. მართალია, ლიონიძემ გამოიყიდა, ტყვეობიდან იხსნა, მაგრამ განა გაანთავისუფლა, განა მის სამშობლოს დაუბრუნა ქეთევანი? არა, მან შეურაცხჰყო ბავშვის წმიდათა-წმიდა, უგმო ღმერთი, გამოაცვლევინა სარწმუნოება და დასტოვა თავის სასახლეში. არა მგონია, რომ მაშინ ლიონიძეს აღძვროდეს სურვილი იმის ცოლად შერთვისა. დასტოვა ისე, ვით გამოყიდული მონა, - მოახლე. დრომ გაიარა, ქეთევანი მოიზარდა. მისმა სილამაზემ, მისმა მშვენიერებამ მოხიბლა ლიონიძე. ლიონიძემ ინება დაქორწინება, მაგრამ ვერ შეირთო ქეთევანი. იგი შეიქნა კანონიერი ქმარი, და არა განუყრელად შეერთებული მეუღლე მისი. სვიმონის გულზე სიყვარულისაგან დანაკვესი ნაპერწკალი ვერ წვდებოდა ქეთევანის გულს და თუ ხანდისხან მისწვდებოდა ხოლ-

შალვა მესხიშვილი.

მე, - ვერ ანთებდა ღვთიურ ცეცხლს სიყვარულის საკურთხეველზე. სვიმონის სიტყვა ქეთევანის სმენას არ ატკბობდა, ხორცი ახლო იყო, სული შორს გარბოდა. ლიონიძე ეალერსებოდა, უგალობდა თავის სამშობლოს სიყვარულს და განთავისუფლების ჰიმნს, მაგრამ ქეთევანს ამ დროს სპარსელი დედის ნანინა ტკბილ ჰანგებათ ეწვეთებოდა სულის სიღრმეში, ვით ნელი წვიმა მკვდარ უდაბნოში... სვიმონს ასულდგმულებდა, იმედებს უცისკროვნებდა მამულისადმი სიყვარული. ქეთევანი - კი მოკლებული იყო ამ ბედნიერებას; მან არ იცოდა, თუ რა არის ერის ლხენა, რა არის ჭირ-ვარამი. მას არა ჰქონდა სამშობლო! და კიდევაც ჰკვნესავდა მისი გული: „ჩემი სამშობლო სიყვარულიაო“. ლიონიძემ კი ვერ შესძლო შეექმნა ქეთევანისათვის მეორე სამშობლო. ქეთევანს არასდროს არა ჰყვარებია ლიონიძე. ლიონიძეს კი ეგონა, რომ კანონიერი ქორწინება თავისთავად წარმოშობს სიყვარულსაო. მაგრამ ეს ისეთივე ტლანქი უვიცობაა, ისეთივე სისულელეა, როგორც მტკიცება იმ აზრის, რომ, თუ მშვენიერ მინდორში შაქარი დასთესე, უსათუოდ შაქარ-ყინული უნდა ამოვიდესო. ლიონიძემ ვერ შესძლო აღგზნება სიყვარულის ცეცხლისა ქეთევანის გულში

- „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“-ო – ამბობს უკვდავი რუსთაველი. ყოვლად შემკული, დიდებული მამულიშვილი არის სვ. ლიონიძე, მაგრამ არც „სიყმე“ შესწევდა, არც „მოცალეობა“ ჰქონდა... და ამიტომაც ვერ შესძლო ქეთევანის გამიჯნურება. სამწუხაროთ, ათის წლის განმავლობაში ვერ მიხვდა ამას სვ. ლიონიძე.

აი, ამ მდგომარეობაში იყო ქეთევანი, როდესაც მის ობლობისაგან დამწუხრებულ გულს მოხვდა პირველი ისარი სიყვარულის ღმერთისა, პირველი სხივი ბედნიერების მზისა. ქეთევანმა ნახა ღირსეული მიჯნური და შეიყვარა ხიმშიაშვილი მთელი თავის ბუნების ძლიერებით. ვის შეუძლია სთქვას: „რათ ანათებს მზეო“, ვის შეუძლია უკიჟინოს ქეთევანს: „რათ შეიყვარე ხიმშიაშვილიო?“ მზე ანათებს მისთვის, რომ არ შეუძლია არ ანათოს. ქეთევანმა შეიყვარა ხიმშიაშვილი მისთვის, რომ არ შეეძლო არ შეჰყვარებოდა. ასეთი სიყვარული ისეთივე აუცილებელია, როგორც სიკვდილი, ისეთივე კანონიერია და ისეთივე მძლავრი, ვით დედამიწის ბრუნვა, და თუ ვინმე გიჟმა მოინდომა ასეთი ძალის შეჩერება, ისე გაცამტვერდება, როგორც ცეცხლმოდებული თოფის წამალი! აი, სწორეთ ასეთი სიგიჟე ჩაიდინა ლიონიძემ, როდესაც მოიწადინა ქეთევანის გულიდან აღმოფხვრა იმ სიყვარულისა, როდესაც უთხრა ქეთევანს: მე შენს საყვარელს მოვკლავო. როგორ? ლიონიძემ უნდა მოკლას ხიმშიაშვილი? ის მიჯნური, რომელშიაც მოთავსებულია სამშობლო, სარწმუნოება, ბედნიერება, თვით უკვდავება ქეთევანისა?! ოჰ!.. ამ საშინელების წინაშე გაქვავდა გონება... და ამხედრდა მხოლოდ გამძვინებული ინსტიქტი ცხოველის თავის დაცვისა! თქვენ კარგად მოგეხსენებათ ქეთევანმა შემთხვევით გაიგო საიდუმლო შეთქმულებისა და, თითქმის ჭკუაზე შემცდარი, შეშლილი გაექანა შაჰ-აბასთან, რათა გადაერჩინა თავის სიცოცხლე, თავის ლევანი. მან ყოველი უამბო შაჰ-აბასს, მაგრამ, როდესაც თავისი ქმარი უნდა დაესახელებინა, უეცრად გამოირკვა, თითქოს რაღაც ძარღვი გაწყდა, კეთილშობილმა გონებამ გამოიღვიძა, ქეთევანმა უარჰყო თავის განზრახვა, დააპირა გაქცევა, - მაგრამ შაჰ-აბაზის მტარვალობამ მალე ისევ დააჩლუნგა, დაადუნა მის გონება... „აწამეთ“, - ბრძანა შეჰმა... ქეთევანმა ვერ აიტანა წამება და გასცა თავის ქმარიც და მისი მომხრეებიც. აქედან ნათლად ჰხედავთ, ბ-ნო მსაჯულნო, რომ ქეთევანმა თუ რამ დანაშაული ჩაიდინა, ჩაიდინა ან მაშინ, როდესაც თავის ჭკუაზე არ იყო, ან მაშინ, როდესაც წამების მუხრუჭს უჭერდნენ. ვერც პირველ შემთხვევაში, ვერც მეორეში, თქვენ იმას ვერ დასჯით, დანაშაული დანაშაულად რჩება, მაგრამ ამ დანაშაულისათვის არც ერთი კულტურული ერის კანონი ადამიანს არა სჯის. არ სჯის იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში შეშლილის დასჯა არ შეიძლება, მას ექიმობა სჭირია, მეორე შემთხვევაში კი არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს ნორმალურ ადამიანს: უსათუოდ გმირობა უნდა გამოიჩინო, უსათუოდ გმირი უნდა გახდეო. წამების ატანა, თავის სიცოცხლის შეწირვა გმირობა არის, მაგრამ ასეთი გმირობის უქონლობა დანაშაული არ არის, და, თუ დანაშაული არ არის, არც ქეთევანია დამნაშავე. რაც შეეხება ქმრის ღალატს, ვის შეუძლია ქეთევანის დასჯა, მაშინ, როდესაც თვით სვ. ლიონიძემ შეუნდო მას?! ლიონიძე თვითონ კარგად იცნობდა ქეთევანის სიყვარულს და ვინც მისსავით იცის თუ რა სასწაულთ-მოქმედია სიყვარულის ყოვლად შემძლებელი ძალა, ვინც მისსავით იცნობს სიყვარულს, ამ სიკვდილ-სიცოცხლის გამჩენელ ღმერთს, ის ყოველთვის შეუნდობს და გაამართლებს ქეთევანს.

ახლა ვნახოთ, რა ბრალს სდებენ ხიმშიაშვილს? ბ. ბრალმდებელი ამბობს: ხიმშიაშვილმა ვერ გამოიჩინა იმდენი სულის სიმტკიცე, რომ გულახდილად ეღიარებინა ლიონიძის წინაშე: შენი ცოლი უნდა შევიყვარო; ამის მაგივრად მეგობრის გაუგებლად მან შეიყვარა, საყვარლად გაიხადა იმის ცოლი. მერე ყოველი ეს, დასძენს ბრალდებული, ჩაიდინა მაშინ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყოო. ასეთი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა, ბრალმდებელი მსჯელობს, ისე, თითქოს სიყვარულის შოვნა, რეცეპტით გამოწერა შეიძლებოდეს. იმის სიტყვით, ხიმშიაშვილი სანამ შეიყვარებდა ქეთევანს - უნდა შეჰკითხოდათ თავის გონებას, უნდა გაეთვალისწინებინა, მისცემს თუ არა ქეთევანის შეყვარების ნებას მას ან სამშობლოს ინტერესი, ან მეგობრის კავშირი, და თუ მისცემს, რამდენი გრამი სიყვარულისა უნდა მიეღო, რომ მერე ეთქვა თავის მეგობრისათვის: ახლა კი შევიყვარე შენი ცოლიო. ერთი სიტყვით, ბრალმდებელს უნდა, რომ სიყვარული ემორჩილებოდეს ლოღიკას, მაგრამ ყველამ უწყით, რომ სიყვარული მოქმედებს ლოღიკის კანონების ფარგალს გარეშე. და თუ ლოღიკამ სიყვარული დაიმორჩილა, მაშინ თვით სიყვარული თავის სტიქიონური ელემენტებით ჰქრება, და იბადებიან სულ სხვა გრძნობანი, ბრალმდებელმაც მშვენივრად იცის ეს, მე დარწმუნებული ვარ ამაში, მაგრამ ის ამ კითხვას გვერდს უვლის. მის მსჯელობას სულ სხვანაირი სარჩული აქვს. ის სარჩული ბრალმდებლის გონების პატიოსანი პროტესტია. ის ამბობს: ეს არ უნდა იყოს ასე? ლოღიკა სიყვარულს არ უნდა მორჩილდებოდეს, სიყვარული თავის სტიქიონურ ბრძოლის დროს არ უნდა ანადგურებდეს, არ უნდა სთელავდეს სხვა ადამიანის კეთილშობილ გრძნობებს, რადგანაც ეს შეურაცხჰყოფს ადამიანის მეფურ ბუნებას. თანახმა ვარ, მაგრამ რას იზამ, რომ ბუნების კანონია. უთუოთ გალილეის ბრალმდებელიც არწმუნებდა მსაჯულებს, რომ დედამიწა არ უნდა ბრუნავდეს, ეს შეურაცხჰყოფაა ადამიანის სარწმუნოებისა, იმის გონების თავმოყვარეობისო და სხვა... ვინ იცის? შეიძლება მართლა უკეთესი იქნებოდა, რომ დედამიწა არ ტრიალებდეს: კუდიან ვარსკვლავს მაინც არ წააწყდებოდა სადმე. მაგრამ რას იზამთ, რომ „მაინც ბრუნავს და მაინც ბრუნავს“, უნდა დაემორჩილოს ბრალმდებელიც ამ ბრუნვის კანონს. მე ვამტკიცებ: ვერც ხიმშიაშვილმა, ვერც ქეთევანმა ვერ შენიშნეს ის მომენტი, ის წამი, როდესაც სიყვარულმა შეაერთა მათი გულთა ცემა და დააყუჩა ყოველი სხვა გრძნობა, ყოველი მოსაზრება, ისინი მიეცნენ სიყვარულის ტკბილ ძილს და როცა რამდენიმე წუთით გამოიღვიძებდნენ ხოლმე, ქეთევანი ეხვეწებოდა ლევანს: მომიტაცე, წამიყვანე სადმე, აღარ შემიძლია ასეთი მდგომარეობის ატანაო. ხიმშიაშვილის სწუხდა, უნდოდა, ასეთი მდგომარეობის მოსპობა, მაგრამ სიყვარულის ტკბილი ძილი ისევ მალე უხუჭავდა გონების თვალებს. და სანამ ამ სიყვარულის ბურანიდან გამოერკვეოდნენ, უბედურებაც თავზე დაატყდათ. განა წარმოედგინა ლიონიძეს ან ფიქრობდა ქეთევანი, რომ მათი სიყვარული შეიქნებოდა მიზეზი ქართველთა შეთქმულების გამჟღავნებისა? აბა, ვინ მოიფიქრებდა! ეს ისეთივე მოულოდნელი მოვლენა იყო, როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ მზიან ამინდში. მაშ თუ ყოველი ეს ჩაისახა და დაიბადა ქეთევანის და ლევანის ნების და სურვილის გარეშე, რა დანაშაულზე შეიძლება ლაპარაკი? დამნაშავე ან არსად სჩანს! და თქვენ ქეთევანიცა და ხიმშიაშვილიც უნდა გაამართლოთ, მაგრამ ეს არ კმარა.

მე ვერ შევთვისებივარ იმ მოვლენას, რომ ქართველებმა ხიმშიაშვილი დამნაშავის სკამზე დასვეს. ქეთევანმა წამება ვერ აიტანა, თუ თავის სიცოცხლე ქმარს და საზოგადოებას ვერ შესწირა, თუმც დამნაშავე არ არის, მაგრამ თუ მაინც გმირობა ვერ გამოიჩინა, ხიმშიაშვილი ხომ გმირია! ისეთი, რომ მისი სულის სიმხურვალე და ძლიერება ათბობს და ასულდგმულებს ერს... მაგრამ ქართველებს ერთი წყეული ჩვეულება გვაქვს, თუ შევნიშნეთ არამც თუ გმირი, არამედ უბრალო კეთილი მამულიშვილიც კი, უსათუოდ ტალახი უნდა ვესროლოთ, და არ მოვისვენებთ მანამდის, სანამ ან ტყვიით არ გავუგმირავთ შუბლს, ან დამნაშავის სკამზე არ დავსვამთ. ეს ახირებული ჩვეულება რომ არა, რა უნდა ხიმშიაშვილს დამნაშავის სკამზე? ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ხიმშიაშვილმა თუ დაინახა, რომ სამშობლოსთვის ეს საჭირო არისო, თვით ქეთევანს დასცემს დანას გულში, თავის სიცოცხლეს შეწირავს მამულს იმ წუთშივე, რა წუთშიც სამშობლო ამას მოსთხოვს! ეს დამნაშავე კი არა, ეს მამულიშვილის იდეალია. გაუმარჯოს ასეთ ქართველ მამულიშვილებს! გასამართლება კი არა, ქუდი მოიხადეთ და თაყვანი ეცით ლევან ხიმშიაშვილს.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ

დღეს არსებულ ევრო-ამერიკულ დაპირისპირებას, მხარეებს შორის არსებული პოლიტიკური მიზნების სხვადასხვაობის გარდა, ოპონენტთა ღირებულებითი შეუთავსებლობაც ასაზრდოებს – შეუთავსებლობა, რომელიც დღეს არ წარმოშობილა და რომლის გამოაშკარავებაც მხოლოდ თუ გაზრდის მოქიშპე ფასეულობათა სისტემებიდან საუკეთესოს წარმოჩენას. საინტერესოა, რას ფიქრობდა ამაზე ჩვენი ბრძენი და შორსმჭვრეტელი წინაპარი.

რედაქციისგან

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

ერთაშორისო დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარს ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო. მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12 1/2-ს.

ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27.000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4 1/2 ფრანკს.

როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი კი თანდათან ვალებში სცვივიან.



ილია ჭავჭავაძე.

დავით ბაქრაძისეული ფოტო

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადასწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგეობითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.

ტფილისი, 25 თებერვალი 1889 წ

მიუღწეველი სიმაღლისაკენ



სანდრო ფირცხალავა

გურამ დოჩანაშვილი

ქახა ჯამბურია

2002 წელს ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გურამ დოჩანაშვილის ორი წიგნის გამოცემა: "დაეძებდა" და "ძმისავ". სულ მალე კი მკითხველი მიიღებს ახალ რომანს "ლოდი, ნასაყდრალი", რომლის ნაწყვეტებიც გამოქვეყნებული იყო ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალში "XX საუკუნე".

ეს ორი მოთხრობა თავად მწერლის შემოქმედებაშიც კი გამოირჩევა იმით, რაც ესოდენ აღიზიანებს მკითხველი საზოგადოების ერთ ნაწილს, ანუ თავისი ორიგინალური და არასტანდარტული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიებით. მწერლის დამოკიდებულება ქართულ ენასთან და მისი გაბედული ენობრივი ექსპერიმენტები ზოგს მკრეხელობად ან ქართული ენის უცოდინარობადაც კი მიაჩნია. თუმც ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ხშირად ენას, გრამატიკას (ანუ ენის ფორმალისტურ სტრუქტურას) უთანაბრებენ. მწერალთა გაბედული ექსპერიმენტები და სიტყვათქმნადობა, ალბათ, ყოველ ეპოქაში ასეთ რეაქციას იწვევდა. სრულიად ორიგინალური და ახალი (გნებავთ, მოდერნისტული თუ ავანგარდისტული) იყო თავის დროზე: "მოცაკვდა, გასისხლმდინარდა", "ცამცა გაიდარბაზესა", "გახმამყივარდა" და სიტყვათქმნადობის სხვა შედევრები "ვეფხისტყაოსანში".

მაგრამ, ცხადია, სიტყვათქმნადობა თვითმიზანი არ არის და იგი აშკარად გარკვეული მხატვრული მიზნის მისაღწევად, მხატვრული სიმართლის გამოსახატად არის საჭირო. რა არის ისეთი ჩვენს რეალობაში, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ენობრივ-გამომსახველობითი ფორმებით აღარ გამოითქმება და გამოხატვის რაღაც ახლებური საშუალებები სჭირდება? რატომ შემოდის თანამედროვე საალიტერატურო მეტყველებაში ჟარგონი, ბარბარიზმი და ნეოლოგიზმი ესოდენ უხვად? (მხოლოდ აკა მორჩილაძის პროზის გახსენებაც საკმარისი იქნება ამ აზრის ნათელსაყოფად).

ალბათ, ასეთია თავად თანამედროვე ადამიანის ცნობიერება და ის რეალობა, რომელშიც იმყოფება დღეს ქართველი ხელოვანი: მის სათქმელს აშკარად ვეღარ გამოხატავს შუა საუკუნეების ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ობიექტივიზებული ხედვა და კლასიკური ენობრივი ფორმები. ყოველივე ეს ჰეროიკულ წარსულში დარჩა და თუ XX ს-ის პირველ ნახევარში კ. გამსახურდიასთვის არქაიზებული ლექსიკა აუცილებელი იყო ისტორიული წარსულის გამოსახატად, დღეს იმავე მხატვრული საშუალებების გამოყენება პაროდირების ასოციაციას შექმნის მხოლოდ და მხოლოდ. რამდენადაც არ უნდა გვხიბლავდეს, დღეს უკვე შეუძლებელია იმ ენობრივი კონსტრუქციებით მხატვრული ტექსტის აგება, რითიც თავის დროზე მოსწონდა თავი ესთეტსა და ქართველ ხელოვანთა მეტრს გრიგოლ რობაქიძეს.

სულიერი კრიზისით მოცულ თანამედროვე სამყაროში სულს ღაფავს გარდასულ ეპოქათა ესთეტიკა და მშვენიერი ფორმები აბსურდული, ზნეობრიობისგან დაცლილი ყოფის ამსახველი "მოუწესრიგებელი", "დაულაგებელი" ტექსტებით იცვლება - ისეთი ტექსტებით, რომლებიც თანამედროვე ყოფის მსგავსად დანგრეული და "აბურდულია".

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ყოვლად უცნაური და არაორდინარული ტექსტი - "დაეძებდა (ერთგვარი მოთხრობა) ((ალაგ დეტექტივიც))"? სათაურშივე ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება საკუთარი მხატვრული ტექსტის მიმართ, რაც გამოხატულია პირველი ფრჩხილებით - (ერთგვარი მოთხრობა) და იქვე უტრირებულია მეორე, ორმაგი ფრჩხილით - ((ალაგ დეტექტივიც)). ასე რომ,

გაგრძელება E2 გვერდზე

მალხაზ ხარბედია	3	გაიუს ვალერიუს		დავით		ირმა მალაციძე	13
ვახუშტი		კატულუსი	6	ქართველიშვილი	10	მილორად პავიჩი	15
კოტეტიშვილი	5	თამარ ფხაკაძე	8	რამაზ ჭილაია	11		

მიუღწეველი სიმაღლისაკენ

E1 გვერდიდან

ბესო გელაშვილი. დეტალი

მკითხველი თავიდანვე, სანამ ნაწარმოებს გადაშლის, უნდა მიხვდეს, რომ მას სთავაზობენ თამაშს - თამაშს, სადაც ყველაფრის პაროდირება ხდება: პაროდირებულია მოსმენისა და გაგების უნარი, აზროვნებისა და მეტყველების ფორმები, ყველანაირი კომუნიკაციური საშუალება (თვით ავტორის ტექსტის ჩათვლით) და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, თვით ავტორის პიროვნება, რომელიც აღარ არის შეუვალი, მონოლითური და ყოვლისმცოდნე შემოქმედი საკუთარი ფანტაზიით შექმნილ მხატვრულ სინამდვილეში. მეტიც, ავტორი არ არის ერთი! იგი ჩანს მხატვრულ რეალობაში, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი და მერე ირკვევა რომ ავტორია(!?); შემდეგ მის პაროდირებას იწყებს უკვე "ახალი" ავტორი და ბოლოს მესამე, "შუაგულა და განმქიშპებელი" ავტორი.

ამრიგად, მკითხველი ექცევა ფანტასტიკურ სათამაშო არეალში, რომელსაც მხატვრული ტექსტი ქმნის, თუმც კლასიკურ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი მკითხველისთვის ალბათ ეს არც მხატვრული ტექსტია, არც მოთხრობა და არც დეტექტივი - სადაც რაღაც დაფარულია, რაღაცას (ან ვიღაცას ეძებენ) და, რაც მთავარია, აუცილებლად რაღაც უნდა გაირკვეს - დაძაბული სიუჟეტი უნდა გაიხსნას, საიდუმლოს ფარდა უნდა აეხადოს.

გურამ დოჩანაშვილის ტექსტში კი არაფერი არ ირკვევა, არაფერი არ აღმოჩნდება და არც არაფერი "გაიხსნება" გარდა იმისა, რომ მკითხველმა უფრო მეტი და მეტი პირობითობა უნდა მიიღოს, გაიაზროს. უფრო ზუსტი იქნება, ალბათ, თუ ვიტყვით: სულ უფრო და უფრო მეტი ხალისით უნდა ითამაშოს ავტორთან ერთად, რადგან სამყარო, რომელშიც მწერლის წყალობით ხვდება მკითხველი, სათამაშო არენაა მხოლოდ და მხოლოდ.

რატომ გვთავაზობს ამგვარ და ამდენ პირობითობას ავტორი? იმიტომ, რომ ჩვენი თანადროულობა ძალიან წააგავს აბსურდულ თამაშს? თუ იმიტომ, რომ ცხოვრება თავადაა "თამაში რიოში მარგალიტებით"? (აქ არავითარი ლიტერატურული პარალელი ჰერმან ჰესესთან არ იგულისხმება - ძალიან შორს ვართ გერმანული რაციონალიზმისგან. თუ პარალელებსა და ასოციაციებზე მიდგება საქმე, ჯერ ჯოისი და ვონეგუტი უნდა ვახსენოთ, ან ლიტერატურული პირობითობების მოყვარული გივი მარგველაშვილი).

გურამ დოჩანაშვილის მხატვრულ სამყაროში ენის ფორმალიზებული სტრუქტურა აღარ არსებობს, დარღვეულია ყველა ნორმა და ყველა კანონი. იქნებ იმიტომ, რომ ყოვლად აბსურდული და ალოგიკური ყოფა სწორედ ამგვარივე ენობრივი საშუალებებით შეიძლება გამოიხატოს? იქნებ, თავად მოცემული რეალობა მოითხოვს გამოსახვის ასეთ საშუალებებს? კლასიკური ფორმებით ხანდახან შეუძლებელი ხდება თანამედროვე მწერლისთვის საკუთარი სათქმელის ჩამოყალიბება და რაღაც ახალი, მანამდე გამოუცდელი მხატვრული ხერხების მიკვლევა ხდება საჭირო.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები, ფორმის თვალსაზრისით ესოდენ ავანგარდისტულად რომ გამოიყურება, ამავე დროს ჩვენი სულიერი კულტურის უძველესი ტრადიციების გაგრძელებაა და თავისი არსით, თავისი სათქმელით ძალზე ახლოს დგას დავით გურამიშვილის ნააზრევთან. ამიტომაც, ცხადია, შემთხვევითი არ არის დიდი ქართველი პოეტის ხშირი დამოწმება გ. დოჩანაშვილის ახალ რომანში "ლოდი, ნასაყდრალი", რომელიც მთელი მისი შემოქმედების თავისებურ შეჯამებადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. დავით გურამიშვილი თუ ჯვარცმის იგავითა და ღვთისმშობლის ტირილით ("მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი") მიუთითებს ქართველ მკითხველს - სად არის ხსნა სულიერი კრიზისიდან, იმავე მიზნის მისაღწევად თავის ახალ წიგნში გურამ დოჩანაშვილი იესო ნაზარეველისა და მარიამ მაგდალინელის სცენას იყენებს. ორივე მწერლის მიზანი ერთია: აუხსნას მკითხველს, რომ სულიერი კრიზისი ურწმუნოების შედეგია, ჩვენი ხსნა კი მარადიული სულიერი ღირებულებებისკენ და საკრალური ტექსტისკენ, ანუ რწმენისკენ მიბრუნებაშია.

რწმენა არ არის ოდენ რიტუალი ("ბაგით პატივ სცეს, უჩვენნეს გული მტყუვანი ზაკვისა"), იგი ცხოვრების წესია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს სიყვარულით ცხოვრებას, მოყვასის ტკივილის გაზიარებისა და დახმარების უნარს. საკუთარ სულიერ შეჭირვებას რომ მოერიო, უნდა დაეხმარო სხვას - იმას, ვისაც შენზე არანაკლებ უჭირს.

შეუძლებელია, აუღელვებლად წაიკითხო გურამ დოჩანაშვილის "ძმისავ", რომელიც ადამიანის სულიერ ტკივილს, ძმისა თუ შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ მოუშუშებელ იარას გვიჩვენებს და სხვისი ჭირის გაზიარების, თანადგომისა და თანაგანცდის საოცარ ამბავს მოგვითხრობს. რა ძნელია, გაიღიმო მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გიჭირს და საერთოდ არ გეღიმება! მაგრამ თუ ეს სხვას უშველის - მას, ვისაც შენზე არანაკლებ უჭირს, ეს უკვე ზნეობრივი გმირობის ტოლფასია. მაგრამ რა იშვიათია ასეთი ადამიანური მხარდაჭერა და სხვისი ტკივილის გაზიარება ჩვენს უსულგულო რეალობაში, სადაც ყველა თავის ნაჭუჭში ჩაკეტილა და ყოფით, წვრილმან საზრუნავში ჩაფლულს თავისი უმთავრესი ფუნქცია - სიკეთე - და უმთავრესი უნარი - სიყვარული - დავიწყებია.

უბედურია მცირედმორწმუნე, რომელიც ამპარტავნების საფუძველს ხედავს იმაში, რომ ეკლესიაში დადის და გარდაცვლილი ძმისთვის ლოცულობს. იგი ზემოდან უყურებს ასევე ძმაგარდაცვლილ ღარიბ, სიმპათიურ ქალს, რომელიც ცდილობს დაუახლოვდეს, რათა მიეხმაროს მასავით გულდაკოდილ ადამიანს და რწმენის მადლით გაამხნევოს. ლარისა კი რას არ ფიქრობს, ბრაზდება უცნობზე, ცდილობს, თავიდან მოიცილოს. მაგრამ თავად გულდათუთქული და დაჩაგრული ერთადერთი ძმის სიკვდილით, ღარიბულ შავ ტანსაცმელში ჩაცმული ქალი მაინც ახარხებს ამპარტავანი "ლარისა-დოლარისას" გამხნევებას - არ ეშვება, არ ასვენებს და უყვება ამბავს შვილგარდაცვლილ ქალზე, იქით რომ ანუგეშებს ყველას და იაპონელ სტიუარდესაზე, სიკვდილს რომ უყურებდა თვალებში და მაინც ყველას ამხნევებდა, ეფერებოდა, უღიმოდა... მაგრამ რის ფასად?

რა ძალა და სულიერი სიმტკიცე სჭირდება ასეთ თანადგომას?..

გურამ დოჩანაშვილის პროზაში იუმორი და ტრაგიზმი თანაარსებობს და მუდამ ერთმანეთს ეჯაჭვება. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი დანგრეული და დაშლილია: პერსონაჟთა მეტყველებაცა და ავტორის ტექსტიც, დანგრეულია ლოგიკური კონსტრუქციებიცა და სიტყვათა მყარი შეხამებებიც, ხშირად აბსურდული და ერთი შეხედვით გაუგებარია პერსონაჟთა ფრაზეოლოგია, რადგან ასეთია თავად ის სამყარო, რომელიც ჩვენი დროის ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება; ასეთია თავად სულიერად აფორიაქებული და გატანჯული კაცის ფსიქიკა.

მაგრამ გამოსავალი დიახაც არსებობს და სულიერი ხსნა, სულიერი შვება ისევ ის არის, რაც იყო ყოველთვის: რწმენა, რომელიც ადამიანს ყოველივეს მოთმენის ძალასაც ანიჭებს და დაუშრეტელი სიყვარულის უნარსაც. ამიტომაც არის ესოდენ ბუნებრივი გ. დოჩანაშვილის ახალ წიგნში ("ლოდი, ნასაყდრალი") ფსალმუნთა ტექსტების გამოყენება. ეს სწორედ ის საშუალებაა, რითიც უახლოვდება ავტორი თავის მთავარ სათქმელს - ჩვენ მხოლოდ სულიერება გადაგვარჩენს და ამიტომაც უნდა მივუბრუნდეთ მთავარ ტექსტს, წიგნთა წიგნს - ბიბლიას. მაგრამ ეს აზრი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არ არის გაცხადებული. ავტორი თითქოს თვლის, რომ მკითხველი მასთან ერთად უნდა იტანჯოს, მასთან ერთად უნდა გაიაროს ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი უბედურება, რომ მიაგნოს ერთადერთ, ურყევ და უცვლელ ჭეშმარიტებას.

ძალიან ძნელია, განსაზღვრო ამ წიგნის ჟანრი: ერთი შეხედვით, ის თითქოს რომანია, მაგრამ არატრადიციული რომანი, რადგან სრულიად სხვადასხვა ჟანრის (ესეების, ჩანაწერების, პატარა ნოველების, მოგონებებისა და სხვ.) თხზულებათა თავისებურ კრებულს წარმოადგენს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმის რკვევას, თუ რომელ ჟანრს მიაკუთვნებენ მკვლევარები ამ უაღრესად საინტერესო წიგნს, რომლის ძირითადი ნაწილი დაახლოებით ექვსას გვერდს მოიცავს, ოთხასამდე გვერდი კი ამ წიგნის ფინალია (ამ რომანს შვიდი ფინალი აქვს). მოკლედ, ქართველ მკითხველს უჩვეულო და სრულიად განსხვავებული, მხატვრული სიურპრიზებითა და მოულოდნელობებით სავსე მოგზაურობა ელის... მოგზაურობა XX საუკუნის 90-იანი წლების საშინელ სამყაროში, უფრო სწორად კი ადამიანის (წიგნში მას ულირსი ეწოდება) ცნობიერებაში, რომელშიც თავისებურად არეკლილია იმ მძიმე დღეების სასტიკი რეალობა: სამოქალაქო ომის აბსურდი, სიცივე და შიმშილი, პოლიტიკური აბდაუბდით გათანგული ადამიანის ტრაგიკული ყოფა...

შეიძლება გურამ დოჩანაშვილის ეს ახალი წიგნი ასეც დავახასიათოთ: ეს არის ერთი პიროვნების (უღირსის) შინაგანი მონოლოგი, ანუ ცნობიერების ნაკადის ტექნიკით შექმნილი მხატვრული რეალობა, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი საზოგადოების სულიერი კრიზისის შესახებ, ანუ სწორედ იმის შესახებ, რამაც გამოიწვია ჩვენი საზოგადოების დაშლა დაპირისპირებულ მხარეებად, გაბოროტება და ზნეობრივი დეგრადაცია, სახელმწიფოს პოლიტიკური კრახი - ტერიტორიების დაკარგვა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედია, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად ქცეული ბავშვები, ქალები, მოხუცები...

ეს წიგნი მოგვითხრობს იმაზეც, თუ როგორ ამარცხებს ყოველგვარ მატერიალურ გაჭირვებას სულიერი სიმტკიცე და როგორ არ კვდება ადამიანური კეთილშობილება. თავად მშიერი, გაჭირვებული და მკითხველის თვალში აშკარად კომიკური პერსონაჟი, რომელსაც ძალიან უჭირს სხვისი სახელების დამახსოვრება, უეცრად ზნეობრივი გმირი აღმოჩნდება. და ეს ყოველივე არა ჰეროიკული, არამედ უაღრესად კომიკური სიტუაციებით არის გადმოცემული.

მოთხრობაში "ძმისავ" დასაღუპად განწირული თვითმფრინავის ამბის მოყოლის დროს გულაჩუყებული და ატირებული ქალი ამბობს: "აჰ მტრისას, არა, არავისას..." და აგრძელებს თხრობას. ერთი პატარა ფრაზა და გასაგები ხდება - რაოდენ დიდი და რა ძნელად მისაღწევი სიბრძნეა გათავისებული: "გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, ვითარცა..." "დალოცეთ მაწყევარნი თქვენნი.."

რა ძნელად მისაღწევი ზნეობრივი სიმაღლეა... და როგორი აუცილებელია იქითკენ სწრაფვა, თან როგორი ძნელი ამავე დროს.

სწორედ ამ იდეალისკენ სწრაფვას ასწავლის გურამ დოჩანაშვილის პროზა მკითხველს. თითქოს ერთად მიდიან ავტორი და მკითხველი (ისევე, როგორც თავის დროზე დადიოდნენ ლამაზ-ქალაქში) იმ მიუღწეველი სიმაღლისაკენ...

კუნდერას უკვდავების შესავალი

ესსე წაკითხვის აუტანელი სიმსუბუქისა და წერის სიმძიმის შესახებ



მალხაზ ხარბედია

ძალზე ძნელია უცხო ენის წიაღში არსებული გამოცდილების გაზიარება ამ ენის საუფლოსგან მოშორებით. ზოგჯერ თბილისელი რეპეტიტორების წყალობით, ანდა პარალელური ტექსტების კითხვითა და შტუდირებით დაგროვილი ლექსიკური მარაგიც არაა საკმარისი უცხოელთან ურთიერთობისთვის და ხშირად შევთხოვთ ხოლმე იმ უცხოელს, ცოტა შეანელოს ტემპი და გვაცალოს ნათქვამის ბოლომდე გააზრება. მართლაც, საკმარისია ვუთხრათ რომელიმე გერმანელს - "შპრეხენ ზი ბიტე ლანგზამ" - და ისიც მყისვე გამოერკვევა, ჯერ თავაზიანად მოგვიბოდიშებს, შემდეგ კი მშობლიური ენის "საოცრად გამჭვირვალე", მდორე ნაკადში ჩაგვითრევს. ნაკადში, სადაც ჰუმანიტარული დახმარებასავით მოედინება გერმანული კონცეპტების მთელი მარაგი.

ევროპელთა ასეთი თავაზიანობა ერთადერთი ხსნაა ახალ სამყაროში ჩვენი უკეთ ორიენტაციისთვის, დინჯი მეტყველების გარეშე ხომ შეუძლებელია ნათქვამის გაანალიზება, უცხო მნიშვნელობათა გაგება; სხვა კულტურათა სივრცეებში მხოლოდ აუჩქარებლად, ნელი ნაბიჯით შევაღწევთ და ამიტომ ნურავის ჰგონია, რომ სინათლის სიჩქარით მსრბოლავ მერანზე ამხედრებულები შევგრიალდებით იქ. ასეთი სისწრაფის მოყვარულთ, ვურჩევ ინტერნეტში იჯირითონ - მაუსზე ხელის ერთი დატკაცუნება საკმარისია, რათა ბედის სამზღვართან მიახლოების ექსტაზი იგრძნო.

ტოტალური და მყისიერი შემეცნების ეს ტიპი თანამედროვე მსოფლიოში უკვე ნორმად იქცა; მატარებლების, თვითმფრინავებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების ფარდობით სიჩქარეს, დღეს სინათლის აბსოლუტური სიჩქარე დაუპირისპირდა, რეალურ სივრცეს - რეალური დრო ჩაენაცვლა, მოხდა დროის ურბანიზაცია, დროის და არა სივრცის მოხმარების ორგანიზაცია; ერთი სიტყვით, დროში სიახლოვემ სივრცობრივი მიმდებარეობა გააუფასურა, დაშორებული მეზობელზე, გვერდითმყოფზე უფრო "დაგვიახლოვა", მომიჯნავე კი საერთოდ დაგვავიწყა "ცხრამთასიქითასთან" ასეთმა "ტელემიმდებარეობამ".

მითიური კატეგორიისა (ცხრამთასიქითა) და ხელოვნურად შექმნილი ტექნიკური ტერმინის (ტელემიმდებარეობა) ეს უცნაური მეზობლობა არც ისე უცნაურად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთავარი პერსონაჟი, სიჩქარე, არსებითად სწორედ ასეთ მითიურ-ექსტატიურ ფორმებთან ამჟღავნებს ნათესაობას. ანალიზის ახალი სფეროს, დრომოლოგიის (მეცნიერება სიჩქარის შესახებ) მამა, პოლ ვირილიო აგერ უკვე ოცი წელია კონფერენციიდან კონფერენციაზე მიმოქრის და აუწყებს მსოფლიოს ამგვარი სიამოვნების შესაძლო სახიფათოობას. არადა, თავად კონფერენციის პრაქტიკაც, როგორც დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანების თავყრილობისა, ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, კარგავს თავის მნიშვნელობას - მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, კონფერენცია ინტერნეტით: მეცნიერები თვალის ერთ დახამხამებაში იყრიან თავს, ასევე სწრაფად გადიან რეგისტრაციას (თუკი, რა თქმა უნდა, ვინმე ჩვენებურმა არ გააჯანჯლა საქმე) და იწყება ურთიერთობა, სადაც არც სივრცე არსებობს, არც სხეული და არც ჟესტი; ვერც შადრევანიან ეზოში გაისეირნებ სხდომის დამთავრების შემდეგ და ვერც ჩოგბურთს ითამაშებ. ქალებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა არა, ვცდები, "ტელემიმდებარეობას" თურმე ეს პრობლემაც მოუხსნია: ერთი უცნაური ჩაფხუტი ყოფილა, თავზე იმას ჩამოიცვამ, ხელზეც ერთ მეტად უხეშ ხელთათმანს გაიკეთებ და მიდი, ეფერე რამდენიც გინდა შორეულ სატრფოს, გულისა სიცხე განიგრილე მის საყურეთა ჩრდილქვეშ.

ამ თემაზე ვარიაციებით იწყება კუნდერას 1995 წელს გამოქვეყნებული რომანი სახელწოდებით "სიდინჯე" (და არა "აუჩქარებლობა", როგორც ზოგი თარგმნის ამ სათაურს, ძირითადად რუსულ неспешность-ის წაბაძვით) - მწერლის მიერ ფრანგულ ენაზე შექმნილი პირველი დიდი ნაწარმოები. ვარიაციები აქ იმიტომ ვახსენე, რომ თავად კუნდერასთვის იგი რომანის მთავარ მასტრუქტურირებელ ელემენტს წარმოადგენს და მას ავანტიურისტული რომანის სწორხაზოვან განვითარებას უპირისპირებს; თუმცა, საქმე არამხოლოდ რომანსა და გამონაგონს ეხება; კუნდერას აზრით, ასეთივეა ცხოვრებაც; უფრო სწორად, რომანი და ცხოვრება განუყოფელია; ორივეგან შემთხვევითობა უეცარ მოტივად შეიძლება გადაიქცეს და სამუდამოდ დარჩეს ადამიანის ან პერსონაჟის ცხოვრების კომპოზიციაში: გავა დრო და იგი დაუბრუნდება ამ თემას, შეცვლის, განავითარებს, ან პირიქით, მიჩქმალავს მას. სწორედ ასევე, შემთხვევითობიდან იშვებიან კუნდერას პერსონაჟებიც და ორიოდე აბზაცის შემდეგ, ისინი უკვე საკუთარი აღმოჩენებითაც იწყებენ ვარირებას.

მაგალითად, სასტუმროში ღამის გასათევად გაჩერებული ავტორი თავის ახალ რომანზე ფიქრობს, უეცრად მის მეუღლეს ეღვიძება, იწყებს სიზმრის მოყოლას და აღმოჩნდება, რომ ცოლიც და ქმარიც თურმე ერთ რამეზე ფიქრობდნენ; ის, რაც ცოლს ესიზმრებოდა, ავტორს გაუცნობიერებლად ფურცელზე გადაჰქონდა. ახლა აღარ იკითხავთ, რატომ გაეღვიძა მეუღლეს? რატომ და, მილანმა, თავისი ერთ-ერთი პერსონაჟის ცნობიერებაში ბეთჰოვენის მეხუთეს პირველი ორი ტაქტი დაგუგუნა და ამით თურმე ცოლსაც დაუფრთხო ძილი - არადა პერსონაჟის გვარიც და მუსიკაც რადიომიმღებმა "ჩააწვეთა" შემოქმედს. დილითაც იგივე განმეორდა, ოღონდ აქ უკვე ძილ-ბურანში მყოფი მწერლის ყურადღება მეორე, ახალი პერსონაჟის სახელმა მიიპყრო, მის შესახებაც რაღაც ინფორმაციებს გადმოსცემდნენ. ერთი სიტყვით, სწორედ ამ თვლემისას, რაღაც შემთხვევითობათა წყალობით იქმნება რომანის სივრცე და ამ ვითარებაში იძენენ თავიანთ სტატუსს გმირებიც. როგორც ერთმა კრიტიკოსმა თქვა, "აქ, ვითარება იქცევა სივრცედ".

ამგვარ ხერხს კუნდერა შედარებით ადრეულ ნაწარმოებებშიც იყენებდა ხოლმე, მაგრამ ამ რომანში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა: იმიტომ, რომ იგი კუნდერას მიერ ფრანგულ ენაზე შექმნილი პირველი წიგნია და მასში დასმული პრობლემების ამ ენაზე გამოთქმის მრავალწლიანი სურვილი (თუ აუცილებლობა), რომელსაც ავტორი ასკეტური სიდარბაისლით ატარებდა ბოლო დრომდე, მეტარომანის ფორმაში განხორციელდა და თავისი ლიტერატურულობით მოშალა ზღვარი სიტყვიერსა და სინამდვილეს, ზმანებასა და რეალობას შორის; ერთი სიტყვით, ფრანგულ კულტურაში შეღწევის რეალური და რთული პროცესი, მისივე მარგალიტებით თამაშში გადაიზარდა და საბოლოოდ XVIII-XX საუკუნის პერსონაჟების წარმოსახვითი დიალოგით დასრულდა, დიალოგით, რომელშიც თავად ავტორი, ჩეხი მწერალი მილან კუნდერაც იღებდა უშუალო მონაწილეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანის მნიშვნელოვანი ნაწილი, არსებითად, ანალიზს ეთმობა. იქნება ეს XVIII საუკუნის ფრანგული კულტურისთვის ნიშანდობლივი სიდინჯისა და აუჩქარებლობის იდეალი, თუ ჩვენი, თანამედროვე ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი უგულისყურობა და სიბრიყვე. ამ უკანასკნელის ფონზე, XVIII საუკუნე ავტორს ნამდვილ სამოთხედ წარმოუდგება. "რატომ გაქრა სიდინჯით, სიზანტით ტკბობის ხელოვნება? სადღა არიან ახლა გარდასულ დროთა უქმად მოხეტიალე რაინდები?" - სვამს კითხვას ავტორი და იხსენებს ჩეხურ გამოთქმას, რომელიც ასეთ მცონარე ნეტარებაში მყოფ ადამიანებს ძალზე საინტერესო მეტაფორით ახასიათებდა: "ისინი უფლის სარკმლებს მისჩერებიან".

მისჩერებიან და არ ადარდებთ სხვათა მზერა, მათკენ მომართული.

ამ დინჯი ჯეელების გაუჩინარებასთან ერთად სივრცის ადამიანური, ტრადიციული გაგებაც გაქრა. თავის რომანში, "უკვდავება" (1990) კუნდერა მთელ პასაჟს უძღვნის ამ თემას და შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს: გზა - სივრცისადმი მიძღვნილი ჰიმნია, შოსე კი სივრცის გაუფასურებას მოასწავებსო.

თანამედროვე ცივილიზაცია, კუნდერას აზრით, შოსეების ცივილიზაციაა, გზები აღარ არსებობენ, რადგანაც მანამ, სანამ ლანდშაფტებიდან გაქრებოდა, გზები ადამიანის სულიდან გაქრა. ადამიანები აღარ ოცნებობენ გასეირნებაზე, უქმად ყიალს გადაეჩვივნენ, ფეხით გავლაც აღარ ანიჭებთ ისეთ სიამოვნებას და ამიტომ მათი ცხოვრება ერთი წერტილიდან მეორე წერტილისკენ მიემართება მხოლოდ, კაპიტნის ჩინიდან - გენერლობამდე, ქმრობიდან - ქვრივობამდე და ა.შ.. ცხოვრების დრო მათთვის ერთიან წინაღობად იქცა, რომელიც სულ უფრო დიდი სიჩქარეებით უნდა დაძლიო.

გზა და შოსე მშვენიერების ორი სხვადასხვა გაგებაა - გზის მშვენიერება აუცილებლად გაჩერებას, შეყოვნებას, ჩამოხდომას გულისხმობს ("ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,/ ოდეს შვენება შენი იხილოს,/ რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,/ რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,/ როგორ იქნება არ განისვენოს?"), შოსეების სამყაროში კი პეიზაჟი ნიშნავს მშვენიერების კუნძულს, რომელიც გრძელი, უსასრულო ხაზითაა შეერთებული მეორე ასეთივე კუნძულთან.

რამდენიმე თვის წინ ერთი ჩემი ძმაკაცი მეპატიჟებოდა ირლანდიაში, "ჩამოდი, სულ რაღაც 100 ფუნტიანი ტურნე "გავაძრე", მთელს ირლანდიას შემოგატარებო" (დააფასა კაცმა ჩემი და "ბებერი ქალბატონის" (იქაურები ასე ეძახიან ირლანდიას) მრავალწლიანი, ვირტუალური სიყვარული), თუმცა ესეც იყო, რომ იქ მხოლოდ სხვების განრიგით უნდა მემოძრავა, ერთი "კუნძულიდან" მეორე "კუნძულამდე", ვთქვათ კორკიდან -

გაგრძელება E4 გვერდზე

კუნდერას უკვდავების შესავალი

ᲔᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



კილკენამდე, სლაიგოდან - დუბლინამდე და ა.შ., არადა გზად იმდენი რამ შეგხვდება, მოგიხმობს, დაგიძახებს - "შეჩერდი!", რადგან გზათა საუფლოში, როგორც კუნდერა იტყოდა, მშვენიერება უწყვეტია და ცვალებადი და გარწმუნებს, რომ უძველეს დროით იმპერატივს, "carpe diem"-ს, სივრცეშიც შეუძლია განფენა.

ამგვარი უწყვეტობა და ცვალებადობა თანდათან დავიწყებას ეძლევა. თუკი ადრე ვაგნერის მელოდიასავით უსასრულო მთქნარებიდან (თუ დაკვირვებიდან) იბადებოდა სიყვარული, ახლა იგი კონკრეტული ხორციელი მოთხოვნილებებით საზრდოობს მხოლოდ. ამ აზრის საილუსტრაციოდ კუნდერას ბეტინა ფონ არნიმისა და გოეთეს ურთიერთობა მოჰყავს და იმოწმებს ფრაზას ბეტინას წერილიდან - "ძალიან მინდა სამარადისოდ მიყვარდე". ამ ბანალური ფრაზიდან მწერალი ორ სიტყვაზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, "მინდა"-ზე და "სამარადისოდ". მისი აზრით ეს ორი სიტყვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "სიყვარული". ის, რაც ბეტინასა და გოეთეს შორის ხდებოდა და რაზეც ისინი საუბრობდნენ, სიყვარული არ იყო, ეს იყო უკვდავება, ვნება, რომელიც რიტორიკულ მარგალიტად უფრო ბრწყინავდა, ვიდრე ეროტიულად და საერთოდაც, კუნდერას აზრით, სიყვარულის ევროპული გაგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეკოიტალურ ნიადაგზეა დაფესვებული, ანუ მისი აზრით, არ არსებობს სხვა, უფრო დიადი სიყვარული, ვიდრე წინარეკოიტალური (სექსამდელი).

თუმცა ეს ფრაზა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხოლოდ "შორით დაგვისა და შორით ალვის" რაინდებისთვის იყოს გამართული ეს საერთოევროპული ეროტიული ნადიმი, რადგან კუნდერას რომანის ბოლოსწინა თავი სწორედ ამ საკითხის გარკვევას ეძღვნება და ანალიზის შემდეგ მწერალი საკმაოდ მახვილგონივრულ დასკვნებსაც აკეთებს. მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

ისე, წესით უცნაური კი უნდა იყოს, როცა რომანთან დაკავშირებით ასეთი ფრაზების გამოყენება გვიწევს. "საკითხის გარკვევა", "ანალიზი" და ა.შ. ხომ ერთი შეხედვით სულ სხვა ლექსიკონიდანაა ნასესხები, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ლიტერატურის არქაული ფორმები თხრობაში კომენტარსა და განმარტებას გულისხმობდა და თუკი ამასთან კუნდერას რომანის თავისებურებასაც გავითვალისწინებთ (ე.წ. "მეტარომანს" ვგულისხმობ), ეს უცნაურობა ადვილად გაქარწყლდება.

მაშ ასე, დავუბრუნდეთ რომანის ბოლოსწინა თავს.

სანამ მის წერას შეუდგებოდეს, ავტორი თავის ერთ-ერთ პერსონაჟს საუბარში გამოუტყდება, ძალიან მინდა ჩემი რომანი ნადიმს გავდეს, ნაირ-ნაირი კერძით გაწყობილ სუფრას და არა ველორბოლასო. მას ერთი სული აქვს, როდის შეუდგება მეექვსე თავის წერას, სადაც ის სრულიად ახალი პერსონაჟის შემოყვანას აპირებს და ეს პერსონაჟი ისე გავა რომანიდან, რომ კვალსაც კი არ დატოვებს. ეს იქნება რომანი რომანში და იმავდროულად "ყველაზე სევდიანი ეროტიული ისტორია, რომელიც კი ოდესმე დამიწერია" - ამბობს მილანი. ამ სიტყვების შემდეგ თანამოსაუბრეებს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

"- რა ერქმევა შენს რომანს?

- "ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე".

- მაგრამ ეს სათაური მემგონი უკვე ჰქონდა ვიღაცას.

- მე მქონდა. მაგრამ მაშინ შევცდი. ახლა ვწერ რომანს, რომელსაც უფრო მოუხდებოდა ეს სათაური."

ერთი სიტყვით, მოქმედება და მოვლენები კუნდერასთან არ სინქრონიზდება მხოლოდ ერთ რომელიმე რომანში, არამედ მის ყველა დანარჩენ ნაწარმოებზეც ვრცელდება. მაგიური ფორმულის, "სწორედ ამ დროს..." წარმოთქმისას კუნდერა გადის ერთი წიგნის (ვთქვათ "უკვდავების") ფარგლებიდან და ჩვენ, მკითხველებს, სხვა რომანებიც შეგვიძლია ჩავსვათ ამ კონტრაპუნქტულ ქსელში. ასეთი დამთხვევების შესახებ, კუნდერას წიგნის დაწერაც განუზრახავს, რომელსაც სახელად "შემთხვევითობის თეორიას" დაარქმევდა.

კუნდერას მთელს შემოქმედებასაც სწორედ ეს საერთო სათაური (პრუსტის "დაკარგული დროის..." ყაიდაზე) შეგვიძლია მივუყენოთ, ხოლო "უკვდავების" მეექვსე ნაწილი ზოგად კომენტარად უნდა აღვიქვათ, ახალი კერძივით რომ შემოაქვს ავტორს თავისი შემოქმედების მრავალფეროვან სუფრაზე, ეროტიულ ნადიმზე (ისე, როგორც ჩანს, ნებისმიერი ნადიმი ეროსს განადიდებს).

აი ისიც, მეექვსე თავის მთავარი გმირი, რუბენსი, ვისი დაკვირვებებიც სისტემატიზირებისთვის განაწყობს ავტორს. იგი ეროტიული ცხოვრების ხუთ პერიოდს გამოყოფს, სადაც ქალისა და მამაკაცის ქცევები გარკვეულ სინქრონულ ჯაჭვს ქმნიან და საბოლოოდ ამ სისტემას რაღაც მისტიური, ფინალური პერიოდი აგვირგვინებს.

1. ათლეტური სიმუნჯის პერიოდი - როცა ყმაწვილი ვერ ახერხებს ქალს თავისი ეროტიული ფანტაზიები გაუზიაროს და მთელი მისი სასიყვარულო ენერგია ფიზიკურ ძალმოსილებად იქცევა. ესაა გმირობა ეროტიულ ბრძოლის ველზე (სინქრონული კი ამაში ის გახლავთ, რომ ასეთ "მიდგომას" მისი პარტნიორი, ქალბატონი A აქტის დროს შესრულებული ტანმოვარჯიშის ხიდით, ანუ ათლეტიზმითვე პასუხობს).

2. მეტაფორების პერიოდი - როცა პირველად ბედავ ქალის სასქესო ორგანოს ხმამაღლა სახელდებას, ოღონდ გარკვეული პოეტური პერიფრაზით, ან კინობითი ფორმით. ამას, შემდეგ ურთულესი მეტაფორები მოჰყვება, რითაც სექსუალური აქტი შეიძლება აღიწეროს.

3. უხამსი სიმართლის პერიოდი - როცა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა (კიდევ ერთი სინქრონია: რუბენსი გაოგნებული დარჩა, როცა ერთ-ერთმა პარტნიორმა ქალმა პირდაპირ და არამეტაფორულად დაასახელა სასქესო ორგანო, შემდეგ კი მთელი წყება უხამსობებისა, რუბენსი რომ აპირებდა მისთვის ეთქვა, თავად გაიგონა ამ პარტნიორის პირიდან, თანაც ზუსტად ისეთივე თანმიმდევრობით).

4. გაფუჭებული ტელეფონის პერიოდი - აქ ჩნდება მეორე გმირი, რუბენსის მეგობარი, ვისთანაც იგი საყვარლებს იყოფდა. ეს ორი ახალგაზრდა საყვარლებს ძალზე ორიგინალურად ფორმულირებულ უხამსობებს უზიარებდნენ და "გაცვლის" შემდეგ ერთმანეთის მახვილგონივრულობაზე ხალისობდნენ, ერთგვარი ეროტიული ეპისტოლეების "კითხვაში" ატარებდნენ დროს, მანამ, სანამ, ერთი უცხო ქალბატონი არ გამოჩნდა. და აღმოჩნდა, რომ ქალბატონ D-ს "ეროტიული ფანტაზიის ენციკლოპედია" ყველა იმ ოინს მოიცავდა, რომელიც კი ოდესმე "გაჟღერებულა" რუბენსისა და მისი "წრის" "გაფუჭებულ ტელეფონში".

5. მისტიკური პერიოდი - რუბენსს ქალბატონი C ახსენდება, რომელმაც ერთხელ უხამსობების წარმოთქმა დაასწრო მას და იგი პირველად ჩაფიქრდა ამ ფრაზების წარმოშობაზე. რუბენსს აქ გონება გაუნათდება, იგი მიხვდება, რომ ყველა ქალსა და მამაკაცში ეროტიული ოცნება-ხატების ერთი საერთო ნაკადი მიედინება, ანუ ცალკეული ადამიანები თავის წილ უხამსობას საყვარლებისგან კი არ მიიღებენ გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით, არამედ ამ უპიროვნო (ზეპიროვნული თუ ინფრაპიროვნული) ნაკადისგან და რადგანაც იგი უპიროვნოა, ეს ნაკადი ჩვენ არ გვეკუთვნის, არამედ იმას, ვინც ჩვენ შეგვქმნა, ღმერთს.

როცა რუბენსმა პირველად ჩამოაყალიბა ეს აზრი, მკრეხელობად მიიჩნია იგი, მაგრამ შემდეგ განქარდა ეს განცდა, რუბენსიც ღვთისმოსავის მორჩილებით ჩაეშვა ამ მიწისქვეშა დინებაში და ყოველთვის, როცა ამ ნაკადში იძირებოდა, ეგონა, თითქოს მისტიკური შერწყმით ერთიანდებოდა ღმერთთან.

აი, ხომ ხედავთ სადამდე მივიდა კუნდერა, როგორი თეოლოგიური კლანჭები გამოაჩინა. თუმცა, მკითხველს გაუკვირდება და იკითხავს, ამ ეპიზოდის მოყვანა რაღაში დაგჭირდა, ან როგორ აპირებ ე მაგ ღვთაებრივ-ეროტიული სიმაღლეებიდან ჩამოძრომასო და მართალიც იქნება. თანამედროვე რამეებით გართული, თავიდან რაღაც სიჩქარეებსა და ფარდობითობაზე ვლაპარაკობდი და ახლა კიდევ ასეთ აბლაბუდაში გავეხვიე.

ყოველთვის ასეა, როცა რაიმე ტექსტი გაგიტაცებს და სხვებსაც გინდა ეს გატაცება გაუზიარო, სწორედ ამაშია იმ უცნაური პარადოქსის არსი, რომლის მსხვერპლიც გავხდი. მე ხომ ოდესღაც კიდევ ერთი "ატრიბუტი" მივუმატე "ჩემს განუმეორებელ "მე"-ს", როცა კუნდერა და მისი ტექსტები შევიყვარე, მაგრამ ვერ გავუძელ ცდუნებას და ამ ახალი, მიმატებული ატრიბუტებით თავის მოწონება დავიწყე, პროპაგანდისტად ვიქეცი, შევეცადე სხვებიც დამეყოლიებინა ამ კაცის "პატივისცემის ამბავში", წერილიც კი დავწერე და აჰა, ჩემი "განუმეორებლობაც" თვალსა და ხელს შუა ქრება. არადა რაიმეთი ხომ უნდა ვუშველო თავს და ამიტომ, მეც კუნდერას მიერ მოთხრობილი ერთი ისტორიით "გამოვძვრები".

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს მეგობარს შუმანი უყვარს და შუბერტს ვერ იტანს, თქვენ კი უსაზღვროდ გიყვართ შუბერტი და შუმანი კი ძილსა გგვრით. რომელ ფირფიტას აჩუქებდით თქვენს მეგობარს, შუმანისას თუ შუბერტისას? რა თქმა უნდა შუბერტისას - ამბობს კუნდერა, ანუ იმას, ვისაც თქვენ აღმერთებთ. შუმანის ჩუქების შემთხვევაში ხომ უკმარისობის გრძნობა დაგრჩებოდათ და იფიქრებდით, რომ მთელი გულით ვერ მიუძღვენით საჩუქარი და რომ ეს საჩუქარი უფრო ქრთამს წააგავდა?1 და რადგანაც საჩუქარში მთელი გული უნდა ჩააქსოვო, ჩადო ნანილი შენი არსებისა, ამიტომაც ჩუქნი შუბერტს (ვთქვათ, "დაუმთავრებელ" სიმფონიას). ამ დროს კი რას შვრება თქვენი მეგობარი? რას და, წამოხვალთ თუ არა მისგან, ხელთათმანებს მოირგებს, ორი თითით, ფრთხილად აიღებს ფირფიტას და პირდაპირ ბუნკერისკენ გააბრძანებს, ისე, რომ სანაგვე ყუთსაც არ აღირსებს საბრალო შუბერტს.

შესაძლოა, თქვენც ნაგავში მოისროლოთ ჩემი "ძღვენი", ასეთ შემთხვევაში, ხომ ხელუხლებელი დარჩება ჩემი "განუმეორებლობა"..., მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი, მე ხომ არა ვარ აქ მთავარი, არამედ მწერალი, რომელიც გვაცინებს და გვასევდიანებს, გვნუსხავს კიდეც და სამოგზაუროდაც გვეპატიჟება. მწერალი სახელად მილანი, გვარად კუნდერა, კაცი, რომელიც ჩეხეთში დაიბადა და ახლა საფრანგეთში ცხოვრობს...

P.S. რა ვუყოთ, დარჩეს ეს წერილი შუბერტის სიმფონიასავით "დაუმთავრებელი", იქნებ შესავლად მაინც გამოდგეს.

ვახუშტი კოტეტიშვილი

ქართლი

ქართლი მაინც ქართლია:
რკონს, კავთას და სამთავისს
(ჩემში ვისიც მადლია)
ვენაცვალე სამთავეს...

სულს როგორ დაათენდა
წილკანს, ლარგვისს, იკორთას...
დანახვისზე ატენთან
მზე რომ გადმომიგორდა!

ბეთანიას მარხული
დღესაც მახსოვს ის ბერი...
ძეგვიდან დანახული
შიო-მღვიმის კლდის ფერი.

ვარ მტვირთველი ამდენის,
სხვამ რაღამ ამაღელვოს,
როცა ვხედავ ატენის
ან ყინწვისის ანგელოსს!

მე აქ არ ვარ სტუმარი,
და სხვა არრა მამშვიდებს
ისე, ოდეს მდუმარი
ვუმზერ ბოლნისს, სამშვილდეს...

სოფლის მყუდრო საყდარი,
მცირეც, მეტიც, ყოველი
არის სულში ჩამდგარი,
როგორც სვეტიცხოველი.

ჩემთვის ქართლით დაიწყო
შარავანდნი, აზმანი,
სანამ შუბლმა წაიცხო
ზარზმის აიაზმანი,

სანამ ხატი უფლისა,
ხელთუქმნელი ნახატი
გამიცხადდა უბისას...
სანამ გელათს ვნახავდი,

სანამ გრემს ვიბოდებდი,
სანამ ნეკრესს ვვედრებდი,
სანამ გავიბოდბებდი,
გავიალავერდებდი...

ვინც მე დამათავთავეს...
მცხეთას, ჯვარს თუ სამთავროს...
ვინც მე მომცა სათავე,
ისევ მან დამამთავროს!

27 აპრილი, 1999

იქნებ

გზას იმედში ვეღარ ვიგნებ,
რა იქნება გაის ამ დროს?!
თუმც ვინ იცის, სულმა იქნებ
ერთხელ კიდევ გაიზამთროს.

დღეებს ვარაუდით მივდევ,
თანაც ვწრუპავ მიჯრით ღვინოს,
რომ მზის სხივმა ერთხელ კიდევ
სულში შემომიჭვრიტინოს.

უქმად არ ხტის გვარზე კვიცი,
უკანასკნელ ძალას ვიკრებ,
ვიცი, ყველაფერი ვიცი,
მაგრამ მაინც, მაინც იქნებ?!...

9 თებერვალი, 2001 წ.

"ჩაკრულო"

სიმღერავ ქართულო,
იოლო და რთულო,
უნაზეს სიმებად,
სირმებად დართულო,
ცამდე აღმართულო
სართულზე სართულო,
წიაღით მომსკდარო,
სილაღით გართულო.

მრავალგზის ჩაგრულო,
სულო ვერჩაკლულო -
"ჩაკრულო!"

11.5.99.

მკაფიო კაფია

გავიბითურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?!

1994 წ.

სწორფერი

ხევსურულივით

ერთ ქალა დამისწორფერდა
ძუძუკოკობი, ბატარა,
ხან სამოთხეში მაფრინა,
ხან ჯოჯოხეთში მატარა,
მაუნდა - ბალღად მაქცივა,
მაუნდა - დევ-გმირს მადარა,
ერთ ყლუპად დამაცლევინა
მთელი სიცოცხლის მათარა.
თუ მკითხავთ: რაად გინდაო?
მე გიპასუხებთ: რად არა?!

1985 წ.

დღევანდელობა

გული დამეხშო ისე, ვით
სიკვდილმისჯილის საკანი,
აღარც რაიმე მოვლენა,
აღარც რაიმე საგანი,
ირგვლივ რეგვენთა ჯირითი,
ლანძღვა-გინება-ყაყანი,
შუბლნატყვიარი ქაშვეთი,
ნაცრად ქცეული აკვანი,
თვალთა ბოროტი ნათება
და ტყვიამფრქვევთა კაკანი...

და იმ გვამების ხროვაში
მეც - ერთი იმგვამთაგანი.

1994 წ.

ქსნის ციხის ნათქვამი

ჩემს ფხაზე ნისლი იხევა,
გულზე მინთია ძახველი,
იქნება "რავქნის" ციხე ვარ,
რომ ვერ მომიდგა მნახველი.
ფიქრებს წარსულში მივყევარ,
მაინც ვერ მძალავს ნაღველი,
მე "ყლემომჭამეს" ციხე ვარ,
მქვია კაცური სახელი.

2003 წ.

■ ■ ■

მთაწმინდიდან დევნილი
მეიდანში ვსახლობ,
საიათნოვას მეზობლად,
იეთიმ გურჯთან ახლო.
ერთი ჭიქა მაღირსე,
სირაჯხანის დახლო,
ხმა ყელში გაჩხერილი
ლექსად ავიმაღლო,
ჩემს თავს ვუთხრა: გამაგრდი,
ნურაფერზე ნაღვლობ,
კოჭლობით არ მოკვდები,
ქალაქელო ძაღლო!

29.I.1994 წ.

■ ■ ■

ჩემი მარტოობის ბაღში
გაჩნდა უცხო ყოილი,
როგორც უპატრონო ბავშვი,
ნიავს ჩამოყოლილი.

ჩამძახიან: ვერ იქნება
ის შენს ხელში მოვლილი...
რადგან წლები ეფიქრებათ
ჩემზე ჩამოთოვლილი.

რა იციან, ზოგჯერ დარობს
დეკემბერში მაისი
და ენძელაც თოვლქვეშ ხარობს,
როგორც ედელვაისი.

15.II.94 წ.

ბოლო სადღეგრძელო

ესეც ჩემი იღბალი თუ ბედი -
გამიფრინდა სიხალისის მტრედი.

ესეც ჩემი იღბალი თუ წერა -
ქვეყანაზე აღარაფრის მჯერა.

სიბრძნე, ღვინო, დუდუკი თუ ქალი,
ყველაფერი ამ ჭიქაში ვკალი.

შესასმელი დამრჩა ბოლო ჭიქა:
ჭირი აქა, ხოლო ლხინი იქა!
თბილისი

1993 წ.

ნასმურევზე

აპოლინერისებური

ეძღვნება თელავში: ბაადურ ბალარჯიშვილს,
თბილისში: დათო მაღრაძეს

დილა,
ლოგინში ზმორება ნელი.
მზემ ფანჯარაში შემოჰყო ხელი
და სიგარეტი მომაკიდებინა.
თავდაყირა დგას ჩემი კიდობანი...
აქ გდია ქოში,
იქ - ცალი წინდა...
დღეს მუშაობის არა მაქვს ხოში.
მოწევა მინდა.

2002 წ.

სანდრო ფილიპეს „ბალერინა“

ლირიკაც, ისევე როგორც ყველაფერი ამქვეყნად, დროთა განმავლობაში ცვთება, ხუნდება, სილამაზისაგან იძარცვება. ოდესღაც დიდებული სახელები ახლა ანთოლოგიებსღა შეფარებიან, საიდანაც შიგადაშიგ სევდიანად ამოანათებს ხოლმე ერთი ან ორი ჯერ ისევ ცოცხლად გადარჩენილი ლამაზი სტრიქონი.
დიდი რომაელი პოეტი გაიუს ვალერიუს კატულუსი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. დრო ალაგ-ალაგ იშვიათ გამონაკლისსაც უშვებს, ზოგიერთ ლირიკოსს არნახული სიცოცხლისუნარიანობა მიემადლება. ერთი შეხედვით უბრალო და უპრეტენზიო ლექსებიდან თითქოს ჩვენი თანამედროვე გველაპარაკება, და უცნაურია, მაგრამ სიძველის სურნელი მათ სიცოცხლეს კიდევ უფრო მეტი ძალით განგვაცდევინებს.
კატულუსი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 87 წელსა თუ მის ახლო ხანებში დაბადებულა. გარდაიცვალა საკმაოდ ახალგაზრდა - ოცდაცამეტი თუ ოცდათხუთმეტი წლისა. მშობლიური ვერონიდან ადრევე ჩასულა რომში და იქ დამკვიდრებულა. მიეკუთვნებოდა ეგრეთ წოდებულ "ნეოთერიკოს" ანუ "მოდერნისტ" პოეტთა წრეს. ეს მიმდინარეობა ლირიკისათვის ყველაზე ფასეულად სუბიექტურ, ინტიმურ განცდას მიიჩნევდა, მაგრამ როგორ და რა გზით ხდებოდა ამის განხორციელება, დღეს მხოლოდ ვარაუდების სფეროა: მათგან კატულუსის ნაწერებიღა გადარჩა, კატულუსი კი იმ დროსვე გამორჩეულ პოეტად მიიჩნეოდა.
მისი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. დანაკლისს რამდენადმე ავსებენ მისივე ლექსები, რომელთა საშუალებითაც ფილოლოგები აღადგენენ პოეტის ცხოვრების გზას. შემორჩენილია 116 ლექსი, მათი ერთი ნაწილი ლიროეპიკურ ჟანრს მიეკუთვნება. ლირიკული ლექსების უმეტესობა მშვენიერ ლესბიას ეძღვნება. როგორც ცნობილია, ლესბია პოეტის მიერ შერქმეული სახელია. არსებობს მოსაზრება, რომ ამ სახელქვეშ იმალება სილამაზით განთქმული არისტოკრატი ქალი, სახელად კლოდია, რომელსაც იმჟამად ბევრი ეტრფოდა. უზომოდ შეყვარებული პოეტი მას ხან აღტაცებული შეჰფოფინებს, ხანაც უმწარეს სიტყვებს ეუბნება. ბოლოს, ეჭვიანობისაგან გატანჯული, მის მოძულედაც კი იქცევა და კატეგორიულად წყვეტს მასთან ურთიერთობას. XI ლექსის მიხედვით, რომელსაც მკვლევარნი ლესბიას ციკლის ბოლო ლექსად მიიჩნევენ, ქალი ისევ ცდილობს სასიყვარულო კავშირის აღდგენას, მაგრამ პოეტის გადაწყვეტილება ურყევია.
კატულუსის ლექსთა კითხვისას აშკარად გვიჩნდება მოუძველებლობის შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ სრულიად თანამედროვე პოეტს ვეხებით. რა ბადებს ამ ემოციას? ალბათ, პირველ რიგში პოეტის განსაკუთრებული თვისება - უშუალო აღქმებითა და განცდებით დამუხტოს ლექსი, აერიდოს ტრაფარეტებს, ცოცხალი ინტონაციით გაათბოს სტრიქონი.
აღორძინების ხანის დასაწყისში (XIV საუკუნის პირველი ნახევარი) ერთმა იტალიელმა ბერმა ვერონის მონასტერში იპოვა პერგამენტი, რომელზედაც კატულუსის ლექსები აღმოჩნდა. ეს იყო პოეტის მეორედ დაბადება.

მთარგმნელი

გაიუს ვალერიუს კატულუსი

LI

მე მეჩვენება, რომ ღმერთების თანასწორია,
ან თუკი ითქმის, ღმერთებზედაც აღმატებული,
ვინც გვერდით გიზის, შემოგცქერის, წამისწამ ისმენს
შენს ხმას და სიცილს...

მე კი, ლესბია, დაგინახავ საბრალობელი
და უმალ აზრი მეკარგება, ძალა მერთმევა,
ვდგავარ უმწეო და გახსნილი ბაგეებიდან
ხმა არ ამომდის...

ენა მიშრება, ტანზე ცეცხლი შემომენთება,
ყურში გუგუნი ჩამდგომია, სასმენელს მიხშობს,
თვალთ მიბნელდება, შავი ნისლი წამეფარება,
ღამის უკუნი...

მოცალეობით იტანჯები ასე, კატულუს,
უქმად ყოფნისგან ხარ ასეთი აბორგნებული,
მოცალეობამ თვით მეფენი, თვით სამეფონი
მიწით აღგავა...

XLIX

ენამზეობით ყველა კაცზე აღმატებულო,
გამორჩეულო რომულუსის მემკვიდრეთ შორის,
ვინც იყო, არის ან იქნება, მარკუს ტულიუს!
შენ კატულუსი დიდ მადლობას თაყვანით გიძღვნის,
პოეტთა შორის დღეს ყველაზე კნინი და მცირე,
პოეტთა შორის იმდარადვე კნინი და მცირე,
როგორც შენა ხარ რიტორთაგან უდიადესი.

VIII

ჰოი, კატულუს, შე საბრალო, თავს ნუ იბრიყვებ,
სამარადისოდ გარდასულა, რაც გარდასულა,
უწინ შენთვისაც ანათებდა მზე სვენათელი...
შენც ბედნიერი დაჰყვებოდი სატრფოს მხარდამხარ,
გიყვარდა იგი ისე ძლიერ, როგორც არავინ,
იყო სიამე, სიხარული, სიცილ-ლაღობა,
რაც შენ გინდოდა, შენს სატრფოსაც ის ახარებდა,
უწინ შენთვისაც ანათებდა მზე სვენათელი...
დღეს აღარა ხარ სანუკვარი, ის დრო წავიდა,
კუდში ნუ დასდევ საბრალობლად, ნუ ეძალები,
ჯობს, დაითმინო, იდექ მტკიცედ, იყავ ურყევი!
მშვიდობით, ჩემო სიყვარულო, შენი კატულუს
კლდეზე სალია, არც იფიქრებს გამოდევნებას.
შენ კი, ბედშავო, რა მოგელის მერე, ვინ იცის,
გული რამდენჯერ გეტკინება მერე, ვინ იცის,
ვის შეეყრები, "მშვენიეროს" ვინ დაგიძახებს,
ვინ შეგიყვარებს, ვის დაუწყებ ტუჩებზე კბენას...
ეჰა, კატულუს, იყავ მტკიცე, იყავ ურყევი!

XCII

ლესბია ერთთავად მთათხავს, ლესბია არ ცხრება წუთით,
მაგრამ, გამისკდეს მიწა, გულში სიყვარულს მალავს!
რა ვიცი? ასე ვარ ზუსტად - ლანძღვაში ამომდის სული,
მაგრამ, დამეცეს მეხი, გულში სიყვარულს ვმალავ!

LXXXIII

ლესბია აუგი სიტყვით ხშირ-ხშირად მახსენებს ქმართან,
ის კი უსმენს და ხარობს, რა უხარია რეგვენს!
შე მართლა ჯორთაგან ჯორო, გერჩიოს, პირუკუ მოხდეს,
დავიწყებული ვყავდე, არ მახსენებდეს მალ-მალ.
ახლა კი, შეხედე, მქირდავს, უშვერი სიტყვებით მამკობს,
მეტიც, გიზგიზებს ბრაზით, მეტიც, გულშიგნით ვყავარ.

V

სიცოცხლე ჩვენდა, სიყვარული ჩვენდა, ლესბია!
დაე, წამითაც ნუ შეგვაკრთობს, რაში გვეხება
ბებრუხანების ბუზღუნი და მიეთ-მოეთი!
მზეს შეუძლია დილით აღჩნდეს, ღამით ჩავიდეს,
მზეს შეუძლია, მაგრამ როცა ჩვენი ვარსკვლავი
ერთხელ ჩაქრება, სამუდამო ძილს მივნებდებით...
ასჯერ მაკოცე, ათასჯერ და კიდევ ათასჯერ!
ასს კიდევ ასი მივადევნოთ, ათასს - ათასი,
შეუჩერებლივ, დაუცხრომლად, შეუსვენებლად,
და მერე, როცა დავაგროვებთ უამრავ ათასს,
თავიდან დავყვეთ, სათვალავი ისე დავკარგოთ,
რომ თვლა აებნათ შურნეულებს, რიცხვით მჩხიბავებს,
თავგზა აებნათ - ვეღარ შეძლონ ჩვენი გათვალვა!

XI

ჩემო ფურიუს, ავრელიუს, ვიცი მზადა ხართ,
გაჰყვეთ კატულუსს უკიდურეს ინდოთ საზღვრამდეც,
სად ხანგრძლივ ეხოდ ეხეთქება კლდოვან ნაპირებს
მღელვარე ტალღა...

ხვალ ჰირკანებთან რომ წავიდე, ან არაბებთან,
ანდა სკვითებთან, ან მოისარ პართიელებთან,
ან სადაც შვიდი შესართავით მწვანე ნილოსი
ზღვის ნაპირს ამღვრევს...

თუ გადავივლი მაღალ ალპებს, თან გამომყვებით,
იქ, სადაც დიდმა კეისარმა ნიშანი დასცა,
გალიის რაინს მივადგები, ან საზარელ ზღვას,
ან შორ ბრიტანებს,

მზად ხართ ბოლომდე ჩემი ხვედრი გაიზიაროთ
და დაითმინოთ, რასაც ზეცა წილად მარგუნებს.
მაშ, გადაეცით ჩემს სანუკვარს ორიოდ სიტყვა
გულისმომკვლელი.

ილაღოს თავის საყვარლებთან, დრო გაატაროს,
ათასი ერთად შეიყვაროს, გულში ჩაიკრას.
რა სიყვარული? სიყვარულით განა ვინ უყვარს,
შიგანს კი აცლის...

უთხარით, ჩემზე ნურც იფიქრებს, ჯობს დამივიწყოს,
დე დამივიწყოს, სიყვარული ჩემი განქარდა,
მან ის მოაშთო, როგორც ველის მშვენიერ შროშანს,
საბრალო ყვავილს, მინდვრის პირას მარტოდ ამოსულს,
მოცელავს ცელი...

LXXXVI

კვინტიას აქებენ ბევრნი - თეთრია, მაღალი, თხელი,
ნაკვთად ყოველი ნაკვთი, რად არ, თავადაც მომწონს.
ერთიან შეხედავ, ნატრობ, ცოტათი ეშხიც რომ მისცა!
რაგინდ ტანადი ჩანდეს, მაინც ვერ იტყვი ლამაზს.
ლესბია ერთია ქვეყნად, ვინც სრული მშვენებით ბრწყინავს,
ყველა ლამაზის ხიბლი ერთმა წარსტაცა ვენუსს!

XLII

მოდით, მოჯარდით, იამბებო, ახლა მჭირდებით,
მოდით უკლებლივ, რამდენიც ხართ - ბევრნი, ცოტანი,
მაგ ბოზანდარამ გადაწყვიტა, მასხრად ამიგდოს,
ჩემი ლექსები გაიტაცა, დასტა-ფურცლები!
შერჩეს? გავჩუმდე? ნუთუ გული მოგითმენთ ამას?
თავს დაუარეთ, წაესიეთ, უკან წაჰგლიჯეთ!
როგორ ვიცნოთო, მეკითხებით? რა კითხვა უნდა!
გალური ძუკნის დაკრეჭილი ღიმილით იცნობთ,
ურცხვი მიმოხრით, როსკიპული სიცილ-ჭახჭახით.
გარს შემოერტყით, ყველამ ერთად ყურში ჩაჰყვირეთ:
"კახპავ, შე კახპავ, დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები,
კახპავ, ახლავე დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები"!
ძაღლად არ გაგდებთ? ო, ეგ ბილწი, ეგ ზნეწამხდარი!
არა, ასეთი უტიფარი ჯერ არ მინახავს!
საქვეყნოდ მოვდგეთ, შუა ხალხში გამოვაჭენოთ,
ეგებ სიწითლემ გამოჟონოს ძუკნა სახეზე.
აბა, ხელახლა, უფრო მჭახედ, უფრო ხმამაღლა:
"კახპავ, შე კახპავ, დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები,
კახპავ, ახლავე დაგვიბრუნე ჩვენი ფურცლები"!
არ გაჭრა? წარბიც არ შეხარა? ასეც ვიცოდი!
უნდა სხვა ვცადოთ, უნდა თავი მოვისხვაფეროთ,
მივეთილისმოთ, ეგებ გაჭრას ქათინაურმა:
"სათნო ასულო, დაგვიბრუნო ვინძლო ფურცლები"!

XLVI

ისევ მოვიდა გაზაფხული თბილი ქარებით,
ისევ აჯობა ზეფიროსის საამო ქროლვამ
ზამთრის ქარიშხლებს, ისევ დათბა, ისევ განათდა...
ეჰა, კატულუს, მივატოვოთ ფრიგიის ველნი,
ცხელი ნიკეის მოელვარე ვრცელი ყანები,
ჭრელი აზიის მივაშუროთ ლამაზ ქალაქებს!
ხომ ხედავ, გულიც გაჩქარებით გზისკენ გეწევა,
უკვე ფეხებიც აგიცეკვდნენ სახეტიალოდ...
მშვიდობით, ჩემო მეგობრებო, კეთილად გევლოთ,
სახლიდან ერთად გამოსულებს გზაც ერთი გვქონდა,
შინ კი ყველანი ჩვენეული გზით დავბრუნდებით!

IV

გამვლელო, შესდექ, არ უქციო ამ ხომალდს გვერდი,
ყველა ხომალდზე უსწრაფესი ყოფილა წინათ,
ვერვინ ცურავდა, ამბობს იგი, ჩემებრი ჟინით,
არვის შეეძლო ღია ზღვაში ჩემი გასწრება,
ანთუ ნიჩბებით მივცურავდი ან აფრებს ვშლიდი,
ადრიატიკის მრისხანე ზღვაც დამემოწმება
და კუნძულებიც კიკლადისა ამას იტყვიან,
ჰკითხეთ თრაკიას უსაშინლესს ან განთქმულ როდოსს,
ანდა პროპონტისს, ბობოქარი პონტოს ყურეებს,
ტყედ ხასხასებდა, ვიდრე გემად გამორანდავდნენ,
და კიტორუსის ქედზე ფოთლებს აშრიალებდა,
შენ, ამასტრისო და კიტორუს წიფლებმდიდარო,
ორივ მომსწრე ხართ ამ ამბების და კარგად იცით,
(ჰყვება ხომალდი), რომ თქვენს მაღალ მწვერვალზე იყო,
რომ თქვენთან იყო, ვიდრე მერე გემად აქცევდნენ,
და რომ პირველად მანდ, თქვენს წყლებში ჩაყო ნიჩბები,
და რომ პირველად მაგ კლდოვანი ნაპირებიდან
შეცურა ზღვაში და პატრონი შორს წაიყვანა,
და ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან ურტყამდა ქარი,
ხან კი შემხვედრი უკოცნიდა ორივე აფრას,
ისე ცურავდა, არასოდეს გასჭირვებია,
დასჭირვებია არასოდეს ღმერთთა შეწევნა,
ბოლოს კი ზღვიდან აქ, ამ მწვანე ტბაში დასახლდა,
წევს სიმშვიდეში ახლა იგი, წევს და ბერდება,
თავი კი შესძღვნა დიად კასტორს და მის ტყუპისცალს.

XXXII

გთხოვ, ჩემო ტკბილო იფსიტილა, ჩემო ნუგბარო,
ჩემო პატარა სიხარულო მომჯადოებო,
მო, დამპატიჟე, ნაშუადღევს შენთან გავჩნდები,
ოღონდ, იცოდე, სხვას არ უხმო, მარტო დამიხვდი,
არ დამახვედრო სტუმარი და კარი დახშული.
ფეხს ნუ მოიცვლი, არსად წასვლა არ მოინებო,
და მოემზადე: უნდა ცხრაჯერ ვისიყვარულოთ,
ცხრაჯერ ზედიზედ, თუ შენივე ნებაც იქნება.
ვწევარ გულაღმა გამაძღარი, ეშხზე მოსული,
ვწევარ გულაღმა და საბანი გახვრეტას ლამობს...

LXX

"არავის გავყვები ცოლად, შენი ვარ! არავინ მეტი!
იუპიტერსაც ვსურდე - უარს ვეტყოდი მასაც"!
ჰო, მაგრამ! ნასროლი სიტყვა ვნებისგან მიბნედილ ქალის
უნდა დაწერო წყალზე ან გაატანო ქარებს!

XL

რავიდუს, წერამ აგიტანა, შე საცოდავო?
ჩემს იამბებში მოგესურვა აფართხალება?
რომელმა ღმერთმა დაგატეხა თავს ეგ სასჯელი,
ამ განწირული ბრძოლისათვის ვინ გაგიმეტა!
ასე გწყურია, გახდე ხალხში სალაპარაკო,
ყველას ენაზე ეკერო და იყო ცნობილი?!
სიტყვა სიტყვაა! სამუდამოდ გაგითქვამ სახელს,
რადგან, თავხედო, ჩემს საყვარელს ეღლაბუცები!

CIX

კვლავ ნეტარი ვარ, საყვარელო, ტრფობას მპირდები,
ისევ შეყრას და აღარ გაყრას სამარადჟამოდ.
დიდო ღმერთებო, ო, წრფელქმენით სიტყვები მისი,
შეაძლებინეთ აღასრულოს, რასაც შემპირდა!
აუმღვრეველი იყოს მარად ეს სიყვარული,
მეგობრობის და თანადგომის შეკრას კავშირმა!

IX

ო, ვერანიუს, ჩემს უამრავ მეგობარს შორის
ათასი მილით ახლობელო და სანუკვარო!
დღეს დაუბრუნდი შენს მშობლიურ სახლს და პენატებს,
შენს მოხუც დედას და ერთგული ძმებიც იხილე.
დაბრუნდი, ღმერთო, რა კარგია! რა გავიხარე!
მოხველ მშვიდობით, რამდენ რამეს მეტყვი, ვინ იცის,
იბერიელთა ცხოვრებაზე, უცხო ტომებზე...
ისე ვით წინათ, საყვარელო, გულში ჩაგიკრავ,
გადაგეხვევი, თვალებსა და ყელს დაგიკოცნი.
ო, ბედნიერნო! თუ სადმე ხართ, ყველას მოგმართავთ,
დღეს სიყვარულში ნუთუ ვინმე შემეჯიბრება?!

VI

ჩემო ფლავიუს, გულისვარდი შეგიძენია!
მერე როგორი! ვერც ნატიფი, ვერც თვალსასური!
კატულუსისგან აბა ისე რას დამალავდი!
თქმაც გერცხვინება, ვერავისთან გაგიმხელია,
ამძუვნებული ბოზანდარას გკლავს სიყვარული.
ცხადზე ცხადია, ღამღამობით მარტო აღარ ხარ,
როგორ დამალავ, რას დამალავ - აქ ეს ლოგინი,
ეს სირიული ნელსურნელი, ეს ვარდყვავილი,
გირლიანდები, ბალიშები მიყრილ-მოყრილი!
საწოლიც როგორ მორყეულა! კვნესის, ქანაობს,
რა ამბებს ჰყვება, რა ჭრიალით მრავლისმეტყველით!
რაღას დამალავ, მაგ სანახავს სად გაექცევი,
ზედ შენი შმაგი ღამეების კვალი ატყვია!
ქანცმილეული დაღლილ ხელ-ფეხს ძლივსღა მიათრევ,
ასე არ იყოს, რად ივლიდი ბანცალ-ბანცალით...
მითხარი, რაც გჭირს, ყველაფერი, ავიც და კარგიც!
სირცხვილს ჩამოგბან! შენს სიყვარულს ცაში ავიტან!
სამყაროს მოვფენ სალაღობო ჩემი ლექსებით!

ლათინურიდან თარგმნა მანანა ღარიგაშვილმა

ვისი თავგადასავალია აკა მორჩილაძის "შენი თავგადასავალი"?

თამარ ფხაკაძე

ბესო ბელკაგელის ფოტო

აკა მორჩილაძე

კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა უყვარდეს ახალგაზრდა ქართველ კაცს "დიდი და ჭრელი ლონდონის" რომელიღაც პარკში "ბალახზე წოლა და ინგლისური სიგარეტები? რატომ არ უნდა იყოს რომელიღაც პატარა ლონდონური პაბის, ვთქვათ "არმზ"-ის წიაღი მისი სულიერი სიმშვიდის გარანტი? რატომ არ უნდა ხიბლავდეს Portobello road-ის გარეგანი ბრწყინვალება და თუკი იგი ამ ბრწყინვალების მიღმა ჰაშიშით გადაბრუებულ, დაავადებულ, ატორტმანებული რეალობასაც ჯანსაღად ხედავს, რა არის ამაში კრიმინალური? რა არის მაინცდამაინც, საგანგაშო, ეს ჩვენი ქართველი კაცი ჰამერსმიტის გადასაჯდომი სადგურის თანამშრომელი "ძალიან შავ და ძალიან ოქროსფერ" იამაიკელ გოგოს ქართულ, დაუყვედრებელ სალამს თუ დააჩვევს?

პეტრე ჯაფარიძეზე მოგახსენებთ. იგივე ჯორჯ ჯეფერსზე. ან უბრალოდ, ჯორჯიაზე - აკა მორჩილაძის რომანის "შენი თავგადასავლის" მთავარ გმირზე.

დიახ, ცხოვრობს ლონდონში 33 წლის ქართველი კაცი, სადღაც ბერძნული ეკლესიის შორიახლოს. მუშაობს ტურისტულ ფირმაში "კოლოსოფ ენდ სან", სწავლობს კონფლიქტოლოგიას და არაფერს აშავებს. არის ლონდონში ერთი ასეთი ჯორჯია. მაგრამ, რატომ არის? ეს კითხვა თვითონ მასაც აფიქრებს და ძირითადად, ასეთ დასკვნამდე მიდის: "აქ იმიტომ ვარ, რომ აქ ვიყო", და კიდევ: "დიდი გაუგებრობაა ჩემი აქ მოხვედრა". რას უნდა ნიშნავდეს ეს საბრალობლად ბუნდოვანი და გულახდილი სიტყვები? რა თქმა უნდა, კარგს არაფერს. რა თქმა უნდა იმას, რომ იქ ყოფნა აქ არყოფნის ერთ-ერთი საშუალებაა. აქ, ანუ პოსტსაბჭოურ საქართველოში. ჯორჯიაში. სამშობლოში.

რომანი "შენი თავგადასავალი" აშკარად "ბი" ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს ბირომანია. ბისათაურით. ბიგმირით. ბითავგადასავლით. ბისამშობლოთი. ბისიცოცხლით...

დავიწყოთ იმით, რომ პირველ პირში მოთხრობილ ამბავს, "მე"-ს თავგადასავალს "შენი თავგადასავალი" ჰქვია. მთავარი გმირი პეტრე ჯაფარიძე - ჯორჯ ჯეფერსია, თავგადასავალი თან ორდღიანია, - თან 33-წლიანი, სამშობლო - ორსამშობლოსნობის იდეითაა დადაღული და ამ ორში - დიდ სსრკ-სა და პატარა საქართველოს გულისხმობს. ამ უკანასკნელისადმი გმირის დღევანდელი დამოკიდებულებაც ბი-დამოკიდებულებაა: უსაზღვრო სიყვარული და უსაზღვრო იმედგაცრუება. პეტრე-ჯორჯიას რომანში აღწერილი სიცოცხლის მონაკვეთიც ბი-სიცოცხლეა. თან სიცოცხლე, თან სიკვდილი... თან აგონიური ხილვები, თან რეალობა... და ბოლოს, რომანში მოქმედების განვითარების არეალიც ამგვარ ორმაგ სტილშია მოხაზული: აქ და იქ. აწწილი თბილისი და დავარცხნილი ლონდონი... შინ და ხიზნად.

მთელი ეს "დაპირისპირებულთა ერთიანობა" განსაცვიფრებელი ჰარმონიულობითაა წარმოდგენილი და დაკვირვებული მკითხველი, რომელიც მთავარი გმირის ცნობიერებაში "დამიქული" უზარმაზარი მასალის არც ერთ დეტალს დატოვებს უყურადღებოდ, უთუოდ დაინახავს იმ მთლიანს, რაც მწერალმა თავისი შემოქმედებითი გონით გამოძერწა.

ვინ არის აკა მორჩილაძის "შენ"? ვინ არის ამ რომანის ადრესატი? რატომ უწოდა ავტორმა "შენი თავგადასავალი" ნაწარმოებს, რომლის სათაურიც, თითქოს, "ჩემი თავგადასავალი" უფრო უპრიანი იქნებოდა? ალბათ, ეს თავგადასავალი გამოდის "ჩემი", ანუ სუბიექტურობის ფარგლებიდან და "შენში", ანუ განზოგადებულ იდეაში გადმოდის. დიახ, ეს ასეა. აკა მორჩილაძის ეს რომანი არ გახლავთ მყუდროდ, დიკენსურად მოთხრობილი "დავიბადე... გავიზარდე... შემიყვარდა..." (თუმცა, ამ "მყუდრო" რომანებშიც გარკვეულწილად აისახება ეპოქა, მაგრამ მაინც "ჩემი" პოზიციიდან). ეს არ არის იმ სტილის ავტობიოგრაფიული რომანი, რომელიც კონკრეტული პიროვნების სიცოცხლის ანარეკლია; რომელიც მარტო პეტრესია და პავლეს ვერაფრით მოერგება...

ეს "შენ" შენა ხარ, ვისი სიჭაბუკის დასაწყისს პერესტროიკის დაწყება დაემთხვა. ეს შენა ხარ, საპირველმაისოდ, საშვიდნოემბროდ დეკანატში სადემონსტრაციო სამოსს რომ გირიგებდნენ. შენ, ვისაც შრომითი სემესტრების გამოცდილებაც შეგიძენია. ვისაც შთამბეჭდავი განათლება მიგიღია და სამყაროს ხედვა, სულიერება იმდენად დაგიხვეწია, რომ საკუთარი თავი სევდისა და ტკივილისათვის გაგიწირავს. შენ... შენ მდგარხარ მიტინგებზე. და "ჩემო კარგო ქვეყანავ"... - გიმღერია. შენ ხომ ისა ხარ, სკოლიდან დაბრუნებული "ხაზის რადიოში" ლიტერატურულ გადაცემებს რომ უსმენდი. "კლოსზე" და "შტირლიცზე" გამოზრდილი ბავშვი, რსდმპ ყრილობების მასალათა პარტისტორიის გამოცდებზე მბარებელი სტუდენტი; ეს შენ ხარ, ჩემთვის ძალიან ახლობელო, ჩემო თანამემამულევ, შემოდგომის აზნაურებზე თემები რომ გიწერია, ბოლშევიკური ხვრეტების ამბები გენეტიკურ სტრესად რომ მიგიღია, სიჭაბუკე უგზობა-უდენობა-უსასოობის დამამცირებელი ფონით რომ "დაგმშვენებია", შენ, ვისაც არ გინდა სისხლი, არ შეგიძლია კაცისკვლა, გეზიზღება იარაღი და გარშემო, შენს სამშობლოში კი ძალადობის, უსამართლობის და გადაგვარების ცქერა გხვდა წილად. მოკლედ, შენ ხარ ის, ვისი სიცოცხლის საუკეთესო წლებიც შენი სამშობლოს უკეთურ წლებს დაემთხვა. შენ არც დღევანდელი თინეიჯერი ხარ და არც ჭარმაგი ვინმე. შენ ე.წ. "დაკარგული თაობის" წარმომადგენელი ხარ, რაოდენ სამძიმოც არ უნდა იყოს ამ სტატუსის შენთვის მონიჭება. და ეს რომანი შენია.

მოკლედ, დაწერა მწერალმა "ჩემი თავგადასავალი", გაჩუქა, მოგიძღვნა შენ და უწოდა "შენი თავგადასავალი" და საბოლოოდ, ეს მისი თავგადასავალია, ვინც საკუთარ თავს იოლად მოარგებს პეტრე ჯაფარიძეს, ანუ ჯორჯიას და იგრძნობს შვებას, რომ მისი სათქმელი თქვეს.

აკა მორჩილაძის "შენი თავგადასავალი" იმდენად დოკუმენტურია (თუმცა ეს დოკუმენტურობა ზედმიწევნით ფაქიზი და თან ძლიერი კალმით დიდი ოსტატობითაა გამხატვრებული), რომ იგი ძალზე აქტუალურია დღეს; იგი ცხელ კვალზე და ცხელ გულზე საკითხავი ნაწარმოებია. მისი ადრესატები, მისი მაქსიმალურად გამგებნი დღეს ცხოვრობენ და მოქალაქეობენ საქართველოში (თუნდაც უცხო მიწებზე დააბიჯებდნენ). ხოლო კითხვა, რა ბედი ეწევა რომანს, მინიმუმ, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამჟამად უპასუხოდ დავტოვოთ. მივანდოთ ეს მომავალს. თუმცა, მე, პირადად, მგონია, რომ ნაწარმოებში იმდენად ღრმადაა წარმოჩენილი ეპოქის ზეგავლენა ინდივიდის ბედსა და სულზე, რომ იგი უთუოდ იტოვებს განზოგადების დიდ შანსს.

ვინ არის რომანის მთავარი გმირი, პეტრე ჯაფარიძე, - ჯორჯ ჯეფერსი, - ალბათ, არცთუ მიზანდაუსახავად Georgia-დ სახელდებული?

ჯორჯია ერთი თბილისელი, "მრგვალბაღელი" ბიჭია, სუფთა და გულუბრყვილო, თუმცა მისივე თქმით "არის მიწები (და აქ სამშობლო - საქართველო იგულისხმება), სადაც გულუბრყვილო და სულელი ერთი და იგივე, ანუ სულელი ჰგონიათ". იგი ჟურნალისტიცაა და მწერალიც. ამავე დროს, - არც ჟურნალისტია და არც მწერალი. მან გამოსცადა დისიდენტობის რომანტიკა, მაგრამ სისხლში არასდროს გასვრილა. მას უნახავს ომი, მაგრამ ეშინია იდეალების გადაგვარების... ეშინია ამ ახალი, ფსევდომოწყენილობის და ფსევდო არსენა ოძელაშვილების. ეშინია თავის სამშობლოში ჩაგუბებული მტრობის და ბოღმის, "გადინოზავრების", ანუ გადაგვარების პროცესების და საკუთარი დასკვნის, რომ "რაც უფრო ნამუსგარეცხილი ხარ, ბედნიერებასთან მით უფრო ახლოს ტრიალებ"...

და აი, ჯორჯია შორსაა ამ ყველაფრისგან. ცხრა მთას იქით, ინგლისში. მაგრამ გადაჭრილია კი ლონდონში ფიზიკურად ყოფნით მისი სულიერი პრობლემები? ან, არის კი იგი ლონდონში? მკითხველს ეჩვენება, რომ ძირითადად, იგი ორივეგანაა - ლონდონშიც და თბილისშიც, ზოგჯერ კი - არსად. არც ლონდონში, არც თბილისში და მისი მიუსაფარი არსება სამყაროს უცხო განზომილებებში დაეძებს სულის სიმშვიდეს. იქნებ ამიტომ, ჯორჯია, რომელიც ნამდვილად არ არის ნარკომანი, ჰალუცინატორის აბსაც "გასინჯავს"...

რისთვის დასჭირდა მწერალს ჰალუცინატორის "საქმეში გაყვანა?" ალბათ, მოუხელთებლის მოსახელთებლად...

როგორც ძლიერი ღელვა აამღვრევს წყალს, ამოატრიალებს და ფსკერიდან ზედაპირზე ამოტყორცნის ყოველივეს, იქ დალექილს, ასევე აამღვრევს და ამოატრიალებს ჯორჯიას ცნობიერებას ჰალუცინატორი და მკითხველი ხედავს, რა განცდების, რა მოგონებების, რა იდეალების, რა ტკივილის მატარებელი ყოფილა გმირი, რას მალავდა და რაოდენს იტევდა მისი სული...

მაგრამ რა იყო ჯორჯიას ცნობიერების ფსკერზე? რა ფარულ ვნებათაღელვებს უბიძგა აბმა? უნდა ითქვას, რომ ეს მთლიანად სამოქალაქო ტიპის ვნებათაღელვებია და არა ინტიმური, პირადული. მოქალაქეობრივი ტიპისაა პირველივე იდეაფიქსებიც, რომელიც მას აბის "გასინჯვის" შემდეგ უჩნდება: ლონდონში რუსების ტანკებია შემოსული! კომენდანტის საათია გამოცხადებული! ხალხს კომენდანტის საათის დაწყებამდე ესვრიან!

9 აპრილის ეს კოშმარული მოგონებები ჰალუცინატორის მიღებისთანავე წინა პლანზე ექცევა. როგორც ჩანს, სწორედ ესაა ჯორჯიას სიცოცხლის ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრი მოგონება... შემდგომში მოვლენები ამ პირველივე იდეაფიქსთან სრულ შესაბამისობაში ვითარდება და აი, ჯორჯიას საიდუმლო სამხედრო დავალების შესრულების მოთხოვნით გენერალი იგორ როდიონოვი მოევლინება. დიახ, ჭეშმარიტად აუცილებელი ყოფილა ჰალუცინატორის "საქმეში გაყვანა", თორემ სრულ ჭკუაზე მყოფ, აკრეფილ-გაწონასწორებულ გმირს გულში რა ედო, ძნელად თუ შევიტყობდით... გენერალი როდიონოვი, თავისი გვარ-სახელ-ჩინ-მედლებით, თავისი ფორმა-შინაარსით ჯორჯიას სიცოცხლის მარადიულ კოშმარად ქცეულა. 9 აპრილის ამ "პაგონებიანი" რაინდის აჩრდილი, ვინმე სიგუტკინ-პეტრიკეევების და მისთანათა ავი ლანდები და მთლიანად, იმ დღეების სტრესი რვაფეხასავით მოსდებია ჯორჯიას ცნობიერებას და შეუბოჭავს იგი. მაგრამ რომ არა ის წყეული აბი, ჩვენ იქნებ ვერც გაგვეგო ეს. იქნებ თვით გმირსაც ვერ შეეტყო ვერასდროს, რა ღრმა ჭრილობა დარჩენია სულში.

აკა მორჩილაძის როდიონოვი, ალბათ, თვით იგორ როდიონოვზე უფრო როდიონოვულია და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მისი ცბიერი "დაკვეთა" კი, - ვითომდა, ქართველების გადასარჩენად რუსებისთვის სამსახურის გაწევა, თვითმკვლელობასაც კი გადააწყვეტინებს ჯორჯიას. მაგრამ არსებობს ამქვეყნად "იმედის პენსიანი", "ღვთაებრივი იმედის პენსიანი", გადარჩენის და ნათლის იმედი... და აი, სიტუაციიდან უკეთესი გამოსავლის აღმო-

საჩენად ჯორჯია და სემი, მისი ნახევრად ანგელოზი თანამგზავრი, საიქიო-სააქაოს, რეალობისა და ფანტაზიის ლაბირინთებში დაჰქრიან. მთელი გარემო თავისი გმირებით, სიტუაციებით, განცდებით და ასოციაციებით ჯორჯიას აღგზნებული დევნის მეტამორფოზული ხილვებია და ამ ხილვების ქაოსში მწერალი შესანიშნავად ძერწავს გმირს და მის ტკივილს.

ეტაპობრივად იჩენს თავს ჯორჯიას სულის მთავარი და მეორეხარისხოვანი ტკივილები, მთავარი და მეორეხარისხოვანი სტრესები. პირველად, ახლად პირშეკრულ ჭრილობასავით გადაიხსნება 9 აპრილის ტკივილი და როგორც ხდება საერთოდ ძლიერი ფსიქოლოგიური შოკის დროს, ჯორჯია უცხოეთში ქართულად იწყებს საუბარს... "არმზში" იგი ქართულად უწყებს საუბარს ბარმენ ტიმოთის. შემდეგ უკვე ინგლისურად ცდილობს აუხსნას მას სიგუტკინ-როდიონოვების, ტანკების, კომენდანტის საათის საშიშროება. მაგრამ, აბა, რა იცის არხეინმა ინგლისელმა, რა არის "კომენდანტის საათი?" ეს მისთვის "უცხო ხილია", ღიმილისმომგვრელი სისულელე. ბოდვა... დაე მწერალი ამ ეპიზოდში და სხვაგანაც მრავალგან ფაქიზად, ნაღვლიანი იუმორით მიგვანიშნებს იმ სავალალო დისტანციაზე, რომელიც მის სამშობლოს, მის ხალხს დაწყობილ-დალაგებული სამყაროსგან აშორებს.

9 აპრილის იდეა ჯორჯიას აფორიაქებულ გონებაში ეროვნული მოძრაობის აღზევების ლამაზი და მღელვარე პერიოდის მოგონებებს წამოშლის... საიდანღაც, მიმცხრალ ემოციათა სიღრმიდან ამოტივტივდება სახეები იმ ეიფორიული ჟამისა, როდესაც ცეკას, კომკავშირის მდივანთა და პარტკომთა მზე ჩაესვენა; როდესაც წამლეკავ ტალღად მოვარდა ეროვნული თავისუფლების წყურვილი.

მაინც რა იყო, რა ყოვლისმომცველი ნიაღვარი იყო ის მამულიშვილური ვნებანი?

და ჯორჯია შენთვის, ჩემთვის თუ საკუთარი თავისთვის ასე ხსნის ყოველივეს: "... რა უცნაური იყო. რაღაც განუხორციელებელ სიყვარულს ჰგავდა. იცი, როგორ, აი FIESTA-ში როგორცაა. ჩვენ მშვენიერი წყვილი ვიქნებოდითო, რომ ეუბნება და კიო, ეს ერთადერთი სანუგეშო რამ არის ჩვენს ამბავშიო. დაახლოებით ეგრე, ჩვენ და ჯორჯია. ჩარლი ჩაპლინს რომ უყვარს ჯორჯია, ოქროს ციებ-ცხელებაში, უიმედოდ რომ უყვარს. ყველაფერი რომ ეგრე იყოს, ოღონდ ჰეფი ენდის გარეშე. არ შედგა, არ გამოვიდა ჩვენი და ჯორჯიას სიყვარული. ბევრს კი ვცდილობდით, მაგრამ ჯორჯიას სხვანაირი უნდოდა. ჩვენ კი ვერ ვიყავით ეს სხვანაირები. ჯორჯია სხვას ელოდა, სხვები მივედით. ჯორჯიას არ უნდოდა თან უფლისწული და თან მათხოვარი. ჯორჯიას უნდოდა ერთი ვინმე მოზომილ-გამოწყობილი ბუღალტერი და თურმე დიდად არ მოსწონდა სერენადებს რომ ვუმღეროდით. ბუღალტერი არ იქნებოდა და მაშინ ურჩხული მაინც უნდა ყოფილიყო, მოხითხითე ურჩხული, ოღონდ არავითარ შემთხვევაში მომღერალი, თან უფლისწული და თან მათხოვარი"...

როგორ მოგწონთ? აი, კიდევ ერთი უფაქიზესი მეტამორფოზა. აქ ხომ ჯორჯია უკვე საქართველოს ნიშნავს...

"ჩვენ და ჯორჯია". "ჩვენ" - იმ რომანტიკული ნაციონალიზმით ფრთაშესხმული უფლისწულ-მათხოვრები, ჩვენი ლამაზი სერენადებით, ჩვენი გმირული სულით და მოგვიანებით, ჩვენი მოღრუბლული ეჭვებით, რომ საჭირონი აღარ ვართ. რომ ჩვენისთანები არ უნდათ. რომ ჩვენი სერენადა ნამღერია...

აკა მორჩილაძის რომანის ეს ნაღვლიანი, ლამაზი და ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის მქონე პასაჟი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც საკუთარ თავს სათაურის "შენ"-ში მოიაზრებს.

გასაოცარი რემინისცენციები გრძელდება. და აი, სადღაც, ჰალიფაქსში, იაფფასიანი სასტუმროს უაბაზანო ნომერში მცხოვრებ ქართველ მოჭიდავეებთან შეხვედრის დროა. ეს ეპიზოდი მე ამ რომანის ერთ-ერთ ყველაზე გულისამაჩუყებელ ეპიზოდად მივიჩნიე. მართლაც, გულისამაჩვილებელი თავგამოდებით იცავს ჯორჯია უცხო მინებზე ფულის საშოვად მოხეტიალე თანამემამულეებს. სემი, იამაიკელი ზანგი, მისი მხსნელი ნახევრად ანგელოზი მეგობარი მყისვე უცხო, გარეშე და გადამთიელ ვინმედ იქცევა ამ თვალით პირველადნანახ ქართველებთან შედარებით. ჯორჯიამ კარგად იცის, რა ხდება მათ თავს, რა გამოუვლიათ, რას გაურბიან, რას დაეძებენ... იცის ეს ალალი "დანგლა" ქართველები რად უნთებენ ცეცხლში მუხლზე ნამტვრევ სკამებს, რატომ სვამენ ღვინოს ერთი საზიარო იოგურტის ქილიდან, რატომ ხარშავენ ხაშლამას უნიტაზის ბაკში, რატომ დაეხეტებიან ამ ცხრამთასიქითში... ჯორჯიამ იცის მათი ტკივილის ამბავი და სემს არათუ მათი დაცინვის, არამედ უბრალოდ, განცვიფრების გამოხატვის უფლებასაც კი არ აძლევს. ის ჭეშმარიტად რაინდულად უერთგულებს თავის დაბეჩავებულ თანამოძმეებს და სემისგან ასეთ შეფასებას მოისმენს: "ოღონდ შენიანი გაამართლო და ყველაფერს გაწირავ..." და თავად, თავისიანების ნახვისგან გრძნობებმორეულს კი აღმოხდება: " - მაპატიე, სემ, მენატრება"...

მაგრამ შენიანიცაა და შენიანიც... ისეთი შენიანებიც დაიარებიან უცხო ტერიტორიებზე, მხილველ-მოწმეები რომ არ ეპიტნავებათ. ეს სხვა "ფენითი კატეგორიაა"... ქვე-გაჭირვებულ მოჭიდავეთა და მათდაგვართაგან განსხვავებული ზედალხინებული კატეგორია. ასეთთან შეხვედრას ჯერ კიდევ საღი გონებით, ჰალუცინატორამდე აღწერს ჩვენი გმირი. ასეთ თანამემამულეს გადააწყდნენ იგი და აფხაზი იაზონი მდიდრული მაღაზიის, "ჰალიფაქსის" კართან. "ერთგულ "ჰაროდსის" კართან ვდგავართ ბოლო მათხოვრებივით და იქიდან ცნობილი ქართველი მოღვაწე არ გამოდის ოთხი დიდი ჩანთით? ტაქსი უნდა, ქუჩას გასცქერის მღელვარედ და "ჰაროდსი" ის კი არ არის? ბეისბოლის კეპკა ღირს 79, 99 ფუნტი. გასცქერის და მოგვკრა თვალი.

მე ხომ შორიდანვე ვიცანი, მაგრამ მისთვის ყველაზე ცუდი ის არის, რომ მიხვდა - შორიახლოს ქართველი დგას და ეს ის ქართველი არ არის, მას რომ აწყობს. გაუტყდა. სადღაც იქით წავიდა"...

არ უნდა დავივიწყოთ ჰალუცინატორი და მისი აღმავალი ზემოქმედება. ეს აღმავლობა რომანში ერთი წამითაც არაა უგულებელყოფილი. რემინისცენციები სულ უფრო უჩვეულო და დაუჯერებელი ხდება. ემოციები მატულობს. ვინ და რა აღარ აღირევა ერთმანეთში. მკვდარი და ცოცხალი, სული და სხეული, წარსული და აწმყო, კეთილი და ბოროტი... ჯორჯიას ემოციები, იდეალები, მისი ერუდიცია, ხასიათი, გამოცდილება, - ყველაფერი ასოციაციათა ერთ უცნაურ, აჭრილ მთლიანობას ქმნის. ყველაფერი, რასაც კი ოდესმე ძლიერი შთაბეჭდილება (+ თუ -) მოუხდენია ჩვენს საბრალო გმირზე, ვულკანურ ლავასავით ამოხეთქავს მისი ცნობიერებიდან. ისევ უნდა აღვნიშნო, რომ ეს ლავა მთლიანად მოქალაქეობრივი კონსისტენციისაა და მისი ინგრედიენტებია: მწვავე ნოსტალგია, ძვალ-რბილში გამჯდარი პატრიოტიზმი, დისიდენტური და პოსტდისიდენტური მოგონებები, მოქალაქეობრივი პოზიციები და ა.შ.

"თქვენ გინახავთ დელისი დილაადრიან?" - გვეკითხება ჯორჯია. დიახ. ჩვენ გვინახავს დელისი დილაადრიან... ეს ხომ ჩვენი რომანია. ჩვენც, - გვინახავს ასეთი დელისი 1993 წელს... ცოტა მანამდეც... ცოტა მერეც... სადაც "ჩაფუთნული, ტანჯული ბებოები წყევლით ტვირთავდნენ პურს თავიანთ დიდ ყუთებში... მაღაზიების გისოსებთან თავპირდასიებული ლოთები ფუსფუსებდნენ... ქარი დააფრიალებს "ელემის" ბლოკების ნახევებს... წამოუბერავს ქარი და გამოდის, რომ ამ ქალაქში ხოხბები კი არა, ქაღალდები დაფრინავს... აი, გოგოები მდგარან. ბანანი უჭამიათ. რძის მაღაზიიდან საშინელი სუნი გამოდის. მოდიან და მოდიან. ვყიდი დოლარს. აქ ხომ ბირჟაა... ვიყიდი დოლარს. დგანან და ბუტბუტებენ, ვიყიდი, გავყიდი, ვიყიდი, გავყიდი..."

რეკეტერებიც ხომ გვინახავს? გვინახავს. ჯორჯიასაც უნახავს, "ყოვლად გათახსირებული BMW"-დან გადმომხტარი ორი რეკეტერი... ვიღაც "აფრიკა, შაქარლამის საძმოდან..." ნება-ნება რომ შეუძლია ცემაში მიგასიკვდილოს...

ვერაფერს იტყვი. საამო მოგონებებია, მაგრამ შენია და რას უზამ? სად დამალავ?

ღირდა კი 90-იანი წლების დელისური სიტუაციების მოგონება ამდენი ხნის შემდეგ და თან სად? როგორ მძაფრ შუათავგადასავალში? არის კი ეს "დელისური ხილვები" ამდენად ღირსშესანიშნავი?

მინდა ვთქვა, რომ აკა მორჩილაძეს ხელეწიფება მეორეხარისხოვნით პირველხარისხოვნის თქმა. ნაგვიანები განწყობილებებით პირვანდელის აღდგენა. ნიუანსების მთავარის მოხაზვა. იგი არ წერს ომზე, მაგრამ გარესიუჟეტებით, გარეგანწყობილებებით ომს დაგვანახებს. ეს ჩრდილების თეატრს ჰგავს და კიდევ "ასოციაციებით თამაშს". აკა მორჩილაძე არასდროს გახვევს თავს ამა თუ იმ მოვლენის თავისუფალ ხედვას, მაგრამ უფაქიზესი და ურთულესი შემოვლითი გზებით უთუოდ დაგანახებს მას...

გრძელდება ჰალუცინატორის ზემოქმედება და ჯორჯიას ცნობიერი თუ ქვეცნობიერი სააშკარაოზე გამოეფინება (უნდა აღვნიშნო, რომ მწერალს ქვეცნობიერი უფრო აინტერესებდა და ჰალუცინატორიც ამისთვის დასჭირდა). იკვეთება ერთი მთავარი: ჯორჯიას არსებაში ვერასდროს დაიბუდებს "ხანჯლიანი კაცი"... მისგან ვერ დადგება "მშიგნავი ჯეკი"... მას არ მიუღია მემკვიდრეობით "საყოველთაოსახალხო ბიძისგან" (სტალინი) სისხლისღვრით დაინტერესება...

"და ჩვენ გავსწიეთ. ღამის ყვითელი ნისლით დამძიმებულ ლონდონის ცაში. უფლისციხესთან, სისხლისფერი...

- არ გინდა სისხლი! - კიოდა სემი, - ნუ ფიქრობ სისხლზე! ყველაფერი უფრო რთულია, ვიდრე სისხლი...

და მოვფრინავდით.

მაგრამ ჯორჯიას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, თბილისში ჰყოლია "ძლიერი და დაუნდობელი" მფარველი ძმაკაცები. ფაკუნდო კიროგასნაირები... მათ ძალასა და ავტორიტეტს შეფარებულ ჯორჯიას ცოტა თავისუფლება და ბევრი სიმშვიდეც ჰქონია - და როგორც მერეღა მიხვდა, თან უყვარდა ისინი და თან არ უყვარდა. ლონდონში კი აღმოაჩინა, რომ გვარიანად გადარჩა და კიდევ კარგი ადამიანია... "არა კაც კლა"-ს მოტივი, სულის გადარჩენის თემა არაერთგან იკვეთება ნაწარმოებში და ალბათ, "იმედის პენსიანიც" ამგვარი გადარჩენის იმედზე მიგვანიშნებს.

აპოკალიპსი კი ახლოვდება. ანუ ვულკანის საბოლოო ამოხეთქვა. ანუ "იაზონის ნაჩუქარი სიკვდილი"... ანუ ჰალუცინაციური აგონია.

ნაწარმოები სივრცეში და დროში უფრო იფართოებს საზღვრებს... არგენტინის პამპასები და ფაკუნდო კიროგას "კოსტუმიანებთან" დაპირისპირება, ყველგანმყოფი "კოსტუმიანი" მარქსი და 1888 წელს "მშიგნავი ჯეკის" გახმაურებული მკვლელობები... ბიძია ბერტის (ნაცისტი ოტო სკორტენის) აფეთქება, მისის მანტლიპის ჯადოქრობები... პერსონაჟთა უზარმაზარი გალერეა და ხილვები ხილვებში...

მთელს არსებაში გამჯდარი ფრაზები ხშირად ფიგურირებს რომანის კრიტიკულ სიტუაციებში. ასე, მაგალითად: "ნაკაშიძე, სვეშჩამი!" - ამ სიტყვებით უსხლტება ჯორჯია ხელიდან სიზმრებში დამდგარ სიკვდილს.

და აი, დგება აგონიის ჟამიც. თითქოს ძლიერი ქარბორბალა დაატრიალებს მოგონებათა და შეგრძნებათა უზარმაზარ გროვას. თითქოს, სტიქიად მოვარდნილი წყალი გადარეცხავს, გაიტაცებს ყოველივეს და ერთ დამანგრეველ ნიაღვრად მიაქანებს. მაგრამ მთელ ამ "მეორედ მოსვლაში" ჩვენი გმირი არათუ იკარგება, პირიქით, - საბოლოოდ იკვეთება.

ჯორჯიას ბინის ცალი კედელი მთლიანად ჩამოინგრევა და გასაოცარი სანახაობა იშლება... ანუ, გმირის ცნობიერება საბოლოოდ გადაიხსნება და იგი გარეშე მაყურებელივით ჭვრეტს საკუთარ სულში დამარხულ კადრებს, - ნანახს თუ წარმოსახვითს.

აი, საპირველმაისო, სადემონსტრაციო პათოსს მოუცავს ქალაქი, რომელიც უამრავ ნიშანთა მიხედვით თბილისია... "ატნაშენიების" ქალაქი... ქალაქი ტელეფონ-რესტორანის... ქალაქი ხან ცრუ პათოსის, ხან უაზრო ომის, ხან "ვიღაცოვიჩების", ხან პოეტების, ხან "ფირმა-ფირმა" ბიჭების, ხან მეძავების, ხან სამართლის, ხან უსამართლობის.

აი, დოლარების წვიმა წვიმს... აი, მოკირწყლულ ქუჩებში დოლარების ნიაღვრები... აი, "გამოცვივდნენ დიდი სახლების სადარბაზო კართან სხვადასხვაგვარი ატნაშენია-ბიძიები სულ ნაირ-ნაირად მოსულნი, და გაქანდნენ ჩიპების ნიაღვრებისკენ, დაღმართებში რომ ჩამოჰგავდნენ იმერულ ღელეებს. გზადაგზა უცვიოდათ რევოლვერები, ბლოკნოტები, კრიალოსნები, მობილურები, მალბოროს კოლოფები, ოქროს საათები, მზის სათვალეები, ექვსასიან მერსედესთა გასაღებები... მაგრამ როდი ბრუნდებოდნენ მათ წამოსაკრებად, არამედ უკანმოუხედავად მირბოდნენ ჩიპის ღელეებისკენ და ხტებოდნენ შიგ... სადა ნაღდება ეს ჩიპებიო, ამოიხრიალა ვიღაცამ... დაცურავდნენ ამ ჩიპილეებში, პირაღმა ტივტივებდნენ შიგა, თვალგახელილნი და ნეტარნი, დგაფუნობდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს, ბედნიერნი და ხრინწიანნი, არასდროს ამოყვინთავდნენ ამ ბედნიერებიდან...

მე კი ვიდექი ჩემს გამონგრეულ კედელთან და მეშინოდა მათი..." - აღიარებს ჯორჯია.

"... ბიძიებს თანდათან იერი ეცვლებოდათ და დინოზავრებს ემსგავსებოდნენ. ეტყობოდა, ჩიპთა მდინარეებში მოლაღე ბიძიები თავადაც გრძნობდნენ ამ მოულოდნელ ცვალებადობას, ერთმანეთს ათვალიერებდნენ და სინჯავდნენ ხელებით, შენა ხარ თენგიზ, თუ შენა ხარ, თამაზ, თუ შენა ხარ, რობერტ, ან კიდევ, ავთუშ, ნოდარ და გურამო? ვიფიქრე, ეს უთუოდ თბილისი უნდა იყოს-მეთქი და ცრემლი მომადგა თვალზე, რადგანაც მივხვდი, რომ ჩემთა, საკუთართა გადინოზავრებას ვუცქეროდი..."

მეც, მეც მომადგა თვალზე ცრემლი ამ სტრიქონების კითხვისას და "ჩემთა, საკუთართა" ბედზე ფიქრმაც წამიღო... მაგრამ ფიქრის დრო სადაა! აგერ, ის კაცი მოკლეს, ცალულვაშმოპარსული. მიტინგებზე რომ დაძვრებოდა და ტომრით სამმანეთიანებს აგროვებდა: "შეეწიეთ ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობასო" და შინ რომ წაიღო მერე ის ტომარა... მოკლეს ის კაცი, ყუმბარა შეუფრინდა სახლში. ტანი სადღაც გაქრა, ხელი კი

გაგრძელება E10 გვერდზე

ვისი თავგადასავალია აკა მორჩილაძის "შენი თავგადასავალი"?

ᲔᲒ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ისევ ტომარას ბღუჯავს, ფულით სავსე ტომარას და რომ ვერ ააგლიჯეს, "ტომარაჩაბღუჯული ხელის გასვენებაც გადაწყვიტეს".

ქალაქის მთავარ მოედანზე ათი-თორმეტი მანქანა შემოგრიალდა. "იმ მანქანებიდან ჯეელები გადმოცვივდნენ და... ცეკვა-თამაში გააჩაღეს. კარგა მოვლილი ჯეელები ჩანდნენ და ზოგიერთი ელვის პრესლის ჰგავდა, ზოგიერთი - ჯონი დეპს, დანარჩენები კი ცდილობდნენ, კინუ რივზის იერისა ყოფილიყვნენ..." ჯეელებს მეძავ-პუტანკათა მოძრავ მექანიზირებული აბანოები (ალბათ, "საუნები") შეუერთდა... აგონიური მხიარულება სტიქიურ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის მიზეზი კი ის იყო, რომ ერთი ჯეელი იჩემებდა ჩემი "ფერარის" დლინები საუკეთესოაო და მეორე კი წინ აღუდგა, ჩემი ლენდკრუიზერის დლინები სჯობსო...

ჰალუცინატორის ზეგავლენა და შესაბამისად, ჯორჯიას ხილვები აპოგეას აღწევს. საშინელი ქაოსი, არეულობა, ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა-ფეთქება, ჩაკირული იდეები, სახეები, განცდები, - ეს ყველაფერი თანდათან უახლოვდება ჩვენი გმირის პაწია გამოქვაბულად ქცეულ ნასახლარს... მოედება იქაურობას და განწირულად იხვეწება: "დამანებეთ, თავი და-მა-ნე-ბეთ! დამიტოვეთ ერთი პატარა გამონგრეული, ჩემი ტკბილი, გამონგრეული ოთახი, ადგილი, სადაც სისუფთავე და სინათლეა..."

რასაკვირველია, ეს მუდარა ნიშნავს უზარმაზარ, უძლიერეს სურვილს იმისა, რომ მთელი ეს კოშმარად ქცეული ასოციაციები და მოგონებები გაქრეს, წაიშალოს მისი სულიდან, რომელიც თავისი არსით სუფთა და ნათელია.

სურვილი სურვილად და უტოპიად რჩება. დამქანცველი, მტანჯველი ხილვები კი ჰალუცინატორის მოქმედების შეწყვეტასთან ერთად სრულდება და სიცოცხლე გრძელდება. ალბათ, შემთხვევითობა არაა, რომ მთელი ეს სულიერი "ჯვარცმა" ჯორჯიამ სწორედ 33 წლის ასაკში გამოიარა... სიცოცხლე ისევ ისე, დუნე-ჩვეულებრივად გაგრძელდა.

ცხოვრობს ლონდონში, ბერძნული ეკლესიის შორიახლოს ქართველი ახალგაზრდა კაცი, პეტრე ჯაფარიძე... მუშაობს ტურისტულ ფირმაში "კულოსოფ ენდ სან", ჰყავს "რეფიუჯი" ძმაკაცები - ზურა და იაზონი. სწავლობს კონფლიქტოლოგიას და არაფერს აშავებს... არაფერს აშავებს. მხოლოდ, ზოგჯერ ძალიან უნდა თბილისში და ინგლისელები რომ ინგლისურს მღერიან, ის "ჩემო კარგო ქვეყანავო..." დასძახის... ესაა და ეს.

და რომანის ბოლოს, homo-patriotes-ობით დაღლილი (თუმცა, თვითონ იქნებ არც იცის, რომ ასეთია), გაბედავს და სიყვარულის ძებნას წამოიწყებს...

აკა მორჩილაძის პროზასთან დაკავშირებით ხშირად მიფიქრია, რა უფროა იგი: რეალისტური რომანტიზმი თუ რომანტიკული რეალიზმი? ალბათ, უფრო ეს უკანასკნელი. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურივით დამაჯერებელია, უბრალოდ რეალიზმი იგი ჩემთვის მაინც არ არის. ეპოქაში, როდესაც ხელოვნებაში სილამაზის მახინჯი ხედვით ხედვის ტენდენციები შეინიშნება, აკა მორჩილაძე სიმახინჯესაც კი ლამაზი, რომანტიკული ხედვით ხედავს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი სიმახინჯეს ალამაზებს. არა. იგი აღწერს, ამხელს მას შეულამაზებლად, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ხედვა ჰუმანური, რაინდული და ლამაზი აქვს, მის პროზაში არ ჟღერს გაბოროტებული ნოტები, ბოღმიანი ტონი.

და ეს არ არის თავისდამზღვევი მწერლური "ნეიტრალიტეტი". ეს არის ილიასეული სიყვარულით და სინანულით მხილების მანერა, რომელიც განგვაიარაღებს ზიზღისგან, ბოღმისგან, შეგვაიარაღებს სიყვარულით, სიბრალულით, მართალი თვალით და ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიარებს.

2003 წ., თებერვალი

ᲞᲠᲝᲖᲐ

შეჯამება

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

I

მამა დავითი დერეფანში მიდის. დერეფანი გრძელია და ვიწრო. სიგრძეს ხედავს, სივიწროვეს გრძნობს მამა დავითი. ნელა მოძრაობს. ტაატით ჩერდება დროდადრო, საჩვენებელი თითით სათვალეს ისწორებს, თვალებთან მიაქვს ახლოს. დერეფანი ცუდადაა განათებული. ციცქნა ნათურები ბჟუტავენ ალაგ-ალაგ. მამა დავითი ერთ, მეორე, მესამე კარს აკვირდება. ყველა კარი დანომრილია. მამა დავითი ოცდამეთექვსმეტე კარს ეძებს. ჯერჯერობით უშედეგოდ. ოთახებიდან ისმის: ჩურჩული, ფუსფუსი, ხველა და სიცოცხლის სხვა ხმები.

მამა დავითი ამოისუნთქავს ღრმად, ოხვრაში გადაუვა სუნთქვა: (ამ ჟღურტულა ტელეფონის გამოა, რომ სულ ავირიე ეს მოხუცებული კაცი. რეკავენ: მამაო. მობრძანდით და გვაკურთხენ. რეკავენ: მამაო, მობრძანდით და მომაკვდავი აზიარეთ, რეკავენ: მამაო, მობრძანდით და წესი აუგეთ მიცვალებულს. მისამართები, მისამართები. ბევრი მისამართი მაქვს. აღარავის უნდა ეკლესიაში მოსვლა. ბედნიერ წყვილს. ჭირისუფალს. აღარავის. ცხოვრება რა თქმა უნდა რთულია. ადამიანები ცდილობენ გაამარტივონ, გაიოლონ ცხოვრება. მაგრამ ღმერთთან მიმყვანი გზა ძველებურად სადაა და ვერ გამარტივდება, ვერ გაიოლდება. ვიღას ვესაუბრო ასეთ საკითხებზე. მამა არჩილი გარდაიცვალა. ჩემი ერთადერთი, ნაღდი თანამოსაუბრე. მე ვივლი, ვაკურთხებ, ვაზიარებ, წესს ავუგებ. სანამ შევძლებ, ვივლი. რა იქნება ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ? ტელეფონით ზიარება, ტელეფონით წესის აგება, ტელეფონით დალოცვა. "მამაო ვერ მოვითმინე და ამ გაგანია მარხვისას ტორტი ვჭამე. მაპატიეთ რა, მამაო, მაპატიეთ რა, ჩემო მამაო". "მიპატიებია და დამილოცნიხარ შვილო". "ვაუ, გმადლობთ და გკოცნით". ტუ-ტუ, ტუ-ტუ, ტუ-ტუ. საბრალო. ჩერჩეტი ადამიანები ჯოჯოხეთსაც აღარ იმსახურებენ. უბრალოდ უნდა გავქრეთ, გავქრეთ, უბრალოდ უნდა გავქრეთ.) ფიქრობს, აქეთ-იქით იხედება მამა დავითი. იქნებ სჯობია რომელიმე კარზე მიკაკუნება: "ოცდამეთექვსმეტე კარს ვეძებ ბატონო, ქალბატონო". მამა დავითი მისაკაკუნებელ კარს არჩევს. ფრთხილობს. ჭრელია ხალხი. მამა დავითის ზურგსუკან კარი გაჭრიალდება, ტრიალდება მამა დავითი. სამთვლიან ველოსიპედზე მჯდომ ბავშვს დაინახავს. ვერ გაარკვევს, ბიჭია თუ გოგო. ცეროდენობაში ხომ შორიდან ერთმანეთს გვანან ბიჭები და გოგოები. ბავშვი მამა დავითისკენ წავა, დინჯად მიყავს ველოსიპედი. მამა დავითი ბავშვს აკვირდება - ბიჭია. ვარიანტებს ფიქრობს, იგონებს მამა დავითი, როგორ კითხოს, როგორ გააგებინოს ბიჭს:

- შენ მღვდელი ხარ? - ბიჭი თვალებში უყურებს მამა დავითს.

II

წევს. ზურგით წევს. ზურგი ტკივა. თვალები აქვს დახუჭული. დახუჭულ თვალებში ეტევა ცხოვრება: (ორი წელია გადიდებული ფოტოა მამა, ორი წელია ერთი და იგივე ჰალსტუხი უკეთია მამას. ერთი და იგივე პიჯაკი აცვია ორი წელია. ჰალსტუხი. პიჯაკი. ორი წელია მამაზე ვწერ. ორი წელია შუქანთებულ ოთახებში გვძინავს. შუქს ყოველთვის მამა აქრობდა სახლში. ოთახები. შუქი.

ვიღვიძებ. ხახაგამომშრალი, თავატკიებული, ანთხლეული ვარ. სამზარეულოში გავდივარ. ქვაბებს ვამოწმებ. პიურე, ლობიო. ცივია ორივე. ამოვისუნთქავ. გველეშაპად მაინც დავბადებულიყავი, ორთქლის მაგივრად ცეცხლს ამოვუშვებდი პირიდან. უცებ შევათბობდი საჭმელს და სხვა ბევრ კარგ საქმესაც გავაკეთებდი. მიმიწვევდნენ რომელიმე რეიტინგიან გადაცემაში. "ქალბატონებო და ბატონებო, თქვენს წინაშეა გველეშაპი!" იტყოდა წამყვანი, რიგიანი ძუძუ-მკერდის პატრონი. ვისაც სიარულისას 10-ბალიანი ძუძუთაძვრა სჭირს. მე პირს გავაღებდი. პირიდან ამოვიდოდა ცეცხლი და ის შეიხრუკებოდა. "მე მხოლოდ სალმის თქმა მინდოდა. მისალმება". ვეცდებოდი თავის მართლებას, მაგრამ სიტყვების მაგიერ კიდევ ცეცხლი ამომივიდოდა პირიდან და შეიხრუკებოდა კიდევ ბევრი. რა თქმა უნდა გამოჩნდებოდა ვინმე ამაყი ვაჟკაცი - წამყვანის მჩინჩლავი ან პოლიტიკური პარტიის ლიდერი და გამაგდებინებდა თავს...

გაბრიელ ფაცაცია (ბავშვობის ნახატი)

დედა დაბრუნდა დილის ბაზრიდან. დედაც გველეშაპი უნდა ყოფილიყო. გაიგებდა რა რო მომკლეს, დაიძრებოდა შურისსაძიებლად და გამოვიდოდა ანგლო-საქსური საგმირო ეპოს "ბეოვულფის" თანამედროვე ვარიანტი. "ახალი დროება და დედაშვილობა, ანუ პოსტმოდერნული ესქატოიქალოგია". დაიწერებოდა ასეთი ესსე, დაიწერებოდა რომანიც. "გველეშაპი მადათოვზე". და გაგრძელდებოდა ცხოვრება.

დედა დატვირთულია. პარკები უჭირავს. პარკებში ალბათ: ყველია, კარტოფილი, პურები. დედა პარკებს მაგიდაზე დებს. რამდენიმე წამი და დაიწყებს: რომ მე ვარ უმაქნისი. რომ არ მინდა ადამიანური ცხოვრება. ესე იგი: ვირივით მუშაობა. ჭიანჭველასავით გამრავლება. და ძვირფასი ცოლ-შვილის ალყაში

ძაღლური სიკვდილი. "მარტო მოთხრობებით ფონს ვერ გახვალ". "რომანებით, დე?" "ვერც რომანებით". "ბაკურ სულაკაური მასე არ ფიქრობს". "ეგ ვინ ოხერია". "გამომცემელია. ამბები უყვარს პროზაში". "ვინც გინდა ის იყოს და რაც გინდა ის უყვარდეს, შენ ნაღდი საქმე უნდა აკეთო". დედა შემომხედავს: "შენ ნუ გაქვს ეგეთი გამოხედვა, თითქოს შენნაირი გენიოსი მეორე არ იყოს ამ ქვეყანაზე. ვენაცვალე როსტომ ჩხეიძეს, ხომ დაგიწერა, რომ ის ხარ, ღმერთო გამახსენე..." "მე გაგახსენებ, პლაგიატორი, დედა". "ჰო და, კიდევ უარესი".

დედა პარკებს ათავისუფლებს, პურებს იღებს, კარტოფილებს იღებს, ყველს იღებს, ადგილს უჩენს. მოულოდნელად წყნარია დედა.

მე მაინც ვაფრთხილებ: "ანთხლეული ვარ, შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს, გაიგე?" "არც გელაპარაკები. იარე, იყიალე, სვი ყოველდღე. ეძახეთ გენიოსები ერთმანეთს შენ და შენმა ძმაკაცებმა და იყავით. ბოლოს შეგძულდებათ ერთმანეთი". "მეც ეგ მინდა დედიკო". ყველის ქერცლები აყრია დედას ხელებზე, ჭაღარა ჭორფლივით. "მეც ეგ მინდა".

III

- შენ მღვდელი ხარ? - ბიჭი თვალებში უყურებს მამა დავითს.

- კი, - მამა დავითი თავზე ეფერება ბიჭს - მე, მე მომაკვდავს ვეძებ.

- წამო. - ამბობს ბიჭი.

მამა დავითი ბიჭს მიჰყვება. (ბავშვებმა ყველაფერი იციან, ბავშვებს არ ეშინიათ ცოდნის. "ასი თვალი აქვთ და ასი ყური ასხიათ მაგათ". ბაბუაჩემი ამბობდა ასე, ნამდვილი გლეხკაცი, ვისთვისაც ღმერთი დროულად მოსული წვიმა იყო და დროულად ამოსული მზე. ვინც დუდუნებდა სისხამდილით: "იფრიალე, შეხტი, შეკრთი, შეიკუმშე. გაფართოვდი. ოღონდ ნუ გაჩერდები, ნუ გაჩერდები, ნუ გაჩერდები", და ამ დუდღუნს ერქვა დილის ლოცვა გულისადმი. ბაბუას ღვიძლი ჩაეშალა. მუცელი გაებერა ორსული ქალივით და გარდაიცვალა. "შუადღის ლოცვა რომ ეთქვა ღვიძლისადმი. იქნებ, ჰა..." "მამაა შენი, რეებს როშავ". გაუწყრა დედა ქალაქიდან ჩამოსულ ბიძაჩემს. "მე საქმეში ვდგავარ, არ მცალია ასეთი რაღაცებისთვის". "წადი ბატონო". ხელი ჩაიქნია დედამ. "წავალ. წავალ". ბიძაჩემმა პიჯაკის ჯიბიდან თეთრი, ქათქათა კონვერტი ამოაძვრინა, მაგიდაზე დადო. "გეყოფათ ეს". მერე ბაბუას შუბლზე აკოცა და წავიდა. ერთ კვირაში დეპეშა მივიღეთ: "ძვირფასო დაო. ჩამოიყვანე ბიჭი ჩემთან. სახლში ცხელი წყალი შევიყვანე. იჭყუმპალავებს". მე ვიდექი. ჩემს უკან იყო კედელი. წინ კი, ბევრი, ბევრი ერთფეროვანი დღე.

- მოგწონს ჩემი ველოსიპედი? - ბიჭი თვალებში უყურებს მამა დავითს.

IV

ადრე თუ გვიან ყველა ჯანმრთელი გლეხი გახდება ავადმყოფი მეფე. სამი დღეა მეფეა. სამი დღეა ემსახურებიან, სამი დღეა დასტრიალებენ, უხარიათ მისი ამოსუნთქვა. წევს. თვალები დახუჭული აქვს. დახუჭულ თვალებში ეტევა ცხოვრება: (მაგიდაზე თეფშებია. თეფშებზე თევზია. პური, მწვანილი. სხვადასხვა ბალახ-ბულახი. პირისპირ სხედან. ის და მეგობარი, ვის სახელსაც ისევე ხშირად ამბობდა, როგორც სიტყვა - პურს და სიტყვა - წყალს. და ახლა ვერ იხსენებს. პირისპირ სხედან. თითოეული მეგობარი თითო, კონკრეტული თემაა. სიცოცხლე. სიკვდილი. ცრემლი. იუმორი. თითოეული მეგობარი თითო, კონკრეტული თემაა. პირისპირ სხედან ის და სიკვდილი. წვერს ატარებს მეგობარი, წაბლისფერ წვერს, ხშირად იფხანს. "სახლიდან გამოსული სახლზე აღარ ვფიქრობ, შეყვარებულთან პაემანის შემდეგ შეყვარებულზე აღარ ვფიქრობ, მეგობართან დროებითი დაცილების შემდეგ მეგობარზე აღარ ვფიქრობ. თავისუფალი დღეები მაქვს. კარგი დღეები მაქვს". ის მწვანილს მარილში ჩააწობს და წინა კბილებით გაახრამუნებს. "ღამე ვფიქრობ ამ ყველაფერზე. ღამე ვხედავ როგორ დატუსტუსებს ჩვენ, დიდ და ცარიელ სახლში დედა. როგორ ესაუბრება საკუთარ თავს. ჩვენი სახლივით დიდ და ცარიელ მონოლოგებს ამბობს დედა. ვხედავ შეყვარებულს. ვხედავ მეგობარს, ჩემს გარეშეც რო იცინიან და რო ტირიან და ცხოვრობენ ასე თუ ისე, კარგად თუ ცუდად". "რეებს მიაც-მოაცვამ". მეგობარი, ვის სახელსაც ეჰ, ეუბნება, წვერს იფხანს. "ჩემი წარსული მაქვს. დღეს მწერალი ვარ და მწერლობიდან გამომდინარე, წარსული უნდა მქონდეს. ხვალ შეიძლება მღვდელი გავხდე და სოფელი, წარმართი ბაბუა და ა.შ. იქნება ჩემი წარსული..." "სად გაქვს ბიჭო სოფელი ან წარმართი ბაბუა როდის გყავდა. დაუბერე შენ აი". "ხვალ მღვდელი რომ გავხდე, მექნება სოფელიც, მეყოლება წარმართი ბაბუაც, შენ ცხოვრება არ გესმის, შენ სიკვდილი ხარ, ზიხარ ოცდაოთხი საათი სახლში და კვდები თანდათან. ქრები, შარშანდელი თოვლი დაგერქმევა ოდესმე". "ერიჰაა, შენ ადამიანებს ყოველდღე ხედავ?" კვლავ წვერს მოიფხანს მეგობარი. ის კი, წამოდგება, ფანჯარასთან მივა. "ყოველდღე მხოლოდ სიზმარს ვხედავ". ფანჯარას დაორთქლავს და დანაორთქლზე საჩვენებელი თითით წერტილს დასვამს).

V

- მოგწონს ჩემი ველოსიპედი? - ბიჭი თვალებში უყურებს მამა დავითს.

- კი.

- გქონია შენ ასეთი?

- არა - მამა დავითი გაიღიმება - მე ურემი მქონდა, მეზობელ სოფელში მიმყავდა მომაკვდავები საზიარებლად, ჩვენი სოფლის ეკლესია წითლებმა დაანგრიეს. ზოგ მომაკვდავს თავი ჰქონდა ჩემკენ, ზოგს ფეხები. გზა იყო ვიწრო, ღრმულებიანი. გვაწვიმდა, გვათოვდა, მზე დაგვნათოდა. ვერც ერთი მომაკვდავი ვერ მივიყვანე ცოცხლად ეკლესიამდის. მათ აღსარებებს მე ვისმენდი. არც ერთხელ არ მოხდა სასწაული. არც ერთხელ...

- მოვედით - ბიჭი კართან აჩერებს ველოსიპედს.

ეპილოგი

კარზე კაკუნს გაიგონებს. წამოდგება, ფეხებში გაკვეტებულ კაბას გაისწორებს, კარს გააღებს:

- ოჰ, მამაო, მობრძანდით - ქალი ხელზე ეამბორება მამა დავითს. მამა დავითი და ბიჭი ოთახში შედიან. ქალი ლაპარაკობს: - როგორ შეწუხდით მამაო, ალბათ, ძალიან შეწუხდით, ალბათ, მამაო. ცუდადაა ჩემი შვილი მამაო. ფილტვების ანთება აქვს. მთვრალმა ქუჩაში დაიძინა და... ექიმმა თქვა გადარჩებაო. მეზობელმა ასაკოვანმა ქალმა, დაეჯერება, სიზმარი ნახა, გადარჩებაო. არც მე მეუბნება ცუდს გული. თვითონ აქვს აჩემებული "ვკვდები. ვკვდებიო". მღვდელს თხოულობს. თქვენ ნახეთ, გაესაუბრეთ მამაო, გამოჯანმრთელებული იფიქრებს, რომ თქვენმა მოსვლამ მამაო, რომ თქვენი მოსვლა, რომ თქვენი მოსვლით სასწაული მოხდა მამაო.

- სასწაულის ჩამდენმა კი ყოველთვის იცის სასწაულის არსი, ხომ? - მამა დავითი გაიღიმებს, - როგორ მივმართო, რა ჰქვია?

- დავითი.

- და ამ პატარა ბიჭს, ჩემი გზის გამკვლევს? - მამა დავითი ველოსიპედზე მჯდომ ბიჭს თავზე უსვამს ხელს - რა ჰქვია?

- დავითი.

მამა დავითი ოთახის კარს აღებს. ჯერ ბიჭი, შემდეგ მამა დავითი შედის ოთახში.

2003

კათედრა

რამაზ ჭილაია

ერთი დიდი მწერალი ბრძანებს, ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავსო. ალბათ ასეა. არქანჯელო ლამბერტის სახელობის უნივერსიტეტის პარაჰუმანიტარულ დისციპლინათა კვლევის კათედრაც სხვა უნივერსიტეტების ბევრ სხვა კათედრას ჰგავს. თუ შენი სამსახურებრივი გარემო არ გძულს და თუნდაც გძულდეს კიდეც, გარკვეულწილად, ისიც ოჯახია. ოჯახიც ხომ შეიძლება სძულდეს მავანსა და მავანს, ფლანსა თუ ფსტანს. იმასაც ამბობენ, შინ მომხდარს გარეთ ნუ გაიტანო. ალბათ, ესეც ასეა. მაგრამ ხმა თუ მაინც გავიდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქილიკოდ და ღვარძლის სანთხევად ხდება ყოველივე თუ სალბუნის შესარჩევად. მეორე არ უნდა იყოს საძრახისი. როდესაც შავს ნარინჯისფრად არ წარმოაჩენ, იმედი ისახება, ვინძლო ის დროც დადგეს, თეთრს - თეთრი რომ დაერქმევაო.

პარაჰუმანიტარულ დისციპლინათა კვლევის კათედრაზე ოთხშაბათი სხდომის დღეა. მაგიურ ძალას ოთხშაბათობები, განსაკუთრებით, ნოემბრის დასაწყისიდან იძენს, წლიური სამეცნიერო თემების კითხვა იწყება. ისე მიმსვლელ-მომსვლელი კათედრაზე ყოველთვისაა, მაგრამ ოთხშაბათი სხვა დატვირთვის მქონეა. ძალაუნებურად, ყველა წევრი ვალდებულად თვლის თავს, ამ დღეს მაინც შემოიაროს კათედრაზე.

სინამდვილეში, კათედრა ერთი დიდი, კვადრატული ფორმის ოთახია. ე.წ. სახაზინო ავეჯითა და ფანჯრის რაფებზე ასევე ტრადიციული სინათლისმოყვარული ყვავილნარით დამშვენებული. "დიდი ოთხშაბათის" დემოკრატიულ-პლურალისტური გარემო კათედრასთან არასამსახურებრივად დაკავშირებულ პიროვნებებისათვისაც არის ცნობილი. ეს ფაქტორი აპირობებს სწორედ კათედრის წევრთა თუ დაახლოებულ კოლეგათა, უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელთა, ზოგჯერ სრულებით უცხოთა, ზოგადჰუმანისტურ ეგზისტენციას. ეს დღეა ყველაზე მორგებული მრავალთაგან ბაგენაამბორებ, მომცრო ყავის ფინჯანში "ჩასახედად".

ყავის სმის რიტუალს, რომელსაც გულისფანცქალით ელოდება სხვა და სხვა ასაკის გამოცდილი თუ ჯერ კარგუნახავი მანდილოსანი, შინაურებს შორის ჟორად ხმობილი, უნივერსიტეტის დამლაგებელთუსტაბაში ქ-ნი გეორგინა აღასრულებს. ჟორას ანუ ქ-ნ გეორგინას ნამკითხავები შეიძლება დროში გაიწელოს, თორემ რომ ასრულდება, ეს არამარტო პარაჰუმანიტარულ დისციპლინათა კათედრაზე, არამედ მთელ უნივერსიტეტში იციან. ამადაცაა, რომ ზოგიერთი ზემგრძნობიარე ქალბატონი ვერც კი ბედავს მჩხიბაობის ფერხულში ჩართვას. ვაითუ ჟორამ რაიმე საფარსაგო ამოიკითხოსო ფინჯანში.

დღესაც ოთხშაბათია, წლიურ საკვალიფიკაციო თემათა წარდგენა-ჩაბარების ბოლო დღე. ამდენად, სხვათაგან უფრო დაძაბული. კათედრის გამგე, პროფ. იოლანტა, დაახლოებულთათვის ლანტა ხუსკივაძე, ჯერ არ მობრძანებულა. სხდომამდე ერთი საათია დარჩენილი. კათედრის წვივმაღალი ლაბორანტი თათია, საგულდაგულოდ ფქვავს ყავას, რაც ჟორას სტუმრობის მომასწავებელი ნიშანია. ზოგი რითაა დაკავებული, ზოგი რით, ფუსფუსია.

პრივეტ, გოგოებო! ნატურალური ბიჟუტერია მოვიტანე - ეს სვეტაა, ამ მიკროსამყაროში ასევე ჩახედული არცთუ იშვიათი სტუმარი. თქვენთვის უფრო იაფადაა, ფული ახლა თუ არ გაქვთ, ცოტა მოცდა შემიძლია, ხელფასამდე. ოღონდ, რასაც აიღებთ, უკან აღარ ვიბრუნებ.

- სვეტა, დღეს კათედრაა, - ოდნავი გაღიზიანებით მიმართავს მოსულს თათია. - პირველად ხომ არა ვარ აქ, ვიცი. ცუდ ხასიათზე ვარ, მამამთილის ორმოცი მქონდა. მაგრამ ისეთი სუფრა გავაკეთე, მთელი მეზობლები კმაყოფილები იყვნენ. ეს რუსეთის რუსები უჯიგროები არიან, კაცი რომ მოკვდება, დაასაფლავებენ და მორჩა. ახლა ცოტა ფული რომ ნახეს, ზოგი აკეთებს პამინკებს, მაგრამ ვოდკით ქელეხი ვის გაუგონია?

- ასეთი ტრადიციაა რუსეთში - აწყვეტინებს მონოლოგს თათია, ქორწილიც ხომ არყითაა. ქორწილი, ქორწილია. აბა ღვინოზე ხომ ვერ იტყვიან Горько. ისე, დურაკი აფრიკაშიც დურაკია და აქაც.

- ეგენი, ვისზეც ამბობ, იქ იყვნენ სადაც არიან, მე ფინჯანი გამიმზადეთ, ისეთ იშტაზე ვარ, სულ "მურაზები" უნდა ამოვიდეს დღეს გულის გახსნაზე. - კარებიდან იწყებს მონუსხვას ჟორა.

- ვაიმე, დეიდა ჟორა, პირველად მე ჩამიხედე რა, ხომ იცი როგორ გელოდები. თათიას მერე მე ვიქნები, პერლამუტროვი კლიპსებიც ჩემი საჩუქარი იყოს, თუ ყველაფერს სწორად მეტყვი, - კვლავინდებურად აქტიურობს სვეტა.

- სიტყვა სიტყვაა, ხომ იცი. მეორე შენა ხარ, მანამდე საჩუქარი გაამზადე, ჟორა რასაც

გაგრძელება E12 გვერდზე

კათედრა

E11 გვერდიდან

ამბობს ბეჭედია. მე ფულის გულისთვის არ ვიხედები ჭიქაში.

ფანჯარასთან კათედრის ქალთა საზოგადოების ნებიერი, ბატონი ზაზა ისმენს კოლეგის გულისწუხილს.

- ერთი კვირაა ვწვალობ, დადებითი რეცენზია მაქვს საკანდიდატო ნაშრომზე დასაწერი და ვერ ვახერხებ. ცნობილი ფოტომოდელია, ახლა ხარისხიც უნდა.

- თემო, რას იკლავ თავს, მიეცი უარყოფითი და მოათავე.

- საქმეც ისაა, ჩემო ზაზა, რომ ვერ ვაძლევ. პრორექტორია დაინტერესებული. საიდუმლოდ გამანდეს, ძალიან ახლოს იცნობსო დისერტანტს.

- აბა, "ნუ ფრთხიალებ ჩემო ჩიტო..." ჩააწიკწიკე ორი-ორგვერდნახევარი და დესერტაციაზე ერთი კარგად მოულხინე. ხომ გაგიგია, თუ გაუპატიურებენ - გაყუჩდი და შეიტკბე სიამოვნებაო.

- მაგის დესერტაცია და მაგის დედაც!

- დავიჯერო დედაც საამო "საპროშნავი" ჰყავს?

- 10-15 წლის წინ ტოლს არ დაუდებდა, ალბათ.

- მერე, რა სჯობია ამას, სახეობრივი აზროვნება ხომ იცი რა არის. აკრიფე გრადუსი, წარმოიდგინე 15 წლით ახალგაზრდა ხარ. ამდენივე წელი ჩამოაკელი პრორექტორის ვირტუალურ სიდედრს და დანარჩენი როგორც ამგვარ სიტუაციაში ხდება.

- უბედურება ისაა, რომ სწორი ხარ, მე უარყოფითიც რომ მივცე, ისეთი ძალებია ჩართული, დაცვა მაინც სულ ტაშ-ფანდურით ჩაივლის.

- კაცმა რომ თქვას, რაში სჭირდება ეს Ph.D. სად შოუ-ბიზნესი და სად თეორიული კვლევა.

- ცოდვა გამხელილი სჯობია და უნდა ვთქვა: დისერტანტს არც დაუმალავს ჩემთან საუბარში - სამეცნიერო კარიერა არ მხიბლავს, მე სხვა გეგმები მაქვსო. გარკვეულწილად, სიმპათიითაც კი განვიმსჭვალე მის მიმართ. მაგრამ ისიც მაგრძნობინა, გამზადებული ნაშრომი მომართვეს და ბარემ დავიცავო.

- ამ "ბარემ" გვიტირა, ჩემო თემო, სწორედ დედა, წერაკითხვა ვიცი და ბარემ დეპუტატიც გავხდებიო. დეპუტატი ვარ და ბარემ მინისტრობაც დამმშვენდებაო. მინისტრი ვარ და ბარემ ჩემს ჯალაბს ერთიორი მილიონით გავახარებო. პატარაა ჩვენი ქვეყანა და ეს "ბარემ" ყველას არ ჰყოფნის. თანაც, ეს დალოცვილები, სკამს რომ მოითბობენ, რაღაც ემართებათ, ყოვლისმცოდნენი ხდებიან. უმალ იჯერებენ სოლომონ ბრძენის ნაშიერობას. ნაბიჯი უმძიმდებათ, ტანში სრულდებიან, პირ-სახე ულაპლაპებთ. ოღონდ თვალს ვერ უხერხებენ ვერაფერს, გამოხედვა, როგორც ილია ბრძანებდა - ოყრაყული აქვთ მაინც.

- შენ ოყრაყული უძახე ზაზა და ორაგულ-კალმახ-ციმორს ეგენი არ იკლებენ სწორედ, მე კი ჩვენი მოლარის, ჯულიეტას დანახვა ნახევარ სანათესაოს მირჩევნია. ჯულიეტა და ხელფასი განუყრელი ცნებებია ჩემთვის, ადრე ლენინი და პარტია რომ იყო, ისე.

- ლენინი იქით იყოს, ამბობენ მინისტრი უნდა გვესტუმროსო.

- ახლაც საარყედ გამიზნული სააქციზო მარკებით დალუქავენ კათედრებისა და აუდიტორიების კარებს ნეტავ?

- არა, ეს პრეზიდენტის სტუმრობისას ხდება, მინისტრს სააქციზო მარკა არ სჭირდება, არც მოსაწვევი. უამისოდაც შეავსებენ შეხვედრათა დარბაზს სტუდენტებითა და მასწავლებლებით. დასახავენ სამეცნიერო-პედაგოგიური პროცესის ოპტიმიზაციას, ტრანსპარენტობისა, დასავლურ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია-ნოსტრიფიცირების სამომავლო გეგმებს და კრება ისევ მხიარული დარჩება.

- შემთხვევით, ხელფასამდე 40 ლარი ხომ არ გაქვს, რუსებს ძალიან კარგი წიგნი დაუსტამბავთ პოსტმოდერნიზმზე, სული მიმდის, სანამ შევიძენ.

- ლარებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია Держать пост. გნებავს პირდაპირი, გნებავს - გადატანითი მნიშვნელობით.

- სულ მაკვარანცხი აზრი როგორ გიტრიალებს თავში, გაქვს თუ არა?

- იუმორის გრძნობაც თუ მოგვისეკვესტრეს, მერე გინდა პოსტმოდერნი იძახე, გინდ პროსტ... ბოდიში, ეს თქვენ არ გეხებათ. დამშვიდდი, 40 ლარი არ მაქვს, მაგრამ ეს წიგნი მაქვს ორ ეგზემპლარად. მეც წამძლია სულმა და ვიყიდე, მერე კი მეგობარმა ჩამომიტანა მოსკოვიდან, ერთი შენი იყოს.

- ზაზა, ჩათვალე, რომ წიგნთან ერთად ის 40 ლარიც მაჩუქე.

- კარგი, თემო, მე და შენ თუ წიგნი დავამადლეთ ერთმანეთს, აღარ ყოფილა არაფერი.

კათედრაზე, ამ დროს, შუახნის, ყვითელპორტფელიანი მამაკაცი შემოდის და უმალ, იქაურობას მკვეთრი, მაგრამ საოცრად ეროვნული სურნელი ავსებს.

შემოსული მამაკაცი კუთხის საკანცელარიო მაგიდასთან შეთქმულებივით მიმსხდარ ჟორასა და შეჭარხლებულ თათიას უახლოვდება. პორტფელიდან კანაფით მონდომებით შეკრულ საშუალო ზომის პაკეტს იღებს, მაგიდაზე დებს და თვალში მოსულ ლაბორანტს მიმართავს - ეს ქალბატონ პროფესორს გადაეცი, ბექნუმ დატოვა-თქო. იმან იცის.

- იმან იცის და მეც ვიცი, - წიწმატდება მკითხაობის პროცესს მოწყვეტილი ჟორა. - ეგ სვანური მარილია, თაფლი არა გაქვს?

- ვერ წამოვიღე, - თავჩაქინდრული პასუხობს ბექნუ და ისევე უჩინარდება, როგორც გაჩნდა.

- კათედრის სხდომა ჯერ არ დაწყილა? აქოშინებული შემოდის ქალბატონი ლედი.

- ჯერე არა, - იმავე კილოთი პასუხობს ბატონი ზაზა.

ახლად მოსული ოდნავ მშვიდდება და განაგრძობს - მოვითქვამ აბა სულს, დღეს სადოქტოროს ერთი თავი გამომაქვს თქვენს სამსჯავროზე, წლიურ თემად...

- სხდომა ხომ არ დაგვეწყო? - დაუფარავი ირონიით კითხულობს ანაზდად შემოსული კათედრის გამგე.

- ვაიმე, ქალბატონო ლანტა, ისე შემობრძანდით, ვერც კი გავიგე, - საძილე ოთახში ღალატზე წასწრებულივით იბოდიშებს თათია და აქტიური ჟესტიკულაციით სვეტასა და ჟორას მიანიშნებს, დატოვეთ დისლოკაციის ადგილიო. ოთახში ფუსფუსია, ქალბატონი იოლანტა "საუფროსო" ადგილს იკავებს, დანარჩენი წევრებიც უსხდებიან მოგრძო მაგიდას.

ბატონებო, დღევანდელი დღის წესრიგით განსახილველი გვაქვს სულ 3 საკითხი, - უკვე ხმადამშვიდებული ბრძანებს კათედრის გამგე. ესაა ლექციასემინარებზე სტუდენტთა დასწრება, ქალბატონ ლედის საკვალიფიკაციო ნაშრომის მოსმენა და ერთი ინფორმაცია რექტორატიდან. თუ სხვა საკითხები არა გვაქვს, იქნებ ჩვენს კოლეგას მოვუსმინოთ.

- სწორია, მოვისმინოთ, - თანახმიანია კათედრა.

კოლეგებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ მიერ საკვლევად შერჩეულ თემაზე - ბიბლიური პარადიგმა "კენტავრ-შაქროს ვნებათა" მაგალითზე, მთელი ზაფხული თავაუღებლად ვიმუშავე. არც მურაბები მომიხარშავს, არც მატყლი ამიჩეჩავს, არც... ეს არაა საინტერესო. მოკლედ, ისე ჩამითრია მუშაობამ, რომ ვერაფრისთვის მოვიცალე.

- ქალბატონო ლედი, მთავარია, რომ ჩაგითრიათ მუშაობამ.

- ბატონო ზაზა, თქვენ ყველაზე მეტად გამიგებთ ამას, რა დიდი სულიერება მოაქვს კვლევით მოღვაწეობას. ხომ ასეა?

- ალბათ.

არ გაგიკვირდეთ, მაგრამ რამდენიმეჯერ წავიკითხე ტექსტი, თითქმის ზეპირად შევისწავლე და ბიბლიურ პარადიგმას "კენტავრ-შაქროს ვნებებში" ვერ წავაწყდი.

- ბიბლიის ტექსტი თუ ნახეთ, ქალბატონო ლედი, - არ ცხრება ბატონი ზაზა.

რა თქმა უნდა, ბიბლიის ტექსტიც ვნახე, სახარებაც ვნახე, აი, ყურანისათვის არ შემიდარებია, დრო არ მეყო.

- კარგი იქნებოდა, დრო რომ გყოფნოდათ.

სამაგიეროდ, ზაზა ბატონო, მწერლის ბადიშის მეშვეობით მოვახერხე ხელნაწერის შედარება ბოლო გამოცემასთან. აი, რა გაირკვა: ნაბეჭდი ტექსტი გაცილებით მცირეა ხელნაწერთან შედარებით. ნაწარმოების IV თავის დასათაურება ნაბეჭდ ტექსტში არ ემთხვევა ხელნაწერისას. ხელნაწერში ეს II თავია. ხელნაწერ ტექსტს აკლია როგორც წინათქმა, ასევე ეპილოგიცა და სარჩევიც. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საბოლოო ვარიანტმა საკმაო ცვლილებები განიცადა.

სიტყვას კათედრის გამგე ქალბატონი იოლანტა ხუსკივაძე იღებს, ალბათ, კანონზომიერი იქნება, ქალბატონ ლედის წლიური სამეცნიერო თემა შესრულებულად ჩავთვალოთ. არა მგონია ვინმე წინააღმდეგი იყოს. განსახილველი დაგვრჩა დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხიც. რექტორატი დაბეჯითებით გვთხოვს მორიგეობის დაწესებას. უფრო სწორად, ამ რატომღაც მივიწყებული, აპრობირებული პრაქტიკის აღდგენას.

- ქალბატონო იოლანტა! ის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მე, მეცნიერებათა კანდიდატი, ნოოსფერული აკადემიის აკადემიკოსი, გერონტი ცენტერაძე ვითვლები თქვენდამი რწმუნებული კათედრის გამგედ, არ მავალდებულებს წითელი სამკლავურით მორიგეობას. მე პროტესტს გამოვთქვამ. ეგებ პარტკომებიც აღვადგინოთ და კედლის გაზეთიც გამოვუშვათ.

- ტყუილად ცხარობთ, ბატონო გერონტი, პარტკომები სადღეისოდ არაა საჭირო. აი, გაზეთს რაც შეეხება, ეს სრულიად არ გახლავთ სახუმარო. თქვენდა უნებურად ძალზე საინტერესო იდეა მომაწოდეთ. დავწეროთ პროექტი ყოველთვიური არასამთავრობო გაზეთ-ბიულეტენის გამოცემის თაობაზე. ჩემი ასპირანტი, გვარს არ დავასახელებ, ცნობილი პარლამენტარის ქალიშვილი, გაწაფულია ამ საქმეში. მოვიპოვოთ გრანტი და შევავსოთ ჩვენი ორგანო კათედრის წევრთა შრომებით.

- ქალბატონო იოლანტა, იქნებ ორგანოში პარლამენტის წევრიც შეგვეყვანა.

- ბატონო ზადა, მე დიდად ვაფასებ თქვენს განათლებულობასა და იუმორს, მაგრამ ნება მომეცით შეგახსენოთ, ჩვენ კათედრის სხდომა გვაქვს.

- მახსოვს და ამიტომაც ვითხოვ ოქმით გავაფორმოთ, რომ ბ-ნ პარლამენტარის შეყვანა უფრო გაამაგრებს ჩვენს ორგანოს, საეჭვოს აქ ვერაფერს ვხედავ.

- კმარა, აზრი არ აქვს თქვენთან პაექრობას. ე.ი. გადავწყვიტეთ, მომავალი სხდომისათვის ყველა ჩვენგანი წარმოადგენს თავის წინადადებას ერთიანი, შეჯერებული პროექტის შექმნისათვის.

მომავალ ოთხშაბათამდე, კოლეგებო.

ფატია

ნამდვილი ამბავი

ირმა მალაქიძე

ასე იყო და ასე იქნება. . . რა არის ამაში უცნაური და დაუჯერებელი? ვიღაცამ წვერწათლილი ბატის ფრთით და მუქი ლილისფერი მელნით დაუწერა იღბალი, მიდი ახლა და ედავე – ასე რად დამიწერეო, მე უკეთესი მინდოდაო, თუ თოჯინა ბარბივით გრძელ ფეხებსა და დიდ მკერდს არ გამოიმეტებდი ჩემთვის, იმდენზე მაინც გარჯილიყავი, შე დალოცვილო, რომ ჩემით გადაადგილება შემძლებოდა და ამ ოხერ-ტიალ, რკინისბორბლებიან ეტლში არ ჩაგესვი ჩემი დღე და მოსწრებაო. "თუმცა ვის რას ვემართლები, თავო ჩემოო" – იმასაც გაივლებდა-ხოლმე გულში კუტი ფატია და მზის გულზე კნუტივით მოკუნტულ-მიფიცხებული მილულავდა უზარმაზარ ცისფერ თვალებს. სხვათა შორის, ეს ერთადერთი იყო, რაც ასე მოსწონდა საკუთარ თავში - ამოაძვრენდა ჯიბიდან "ტენების" კოლოფიდან ამოძრობილ პატარა სარკეს და საათობით ჩასცქეროდა საკუთარ თავს თვალებში. დიდი სარკე არ უყვარდა. ან რატომ უნდა ჰყვარებოდა? მე შენ გეტყვი, შეეკითხებოდა – მითხარი სარკევ, ვინ არის ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზიო? რა უნდა ეპასუხა, ხომ არ მოატყუებდა? არა, ღმერთმანი, არ ღირდა მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. ჰოდა იპოვა კიდეც გამოსავალი – არც სარკე წითლდებოდა სირცხვილით – ეს რა გამოსახულებას იტევს და იტანს ჩემი ზედაპირიო და არც ფატია – ასე მახინჯი რატომ გამაჩინა ღმერთმაო. იხედებოდა პატარა სარკეში, რომელშიც მხოლოდ მისი თვალები მოსჩანდა და ყველა კმაყოფილი იყო – სარკეც, ფატიაც და ღმერთიც. აი თვალები კი. . . თუნდაც წამწამების ტუშის რეკლამაში გადაგეღო. ჰო, მაღალპოლიგრაფიული ფერადი ჟურნალის გარეკანისთვის. დახედავდა ვინმე შავსათვალიანი, ჯინსებიანი და მკერდგადაღეღილი ჯეელი და ოხვრა აღმოხდებოდა – "ვახ ჩემი, რა თვალებიაო! " მერე ჟურნალის სარეკლამო განყოფილებას დაუკავშირდებოდა - "თქვენი ჭირიმე, ამ გოგოს კოორდინატები მომეცით და მე ვიცი თქვენი პატივისცემაო". მოახტებოდა თავის "მოკრი" ასფალტისფერ "ვოლვოს" და მიჯგრიალდებოდა ინვალიდთა პანსიონატში. ერთს კი იფიქრებდა, ამისთანა თვალების პატრონს აქ რა ესაქმება, ალბათ, ექიმად თუ მუშაობსო. აქ არ გავაჩერებ, წავიყვან, კერძო კლინიკას გავუხსნიო. პირდაპირ დირექტორის კაბინეტში ააჭრიდა, მაგიდაზე ჟურნალს დაუგდებდა - "ამას იცნობო? " დირექტორი მხრებს აიჩეჩავდა - "ასეთები აქ არ გვყავს, მგონი მისამართი შეგეშალათო". გაჯიუტდებოდა ჯეელი - "ვიდრე ჩემს პრინცესას არ ვიპოვი, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო" და დაიწყებდნენ ძებნას კონკიასავით. იმათ რა უჭირდათ, ნივთიერი მტკიცებულება მაინც ჰქონდათ ქოშის სახით. ახლა კი დადექი და უყურე ყველას თვალებში - ესაა თუ არაო. ბოლოს, ჯერი ფატიაზეც მიდგებოდა და როცა ეტლზე ორად მოკეცილ, კიდურებგანუვითარებელ, ხეიბარ ქალს ცხვირწინ მიუგორებდნენ, ჯეელი მოულოდნელობისაგან ჩაიკეცებოდა: - "ის არის, ის თვალებია! ვახ, ჩემი, რა თვალებიაო! " მერე ხელს დაავლებდა და სახლში წაიყვანდა, ყოველ დილით ჩახედავდა თვალებში, დაუკოცნიდა თვალებს და წავიდოდა თავის საჯეელოში.

ეხ, დაილოცოს ქართული ენის გრამატიკა და ზმნის ნაირნაირი ფორმები. ისინი რომ არა, ნეტავ, როგორ უნდა ეოცნება საკუთარ თვალებში მომზირალ ფატიას. ან ეს ძილი რომ არ არსებობდეს, როგორ დაასვენებდა ამდენ ნაფიქრ-ნაოცნებარ ტვინის უჯრედებს და რა შეუცვლიდა იმ ლამაზ-ლამაზ სიზმრებს, მკერდგადაღეღილი ბიჭი რომ ჩნდებოდა და ისევ იმალებოდა. მკერდი და მერე რა მკერდი. იცოდა, რომ ქალები ჭკუას კარგავდნენ მის დანახვაზე და ამიტომაც არ იკრავდა იმ ოთხ ალაგას გახვრეტილ და ზოლიან პერანგზე თეთრი ძაფით მიკერებულ ღილებს. ან ეს სიგარეტის სუნთან შეზავებული ძვირფასი ოდეკოლონის სურნელი, ასე რომ ათრობდა და აბრუებდა, პირდაპირ ფეხში სცელავდა ფატიას. ეს სიზმარში, თორემ ცხადში რაღა მოცელვა უნდოდა - 32 წელი ისედაც ერთ ალაგას იჯდა კუნძივით და ვინმე სამადლოდ თუ გამოაგორებდა ახლად ამწვანებული კოინდრის სამწვანით დასატკბობად და სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად. "ჯანდაბა, ჯერ არ მოვმკვდარვარო" – გაიფიქრებდა-ხოლმე გაღვიძებისას და ისევ იმ სამოთხეზე იწყებდა ფიქრს, რომელიც ამ ორიოდე წუთის წინ დააკარგვინა კარის ბრახუნმა. ჯეელის კოცნა ისევ ბაგეებს უწვავდა და ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი მისი სურნელის დამათრობელი ზემოქმედებისაგან. ბევრი რამ სმენია, ბევრიც წაუკითხავს სიყვარულზე, მაგრამ თუ ის ასე უსაშველო და უკიდეგანო იყო, როგორც მის გულში დასადგურებული უცნაური და უმისამართო გრძნობა, მაშინ, აღარაფრისა სნამდა და სჯეროდა. თუმცა, არც ისე გახლდათ დიდი მორწმუნე. "ღმერთი რომ არსებობდეს, ასე დამტანჯავდაო" – კი არ ფიქრობდა, ხმამაღლა ამბობდა. არც ჯვარს იკარებდა, არც სანთელს ანთებდა - "ესენი მე ვერას მიშველიანო" - იტყოდა-ხოლმე და ყვავილებიან ლამბაქს გულმოსული დააბერტყავდა გადმობრუნებულ ფინჯანში ჩარჩენილი ყავის ნალექს.

სურვილი ჟანგივით ხრავდა მის უძლურ სხეულს. "ბედისწერას ვერსად გაექცევიო" – იტყოდა ხოლმე ფიქრებისაგან გამორკვეული და თვალებში ყურებას თავს ანებებდა. ოცნებას მასზე დიდი თვალები ჰქონდა. დიდი თვალებიდან კი ცრემლიც ბევრი იღვრებოდა, იმდენი, რომ წისქვილსაც დააბრუნებდა და ერთ



ტომარა სიმინდსაც ჩამოფქვავდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა სარკმელში მზე იჭყიტებოდა თუ მთვარის ყვითელი შუქი იღვრებოდა. "ნეტავი გამაგებინა რომელმა იდიოტმა თქვა, დრო, მკურნალიაო" – გაწიწმატდებოდა-ხოლმე ფატია და მთვარის შუქით გაფერადებულ სასთუმალზე მისდებდა ფიქრით დამძიმებულ თავს. ჯერჯერობით ეს ერთადერთი იყო, ვისთანაც იყოფდა სარეცელს და გრძნობდა, უკეთესის მოლოდინში ვერც დრო იქნებოდა მისი მკურნალი. მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდნენ დღეები და ღამიდან ღამემდე, სიზმრიდან სიზმრამდე ძლივს ატანდა მისი მომლოდინე სული. თვალის დახუჭვისთანავე მასთან ჩნდებოდა მისი მზეჭაბუკი და სქელი ტუჩებით უკოცნიდა გამჭვირვალე ღაწვებს, ბაგეებს, მკერდს, თითებს, ცეცხლმოდებული სხეულით ეკვროდა მის სიცარიელედქცეულ მსუბუქ ტანს, რომელსაც აღარც ეტლი სჭირდებოდა, არც ფეხები, უხილავი ფრთებით დაჰქროდა და გაუგონარ, ენით აღუწერელ სიამოვნებას ეძლეოდა დილამდე. მერე ისევ ეს ოხერი მზე შემოუნგრევდა მწვანე ფარდებით ჩასანგრულ ფანჯრებს და ფატიას შეანჯღრევდა - "ეი, გაიღვიძე ძილისგუდავ, გეყოფა ძილი ხომ გაგიგონია - მოაკლდეს მძინარესო, ემატოს მღვიძარესაო!" "თავი დამანებეო – აზუზუნდებოდა, აწუწუნდებოდა, გაცხარდებოდა გაღვიძებული ფატია - ნეტავ რა უნდა მომაკლდეს დარდისა და ოხვრის გარდა. ძილში უფრო ჩქარა გადის წუთისოფელი". "აბა, რას ბოდავ, ფატიავ! - გაიცინებდა მზე - წუთისოფელი მარტო მძინარესთვის კი არა, ყველასთვის წამში მიფრინავს. აბა, შენ რა გეგონა, რანაირად დადგა ეს მეოცე საუკუნე? ეს ჩვენი წელთაღრიცხვით, თორემ, იქამდე რაც იყო, იმას აღარ ვთვლი. ან საერთოდ, გიფიქრია, სად იწყება და მთავრდება სამყარო, შენ ეს თქვენი პანსიონატის ეზო ხომ არ გგონია - ამ ღობიდან იმ ღობემდე, ან კიბიდან და ჭიშკრამდეო..."

"ვიცი ვიციო..." – თავს ჩაქინდრავდა საბოლოოდ გამოფხიზლებული, სამოთხიდან ჯოჯოხეთში აღმოჩენილი ფატია. "აბა, შენ რა გეგონა, მარტო შენ ზიხარ მაგ შენს დანჯღრეულ ეტლში და შენზე უბედური ამ ქვეყნად აღარავინაა?" - თავს არ ანებებდა ის აბეზარი სხივი და თვალებში უტიფრად უჭყიტინებდა. "კარგი რა, ნამუსიც კარგი საქონელია..." - თავს აბრალებდა ფატია და ცალი ხელის დაკრუნჩხული თითებით იწყებდა ფეხებმორყეული ნიკელის საწოლზე პლედის გადაფარებას.

ვერავინ ვერ ხვდებოდა, როდის რას ფიქრობდა ფატია. ან რატომ უნდა მიმხვდარიყვნენ? მაშ, რისთვის ედგა მხრებზე სხეულის ერთადერთი განვითარებული ნაწილი? ნეტავ, კი პირიქით ყოფილიყო – იყიალებდა თავისთვის ორღობიდან ორღობეში და კუტი ფატიას ნაცვლად ყველა სულელ ფატიას დაუძახებდა – თვითონაც ბედნიერი იქნებოდა და სხვებიც გაიმხიარულებდნენ ობმოდებულ და უგერგილო ცხოვრებას. ნასუფრალით გაუმასპინძლდებოდნენ და ზედიზედ ათასჯერ მაინც გაამეორებინებდნენ სოფლის ბირჟაზე ნასწავლ უწმაწურ სიტყვებს. ოც კაპიკად იმღერებდა, იცეკვებდა და შეიძლება კიკუსავით სახალხოდ გაეხადა კიდეც. დიდი ამბავი, თუ გიჟს დაუძახებდნენ. სამაგიეროდ, ბედნიერად იგრძნობდა თავს. შეიძლება იმათზე ბედნიერადაც კი, ვინც გიჟს ეძახდა. იქნებ, სოფლის წვერამოღერილ ბიჭებს ბნელ ორღობეშიც შეეტყუებინათ ახლადმოძალებული სურვილების დასაოკებლად. ჯანდაბას, ეს ოხერი სიზმრები მაინც აღარ დასტანჯავდა, იცხოვრებდა მშობლიურ სოფელში და თავსაც არავინ უკრავდა ამ პანსიონატში. ყველა სოფელს თავისი გიჟი ჰყავსო და იქნებოდა თავისი სოფლის გასართობი მასხარა. ახლა კი სინათლისა ისე ეშინია, როგორც ღამით უეცრად გამოღვიძებულ ბავშვს - სიბნელისა. ეს ნორმალურ ბავშვს, თორემ ფატიასათვის არც ბავშვობაში მოჰქონდა მამლის ყივილს და სახურავებიდან ამოწვერილ მზის სხივებს დიდი აღმაფრენა და სიხარული. არავინ უკოცნიდა ნამძინარევ, ვარდისფრად ატკრციალებულ ლოყებს და არც ენას უჩლექდა ვინმე – "გაიღვიძა ჩემმა პაწაწუნამო, ადე, ჩემო პატარაო, მოდი ფისი ვქნათ და ხელ-პირს ჭუპა-ჭუპა ვაქნევინოთო". არაა!!! ამგვარი გულჩვილობა ფატიასნაირებისთვის არ არის და არც ყოფილა მოგონილი. ღამის პერანგიც კი არ ჩაუცმევია არავის. ზაფხულში ჩითის კაბას გადააძრობდნენ და ეგ იყო. ზამთარში კი რაც ეცვა, ეცვა. რაც დღისით, ის ღამით. ვის რას ემართლებოდა? თვითონ სარკეში ჩახედვაც კი ჰზარავდა და რა დააშავეს სხვებმა? ესეც შენი ყოფნა-არყოფნა. ფატია კი არა, შექსიპირიც ამაზე იმტვრევდა თავს და თუ მას ვერ გაეგო, ფატია როგორღა უნდა გარკვეულიყო თავისი დაკნინებული არსებობის საჭიროებასა და ყოფიერების აუცილებლობაში. ეხ, ვის რაში სჭირდება, ვის დაჰკარგვია? ის თავქარიანი და ოფოფივით გაჩეჩილი სანიტარი მარინიაც კი კისრისტეხით მიარბენინებს სადილზე, რომ დროზე მოიშოროს თავიდან და ზავხოზ თამაზასთან გააგრძელოს კურკური.

წლები კი მიდის. მიწის ნაგლეჯი, რომელიც ფატიას სარკმელიდან მოსჩანს, ხან იებით, ენძელებით და ყოჩივარდებით იფარება, ხან თოვლით, ხან ჭრელ-ჭრელი ფოთლებით და ხანაც მწვანედ ბიბინებს. ფატია და მისადმი ადამიანების დამოკიდებულება კი არ იცვლება – მასში არც სიცივე ისადგურებს და არც სითბო - უბრალოდ არი რა..."რომ მოვკვდები, ალბათ, ვერც შეაჩნევენ..." – ოხვრას გულს ამოაყოლებდა-ხოლმე ზმანებაში შეყვარებული ფატია და მასთან შეხვედრამდე დარჩენილი რამდენიმე საათის მოკვლას ჭერში თვალების ცეცებით ცდილობდა. "დიდი ამბავი... - ამშვიდებდა ისევ სხივი - ახლა ვერ შეგამჩნევენ? გავა დრო, წლები და ვინმე არქეოლოგი

გაგრძელება E14 გვერდზე

ფატია

ნამდვილი ამბავი

E13 გვერდიდან

ამოგთხრის. შეგამჩნევს? შეგამჩნევს კი არა მუზეუმში არ გამოდებს შენს ჩონჩხს? აბა, შენ რა გგონია? ჰერაკლე რომ ჰერაკლე იყო, შენ იმასთან რა მოსატანი ხარ, ის იწვა, ღმერთმა უწყის, რამდენი საუკუნე გაქვავებული ლავის ქვეშ და იმდენი ქექეს ეს საცოდავი დედამიწა, რომ ქვიდანაც ამოტეხეს მისი ნარჩენები. იფიქრებდა ამას? იყო თავისთვის, ცხოვრობდა საყვარელ ცოლ-შვილში და დაუყვებოდა პომპეის ქუჩებს, ვიდრე ბუჰ!!! და არ იფეთქა მიწისქვეშ ბოღმიანი კაცის გულივით მოთუხთუხე ვულკანმა. იცოცხლე, ამოიფრქვა და ამოიგმინა, ამოიღვარა და ფერფლად და ცეცხლად დაედო დედამიწას. შენ კი ზიხარ მაგ შენს ეტლში და ვიშვიშებ. ნუ გეშინია, შენც ამოგთხრიან, შენც გიპოვიან".

"მე ახლა მინდა"... - გულში გაიფიქრა, არ უთქვამს და მწარე ფიქრებს მიეცა, ან რა გასაკვირია, რომ მისცემოდა. აბა, მზარეულ ტასიას რა ჰქონდა საფიქრალი. იმის გარდა, რასაკვირველია, რაც შეიძლება ბევრი ნარჩენები შეეგროვებინა თავისი ღორებისათვის. ან იმ თვალებ და ტუჩებშეღებილ, მოკლეკაბიან ექთან ეკუნიას, რომელიც იმის გარდა, რომ ყოველ დილით წმინდა რიტუალივით ასრულებდა ფრჩხილებზე ლაქის წასმის და სახეზე კოსმეტიკის სქელი ფენის დადების პროცედურას, ექიმ ზურიას კაბინეტშიც ხშირ-ხშირად შერბოდა ხოლმე ყავის ფინჯნით ხელში. იქიდან აწითლებული, ხალათის სწორებით გამოვიდოდა და შიგადაშიგ ავადმყოფებსაც შეუვლიდა იმის გასაგებად, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან თუ უკვე განუტევესო ტანჯული სული? სხვა რაზე უნდა ეფიქრა? ფიქრს დრო სჭირდება, დრო კი ეკუნიას ძალიან ცოტა ჰქონდა. გარდა ამისა, ფიქრისათვის ტვინია საჭირო, ეკუნიას კი აქაც ჭაკად ჰქონდა საქმე. ამიტომ, რასაც გაიგონებდა, პირდაპირ, ნედლად გასცემდა ჭორის სახით. ფატია კი ერთხელ გაგონილს ვინ იცის მერამდენედ ამუშავებდა, ატრიალებდა ხორცსაკეპ მანქანაში ხელმეორედ ფიქრისათვის გაშვებული ფარშივით, საკუთარ წვენში იხარშებოდა, ითუთქებოდა, იწვოდა, ჯიგარი ეგლიჯებოდა, მაგრამ ნაფიქრალის გაზიარება არ შეეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობდა მისი მიმღები.

უხილავი რკინის მესერი ჰყოფდა ფატიას საუფლოს გარეშე სამყაროსაგან. უხილავი, მაგრამ ისეთი მყარი და მედეგი, არც მესაზღვრე სჭირდებოდა, არც დაგეშილი ნაგაზები – ისედაც არავინ არღვევდა საზღვარს. არღვევდა კი არა, ქუდი რომ გადაგეგდო, ფეხს არავინ შეადგამდა მის გამოსატანად. ხანდახან თუ გადმოიჭყიტებოდნენ, ნეტავ, რა ხდება ამ ფატიას სამყაროშიო, დიდად ვერ იხიბლებოდნენ და დამდუღრულივით უკანვე გარბოდნენ, ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში, ბინებში, ოფისებში, ქელეხებსა და ქორწილებში, სულ სადღაც ეჩქარებოდათ და ცხოვრებას ისე მიერეკებოდნენ, უკანაც არ იხედებოდნენ, ემანდ უკან მორჩენილმა წლებმა გული არ გაგვიხეთქოსო. ფატია კი მხოლოდ უკან იყურებოდა. რაც ყველა დანარჩენს გულს უხეთქავდა, ფატიას სწორედ ის ასულდგმულებდა. საშოვარზე გამოსული ღამურებივით დაჰფრენდნენ თავს უაზრო სიტყვები და ნერვებს უწეწავდნენ, ისედაც ნერვებაშლილ ქალს – რა მნიშვნელობა აქვს, ხეიბარს დამიძახებენ, კუტს, ინვალიდს თუ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანს, თავს რისთვის იმტვრევენ, ემანდ, გული არავის ვატკინოთ, ყველა თანასწორი და ტოლი ვართო. თანასწორი არაა! სიტყვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუკი შინაარსი არ იცვლებოდა, ყველა ერთი ჭირი იყო ფატიასათვის და თუ ვინმე მაინც დაიჩემებდა, ერთს მეორე სჯობიაო, ფატიას თვალში ფარისევლობდა და თვალთმაქცობდა მხოლოდ. ასეთი ფიქრები ეწვეოდა-ხოლმე, მარტოსულ ქალს დროდადრო და ეს ფიქრები შეშინებული გველებივით მალევე ტოვებდნენ მას. ვიდრე მიწიდან ამოზრდილს, ისევ მიწა უზამდა პირს, რაღაც ჯანდაბით ხომ უნდა ამოევსო ეს დაუსრულებელი და ოხერი წლები, თვითონ თუ ვერ შექმნიდა რამეს, სხვისი შექმნილით ხომ მაინც უნდა ესარგებლა და დამტკბარიყო. "შენ რა გიშავს, ცოცხალს ყოველთვის ეშველება, მკვდარმა იკითხოსო" – სადღეგრძელოსავით ეტყოდა-ხოლმე ნუგეშს ერთადერთი გულშემატკივარი მაყვალა. "ხახა, როგორ გამაცინე... – მწარედ ჩაილაპარაკებდა ფატია - სწორედაც რომ, მკვდარს რა უჭირს, შიმშილი იმას აღარ აწუხებს და სიცივე, არის თავისთვის წამოწოლილი და ასვენებს სიცოცხლით დაღლილ-დაქანცულ სხეულს. მე ვარ ასე შუაში გაჭედილი – არც იქით, არც აქეთ, არც ცოცხალი, არც მკვდარი, არც საიქიოში, არც სააქაოშიო".

ისე, კარგად თუ დააკვირდებოდით, აშკარად, ცოცხალი იყო და ბრტყელ მკერდ ქვეშ უკმაყოფილო და ფეთქვით გაბეზრებული გულიც უცემდა. ის კი მაინც იჯდა და უსიხარულოდ გაჰყურებდა ბინდშემოპარული ცის ნაგლეჯს სარკმელში. ან რა ჰქონდა გასახარელი? დედა არ დაუძახია არავისთვის და მამა. ზღაპარი რომ ზღაპარია, ის არ უამბია მისთვის ვინმეს. არც დაბადების დღე მიულოციათ არასდროს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისალოციც რა ჰქონდა – ის, რომ ჩანასახშივე არ ჩაჰკლა უფალმა და ჩანასახისვე პოზაში დატოვა სამუდამოდ?

"აბა, ასეთ ყოფას სიკვდილი არ სჯობია?" – ნიშნს მოუგებდა-ხოლმე ყავის ჭიქამომარჯვებულ მაყვალას, მაგრამ სული ტკბილი იყო და მაინც ყურებდაცქვეტილი უსმენდა მის მიკიბულ-მოკიბულ მკითხაობას. იმასაც რა ენაღვლებოდა, ფინჯანის

ფსკერზე, ყავის ნალექში დაეძებდა ფატიასათვის, ალბათ, ერთადერთ ნუგეშისცემას – "ვიღაცას ვხედავ, შენთან მოსანახულებლად მოდის, მ, ვ, ნ, თუ რზე იწყება მისი სახელი. თავი მომჭერი, თუ შენ არ გათხოვდე, ა, აღდგომა და ხვალეო". რომ იტყოდა, იტყოდა, წყალი არ გაუვიდოდა. კარგად იცოდა, რომ არც მნახველი მოვიდოდა, არც მთხოვნელი, მაგრამ მოსწონდა ფატიას ტყუილები და აბა, ამაზე როგორ დაზარდებოდა?

ყველაფერი გასაგები და ამავე დროს გაუგებარი იყო ფატიასათვის. მაგალითად, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეეძლო 208-ში მცხოვრებ, სანიტრის მიერ ჯიბეში ჩაკუჭული სამმანეთიანის სანაცვლოდ გარეცხილ-გახამებულ თეთრეულში მწოლიარე თინიკოს პირიდან სულ შაქარი ამოსვლოდა. ყველასთვის, ვისაც მის ოთახში ცხვირის შეყოფა მოესურვილებოდა, გაეღიმა, მოეკითხა, თავისკენ საკოცნელად მიეზიდა. ასეთი კი ბევრი იყო – ზოგი თვითონ შედიოდა, ზოგი კი შეჰყავდათ, საჩვენებელი ინვალიდივით იყო – სუფთა, გაქათქათებული, აკურატული თინიკო, მუდამ მომღიმარი, დებისა და მათი შვილების ფოტოებით კედელაჭრელებული... ვერ მიმხვდარიყო ფატია, როგორ შეეძლო 50 წლის მანძილზე საწოლს მიჯაჭვულ 65 წლის ადამიანს ლექსები ეწერა, ბუნება ჰყვარებოდა, ექსოვა, ექარგა, ემუსაიფა და ემაჭანკლა კიდეც. იქნებ იმ 15 წლის მოგონებები მოჰყვებოდა ბავშვობაში გულდატოვებულ ადამიანს. ფატიას კი... ცხოვრების კინოფირივით უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ზედიზედ 15 წელს კი არა, ტვინი რომ ეჭყლიტა, ბედნიერების 15 წუთსაც ვერ გაიხსენებდა ვერაფრით.

არც ის ესმოდა, რა ახვიხვინებდა ასე უდარდელად ხეიბარ ბადრიას პოდიუმზე მოგოგმანე მკერდგაშიშვლებული მოდელების დანახვაზე. სწორედ იმ ბადრიას, მრავალტონიან მატარებელს უბოდიშოდ რომ გადაურბენია მის ფეხებზე და ბავშვობაში მურაბაშერეული კალცის მიქსტურით გამაგრებული ძვლებისათვის სულ ლაწა-ლუწი აუყენებია. ეს ხეპრე კი ზის ამ ღილაკებმორყეულ ტელევიზორთან, პირდაღებული მისჩერებია ნახევრადდამჯდარ ეკრანს, "ვახ, რა ნაშა�აო" - გაიძახის, თან დაჭიანებული კბილებით ისე იღრიჭება, თითქოს "წითელ კუთხეში" მიყუჟული ფატიაც იმ თავცარიელი თოჯინებივით მდედრობითი სქესისა არ ყოფილიყოს. ბრაზობდა ქალად უარყოფილი ფატია და იმაზე აღარ ფიქრობდა, ერთ დროს თავმომწონე ბიჭს ჯერ მნახველები რომ უშლიდნენ ნერვებს, მერე ის – რატომ ყველა შეეგუა ჩემს ამბავს და აღარავინ სიბრალულით აღარ მიყურებსო. მეც მათსავით ორფეხა ხომ არა ვარო. რა იცოდა ფატიამ, ბადრიას გულშიც იგივე ცეცხლი რომ გიზგიზებდა, იგივე ჭია რომ ხრავდა მის სულსა და სხეულს ძილშიც და ცხადშიც.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა კაკანათში მომწყვდეული ბეღურასავით საკუთარ სხეულში მოფართხალე ფატიას და "უნარშეზღუდული" ადამიანის კვალობაზე კიდევ არა უშავდა – უძლებდა ამ ღომში ჩაზელილი სულგუნივით გაწელილ დღეებს აისიდან დაისამდე. ჯერჯერობით მისი უპირატესობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ კვირაში ორჯერ სართავი ფაბრიკის მუშასავით უფასოდ აძლევდნენ თითო ბოთლ რძეს. სულ ეს იყო - იწურებოდა "წითელი ჯვრის" ჰუმანიტარული სუპივით უგემური დღეები და მათთან ერთად - ფატიას მოთმინებაც – უკანასკნელი იმედი ჩაფერფლილიყო, სიცოცხლის სურვილი – ჩამქრალიყო. სილამაზე ხომ არ იყო და არ იყო. გაზაფხული კარგა ხანია, აღარ დგებოდა ფატიას წილ ქვეყანაში. არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზაქრო გამოჩნდა. გამოჩნდა კი არა, პირდაპირ მაყვალას ყავის ჭიქიდან გადმოხტა. უცებ, გამოცოცხლდა საღათას ძილით მიძინებული პანსიონატი. ყველგან, უზარმაზარფანჯრებიანი დერეფნების კუთხეებში თავშეყრილ ეტლში მჯდარ თუ ხელჯოხიან მეზობლებს, მხოლოდ ერთი ამბავი ეკერათ პირზე. "რა ნახა ნეტავ ამ ზაქრომ ფატიაში, ერთი გაგვაგებინაო" - ქირქილებდნენ, ლაზღანდარობდნენ, გულში კი შურდათ კიდეც ფატიასი. მთლად იმ ჯეელისნაირი ვერ იყო ზაქრო, მაგრამ არც ხელი აკლდა, არც ფეხი, ყურთასმენაც ჩინებული ჰქონდა და მხედველობაც. არც ძალიან მოხუცი იყო – 65 ახლახან შესრულებოდა. ამიტომ ყველასთვის გაუგებარი იყო, რატომ უნდა გადმობარგებულიყო ზაქრო პანსიონატში და მით უმეტეს, ფატიასთან რას უნდა დაემეგობრებინა. რას აღარ ამბობდნენ - "ალბათ, სახლში აღარ დაედგომებოდა, ნამდვილად, ლოთობით ყველას თავი მოაბეზრა და გამოაგდესო". სახლში მართლაც აღარ დაედგომებოდა ზაქროს. ქალი იყო ოჯახის შემკვრელ-გამაერთიანებელი, ოჯახის საბჯენი და შვილებსა და ქმარს შორის გადებული ხიდი. მისმა სიკვდილმა კი საბოლოოდ, დაარღვია ეს კავშირი - შვილები დაიფანტნენ, მამას ზურგი აქციეს და თავთავიანთ პატარა ოჯახებში განმარტოვდნენ. კვირიდან კვირამდე კაციშვილი არ შეაღებდა მის ჭიშკარს, თითქოს, მის ძველისძველ, პაპისეულ სახლში კეთროვანი დასახლებულიყო. სული რომ ამოსვლოდა, წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავდა. მეზობლის ბერიკაცი თუ შემოვიდოდა ხანდახან წუთისოფელზე საწუწუნოდ და ოხვრით გულის ამოსაყოლებლად. ეგ იყო და ეგ. კარგა ხანს მისტიროდა ზაქრო უდროოდ გარდაცვლილ ცოლს, კიდევ უფრო დიდხანს – საკუთარ, მარტოდმარტო დარჩენილ ეულ თავს. ბოლოს ხელი ჩაიქნია, გოგიაანთ ბიჭს ქალაქში მოხუცებულთა თავშესაფრის ამბების გაგება სთხოვა და როცა მან პასუხი ჩამოუტანა, ჩააწყო ჩანთაში თავისი მნირი ბარგი-ბარხანა და გაემგზავრა. "ეს ყოფილა ჩემი ბოლოო" - გაიფიქრებდა ზაქრო და მყრალ "პრიმას" გააბოლებდა. სამაგიეროდ, ღმერთმა გადმოხედა და აგერ, ფატია გამოუგზავნა სამეგობროდ და ჭირ-ვარამის გამზიარებლად. ჩასჭიდებდა მის ეტლს შრომით დაკოჟრილ ხელებს, გააგორ-გამოაგორებდა და მერე საათობით დაატარებდა მზის გულზე. ფატიაც ისე ყელმოღერებული იჯდა, თითქოს დედოფლის ტახტრევანზე მოკალათებულიყო და ზურგს უკან მოყვარული და ერთგული უფლისწული მოსდევდა. ბედნიერებისაგან ბრწყინავდა. თავი სიზმარში ეგონა. როცა ზაქრომ ცოლობა შესთავაზა, იფიქრა მასხრად თუ მიგდებსო და სულ ცოფები ჰყარა - მე მახინჯი კი ვარ, მაგრამ თავმოყვარეობა არ დამიკარგავსო. "შენ შემოგევლოს ჩემი თავი, დაცინვა გულშიც არ გამივლია, შენც მარტოსული ხარ და მეც, მოდი და ერთად ვიცხოვროთო" - გულწრფელად გამოუტყდა ზაქრო. მე შენ გეტყვი, ქორწილის ხარჯებზე მოუხდებოდათ ფიქრი თუ ფატიას ფატა-კაბაზე. არც ჯვრისწერა ყოფილა და არც მმაჩის ბიუროში ხელის მოწერა, არც უცხოურ მანქანაზე გამობმული წითელი ლენტები, გოჭები, ქათმები, სამსართულიანი ტორტი და ამისთანა რამეები. უბრალოდ, მარტოობას ჩაურაზეს კარი, რომ მეორედ ვეღარ გაებედა ცხვირის შემოყოფა ფატიას პატარა ოთახში, სადაც ზაქრო გადაბარგდა საცხოვრებლად.

რუსმა ჟენიამ ბუზღუნი დაიწყო – "შაგას ისიც ეყოფა, ქმარი რომ იშოვა, რძე აღარ მისცეთ და მისი წილი მე და ტამაროჩკას გაგვინაწილეთ, ჩვენ უფრო გვჭირდებაო". მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ თუ ვინმეს სჭირდებოდა რძე, პირველ რიგში, ეს ფატია იყო. რაღაც გულისრევა დაეწყო, საჭმლის დანახვაზეც კი ცუდად ხდებოდა. მაყვალამ ლოყა ჩამოიხოკა - "ხო არ გადეირიე, აგი რა მესმის, წავალ ექიმ ზურიეს დოუძახებო". ექიმმა ეჭვი დაადასტურა - "ფეხმძიმედ ხარ, ბავშვი შეგეძინებაო".

ბავშვიო? როგორ თუ ბავშვი? არა, აქ რაღაც შეცდომა იყო. ბედის მწერალს ნამდვილად რაღაც შეეშალა, აბა ასეთ ბედნიერებას ფატიასთვის როგორ გაიმეტებდა? ამაზე რომ ფიქრობდა, ფატიას ეკალი აყრიდა ტანზე, თავბრუ ესხმოდა. იმაზეც კი არ უფიქრია არასდროს, დედა თუ ჰყავდა ოდესმე და იმას რა აფიქრებინებდა, თვითონ თუ ეწერა ამ გაუცნობიერებელი და უცხო გრძნობის საკუთარ თავზე გამოცდა.

წუთში მოედო ახალი ამბავი პანსიონატს, ქალები გვერდებს ითქვიფავდნენ - "ფატია და ბავშვიო?" კაცები ქირქილებდნენ – "შალადეც, ზაქრო, ძაან ყოჩაღი კი გამოდგაო". დირექტორმა გივიმ თავში ხელი შემოიკრა - "ახლა რა ვქნაო. ექიმები კატეგორიულად უკრძალავდნენ ფატიას ნაყოფის შენარჩუნებას, სულ ერთია, ვერ გაიზრდება, ვერ განვითარდება, ქალიც დაიღუპება და ბავშვიცო. მაგრამ გაგიგონიათ? ფატიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ვინ არ ეხვეწა, ემუდარა, დირექტორიდან დაწყებული მაყვალათი დამთავრებული, ყველა ეჩიჩინებოდა - "არ გაგიჟდე, თავი არ დაიღუპო, ბავშვი მოიცილე, სანამ გვიანი არააო". ფატიას კი არც არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა. ოცნებებმა ისე გაიტაცა, ვერ მიმხვდარიყო, რას თხოვდა ეს ხალხი. გულში ეცინებოდა - "ნუთუ ამ სულელებს იოტისოდენა იმედი მაინც თუ აქვთ, რომ ამაზე დამითანხმებენო". მთელი არსებით გრძნობდა თავის გაურკვეველი ფორმის სხეულში ჩასახული ცოცხალი არსების ფეთქვას, სუნთქვას და ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა, შელეოდა მას. "თუ სიკვდილი უწერია, ცოტა მოგვიანებით მოხდეს, სჯობია. თანაც პატარას მარტოდმარტო ხომ არ გავისტუმრებ იმ ქვეყნად, ერთად წავალთ მე და ჩემი შვილიო" – უცნაური სითბოთი გამღვალ გულში ფიქრობდა ფატია, ხმას კი არ იღებდა. იჯდა ასე კრიჭაშეკრული და და ცალყბად აძლევდა პასუხს თავზე სულთამხუთავებივით დამდგარ ჭირისუფლებს. ფეხმძიმობამ ფატია სხვა ქალად აქცია. მოულოდნელად საკუთარ თავში იმდენი სითბო და მზრუნველობა აღმოაჩინა, თვითონაც გაოცდა, ამდენ ხანს სად იმალებოდა ეს ყველაფერიო. ეკლესიიდან ზაქროს ღვთისმშობლის ხატი და სანთლები მოატანინა, ყოველ დილა-საღამოს სანთელს ანთებდა და ჩუმად ლოცულობდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რას ევედრებოდა მას ფატია, შვილის და საკუთარი თავის გადარჩენას თუ იმ ქვეყნად ერთად გამგზავრებას. იმასაც ფიქრობდა, იქნებ იმდენ ხანს მაინც დაიტიოს ჩემმა ოხრადდასარჩენმა, მახინჯმა სხეულმა ნაყოფი, რომ საკეისრო გამიკეთონ და ბავშვი ინკუბატორში გამოზარდონ, ჩემი თავი ჯანდაბასაც წაუღიაო.

აყვავდა და გაიფურჩქნა ფატია, შეევსო მიმჭკნარი მკერდი და პირსახე. თვალებში უჩვეულო ნაპერწკალი აენთო - სიყვარულით და იმედით ანთებული ნაპერწკალი. საათობით დააგორებდა დარცხვენილი ზაქრო ფატიას ეტლს სუფთა ჰაერზე და კრინტის დაძვრას ვერ ბედავდა, თითქოს, წინასწარ ებოდიშებოდა იმისათვის, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც მთელი პანსიონატი შიშით მოელოდა. ყველა შეძრწუნებული იყო ამ მოლოდინით, გარდა ბედნიერი ქალისა, რომელმაც დერეფანში ჩამოახსნევინა და ოთახში შემოატანინა დიდი სარკე და საკუთარ თავს ისე ათვალიერებდა, თითქოს მზეთუნახავის ანარეკლს უმზერსო. დირექტორი თავისი მანქანით დაატარებდა ექიმთან, კონსულტაციებზე. ყოველი გასინჯვის შემდეგ ექიმი სულ უფრო და უფრო იღუშებოდა და რაც უფრო მეტად ეწურებოდა იმედი ყველას, მით უფრო ბედნიერი სჩანდა ფატია. საკუთარ თავს ჰკიცხავდა - "რამ მაფიქრებინა საკუთარ ბედზე წუწუნი, რატომ ვიცხოვრე ასე უღმერთოდ, საკუთარ თავს სარკეშიც ვერ ვუსწორებდი თვალსო". მოდიოდნენ და მოდიოდნენ მნახველები, მოჰქონდათ და მოჰქონდათ შემწვარი და მოხრაკული, ტკბილეული და ხილი. "კარგი კვება იცოცხლეთ მჭირდება, ახლა ჩემი საყელოც სჭამსო" – ამბობდა ფატია და მადიანად შეექცეოდა საჭმელს. არად დაგიდევდათ, ხანდახან წელში უცნაურ ტკივილს რომ გრძნობდა, სუნთქვაც რომ უჭირდა და კარგა ხანია დაწოლილს რომ არ სძინებია. სიზმრებიც შეეცვალა ფატიას – ახლა მხოლოდ თავის პატარას ხედავდა, ეფერებოდა მის ფუმფულა თათუნებს, სახე ახლოს მიჰქონდა მძინარე ბავშვთან და ხარბად ისუნთქავდა მისი სათუთი ნესტოებიდან ამონასუნთქ ჰაერს. ბავშვის უცნაური და სასიამოვნო სურნელი ათრობდა და აბრუებდა. რომელი ჯეელი, რისი ზაქრო... რა სურვილი, რისი ლტოლვა... ეს პატარა არსება იყო ახლა ერთადერთი წყარო სიამისა და ენით აუწერელი ტკბობისა. მხოლოდ ამ დღეებისათვის ღირდა თურმე უსარგებლოდ და აუზროდ გატარებული წლების განმავლობაში ლოდინი.

"ნეტავი რა გახარებსო" – თავისდაუნებურად წამოცდა ერთხელ მაყვალას და ენაზე იკბინა, ეს რა ვთქვიო. მაგრამ ფატიას არც წყენია და არც შეშინებია. "შენ ის მითხარი, აბა, აქამდე რა უნდა გამხარებოდა?" – იქით მიუბრუნა შეკითხვა ფატიამ და ისევ თავის მუცელს მიუბრუნდა. ისე ეფერებოდა და ეალერსებოდა, თითქოს ბავშვი აგერ მუხლებზე უზის და ეტიტინებაო. ხუთმა თვემ გაიარა უსასრულო მოლოდინსა და ღელვაში. დილას ახლა მხოლოდ სიხარული მოჰქონდა ფატიასათვის. არც დღეები მოსჩანდა ისეთი უსასრულო, როგორც წინათ. ეგ იყო, ხუთვამ უმატა. ნაყოფი ვეღარ ეტეოდა დედის ჩვეულებრივზე პატარა სხეულში და იბრძოდა ღვთით ბოძებული კუთვნილი ადგილისათვის – აქეთ-იქეთ ეხლებოდა, იქ ღვიძლს ედავებოდა, იქ ნაღველს, აქეთ გულსა და თირკმელებს – ცოტა იქით მიიწიეთ, ვეღარ ვეტევიო. ფატიასაც ხან თირკმელი სტკიოდა, ხან ღვიძლი და ხან ნაღველი. გრძნობდა რომ სულისაგან განსხვავებით მისი სხეული დიდხანს ვეღარ გაუძლებდა ამას. "მოსახდენი მოხდებაო" - თავს იმშვიდებდა ის და საავადმყოფოში წაყვანის წინ თვალებით ემშვიდობებოდა ყველაფერს – ეზოს, დერეფნებს, ადამიანებს.... ტკივილი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. ფატიას გული შიშით, ძრწოლვით, მოლოდინით თუ რაღაც სხვა, გაუგებარი, ერთმანეთში არეული გრძნობით უთრთოდა. ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ დაიწყეს ფატიას საოპერაციოდ მზადება. გრძნობდა ფატია თავისი პირმშოს მოძრაობას. გრძნობდა კი არა, თითქმის ხედავდა მის პაწაწინა კიდურებს, სახის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ნაკვთებს და ცოცხალი თავით არ ეთმობოდა სხეულიდან მისი მოშორება. მთელი არსებით ებრძოდა ნარკოზის გამაბრუებელ ზემოქმედებას და მზად იყო, ენით აუწერელი ტკივილი აეტანა, ოღონდაც კი გონება არ დაბინდვოდა და თვალი შეევლო მისთვის ასეთი სანუკვარი არსებისათვის.

■ ■ ■

იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. პანსიონატის ეზოში ბალერინებივით ჩამწკრივებული უზარმაზარი ალვის ხეები ერთი მიმართულებით იდრიკებოდნენ, თითქოს თაყვანს სცემდნენ და ემშვიდობებოდნენ ფატიასა და მისი პირმშოს ცხედრებს, რომელთაც მათი მდუმარე მწუხარების გარდა პანსიონატის თანამშრომლები, დადარდიანებული ზაქრო და ის ინვალიდები მიაცილებდნენ, რომელთაც დამოუკიდებლად გადაადგილება შეეძლოთ. ფატიას სიმშვიდე და ბედნიერება აღბეჭდვოდა გაქვავებულ სახეზე, თითქოს, ყველას ნიშნს უგებდა - "აბა, ერთი შემომხედეთ, რომელი ხართ ჩემზე ბედნიერიო". ყველა დუმდა, თითქოს ხმის ამოღების ეშინიათ, ფატიას და მის პატარას ძილი არ დავუფრთხოთო. არც მაშინ დაუძრავს არავის კრინტი, როცა პანსიონატის დირექტორის ხვეწნა-მუდარით ნაშოვნ პაწაწკინტელა მიწის ნაგლეჯზე, საფლავებს შორის გაჭრილ სამარეში უშვებდნენ ფატიას და მისი უდღეური პირმშოს კუბოს. მიწიდან ამოზრდილი ფატია ნამატით უბრუნდებოდა მიწას – ბედნიერი და, რაც მთავარია, დედად ქცეული.

თარგმანი

ხანგრძლივი ღამეული მგზავრობა გემით



მილორად პავიჩი

- არასდროს ისროლო, თუ შენი თოფის ჭექა სამ სახელმწიფოში მაინც არ გაიღებს ექოს!

ესა თქვა და აბრეშუმთმიანი პავლე ფართო გზაზე გამოვიდა. ის იყო ხატივით ლამაზი და ჩექმასავით ყურებამდე სისხლში მოთხვრილი. ზღვისპირეთში, სადაც მზის სითბოს ძროხის ნეხვზე მეტად არ აფასებენ, პავლე ქურდად იჯდა. ეს კაცი თავის ჭიას ახარებდა სამ სახელმწიფოში - ვენეციაში, თურქეთში და ავსტრიაში. პავლე საქონელს იპარავდა და სანელებლებით გადატვირთულ ქარავნებს იტაცებდა. ერთ შაბათ დღეს რომელიღაც ვაჭარმა მას თოფის ლულა მისცა პირში, მაგრამ თოფი არ გავარდა. აბრეშუმთმიანს თოფისწამლის კვამლმა ენა ასწვა. მას აქეთ იგი გემოს ვეღარ გრძნობდა და ვეღარ იგებდა, პირში რა ედო - ქალის ძუძუ თუ ლობიო და მჟავე კიტრი. თევზს სატევრის წვერზე წამოაცმევდა და ისე წვავდა ცეცხლის ალზე. ცოცხალი თევზი ფართხალებდა და ნაპერწკლებს აფრქვევდა.

ერთ დღეს პურით და ყველით დანაყრდა და ელოდა, რა აზრებად გადაიქცეოდა მასში ეს საჭმელი. აკი მამაკაცს მხოლოდ ყველისგან და პურისგან ძალუძს აზრის წარმოქმნა. იმ დღეს პავლე ველუჩას შეხვდა. ველუჩა მწყემსი გოგონა იყო. ის დასთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა უმამოდ, არასდროს ენახა მამაკაცის ყვერები, ცხვრისა კი ბევრჯერ ჰქონდა ნანახი, თუმცა ისიც შემწვარი. მამაკაცი მას მხოლოდ მონეტაზე გამოსახული ენახა. როცა ტყიდან აბრეშუმთმიანმა პავლემ გამოყო თავი, გოგონას მოეჩვენა, რომ მას მზე უღიმოდა. უშველებელი და უცნობი სულდგმული იდგა მის წინაშე. ის ტყავივით იყო გადაჭიმული სინათლეზე და იყო ცარიელი, როგორც ღამე და მის წიაღში, როგორც ღამეში, იწვა ქალაქები და ტყეები, მდინარეები და ზღვის ყურეები, ქალები და ბავშვები, ხიდები და გემები, ფსკერზე კი, სულ ქვემოთ, ამ სულის პატარა და მშვენიერი სხეული იწვა. ღიმილი, რომელიც სინათლესავით იფრქვეოდა, გაფიქრებინებდა, რომ ამ ღამის მიღმა არ არის სიცარიელე და მხოლოდ ამ სხეულის გავლით შეიძლება შეაღწიო სულში. ღიმილი ამ კაცმა სხვა ქვეყანაში დაიჭირა და მოუტანა ველუჩას, როგორც ძვირფასი ნაყოფი, რომელიც ან უნდა გასინჯო ან მოკვდე...

ველუჩამ შეხედა აბრეშუმთმიანი პავლეს ღიმილს და ეს იყო უკანასკნელი რამ, რაც მან სიცოცხლეში იხილა. ველუჩამვე ჰკითხა კაცს, რა გქვიაო, კაცმა უპასუხა, და ეს იყო უკანასკნელი რამ, რაც მან თავის ცხოვრებაში მოისმინა. პავლემ კონდახი ჩასცხო ველუჩას და ნახევრად მკვდარს დაეუფლა, ისევე როგორც ნახევრად ცოცხალ თევზს შეექცეოდა ხოლმე. იმავე დღეს ერთ-ერთ გემს მიჰყიდა იგი. ამ გემს ყველასთვის მისაწვდომი ქალები დაჰყავდათ პორტიდან პორტში. მიჰყიდა და წავიდა კიდეც, გაჰყვა იმ ღიმილს, წყვდიადში რომ ანათებდა. ველუჩა მას აქეთ აღარც უნახავს. გოგონა დარჩა ასე ბედს მინდობილი: შეშლილი საშინელებისგან, გამოღვიძებული ვნებისგან და შიშისგან. ძლიერმა დარტყმამ კი სამუდამოდ დააბრმავა და დააყრუა.

და დაიწყო ბრმა ველუჩას ხანგრძლივი ღამეული მგზავრობა გემით. ყოველი გემბანზე ამსვლელი ყიდულობდა მოდურ ბრინჯაოს ბეჭედს და ოქროსყდიან პაწია წიგნაკს. ამ წიგნაკში დაწვრილებით იყო მოთხრობილი გემზე მყოფი ქალების შესახებ და აქვე ეცნობოდა ყველა იმ

გაგრძელება E16 გვერდზე

ხანგრძლივი დამეული მგზავრობა გემით

E15 გვერდიდან



მგზავრ ფუეცელაკველის ნახატი

ნაცად ხერხებს, რომელთაც ისინი იყენებდნენ კაიუტაში მისული სტუმრების საამებლად. ნორმად ითვლებოდა დღეში ათი კაცი ერთი ქალისთვის. და ასე მიცურავდა გემი გაზაფხულიდან გაზაფხულამდე, პორტიდან პორტამდე. ყველას უკვირდა, გემზე მყოფი გოგონების სახელები და ღირსებანი რომ საქვეყნოდ გახმაურდა. საღამოს სტუმრები თავიანთ რჩეულ ქალებს თითზე ბეჭდებს წამოაცმევდნენ ხოლმე და უტოვებდნენ კიდეც. ისინი ამ დანატოვარს დილით კაპიტანს უბრუნებდნენ, რათა ახალ ათ სტუმარს რგებოდა. წიგნაკები კი სტუმრებს მიჰქონდათ და მეგობრებს ჩუქნიდნენ. ასე იკვრებოდა წრე, მაგრამ არა ბეჭდების მეშვეობით, რომლებიც გემზე რჩებოდა, არამედ წიგნების გამოისობით.

მამაკაცებს უყვართ თვალით, ქალებს კი სმენით. მიუხედავად ამისა, ყრუ ველუჩა სხვებზე უკეთეს სიყვარულის ნიჭს ამჟღავნებდა. გემზე წვეულნი, უპირველეს ყოვლისა, მას თხოულობდნენ, ჩუმად აჭრიდნენ თმის კულულს და ნათესავებს უგზავნიდნენ წერილთან ერთად. ამ ნიშნის მიხედვით გემზე შემდგომ მოხვედრილნი მიაგნებდნენ ველუჩას.

- ქალი საპონი არ არის, არ გაილევა - ამბობდნენ ველუჩაზე სიცილ-ხარხარით და მისი სახელის ექო სწრაფად ვრცელდებოდა, გემის სწრაფვასაც კი უსწრებდა, არავის არ ძალუძდა გადმოეცა მასთან პაემნის შთაბეჭდილებები. ასეთ დროს ხელებს იშველიებდნენ და ჩაუსტვენდნენ. ბრინჯაოს ბეჭდებს მას ხშირად ფეხის თითებზეც წამოაცმევდნენ ხოლმე, რადგან ხელებზე აღარ ჰქონდა ადგილი. ველუჩას კი არაფერი არ ესმოდა და ვერაფერს ვერ იგებდა და რჩებოდა ყველასთვის სასურველ ქალად.

- დღისით მისი გონება უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე გული, ღამით კი პირიქით - ჩურჩულებდნენ სხვა გოგონები. იკეთებდა და იხსნიდა ბრმა ველუჩა ბეჭდებს და ამასობაში ამ ქალთა საკრებულოთი დატვირთულ გემით გადაცურა ადრიატიკის და იონიის ზღვები. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ თქვა: რაღაც მშვენიერი სოფელია ეს სოფელი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სარდაფები მიწისქვეშაა, ქუჩები კი მზის გულზე არც არის საერთოდ, ამიტომაა, რომ ყველაფერი ასე ირწევა.

მხოლოდ მაშინ გაირკვა, რომ მან არც კი იცოდა, სად იყო. მას ხელი ზღვაში ჩააყოფინეს და უთხრეს, გემზე ხარო. არც ამის შემდეგ დაუფლებია ველუჩას შფოთი, მხოლოდ დროდადრო ესიზმრებოდა, რომ მისივე ყურები წყდებოდნენ თავს და პეპლებივით მიფრინავდნენ ხმელეთზე, რათა მისთვის ვიღაცის ხმა ან სახელი მოეტანათ. მაგრამ, როცა კი იღვიძებდა, ატყობდა, ყურები იმავე ადგილზე ჰქონდა. ზოგჯერ იგი უკვე სავსებით დაყრუებული თავის სამწყემსო სალამურზე უკრავდა. ეს სალამური კი (თვითონ ამას ვერ ატყობდა) უკვე ერთ ბგერასაც აღარ გამოსცემდა. ლაპარაკით ველუჩა უკვე აღარ ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, სიტყვის დაძვრასთან ერთად პირიდან სისხლი არ წამსკდესო. იყო ერთი გამონაკლისი. ველუჩა ამტკიცებდა, თანაც დაჟინებით, რომ ქარები, რომლებიც გამუდმებით გემს არწევდნენ, მას ბავშვს გაუჩენდნენ. ის ფიქრობდა, რომ მათ საამისო ძალა შესწევდათ. სხვა გოგონებმა იცოდნენ, ისეთი, როგორიც ველუჩაა, ნებისმიერ ქარიშხალში საყვარლისთვის სასურველია და ამიტომაც ყველა ქარისგან შეიძლებოდა დაფეხმძიმებულიყო. ისინი შიშით უსმენდნენ უფლისადმი აღვლენილ ველუჩას ხვეწნა-ვედრებას. ველუჩა იჯდა გემბანზე და ქარებს ავედრებდა თავის სავედრებელს. უეცრად მოვარდნილი ქარები ტაძრად ექცა მას, ის სახელებით უხმობდა ქარებს და ეფიცებოდა, შვილს გაგიჩენთო.

ველუჩა ევედრებოდა დასავლეთის ქარს, ან მთის ქარს, რომელზეც წერენ ხოლმე იმას, რისი დავიწყებაც სურთ. ეხვეწებოდა ქარიშხალს, რომლის დროსაც მარცხნივ აიყრიან ხოლმე პატივს, რათა მარჯვნივ შეინარჩუნონ. აღმოსავლეთის ქარსაც ევედრებოდა, რომელიც როცა დაჰბერავს, მაშინ არ უნდა მოფსას მამაკაცმა, თორემ უდიდესი ცოდვა დააწვება. ცივ ქარსაც შეუძახებდა ხოლმე, იმ ცივ ქარს, პარასკევობით წისქვილის ფრთებს რომ არ აბრუნებს, გზებს წეწავს და ბილიკებს დასაწყისისკენ მიაქცევს. სამხრეთის ქარსაც ეძახდა ველუჩა, სამხრეთის ცოლმოყვანილ ქარს, რომელსაც შეუძლია კოშკი განასკვოს. არც გრიგალი დაუტოვებია სათვალავს მიღმა. გრიგალი გეხმარება გაქცევით უშველო თავს, მას ღმერთს შესთხოვენ და ღმერთივე აგზავნის; და შუაღამის ქარი, ო, შუაღამის ქარი ადედებს რძეს და ენას აყლაპვინებს ადამიანებს; პოლეჟაკიც ისმენდა ველუჩას ძახილს, ისმენდა და წმინდა პავლეს დღეს დასაცხრობად სანთელს ეძებდა. კიდევ ყვითელი ქარი, ჰო, ჰო, ყვითელი ქარი, რომლისგანაც შეიძლება თვალი გეცეს, რომელსაც სარკის მეშვეობით იჭერენ, რათა განდევნონ გრძნეულებანი. მოდრიკი დღეგამოშვებით უბერავს და ნამთვრალევ კაცს წააგავს; აგერ თვე, ტოპლიკი, ღუზით მხვნელი მიწისა და ხმლით მომკელი. ბრმა ანჟელია, რომელსაც საწოლში ყინული მოაქვს და ხის ჯამში თოვლს გვიყრის; უსტოკს ევედრებოდა, იმ უსტოკს, სხეულის სასირცხო ნაწილები რომ გადააქვს და რომლის სურნელის მიხედვით კვირის რომელიმე დღის განსაზღვრაც კი შეგვიძლია...

ასეთი ვედრებით და ხვეწნა-მუდარით, მსასოებელი ძახილით შვილის შეძენის გამო გაიარა ველუჩამ ათასგვარ ქარებზე საშინელი ავდრები და უამინდობანი. არ დაუზოგავთ იგი ექვს ენაზე და სამ დიალექტზე მოსაუბრე ჯარისკაცებს. ქალების გემმა გაარღვია სასტიკი ომების ქარცეცხლი ვენეციასა და ავსტრიას შორის, გვერდი გაჰკრა თურქეთის იმპერიაში ავარდნილ ამბოხების ალს, რომელმაც კონსტანტინოპოლს ტრიპოლი, ტუნისი და ალჟირი ჩამოაშორა. გერცეგნოვიში ველუჩას შეეყარა ავადმყოფობა, რომელიც ართმევდა ადამიანს იმას, რაც მას უკვე წართმეული ჰქონდა - სმენა, სიცილიაში მხედველობის წამართმევმა სნებამ დარია ხელი - მაგრამ მხედველობაც ხომ უკვე კარგახნის წართმეული ჰქონდა. ყრუ ველუჩას გარდა, ყველამ მოჰკრა ყური ზადარაში გახმაურებულ ამბავს, აბრეშუმთმიანი პავლე დაღუპულიყო, და თურმე ერთ თურქ მხედარს მისი აბრეშუმის თმისაგან უზანგები გაეკეთებინა და ისე დათარეშობდა. შიბენიკში ერთმა სტუმართაგანმა საცეკვაოდ გაიწვია ველუჩა და ის შესანიშნავად ცეკვავდა, ყველაზე უკეთესად, თუმცა მუსიკის ხმა ოდნავადაც არ ესმოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ თავისი მუდმივი ხელობისგან ეს ქალი უკვე ჭკუაზე აღარ იყო. მამაკაცები ჩურჩულებდნენ, რომ ყოველი მათგანისთვის მას თავის ვნების უტკბესი წვეთები ჰქონდა გადანახული, გოგონებმა კი იცოდნენ, რომ მასვე გემის პატრონისთვის თავის სასიყვარულო შრომა-გარჯის გამო ერთი გროშიც კი არ მოუთხოვია...

მაგრამ ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა, ველუჩას ბავშვი არ ეყოლა. მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, კორინთოში გოგონებმა დაინახეს ის, რისი დანახვაც ველუჩას არ შეეძლო - ველუჩა გაჭაღარავდა.

- მალე, ალბათ, მას მკერდიც ჩამოეკიდება - ამბობდნენ ისინი ბოროტი სიხარულით. გემზე მყოფ ქალებს შორის უკვე ახლებიც იყვნენ, ყმაწვილქალები და მათ ფონზე ველუჩას დიდება ხუნდებოდა. მის ხელებზე იშვიათადღა კრთოდა ბრინჯაოს ბეჭდები. ერთი ღამით მისი საწოლი ცარიელი იყო გათენებამდე, დილით კი ის აცრემლებული ნახეს გოგონებმა. ისინი ზეთისხილის ტოტებით ეფერებოდნენ მას და არ ესმოდათ რა ატირებდა, მერე კი გაკვირვებულები დარჩნენ, როცა მოისმინეს სიტყვები, რომელიც ახლაც აოცებს ყველას: ჩემს აბრეშუმთმიან პავლეს მთელი ამ წლების მანძილზე ერთხელაც არ მოუტყუებია ჩემთვის, ერთ ღამეში ათჯერ მოდიოდა საალერსოდ ჩემთან, გვერდით მიწვებოდა. ახლა იგი უკვე აღარ მოდის. ყველაზე ლამაზ, ერთადერთ მამაკაცს ქვეყანაზე მე უკვე აღარ ვუყვარვარ. აბრეშუმთმიანმა პავლემ სხვა იპოვა... თქვა ველუჩამ და ზღვაში გადავარდა.

ამ ადგილს მისი სახელი ჰქვია. ესეც მისი ენითაუწერელი დიდების გამოძახილია. ყველა, ვინც აქ გაცურავს, ნიჩბებს დაყრის, ხელს ჩაიქნევს და დაუსტვენს. და რადგან ასეა, მეც აი ამ ადგილას ვყრი ნიჩბებს, ხელს ჩავიქნევ და ვცდილობ გავიხსენო, XVII საუკუნიდან რომ ისმის, ის სტვენა.

თარგმნა
თორნიკე მოდებაძემ